

თინათინ გოგნაძე, ლარისა მელია, ლაშა დოლიძე,
დავით მალიძე, შორენა წიკლაური,
დავით ულგანდაშვილი, მაია ჯაბუა



კლინიკური უნარების სწავლება მედიცინაში

2024

აკტორები:

თინათინ გოგნაძე – მედიცინის დოქტორი, ევროპის უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი, ფარმაკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ლარისა მელია – მედიცინის დოქტორი, ევროპის უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი, მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ლაშა დოლიძე – ევროპის უნივერსიტეტის სიმულაციური ცენტრის ხელმძღვანელი

თანაკატორები:

დავით მალიძე – მედიცინის დოქტორი, ევროპის უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი, ფიზიკური დიაგნოსტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

შორენა წიკლაური – მედიცინის დოქტორი, ევროპის უნივერსიტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი, ოტორინოლარინგოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

დავით ელგანდამვილი – მედიცინის დოქტორი, ევროპის უნივერსიტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი, ქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

მაია ჯაბუა – მედიცინის დოქტორი, ევროპის უნივერსიტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი, გადაუღებელი მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

სამეცნიერო რედაქტორი:

ნათია ჯოჯუა – სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა დოქტორი, ევროპის უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი, ბიოქიმიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ტექნიკური რედაქტორი:

თამრიკო ქავჭარაძე

<https://doi.org/10.52340/9789941337956>

ISBN 978-9941-33-795-6

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2024

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას N4, 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02

E-mail: gamomcemlobauniversal@gmail.com

მონოგრაფია გამოიცა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი SP-23-1354, პროექტის სახელწოდება „კლინიკური უნარების სწავლება მედიცინაში“]/This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [Grant number SP-23-1354, “Teaching of clinical skills in medicine“.

სარჩევი

თავი I – სამედიცინო ჰიგიენის კონცეფცია	9
1. ხელების დაბანა.....	9
1.1 შესავალი.....	9
1.2 მომზადება ხელის დასაბანად.....	10
1.3 ხელის დაბანა საპნით და წყლით	11
1.4 ხელის დაბანა სადემინფექციო ხსნარით.....	13
2. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება და უტილიზაცია	16
2.1 არასტერილური ხელთათმანის გამოყენება	16
2.2 ერთჯერადი არასტერილური ხალათი/წინსაფარი	19
2.3 ხელის ქირურგიული დაბანა, სტერილური ხელთათმანის და ხალათის ჩაცმა	22
2.3.1 ხელის ქირურგიული დაბანა	23
2.3.2 სტერილური ხელთათმანის ჩაცმა	26
2.3.3 სტერილური ხალათის ჩაცმა.....	28
2.4 სამედიცინო ნიღბები	28
2.5 თვალის დამცავი საშუალებები.....	31
2.6 სამედიცინო ქუდის გამოყენება	32
2.7 სამედიცინო ნარჩენების მართვა.....	32
თავი II – ანთროპომეტრული მონაცემების გაზომვა	38
1. სიმაღლის გაზომვა.....	40
2. წონის განსაზღვრა.....	44

თავი III – სასიცოცხლო ნიშნების მანსაზღვრა.....	50
1. სასიცოცხლო ნიშნები (ზოგადი მიმოხილვა)	50
2. სხეულის ტემპერატურის განსაზღვრა (T).....	54
3. პულსი (გულისცემის სიხშირე) (HR)	55
4. სუნთქვის სიხშირე (RR)	58
5. სისხლის არტერიული წნევა (BP)	58
თავი IV – წამლის შეყვანის გზები	63
1. მედიკამენტის შეყვანის გზები	64
1.1. ენტერალური გზა.....	65
1.2. პარენტერალური გზა	66
1.2.1 კუნთშიდა ინექცია	68
1.2.2 კანშიდა ინექცია	75
1.2.3 პერიფერიული ვენის კათეტერიზაცია.....	77
1.2.4 არტერიის კათეტერიზაცია.....	81
1.2.5 ძვალშიდა კანულაცია (IO).....	85
1.2.6 ვენური ინფუზია	90
1.3 ლუმბალური პუნქცია	92
1.4 წამლის ტოპიკალური (ადგილობრივი) გამოყენება	96
თავი V – სასუნთქი სისტემა.....	100
1. შესავალი	100
2. სპირომეტრია	100
3. ტრაქეოსტომია	103
4. პრეოქსიგენაცია	106
5. ენდოტრაქეული ინტუბაცია	108

თავი VI – გულ-სისხლძარღვთა სისტემა	113
1. ელექტროკარდიოგრაფია.....	113
2. გულმკერდის დრენირება.....	120
3. გულ-ფილტვის რეანიმაცია	138
თავი VII – საფშლის მომწვლელი სისტემა.....	157
1. პარენტერული კვება	157
1.1 ნაზოგასტრული მილის შეყვანის ეტაპობრივი აღწერა....	158
1.2 ნაზოგასტრული მილის ამოღების ეტაპობრივი აღწერა...	160
1.3 ნაზოგასტრალური მილის მოვლა	160
1.4 იენუსტომის მოვლა.....	160
2. ენტერალური კვება.....	162
3. სტომა.....	164
4. ოყნის გამოყენება, სანთლის გამოყენება, რექტალური გასინჯვა თითოთ	167
თავი VIII – შარდ-სასქესო სისტემა.....	183
1. შესავალი	183
2. შარდის ბუშტის კათეტერიზაციის პროცესის აღწერა მამაკაცებში.....	191
3. შარდის ბუშტის კათეტერიზაციის პროცესის აღწერა ქალებში	193
4. შარდის ბუშტის კათეტერის ამოღება.....	194
5. შარდის ბეგის დაცლა	195
6. შარდის შუა ულუფის აღება.....	196

7. შარდის ნიმუშის შეგროვება ფოლის კათეტერიდან.....	196
8. შარდის ერთჯერადი გამოღება	197
9. შარდის ბუშტის გამორეცხვა.....	200
10. შარდის 24-საათიანი შეგროვების პროცედურა....	203
11. პერკუტანული ნეფროსტომია	206
12. ბიძანუალური ვაგინალური გასინჯვა, სარკის ჩადგმა	219
13. საშვილოსნოს ყელის ნაცხის აღება	229
14. ლეოპოლდის მანევრი	235
16. კონტრაქციის	247

თავი IX – კანი..... 254

1. კანი, დამწვრობა	254
1.1 დაზიანების მექანიზმი და ბიომექანიკა	256
1.1.1 თერმული დაზიანების ნიშნებისა და სიმპტომების პათოფიზიოლოგიური საფუძველი	257
1.1.2 ელექტრული დამწვრობა	262
1.1.3 ქიმიური დამწვრობა	263
1.2 დამწვრობის მქონე პაციენტის შეფასება და მოვლა.....	264
2. ქრილობა	274
2.1 პირველადი დახმარება ქრილობის დროს	277
2.2 ქირურგიული ნაკერი. კანის ქრილობების კერვა. ნაკერების მოცილება.....	280

თავი X – სენსორული ორბანოები..... 308

- 1. ნაცხის აღება ცხვირ-ხახიდან, თვალიდან და ყურიდან 308**
 - 1.1. ნაცხის აღება ცხვირ-ხახიდან 308
 - 1.2 ნაცხის აღება თვალიდან 310
 - 1.3 ნაცხის აღება ყურიდან 311
- 2. უცხო სხეულის ამოღება ყურიდან, თვალიდან და ცხვირიდან 312**
 - 2.1. უცხო სხეულის ამოღება ყურიდან 312
 - 2.2 უცხო სხეულის ამოღება თვალიდან..... 317
 - 2.3. უცხო სხეულის ამოღება ცხვირიდან..... 319

თავი XI – ტრავმები 322

- 1. თავის ტრავმები 322**
 - 1.1 სკალპის დაზიანება..... 323
 - 1.2 ტვინის შერყევა 324
 - 1.3 თავის ტვინის კომპრესია 325
 - 1.4 ქალა-ფუძის მოტეხილობა 326
- 2. გულმკერდის და ხერხემლის ტრავმა 328**
 - 2.1 დაჭიმული პნევმოთორაქსი 329
 - 2.2 ღია პნევმოთორაქსი..... 329
 - 2.3 ხერხემლის ტრავმები 331
- 3. კისრის საყელო 334**
- 4. კიდურების ტრავმა 337**

თავი XII – პირველადი დახმარება გადაუდებელი მდგომარეობების დროს.....	341
1. გულყრა.....	341
1.1 ეპილეფსია	342
1.2 ფებრილური გულყრა.....	343
2. ნაკბენი	345
2.1 გველის ნაკბენი.....	345
2.2 ცხოველის ნაკბენი.....	347
2.3 ლაიმის დაავადება.....	350
3. სისხლდენა ცხვირიდან.....	353
4. დიაბეტი	354
5. სასუნთქი გზების ობსტრუქცია	357
6. ჰიპოთერმია და ჰიპერთერმია	361
6.1 ჰიპოთერმია.....	362
6.2 ჰიპერთერმია	364
7. ტრიაჟი და მასობრივი კატასტროფების მართვა	366
ლიტერატურა.....	369

თავი I – სამედიცინო ჰიბიენის კონსეფცია

1. ხელების დაბანა

1.1 შესავალი

იგნაც ფილიპ სემელვეისის, ავსტრიო-უნგრული ექიმის სახელს უკავშირდება სამედიცინო პრაქტიკაში ასეპტიკის პრინციპების და, მათ შორის, ხელის დაბანის წესის შემოღება.

სემელვეისმა, რომელიც გახლდათ მეანი, მშობიარობის დროს აღმოაჩინა იმ დროისთვის ერთ-ერთი ფატალური გართულების – „მელოგინის ცხელების“ მიზეზი. მან შენიშნა, რომ ცხელება უფრო ხშირი იყო სამშობიაროს იმ განყოფილებაში, სადაც სტუდენტებს ასწავლიდნენ და დაასკვნა, რომ კლინიკაში შემოსული სტუდენტები წარმოადგენდნენ ინფექციის წყაროს. სემელვეისმა დააწესა ხელების დამუშავება კალციუმის ჰიპოქლორიტის ხსნარით, რამაც მელოგინეების სიკვდილიანობა 18%-დან 1%-მდე შეამცირა.

ხელის დაბანა, როგორც კლინიკაში, ასევე მის გარეთ, სამედიცინო პერსონალს საშუალებას აძლევს თავიდან იქნას აცილებული სხვადასხვა ინფექციის გავრცელება. კლინიკაში ნებისმიერი პროცედურის ან/და მანიპულაციის როგორც დაწყებამდე, ასევე დასრულების შემდეგ, ხელის დაბანა სავალდებულო პროცედურას წარმოადგენს.

სტატისტიკური მონაცემით, მსოფლიოში ათასობით ადამიანი იღუპება მკურნალობის დროს განვითარებული ინფექციების გამო. აღნიშნულის პრევენცია შესაძლებელია ხელის ჰიგიენური დამუშავებით და პერსონალური დაცვის საშუალებების გამოყენებით.

თუკი ხელი ვიზუალურად შეუმჩნევლად არის დაბინძურებული, მაშინ შესაძლებელია სადუზინფექციო ხსნარების გამოყენებაც. სხვა შემთხვევაში, მოწოდებულია დაბანა საპნით და წყლით.

2005 წლის 13 ოქტომბერს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის პაციენტთა უსაფრთხოების მსოფლიო ალიანსმა წამოიწყო საერთაშორისო მოძრაობა დევიზით: „სუფთა მკურნალობა – უსაფრთხო მკურნალობა“, რომლის მოქმედების 5 ძირითად არედ განისაზღვრა:

- სუფთა ხელები;
- სუფთა პრაქტიკა;
- სუფთა პროდუქტები;
- სუფთა გარემო;
- სუფთა აღჭურვილობა.

2006 წლის 3 ივლისს საქართველო შეუერთდა საერთაშორისო მოძრაობას „სუფთა მკურნალობა – უსაფრთხო მკურნალობა“ და აღებული იქნა ქვეყანაში ნოზოკომიური ინფექციების დაძლევის ხელშეწყობის ვალდებულება.

ხელის სწორად დაბანას, რასკვირველია, თავისი წესი აქვს. სამედიცინო პერსონალის ინფორმირების მიზნით ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მუდმივად ხდება შესაბამისი რეკომენდაციების მოწოდება.

1.2 მომზადება ხელის დასაბანად

გახსოვდეთ!

1. ხელის დაბანის წინ აუცილებელია სამკაულების მოხსნა;
2. მედპერსონალს უნდა ჰქონდეს მოწესრიგებული ფრჩხილები;
3. ნებისმიერი ხელის ჰიგიენის ან დაბანის შემდეგ, ხელთათმანის ჩაცმამდე აუცილებელია ხელები იყოს კარგად გამშრალებული.

1.3 ხელის დაბანა საპნით და წყლით

პროცედურის ხანგრძლივობა: 40-60 წამი.

ეტაპები:

1. დაისველეთ ხელები წყლით;
2. ზედაპირების სრულად დასაფარად დაიტანეთ ხელისგულზე საპონი;
3. მოახდინეთ საპნის თანაბარი გადანაწილება ხელის გულებზე;
4. მარჯვენა ხელისგულით მოახდინეთ მარცხენა ხელის ზურგის დამუშავება, თითების გადაჭდობით და პირიქით;
5. შეატყუპეთ და გადააჭდეთ თითები;
6. მოახდინეთ თითის ზურგების დამუშავება მეორე ხელის მუჭში მოქცევით;
7. წრიული მოძრაობით მარჯვენა მუჭით დაიმუშავეთ მარცხენა ცერა თითი და პირიქით;
8. მარჯვენა ხელის თითების წინ და უკან მოძრაობით დაიმუშავეთ მარცხენა ხელისგულზე და პირიქით;
9. ხელები დაიბანეთ წყლით;
10. ერთჯერადი ხელსახოცით გაიმშრალეთ ხელები;
11. ონკანი დაკეტეთ ერთჯერადი ხელსახოცით;
12. პროცედურის სწორად შესრულების შემდეგ თქვენი ხელები უსაფრთხოა.

დაიბანეთ ხელები საპნითა და წყლით, ხოლო მათზე ხელმისაწვდომობის არქონისას გამოიყენეთ სპირტის შემცველი ხსნარი

0 პროცედურის ხანგრძლივობა: 40-60 წმ



დაისველეთ ხელები წყლით



წაშასხით ხელისგულზე საკმარისი ხაზონი ხელის წედაპირებს სრულად დასაფარად



გაფანაწილეთ და შეწილეთ თანაბრად ხელის კვლებზე



შარყენა ხელისგულით დაიშუშავეთ შარყენა ხელის ზურგი, თითების გადაქდობით და პირებით



ხელისგულზე შეატყვეთ და თითები გადაატყვეთ



თითის ზურგები დაიშუშავეთ მეორე ხელის მუშტი მოქცევით



შარყენა ცერა თითი დაიშუშავეთ წრული მოძრაობით შარყენა მუშტი და პირებით



შარყენა ხელის თითების წინ და უკან წრული მოძრაობით შარყენა ხელისგულზე და პირებით



დაიბანეთ ხელები წყლით



გაიშრალეთ ხელები ერთეფრადი ხელსახოცით



ონკანის დასაკვდავ გამოიყენეთ ერთეფრადი ხელსახოცო



თქვენი ხელები უკვე უხაფირობია

სურ 1. ხელების წყლითა და საპნით დაბანის წესები. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია. საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

1.4 ხელის დაბანა სადეზინფექციო ხსნარით

პროცედურის დრო: 20-30 წამი.

ეტაპები:

1. ზედაპირების სრულად დასაფარად დაიტანეთ ხელისგულზე სპირტის შემცველი ხსნარი;
2. ხსნარი გადაინაწილეთ და დაიმუშავეთ ხელისგულები;
3. მარჯვენა ხელისგულით დაიმუშავეთ მარცხენა ხელის ზურგი, თითების გადაჭდობით და პირიქით;
4. შეატყუპეთ და გადააჭდეთ თითები;
5. მოახდინიეთ თითის ზურგების დამუშავება მეორე ხელის მუჭში მოქცევით;
6. წრიული მოძრაობით მარჯვენა მუჭით დაიმუშავეთ მარცხენა ცერა თითი და პირიქით;
7. მარჯვენა ხელის თითების წინ და უკან მოძრაობით დაიმუშავეთ მარცხენა ხელისგულზე და პირიქით;
8. გაიშრეთ ხელები.

ხელების ჰიგიენისთვის გამოიყენეთ სპირტის შემცველი ხსნარი

1 პროცედურის საერთო ხანგრძლივობა: 20-30 წმ

		
<p>1a ჩამოასხით ხელისგულზე საკმარისი სპირტის შემცველი ხსნარი, ხელის წედაპირების წრულად დახაფარად</p>	<p>1b</p>	<p>2 გადაანწილეთ და დაიმუშავეთ თანაბრად ხელისგულებზე</p>
		
<p>3 მარჯვენა ხელისგულით დაიმუშავეთ მარჯვენა ხელის შურგბი, თითების გადაჭდობით და პირიქით</p>	<p>4 ხელისგულები შეატყავეთ და თითები გადააჭდეთ</p>	<p>5 თითის შურგბი დაიმუშავეთ შორე ხელის მუცში მოქცევით</p>
		
<p>6 მარჯვენა ცერა თითი დაიმუშავეთ წრიული მოძრაობით მარჯვენა მუცით და პირიქით</p>	<p>7 მარჯვენა ხელის თითების წინ და უკან წრიული მოძრაობით მარჯვენა ხელისგულზე და პირიქით</p>	<p>8 გაიმრეთ ხელები</p>

სურ 2. ხელების დამუშავება სპირტის შემცველი ხსნარით. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია. საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

გახსოვდეთ!

ხელის დაბანა ხდება:

1. პაციენტთან ნებისმიერი სახის კონტაქტის წინ;
2. ნებისმიერი ასეპტიური მანიპულაციის წინ;
3. ნებისმიერი ბიოლოგიური ნარჩენის დაცლის ან კონტაქტის შემდეგ;
4. პაციენტთან ნებისმიერი სახის კონტაქტის შემდეგ;
5. პაციენტის გარშემო არსებულ ნებისმიერ საგანთან კონტაქტის შემდეგ.

დაიცავით ხელების სისუფთავე



სურ 3. ხელების ჰიგიენის ხუთი მნიშვნელოვანი წესი სამედიცინო პერსონალისთვის. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია. საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

2. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება და უტილიზაცია

2.1 არასტერილური ხელთათმანის გამოყენება

ინფექციების გადაცემის თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვან პრევენციულ ქმედებებს, ხელის ჰიგიენის გარდა სამედიცინო ხელთათმანის ჩაცმაც მიეკუთვნება. არაერთმა კვლევამ აჩვენა, რომ ხელთათმანის მოხმარება ამცირებს მიკრობების გადაცემას, როგორც ამბულატორიულ, ასევე ჰოსპიტალურ ეტაპზე.

1894 წელს ჯონ ჰოპკინსის ჰოსპიტალში გამოიყენეს პირველი სამედიცინო ხელთათმანი. აღნიშნულის საფუძველი გახდა მედდის ჩივილი ქიმიურ ნივთიერებებთან კონტაქტის შემდეგ აღმოცენებული დერმატიტის გამო.



სურ 4. ჰალსტედის მიერ შექმნილი ერთ-ერთი თავდაპირველი რეზინის ხელთათმანი.

ქირურგ უილიამ სტიუარტ ჰალსტედის სახელს უკავშირდება რეზინის ხელთათმანის შექმნა. მოგვიანებით, 1964 წელს შეიქმნა ლატექსისგან დამზადებული პირველი ერთჯერადი ხელთათმანი. რობერტ ჰამილტონმა (იმუნოლოგი) და ექიმმა ფრენკლინ ადკინსონმა ჩაატარეს კვლევები ლატექსის ხელთათმანით გამოწვეული ალერგიების შესახებ, შედეგების მიხედვით კვლევაში ჩართული მოსახლეობის 6%, ხოლო სამედიცინო პერსონალის 15% ალერგიული იყო ლატექსის მიმართ.

არასტერილური ხელთათმანები ერთჯერადია და უნდა იქნას გამოყენებული:

- ნებისმიერი ასეპტიური პროცედურის დაწყებამდე;
- სისხლთან ან სხეულის სხვა სითხეებთან, კანთან, ლორწოვან გარსებთან ან დაბინძურებულ ზედაპირებთან შეხებისას;
- პაციენტთან ან პაციენტის აღჭურვილობასთან/გარემოსთან კონტაქტისას დამატებითი სიფრთხილის ზომების მიღების მიზნით.

ხელთათმანის ჩაცმის პროცედურა:

1. დაიბანეთ ხელი;
2. შეარჩიეთ შესაბამისი ზომის ხელთათმანი;
3. მოიხსენით სამკაულები;
4. ამოიღეთ ხელთათმანი ყუთიდან;
5. ხელთათმანი ჩაიცვით დომინანტურ, ხოლო შემდეგ არადომინანტურ ხელზე;
6. საჭიროების შემთხვევაში მოახდინეთ ხელთათმანის მორგება/შესწორება ხელზე.

გახსოვდეთ!

- ხელთათმანი ხელის დაბანის ალტერნატივად არ გამოიყენება;
- ხელთათმანის გახდის შემდეგ აუცილებელია ხელის დაბანა;
- თუკი ხელთათმანი დამზადებულია ლატექსისგან, შესაძლოა განვითარდეს ალერგიული რეაქცია, ამიტომ პროცედურის დაწყებამდე აუცილებლად გამოჰკითხეთ პაციენტს ანამნეზი ალერგიების არსებობის შესახებ; ალერგიის არსებობის შემთხვევაში გამოიყენეთ ნიტრილის ან ვინილის მასალაზე დამზადებული ხელთათმანი;
- შეამოწმეთ, რომ ხელთათმანები ძალიან მჭიდროდ არ უჭერდეს კანს. ხელების ქარბი ოფლიანობა, კანის გადაჭიმვა და ხელის შეზღუდული მოძრაობა იმაზე მიუთითებს, რომ ხელთათმანები ძალიან პატარაა და მიდრეკილია გახვევისკენ;
- არ გარეცხოთ ერთჯერადი ხელთათმანები და არ გამოიყენოთ ხელახლა მოგვიანებით;

- გამოიყენეთ ხელთათმანების ახალი ნაკრები ყოველი განსხვავებული მანიპულაციის შესასრულებლად, რათა მინიმუმამდე დაიყვანოთ ჭვარედინი დაბინძურების რისკი.

ხელთათმანის გახდის პროცედურა

1. პროცედურის დასრულების შემდეგ გაიხადეთ დაბინძურებული ხელთათმანი;
2. დომინანტური ხელით შეეხეთ არადომინანტური ხელის ხელისგულს ან ხელთათმანის სამკლავურს/მანჟეტს ხელისგულის მხრიდან და გადმოაბრუნეთ ხელთათმანის დაბინძურებული მხარისკენ და მოაქციეთ დომინანტური ხელის მუჭში;
3. იმ ხელის თითი, რომელზეც აღარ გაცვიათ ხელთათმანი, შეაცურეთ ხელთათმანის სამკლავურის/მანჟეტის ქვეშ ისე, რომ არ შეეხოთ ხელთათმანის დაბინძურებულ (კონტამინირებულ) გარეთა მხარეს;
4. ხელთათმანი გადმოაბრუნეთ ისე, რომ გაკეთდეს ჩანთა, რომელშიც მოაქცევთ პირველად გახდილ ხელთათმანს;
5. ხელთათმანების „ჩანთა“ მოათავსეთ შესაბამის კონტეინერში;
6. დაიბანეთ ხელი.



სურ 5. ხელთათმანის გახდის პროცედურა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია.

არასტერილური ხელთათმანი უნდა მოიხსნას:

- თუ ის დაზიანებულია ან/და დარღვეულია მისი მთლიანობა;
- როდესაც წყდება კონტაქტი სისხლთან, სითხეებთან, კანთან ან ლორწოვან გარსთან;
- პაციენტთან კონტაქტის შემდეგ.

2.2 ერთჯერადი არასტერილური ხალათი/წინსაფარი

პაციენტის მოვლის დროს, სისხლით ან/და სხვა ბიოლოგიური სითხეებით დაბინძურების პრევენციის მიზნით დაცვის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს ერთჯერადი არასტერილური ხალათის ან წინსაფრის გამოყენება წარმოადგენს.

ერთჯერადი სამედიცინო არასტერილური წინსაფარი/ხალათი წარმოადგენს პირადი დამცავი აღჭურვილობის (PPE – Personal protective equipment) მნიშვნელოვან ელემენტს, რომელიც გამოიყენება ჯანდაცვის მუშაკების ინფექციის რისკისგან დასაცავად და მიკროორგანიზმების ჯვარედინი გადაცემის შესაძლებლობის შესამცირებლად.

გახსოვდეთ!

- ერთჯერადი ხალათის/წინსაფრის გამოყენება აუცილებელია პაციენტთან მჭიდრო კონტაქტის დროს, როდესაც არსებობს პათოგენური მიკროორგანიზმებით, სისხლით, ორგანიზმის გამონაყოფით და ბიოლოგიური სითხეებით ტანსაცმლის დასვრის საშიშროება;
- ერთჯერადი არასტერილური ხალათი/წინსაფარი შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ ერთხელ.
- ის უნდა იყოს წყალგაუმტარი, რათა თავიდან იქნეს აცილებული ბიოლოგიური სითხეებით დაბინძურება.

სამედიცინო ხალათი/წინსაფარი შესაძლებელია დამაზადებულ იქნას: ბამბის, ნაჭრის ან პოლიეთერისგან.



სურ. 6 სამედიცინო წინსაფარი

წინსაფრის ჩაცმა

- უზრუნველყავით ხელების ჰიგიენა;
- ამოიღეთ წინსაფარი დისპენსერიდან, გახსენით ისე, რომ შიდა ზედაპირი პაციენტისკენ იყოს მიმართული, რათა თავიდან იქნას აცილებული მისი გარე ზედაპირის ნებისმიერი დაბინძურება პაციენტთან კონტაქტის გზით;
- მოათავსეთ კისრის მარყუჟი თქვენს თავზე;
- განათავსეთ წინსაფარი ისე, რომ მაქსიმალურად დაიფაროს სხეულის წინა ნაწილი;
- დააფიქსირეთ წინსაფარი წინა ზედაპირზე და შეიკარით თასმებით ზურგს უკან.

სამედიცინო ხალათის ჩაცმა

- აიღეთ სუფთა ხალათი და სხეულის დაბინძურებულ ადგილზე შეხების გარეშე დააცადეთ თავისით გაშლა;
- შეაცურეთ ხელები და მკლავები სახელოებში;
- შეიკარით ხალათის კისრის შესაკრავი;
- გადაადეთ ხალათის უკანა ნაწილები ერთმანეთს რაც შეიძლება მჭიდროდ და შეიკარით წელის შესაკრავი ან ქამარი.



სურ. 7 სამედიცინო ხალათის ჩაცმა. Geeky Medics

ოთახის დატოვებისას გაიხადეთ ერთჯერადი ხალათი/წინსაფარი:

- შეძლებისდაგვარად მოერიდეთ ხელით, ხალათის დასვრილ ნაწილებზე შეხებას;
- ჩაეჭიდეთ მოსასხამის კისრის შიდა ნაწილს და ჩამოქაჩეთ ქვემოთ მხრებზე;
- დაუშვებელია ხალათის აფრიალება;
- გადაკვეთთ ხალათი/წინსაფარი ისე, რომ დასვრილი ნაწილები მოექცეს შიგნით;
- დაბინძურებული ხალათი/წინსაფარი მოათავსეთ შესაბამის კონტეინერში;
- დაიბანეთ ხელი.

2.3 ხელის ქირურგიული დაბანა, სტერილური ხელთათმანის და ხალათის ჩაცმა

ქირურგების უმეტესობა თანხმდება ინფექციის პროფილაქტიკაში ხელის დაბანის კარგი ქირურგიული პრაქტიკის მნიშვნელობაზე. ბაქტერიების, პათოგენების, ვირუსების გავრცელებაში ხელით გაცემა გადამწყვეტი ფაქტორია, რომლებიც ინვევენ დაავადებას და ზოგადად ნოზოკომიურ ინფექციებს.

საოპერაციო პერსონალის მიერ ხელის სწორად დაბანის შემთხვევაში შესაძლებელია ინფექციის გავრცელების და ავადობის პრევენცია.

საოპერაციოში მყოფმა პერსონალმა ხელის დაბანა უნდა მოახდინოს იდაყვამდე ქუჩყის მექანიკურად მოშორების მიზნით.

მომზადების ეტაპი:

1. მოიხსენით სამკაულები (ბეჭდები, სამაჯურები, მაჯის საათი);
2. დარწმუნდით რომ მაისურის სახელოები აკეცილია იდაყვის ზემოთ სულ მცირე 3-5 სმ-ით;
3. გახსენით შეფუთული სტერილური ერთჯერადი ხალათი ისე, რომ არ დასვაროთ;

4. გახსენით ხელთათმანის პაკეტი და შიგთავსი მოათავსეთ სტერილურ ზედაპირზე ხალათის გვერდით;
5. გახსენით ხელის დაბანისათვის საჭირო ფრჩხილის საწმენდი ჩხირის და ჯაგრისის პაკეტი;
6. გაიკეთეთ პირბადე და დაიხურეთ საოპერაციო ქუდი.

2.3.1 ხელის ქირურგიული დაბანა

პროცედურის ხანგრძლივობა – 3-5 წუთი.

1. ჩამოიბანეთ ხელი წყლით და დაფარეთ ფრჩხილის საწმენდი ჩხირი და ჯაგრისი საპნით. დისპანსერიდან საპონის გამოშვება უნდა მოხდეს მასზე იდაყვის დაჭერის გზით. გაიწმინდეთ ფრჩხილები და მოიშორეთ ყველა შესაძლო ქუჩყის ნაწილაკები ხელიდან. აუცილებელია წყალი იყოს თბილი (არც ცხელი და არც ცივი);
2. ხელის საპნით დაბანა უნდა მოხდეს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციის შესაბამისად. კერძოდ: დაისხით საპონი ხელისგულზე ისე, რომ დაფაროს პრაქტიკულად მთლიანად ხელის გული;
3. ამოძრავეთ ხელები ისე, რომ ხელისგულით ხელისგულზე მოხდეს კონტაქტი და აკეთეთ წრიული მოძრაობები;
4. მარჯვენა ხელისგულით მოახდინეთ კონტაქტი მარცხენა ხელის მტევნის უკანა ზედაპირზე და თითებით დაბანეთ მარცხენა ხელის თითებს შორის ზედაპირი, მარცხენა ხელი უნდა ამოძრავოთ ზევით და ქვევით, შემდეგ პირიქით – მარცხენა ხელისგულით მოახდინეთ კონტაქტი მარჯვენა ხელის მტევნის უკანა ზედაპირზე და თითებით დაბანეთ მარჯვენა ხელის თითებს შორის ზედაპირი;
5. ხელის თითების შიგნითა ზედაპირები (ხელისგულის მხარეს) მოკიდეთ ერთმანეთს და აკეთეთ წრიული მოძრაობები ისე, რომ მოახდინოთ შიგნითა ზედაპირების დაბანა;
6. მარცხენა ხელი შემოახვიეთ მარჯვენა ხელის ცერა თითს და

- წრიული მოძრაობით მოახდინეთ ხელის დაბანა და შემდეგ პირიქით – მარჯვენა ხელი შემოახვიეთ მარცხენა ხელის ცერა თითს და მოახდინეთ წრიული მოძრაობა;
7. მარცხენა ხელის თითებით (ზედა მიდამოებით) მოახდინეთ მარჯვენა ხელისგულის დაბანა წრიული და ზევით ქვევით მოძრაობებით და შემდეგ პირიქით – მარჯვენა ხელის თითებით (ზედა მიდამოებით) მოახდინეთ მარცხენა ხელისგულის დაბანა წრიული და ზევით-ქვევით მოძრაობებით;
 8. წინამხრის საპნით დაბანა უნდა განხორციელდეს წრიული მოძრაობებით;
 9. ჩამოიბანეთ ხელებიდან საპონი წყლის დახმარებით; მთელი ამ დროის განმავლობაში ხელი უნდა იყოს მოხრილ მდგომარეობაში ისე; რომ ხელის მტევანი და წინამხარი იყოს უფრო მაღლა; ვიდრე იდაყვი. შესაბამისად, წყლით ჩამობანის დროს წყალი უნდა მიემართებოდეს თითებიდან და ხელის მტევნიდან იდაყვის მიმართულებით, და არა პირიქით, რათა არ მოხდეს ხელის დამატებითი დაბინძურება;
 10. ზემოთ აღნიშნული პროცედურა გაიმეორეთ 3-ჯერ, თითო 1 წუთის განმავლობაში;
 11. ხელის დაბანის დროს თუ ხელით მოხდება რაიმე საგანზე შეხება (გარდა ჯაგრისისა და ღრუბლისა) აუცილებელია ხელის დაბინძურებული უბნის დამატებით 1 წუთის განმავლობაში დაბანა;
 12. ხელის გამშრალება უნდა მოხდეს სტერილური ხელსახოცის გამოყენებით. აღნიშნული ასევე უნდა განხორციელდეს ასეპტიური პირობების დაცვით;
 13. მთელი შემდგომი პერიოდის განმავლობაში (ქირურგიული პროცედურის დაწყებამდე) აუცილებელია, რომ ხელის მტევანი იყოს იდაყვებზე მაღლა და მოხრილ მდგომარეობაში;
 14. აღნიშნულის შემდგომ, ანტისეპტიური საშუალებებით ხელის დამუშავება უნდა მოხდეს ასევე ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების შესაბამისად: დაისხით სადეზინფექციო ხსნარი ხელისგულზე ისე, რომ დაფაროს პრაქტიკულად მთლიანად ხელისგული;

15. ამოდრავთ ხელები ისე, რომ ხელისგულით ხელისგულზე მოხდეს კონტაქტი და აკეთეთ წრიული მოძრაობები;
16. მარჯვენა ხელისგულით მოახდინეთ კონტაქტი მარცხენა ხელის მტევნის უკანა ზედაპირზე და თითებით დაბანეთ მარცხენა ხელის თითებს შორის ზედაპირი, მარცხენა ხელი უნდა ამოდროთ ზევით და ქვევით, შემდეგ პირიქით – მარცხენა ხელისგულით მოახდინოთ კონტაქტი მარჯვენა ხელის მტევნის უკანა ზედაპირზე, და თითებით დაბანოთ მარჯვენა ხელის თითებს შორის ზედაპირი;
17. ხელისგულების მხარეს არსებული ზედაპირებით თითები მოათავსეთ თითებს შორის და მოახდინეთ თითებს შორის არსებული ზედაპირების დეზინფექცია; ხელის თითების შიგნითა ზედაპირები (ხელისგულის მხარეს) მოკიდეთ ერთმანეთს და აკეთეთ წრიული მოძრაობები ისე, რომ მოახდინოთ შიგნითა ზედაპირების დეზინფექცია;
18. მარცხენა ხელი შემოხვიეთ მარჯვენა ხელის ცერა თითს და წრიული მოძრაობით მოახდინეთ დეზინფექცია და შემდეგ პირიქით – მარჯვენა ხელი შემოახვიეთ მარცხენა ხელის ცერა თითს და წრიული მოძრაობით მოახდინეთ დეზინფექცია;
19. მარცხენა ხელის თითებით (ზედა მიდამოებით) მოახდინეთ მარჯვენა ხელისგულის დეზინფექცია წრიული და ზევით-ქვევით მოძრაობებით და შემდეგ პირიქით, მარჯვენა ხელის თითებით (ზედა მიდამოებით) მოახდინეთ მარცხენა ხელისგულის დეზინფექცია წრიული და ზევით-ქვევით მოძრაობებით;
20. ორივე წინამხარი დაიმუშავეთ ხელის წრიული მოძრაობით;
21. აღნიშნულის გამეორება მოახდინეთ სამჯერ და დაელოდეთ ხელის გაშრობას.



სურ 8. ხელის ქირურგიული დაბანა. <https://teachmesurgery.com/skills/theatre-basics/scrubbing-gowning/>

2.3.2 სტერილური ხელთათმანის ჩაცმა

სტერილური ხელთათმანები წარმოადგენს ერთჯერად ხელთათმანს, რომელიც თავისუფალია ყველა მიკროორგანიზმისაგან. ის ხელს უწყობს ქრილობის ინფიცირების პროფილაქტიკას და ზღუდავს სისხლის, სხეულის სითხის პათოგენის ზემოქმედების საფრთხეს ჯანდაცვის პროფესიონალებისთვის.

სტერილური ლატექსის ხელთათმანები გამოიყენება გადამდები დაავადებების დროს როგორცაა B ჰეპატიტი, C ჰეპატიტი, აივ ინფექცია/შიდსი.

ხელთათმანები ინფექციის კონტროლის მნიშვნელოვანი ნაწილია. ხელის სათანადო დაცვა სხეულის სითხეებთან, სისხლთან და პოტენციურად ინფექციურ მასალებთან კონტაქტის დროს ხელს უშლის დაავადების გავრცელებას.



სურ 9 სტერილური ხელთათმანი

სტერილური ხელთათმანის ჩაცმა:

- სტერილური ხელთათმანის შეფუთვა გახსენით (ორივე ხელი ერთდროულად მოკიდეთ შეფუთვის გადაკეცილ კიდეებს) ისე, რომ არ დაარღვიოთ სტერილობა;
- დომინანტური ხელით ფრთხილად ამოიღეთ სტერილური ხელთათმანი ისე, რომ არ შეეხოთ მის ზედაპირს;
- დომინანტური ხელით აიღეთ საპირისპირო ხელის სტერილური ხელთათმანი – ცერა და საჩვენებელი თითით;
- ერთიანი მოძრაობით ჩააცურეთ არადომინანტური ხელი ხელთათმანში – არ გადაკეცოთ ხელთათმანის სამკლავური/მანუეტი;
- ხელთათმანიანი ხელი ფრთხილად შეაცურეთ მეორე ხელთათმანის სამკლავურის/მანუეტის შიდა მხრიდან და ერთიანი მოძრაობით ჩაიცვით ხელთათმანი მეორე ხელზე;
- მოირგეთ ორივე ხელთათმანი და გადაკეცეთ ხელთათმანის სამკლავური/მანუეტი;
- დაიბანეთ ხელი.

გახსოვდეთ!

დაუშვებელია სტერილური ხელთათმანით ნებისმიერ არასტერილურ ზედაპირთან შეხება!

2.3.3 სტერილური ხალათის ჩაცმა

1. აიღეთ და ფრთხილად გაშალეთ სტერილური ხალათი. მნიშვნელოვანია, რომ სტერილური მხარე არ შეეხოს დაბინძურებულ ნაწილებს;
2. ხელები ჩაყავით ხალათის სახელოებში ისე, რომ ხელები არ გამოვიდეს სახელოების გარეთ;
3. სთხოვეთ ასისტენტს, რომ ხალათი მის უკანა ზედაპირზე შეკრას თასმებით (ან „ფხრინით“);
4. დომინანტ ხელზე ჩაიცვით ხელთათმანი ისე, რომ არადომინანტი ხელი კვლავ დაფარული იყოს ხალათის სახელოთი;
5. გაიმეორეთ იგივე არადომინანტ ხელზე.



სურ. 10. სტერილური ხალათის ჩაცმა.

2.4 სამედიცინო ნიღბები

ჰაერწვეთოვანი გზით გავრცელებადი დაავადებების გადაცემის რისკის შესამცირებლად სამედიცინო ნიღბები გამოიყენება. სწორად გამოყენების შემთხვევაში ნიღბის მორგება ხდება როგორც პირზე, ასევე ცხვირზე და მექანიკური ბარიერის ფუნქციას ასრულებს. ნიღბის

2. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება და უტილიზაცია

გამოყენება აკავებს სასუნთქ ორგანოებში შემავალი ჰაერის მასებს და შედეგად მცირდება პათოგენების და აეროზოლური დამაბინძურებლების გადატანა.

სახის ნიღბები, ქირურგიაში გამოსაყენებლად, პირველად ევროპაში XIX საუკუნის დასაწყისში რამდენიმე ექიმის მიერ იქნა შექმნილი. მათ შორის იყვნენ იან მიკულიჩ-რადეცკი და პოლ ბერგერი.

გახსოვდეთ!

დაავადებათა ცენტრის რეკომენდაციით ნიღბი უნდა ეკეთოს:

- ჰაერწვეთოვანი გზით გადამდები დაავადების მქონე ადამიანებთან ახლო კონტაქტის მქონე პირებს;
- ყველა ადამიანს, ვინც შედის ოთახში, სადაც ინფექცია (მაგ., ფილტვის ტუბერკულოზი და SARS-CoV) მცირე ნაწილაკოვანი აეროზოლებით (წვეთოვანი ბირთვები) გადამცემია;
- ნებისმიერი ნიღბი გამოყენების შემდეგ ნარჩენების კონტეინერში უნდა მოთავსდეს.

ერთჯერადი ქირურგიული ნიღბი

ნიღბები განსხვავდება ფილტრაციის ეფექტურობისა და მორგების მიხედვით.

სურათზე ნაჩვენები ნიღბი შიგნით ღია თეთრი, ხოლო გარეთ მუქი ცისფერი ფერით დაფარულ ნიღბს წარმოადგენს. ამათგან, მუქი ფერით დაფარული ზედაპირი ამრეკლავი სპეციალური ფენით არის წარმოდგენილი, რომელიც გარედან მოხვედრილ წვეთებს არ აძლევს საშუალებას ნიღბის ფილტრმა შეინოვოს. თეთრი ფერის ზედაპირი ექცევა შიგნით და პაციენტის მიერ დახველების ან საუბრის დროს გამოყოფილ წვეთებს არ აძლევს საშუალებას გარეთ გავრცელდეს.

ნიღბის გაკეთების დროს აუცილებლად იფარება ცხვირი და პირი ერთად. ამისათვის, ნიღბი უნდა გაიშალოს ისე, რომ ნიკაპის ქვედა მხარეც დაიფაროს, ხოლო ცხვირთან არსებულ სპეციალურ ფირფიტაზე ხელის მოჭერით ხდება მისი ფიქსაცია ცხვირის ზედაპირზე.



სურ 11 ერთჯერადი ნიღაბი

ნიღაბი გამოიყენება, როგორც წესი, 2-3 სთ-ის განმავლობაში და შემდეგ საჭიროა მისი მოხსნა გვერდებიდან ისე, რომ არ მოხდეს დაბინძურებულ ზედაპირთან შეხება.

სტანდარტული ნიღბისგან განსხვავებით, რესპირატორი უფრო მაღალ დაცვას განაპირობებს და სასუნთქ სისტემას იცავს როგორც წვეთების, ასევე აეროზოლებისგან. საყოფაცხოვრებო პირობებში რესპირატორის გამოყენება არ არის აუცილებელი. ასეთ რესპირატორებს პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის შენარჩუნების ნაციონალური ინსტიტუტები აფასებენ, ამოწმებენ და მათზე სერტიფიკატებს გასცემენ (The National Institute for Occupational Safety and Health (NIOSH.) ამჟამად, 95% ეფექტურობის “N” კატეგორიის რესპირატორი (ე.წ. N95 რესპირატორი) ტუბერკულოზის, SARS-ისა და გრიპის კონტროლის კრიტერიუმებს აკმაყოფილებს.

რესპირატორის ტარებისას და მოხსნისას არ უნდა შეეხოთ მის გარე ზედაპირს.



სურ 12. რესპირატორი

2.5 თვალის დამცავი საშუალებები

სამედიცინო მანიპულაციების დროს თვალის დამცავების (სათვალე ან სახის ფარი) გამოყენება უზრუნველყოფს ბარიერულ დაცვას სისხლის ან/და სხეულის ბიოლოგიური სითხეების შეშხეფების პრევენციის მიზნით. ანალოგიური მიზნით ხდება სახის ფარის გამოყენებაც.



სურ. 13. თვალის დამცავი საშუალებები. სახის ფარი და სათვალე.

სხვა პერსონალური დაცვის საშუალებების მსგავსად, სახის ფარები ერთჯერად სამედიცინო აღჭურვილობას წარმოადგენს, თუმცა, ზოგიერთი სათვალის მრავალჯერ გამოყენება შესაძლებელია. სამედიცინო დაწესებულებებს დაბინძურებული აღჭურვილობისათვის კონკრეტული პოლიტიკა და პროცედურები აქვთ (მაგ., მათ გადაყრაზე, განმენდაზე, დეზინფექციის ჩატარებასა და სტერილიზაციაზე).

სამედიცინო პერსონალი უნდა გაეცნოს დამსაქმებლის წესებს. დაბინძურებული აღჭურვილობის სწორი დამუშავება აუცილებელია შემდეგი მიზეზების გამო:

- პაციენტის ბიოლოგიური სითხეებით დაბინძურებულ ნივთებთან სამედიცინო პერსონალის შემთხვევითი კონტაქტის თავიდან აცილება;
- გარემოს დაბინძურების პრევენცია.

სათვალის/სახის ფარის გამოყენება

1. მოირგეთ სათვალე/სახის ფარი, დარწმუნდით, რომ ხედავთ თავისუფლად და შესაძლებელია;
2. სათვალის ან სახის ფარის ნაცვლად დაუშვებელია პერსონალური ლინზების გამოყენება;
3. დარწმუნდით, რომ თვალის დამცავი აღჭურვილობა მჭიდროდ ერგება შუბლს და სახეს.

2.6 სამედიცინო ქუდის გამოყენება

სამედიცინო ქუდი წარმოადგენს პერსონალური დაცვის საშუალებას, რომელსაც ყველაზე ხშირად საოპერაციო ოთახში იყენებენ ინფექციების თავიდან ასაცილებლად. თუმცა სამედიცინო ქუდის გამოყენება ხდება ექთნების, ექიმების და ჯანდაცვის სხვა წარმომადგენლების მიერაც.

პროცედურა:

- დაიბანეთ ხელი;
- გახსენით პაკეტი და ფრთხილად ამოიღეთ სამედიცინო ქუდი;
- არ შეეხოთ პაკეტის შიდა მხარეს;
- დაიხურეთ ქუდი თავზე და დარწმუნდით, რომ ის ფარავს თქვენს თმას და ყურებს.

პროცედურის დასრულების შემდეგ, ფრთხილად მოიხადეთ ქუდი და მოათავსეთ ნარჩენების შესაბამის კონტეინერში.

2.7 სამედიცინო ნარჩენების მართვა

სამედიცინო ნარჩენები მოიცავს ყველა სახის ნარჩენებს, რაც წარმოიქმნება სამედიცინო დაწესებულებების, სამედიცინო და ვეტერინარული ლაბორატორიების, სამედიცინო კვლევითი ცენტრების, მზრუნველობის დაწესებულებების, ფარმაცევტული საწარმოებისა და საწყობების მიერ. ვეტერინარულ კლინიკებში წარმოქმნილი ნარჩე-

2. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება და უტილიზაცია

ნები, ასევე, შესაძლებელია, განხილულ იქნეს, როგორც სამედიცინო ნარჩენები.

ნარჩენების დაყოფა ხდება სარისკო და არასარისკო ნარჩენებად, ამათგან სარისკოს მიეკუთვნება ბასრი საგნები, ფარმაცევტული, ციტოტოქსიური, მაღალი რისკის ინფექციური ნარჩენები და სხვა, ხოლო სამედიცინო დაწესებულებებში წარმოქნილი ისეთი ნარჩენები, როგორცაა საკანცელარიო ან/და დალაგების ან შეკეთების, კვების დროს არსებული ნივთები განეკუთვნება არასახიფათო, იგივე არასარისკო ნარჩენებს.

სარისკო ნარჩენების კატეგორია იყოფა შემდეგ ქვეკატეგორიებად:

- ინფექციური ნარჩენები;
- მაღალი რისკის ინფექციური ნარჩენები;
- ბასრი საგნები;
- პათოლოგიურ-ანატომიური ნარჩენები;
- ფარმაცევტული ნარჩენები;
- ციტოტოქსიკური და გენოტოქსიკური ნარჩენები;
- ქიმიური ნარჩენები;
- რადიოაქტიური ნარჩენები.

ოთახიდან გატანამდე, ის ნივთები, რომელიც სავარაუდოდ ან დანამდვილებით ვიცით, რომ დაბინძურებულია ჩირქით, სისხლით, ბიოლოგიური სითხეებით, განავლით ან რესპირაციული სეკრეტით, ისეთ პარკში უნდა მოთავსდეს, რომელიც მიკროორგანიზმების მიმართ გაუმტარი იქნება. საავადმყოფოს, ინფექციური ნარჩენების გამოსაყოფად, უნდა ჰქონდეს სპეციალური კონტეინერები და მარკირების სისტემა.

დაავადებათა კონტროლის ცენტრის გზამკვლევი რეკომენდაციას შემდეგ მეთოდებზე იძლევა:

- ერთი პარკი იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს გამოყენებული, თუ ის გამძლეა, მიკროორგანიზმების მიმართ გაუმტარია და შესაძლებელია მასში გარემოს დაბინძურების გარეშე დაბინძურებული ნივთების მოთავსება;

- ინფექციური ნარჩენებისათვის განსაზღვრული პარკის სისქე არის 70 მკმ;
- თუ ზემოთ ჩამოთვლილი პირობები ვერ კმაყოფილდება, მაშინ გამოყენებული უნდა იყოს ორმაგი პარკი.

თეთრეული

- დასვრილ თეთრეულს შეეცადეთ არ შეეხოთ, შედეგად თავიდან აიცილებთ მიკრობებით დაბინძურებას;
- სამრეცხაოში გაგზავნამდე პარკი შეკარით ჰერმეტიკულად, გაუკეთეთ მარკირება, დაიცავით კლინიკაში მოქმედი რეგულაცია.

ლაბორატორიული ნიმუშები

- თუ ლაბორატორიული ნიმუში ჰერმეტიკულ და კარგად დახურულ ბიონიშნით მარკირებულ კონტეინერში მოთავსდება, მაშინ ის რაიმე განსაკუთრებული ზომების მიღებას არ საჭიროებს;
- კონტეინერის გარეთა ნაწილის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად, ნიმუშების შეგროვებისას, სიფრთხილე გამოიჩინეთ;
- გარედან ხილულად დაბინძურებული კონტეინერები ლაბორატორიაში გაგზავნამდე პლასტმასის გამჭვირვალე პარკში უნდა მოთავსდეს. ასე პერსონალი პოტენციურად ინფექციურ მასალასთან კონტაქტს არიდებს თავს.

სისხლის წნევის საზომი აღჭურვილობა

სისხლის წნევის საზომი აპარატები მიეკუთვნება ქიმიურ ნარჩენებს. თუკი ის ინფექციური მასალით დაბინძურებული არ არის, მაშინ განსაკუთრებული ზომების მიღება საჭირო არ არის, დაბინძურების შემთხვევაში რეაგირება ხდება კლინიკის პროტოკოლის შესაბამისად. უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე რეკომენდებულია კლინიკაში ერთჯერადი მანჟეტების გამოყენება. აპარატის წმენდის პროცედურა დამოკიდებულია აპარატის ტიპზე (პორტატული/კედელზე დამაგრებული).

თერმომეტრები

ნებისმიერი სახის თერმომეტრის გამოყენების შემდეგ შესაძლებელია მისი დეზინფექცია შესაბამისი ხსნარების გამოყენებით, თუმცა დაზიანების შემთხვევაში იგი მიეკუთვნება მძიმე მეტალების შემცველ ნარჩენებს და მისი გაუვნებელყოფა შესაბამისი პროტოკოლების მიხედვით უნდა მოხდეს.

ბასრი ნარჩენები

ბასრი ნარჩენები უნდა მოთავსდეს ბასრი საგნების ჩხვლეტისა და გაჟონვისადმი მდგრად ერთჯერად კონტეინერში. გამოყენებული შპრიცები ბასრი საგნების კონტეინერში თავსდება ყოველგვარი დამატებითი კონტაქტის გარეშე (დაუშვებელია გამოყენებული შპრიცისა და ნემსის ერთმანეთისგან განცალკავება, ნემსისთვის თავსახურის ჩამოცმა, ნემსის გალუნვა, გადაჭრა და ქიმიური დამუშავება). ნებისმიერი ნემსი, შპრიცის გარეშე, მიუხედავად იმისა, დაბინძურებულია თუ არა ბიოლოგიური სითხეებით, უნდა მოთავსდეს ბასრი ნარჩენების კონტეინერში. ამასთან, ნემსის გარეშე გამოყენებული შპრიცები, რომლებიც სამედიცინო მომსახურების სპეციფიკიდან გამომდინარე, გამორიცხავს სისხლსა და ბიოლოგიურ სითხეებთან კონტაქტს, შეიძლება მოთავსდეს არასახიფათო, საერთო სამედიცინო ნარჩენების კონტეინერში. ბასრი ნარჩენების კონტეინერები 3/4-ით შევსების შემდეგ უნდა დაილუქოს და დამუშავდეს დადგენილი წესით.

სამედიცინო ნარჩენების შეგროვება დაწესებულების შიგნით:

- სამედიცინო ნარჩენების შეგროვება დაწესებულების ტერიტორიაზე უნდა ხდებოდეს დღის ნაკლებად დაკავებულ პერიოდში;
- სამედიცინო დაწესებულებაში სამედიცინო ნარჩენების შეგროვებისთვის მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული იზოლირებული სივრცეები;
- გადაადგილების მარშრუტები და შეკრების დრო უნდა იყოს წინასწარ განსაზღვრული (ფიქსირებული);
- ნარჩენების შეგროვებით დაკავებული პერსონალი უზრუნვე-

2. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება და უტილიზაცია

პირის მიერ შესრულებულ სამუშაოზე და მოახდინოს შედეგების აღრიცხვა სპეციალურ ჟურნალში;

- სამედიცინო დაწესებულებებმა უნდა აწარმოონ ნარჩენების აღრიცხვა და ანგარიშგება „ნარჩენების აღრიცხვის წარმოების, ანგარიშგების განხორციელების ფორმისა და შინაარსის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს №422 დადგენილების შესაბამისად;
- დაწესებულებიდან გატანილი სახიფათო ნარჩენების თითოეულ პარტიას უნდა ახლდეს სახიფათო ნარჩენების საინფორმაციო ფურცელი და სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირების ფორმა „სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №145 დადგენილების შესაბამისად.

თავი II – ანთროპომეტრიული მონაცემების გაზომვა

(სიმაღლე, წონა, სხეულის მასის ინდექსი)

ანთროპომეტრია (ბერძნული antropos – ადამიანი და metreo – ვზომავ), არის ანთროპოლოგიური კვლევის ერთ-ერთი მთავარი მეთოდი, რომელიც მოიცავს ადამიანის სხეულისა და მისი ნაწილების გაზომვას და აღწერას და მათი ცვალებადობის რაოდენობრივ დახასიათებას. მასობრივი ანთროპოლოგიური გამოკვლევები საშუალებას იძლევა შეფასდეს და შედარდეს განსხვავებული რასობრივი, ასაკობრივი, პროფესიული, სქესობრივი ჯგუფების ნიშან-თვისებათა ცვალებადობა. ანთროპომეტრია, როგორც მეცნიერული მეთოდიკა XIX ს-ში ჩამოყალიბდა და დაკავშირებულია ფრანგ ანთროპოლოგ პ. ბროკას სახელთან.

ანთროპომეტრიის ისტორია მოიცავს და მოიცავდა სხვადასხვა ცნებებს, როგორც მეცნიერულ, ასევე ფსევდომეცნიერულს, როგორცაა კრანომეტრია, პალეოანთროპოლოგია, ბიოლოგიური ანთროპოლოგია, ფრენოლოგია, ფიზიონომია, სასამართლო მედიცინა, კრიმინოლოგია, ფილოგეოგრაფია, ადამიანის წარმოშობა და კრანოფაციალური აღწერა, ასევე კორელაცია სხვადასხვა ანთროპომეტრიულ მონაცემებს შორის.

მედიცინაში ძირითადად იყენებენ შემდეგი ანთროპომეტრიული მონაცემების გამოთვლას:

- სიმაღლე;
- წონა;
- სხეულის მასის ინდექსი.

ანთროპომეტრული პარამეტრების გაზომვა მნიშვნელოვანია ყველა ეტაპზე, ანთროპომეტრული პარამეტრების სტანდარტები მოწოდებულია ჯანმოსა და სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ. ანთროპომეტრულმა პარამეტრებმა შეიძლება მრავალი ინფორმაცია მოგვანოდოს პაციენტთან დაკავშირებით. ის აგრეთვე მნიშვნელოვანია ბავშვებში, რათა მათი განვითარება სწორად და სწრაფად იყოს შეფასებული.

ანთროპომეტრულ მონაცემებზე მოქმედი ფაქტორები

- სოციალური ფაქტორები;
- ჰავა;
- კვება;
- პროფესია;
- ცხოვრების რიტმი.

ანთროპომეტრული გაზომვის ობიექტები ძირითადად არიან ადამიანები, რომლებსაც ესაჭიროებათ ხშირი მონიტორინგი. მაგალითად, სპორტსმენები, როდესაც თვალყურს ვადევნებთ მათ ზრდა-განვითარებას, ასაკს. აგრეთვე ადამიანები, რომლებიც სწორი კვებითა და ვარჯიშით ცდილობენ თავიანთი სხეულის ფორმის შეცვლას. ხშირად ანთროპომეტრული პარამეტრების გაზომვა საჭიროა ადამიანებთან, რომლებსაც წონის გამო ექმნებათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები.

პაციენტი, რომლის ანთროპომეტრული პარამეტრების გაზომვასაც ვაპირებთ, აუცილებელია, ინფორმირებული იყოს ყველა მანიპულაციის შესახებ, რის გაზომვას ვაპირებთ და რატომ. მანიპულაციების დაწყების წინ აუცილებელია პაციენტის თანხმობა. დაუშვებელია რაიმე სახის ზეწოლა პაციენტზე, ყველანაირი პარამეტრის გაზომვა უნდა მოხდეს პაციენტის მშვიდ მდგომარეობაში ყოფნის პერიოდში.

პაციენტის თანხმობის შემდეგ, საჭიროა, პაციენტმა ტანზე დაიტოვოს მინიმალური ტანსაცმელი, რათა ხელი არ შეგვეშალოს გაზომვაში. პაციენტს შესაძლოა პრობლემა ჰქონდეს ტანსაცმლის გახდასთან დაკავშირებით, სწორედ ამიტომ სწორად უნდა შეირჩეს

მედპერსონალი პაციენტის სქესიდან გამომდინარე, აგრეთვე ოთახში უნდა იყოს მისაღები და კომფორტული ტემპერატურა.

გაზომვის შემდეგ აუცილებელია ყველა მონაცემის ჩანერა, აუცილებელია მათი შედარება ჯანმრთელობის მიერ ნორმად მიჩნეულ პარამეტრებთან და ამ მონაცემების შენახვა, რათა შემდგომი გაზომვების დროს მოხდეს მათი შედარება წინა მონაცემებთან. ეს საშუალებას მოგვცემს, შევაფასოთ, თუ როგორ მიმდინარეობს პაციენტის პარამეტრების ცვლილება. სასურველია, ანთროპომეტრიული პარამეტრების რამდენჯერმე გაზომვა, რათა მოხდეს მათი ზუსტი მაჩვენებლების ჩანერა.

1. სიმაღლის გაზომვა

მიზანი:

უზრუნველყოს ზრდასრულთა სიმაღლის სწორი და ერთგვაროვანი გაზომვა.

პროცედურა:

სიმაღლის მრიცხველი (სტადიომეტრი) არის ინსტრუმენტი, რომელიც სპეციალურად არის შექმნილი სიმაღლის ზუსტად გაზომვისთვის. დღეისათვის ხელმისაწვდომია სტადიომეტრების მრავალი განსხვავებული მოდელი. სიმაღლის მრიცხველების უმეტესობას შეუძლია ზუსტი მონაცემების დადგენა, როდესაც პროცედურის განმახორციელებელი მიჰყვება ქვემოთ მოცემულ ინსტრუქციებს.

სიმაღლის გაზომვის ეტაპები:

სასურველია, თუკი პროცედურას დაესწრება ორი პრაქტიკოსი თანაშემწე. ერთი დაიჭერს მონაწილის თავს სწორ მდგომარეობაში და მეორე დააფიქსირებს სიმაღლის მონაცემებს.

1. შეამოწმეთ სტადიომეტრის სიზუსტე – დარწმუნდით, რომ მოცემულ სტადიომეტრს ჩატარებული აქვს კალიბრაცია კონკრეტული სიმაღლის საზომის კალიბრატორით;

2. აღჭურვილობის სისუფთავე – დარწმუნდით, რომ სტადიომეტრი კარგად არის გაწმენდილი და სტერილიზებული გამოყენებამდე.


პროცედურის ახსნა:

1. უხელმძღვანელებ პიროვნებას პროცესის დროს. უთხარით მას, რომ თქვენ გაზომავთ მის სიმაღლეს სამჯერ და გსურთ, რომ რაც შეიძლება სწორად და გამართულად იდგეს;
2. მოამზადეთ მონაწილე – აუცილებლად გახადეთ ფეხსაცმელი და გარე ტანსაცმელი. მოაცილეთ თმიდან ისეთი ნივთები, რომლებიც ხელს უშლის გაზომვას და გაათავისუფლეთ ან შეცვალეთ თმის ვარცხნილობა;
3. მხრები – სთხოვეთ მონაწილეს დადგეს სტადიომეტრზე სხეულზე თავისუფლად ჩამოკიდებული ზედა კიდურებით, სახით წინ რაც შეიძლება სწორად და გამართულად;
4. ქვედა კიდურები – მათი ფეხები უნდა ეყრდნობოდეს სტადიომეტრის საყრდენ ფიცარს და ოდნავ განშორებული იყოს, თედოებთან შესაბამისობაში, წონასწორობის გასაუმჯობესებლად. საბაზისო ფიცარზე არის ფეხების მონახაზი, თუმცა მონაწილესთვის აუცილებელი არაა ამ მარკერებზე დგომა. შეძლებისდაგვარად, თქვენი ქუსლები უნდა იყოს კონტაქტში ფიცარზე მოხაზულ ქუსლთან;




სურ. 1. ფეხის ტერფების სწორად დადგმა სტადიომეტრზე

5. მუხლები და დუნდულები – თქვენი მუხლები სწორი უნდა იყოს და დუნდულები და მხრები უნდა ეხებოდეს სტადიომეტრს;



სურ. 2. პაციენტის სწორი დგომა სტადიომეტრთან.

6. თავი – „ფრანკფურტის სიბრტყე“. დარწმუნდით, რომ ადამიანის თავი ე.წ. „ფრანკფურტის სიბრტყეშია“. ეს არის წარმოსახვითი ხაზი, რომელიც კვეთს ყურის არხის ზედა მხარეს და თვალის ორბიტის ქვედა კიდე. ის გვთავაზობს სტანდარტიზებულ პოზიციას ადამიანის სიმაღლის გაზომვისას;



სურ 3. „ფრანკფურტის სიბრტყე“.

7. მონაწილის პოზიცია – ერთ დამხმარეს შეიძლება დასჭირდეს მონაწილის თავის ხელში დაჭერა, ხელისგულებით სახის ორივე მხარეს დაყრდნობა და თავის ქალას უკანა მხარეს კისრის ზემოთ თითების მოთავსება მასტოიდურ მორჩებთან. თითები დააჭირეთ ნაზად, მაგრამ მტკიცედ, რომ თავი ასწიოთ რაც შეიძლება მაღლა. მოერიდეთ უეცარ მოძრაობებს, ფრთხილად იყავით, თავი არ დახაროთ;
8. დააფიქსირეთ პოზიცია – „ფრანკფურტის სიბრტყის“ სიზუსტე უნდა შეაფასოს სხვა დამხმარემ. ნებისმიერ სახის მუხლების მოხრა, მხრების დახრილობა ან ქუსლების აწევა გამოვლენილი და შესწორებული უნდა იყოს მეორე თანაშემწის მიერ;
9. ღრმად ჩასუნთქვა – სთხოვეთ მონაწილეს ღრმად ჩაისუნთქოს და შეიკავოს სუნთქვა;
10. თავის ფირფიტა – თანაშემწემ, რომელიც გვერდით დგას, უნდა მოათავსოს სტადიომეტრის ზედა ფირფიტა მონაწილის თავზე ისე, რომ იგი დაეყრდნოს თავის ზედა უკანა მხარეს ან თავის გვირგვინს;



სურ. 4. სტადიომეტრის ფირფიტის განთავსება თავზე: <https://stadiometer.com/>

11. დააფიქსირეთ და ჩანერეთ გაზომვები. სიმაღლის მაჩვენებლის დაფიქსირება უნდა მოხდეს უახლოესი მანძილიდან (ამას

- შეიძლება დასჭირდეს სკამი ან პატარა კიბე);
12. სამი გაზომვა – სთხოვეთ სუბიექტს, დატოვოს სტადიომეტრის ფიცარი სიმაღლის თითოეულ გაზომვებს შორის;
 13. თანმიმდევრულობა – სამი მონაცემი უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს არაუმეტეს 6.35 მმ-ის ფარგლებში. სიმაღლის გაზომვა უნდა გააკეთოთ მანამ, სანამ ბოლო სამ გაზომვას შორის განსხვავება 6.35 მმ-ის ფარგლებში არ იქნება;
 14. საშუალო სიმაღლე – ბოლო სამი შედეგის შემოწმების შემდეგ, შეკრიბეთ სამი მნიშვნელობა და გაყავით შედეგი სამზე, რათა იპოვოთ სიმაღლის საშუალო მაჩვენებელი;
 15. მრავალჯერადი გაზომვები – თუ ერთსა და იმავე ადამიანს რამდენჯერმე გაზომავთ სხვადასხვა დღეებში, შეეცადეთ გაზომოთ დღის ერთსა და იმავე მონაკვეთში. სიმაღლე იკლებს მთელი დღის განმავლობაში ხერხემლის შეკუმშვის შედეგად.

სიმაღლე – ჯანმოს სტანდარტები

- მამაკაცის საშუალო სიმაღლე – 165-170 სმ;
- ქალის საშუალო სიმაღლე – 155-160 სმ;
- გიგანტიზმი – >190 სმ;
- ჯუჯობა – <140სმ.

2. წონის განსაზღვრა

წონის დასადგენად პიროვნებას წონიან უზმობე, მოშარდვისა და დეფეკაციის შემდეგ სამედიცინო სასწორზე. სასურველია აწონვა მოხდეს ტანსაცმლის გარეშე, საცვლებით.

წონის გაზომვა შეიძლება საჭირო იყოს კვების რეჟიმის განსაზღვრისთვის, სითხის შეკავებისა და სხეულის მასის ინდექსის და სხეულის შემადგენლობის შეფასებისთვის. წონის გაზომვის მონაცემები შეიძლება იყოს ადამიანის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის მაჩვენებელი. მას ასევე შეუძლია დახმარება გაუწიოს მიმდინარე

სამედიცინო დიაგნოზის დასმას ან დაეხმაროს შემდგომი ჯანმრთელობის პრობლემების პროგნოზირებას. მნიშვნელოვანია, რომ გაზომვები განხორციელდეს იგივე მეთოდით და იმავე პირობებში, როგორც ცალკეული ბავშვების ან პოპულაციების გრძივი შემდგომი კვლევების, ასევე ჯვარედინი კოჰორტის კვლევების მიზნებისათვის, საჭიროა წონის ზუსტი და განმეორებადი გაზომვები.

წონის განსაზღვრის მიზანი

წონის განსაზღვრის მიზანია ზრდასრული ადამიანის წონის სწორი და ერთგვაროვანი გაზომვის უზრუნველყოფა. მთავარი მკვლევრის პასუხისმგებლობაა უზრუნველყოს, რომ კონკრეტულ კვლევებზე მომუშავე პერსონალს ჰქონდეს შესაბამისი გამოცდილება.

პასუხისმგებლობები

წონის გასაზომად გამოყენებული ნებისმიერი მოწყობილობა უნდა შეესაბამებოდეს ნდობის პოლიტიკას რეკომენდებული მაქსიმალური სიზუსტით 0.1 კგ (III კლასის სასწორები). სამედიცინო მიზნებისთვის განკუთვნილი ელექტრონული სასწორები ზოგადად უკეთესია, ვიდრე მარტივი მექანიკური სასწორები, რომლებიც თავიდან უნდა იქნას აცილებული, რადგან დროთა განმავლობაში ისინი იცვითება.


პროცედურა

ასაწონად ყველაზე შესაფერისი სასწორებია, რომლებიც:

- შეიძლება რეგულარულად შემოწმდეს კალიბრით;
- აქვთ ჩაშენებული სპირტის რეზერვუარი, რათა უზრუნველყოს სასწორის ჰორიზონტალური დონე;
- აქვს დისტანციური დისპლეი, რომელსაც ადამიანი ვერ ხედავს;
- არის პორტატული, მსუბუქი და ადვილად ტრანსპორტირებადი;
- აჩვენებს წონებს 100 გ-მდე 0-150 კგ დიაპაზონში და აქვს შენახვისა და შეფუთვის საშუალებები. აბაზანის მექანიკური სასწორები არ გამოიყენება უზუსტობებისა და შეცდომების გამო, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას დროთა განმავლობაში. სასწორის მოწყობილობა ყოველწლიურად უნდა დაკალიბრდეს გამოცდილი პერსონალის მიერ. კალიბრაციის სტიკერი და

დონე უნდა შემოწმდეს ყოველი გაზომვის სესიის დასაწყისში. სასწორი ყოველ სამ თვეში ერთხელ უნდა შემოწმდეს შესაბამისი პირის მიერ. სასწორი უნდა დაყენდეს ნულზე და მასზე მოათავსოთ თითოეული წონა რიგრიგობით, რათა დარწმუნდეთ, რომ ასანონი მოწყობილობა დაარეგისტრირებს იმავე წონას, რასაც იწონის პორტატული წონა. თუ შეცდომა აღემატება 100 გ-ს, სასწორი უნდა გაიგზავნოს დაკალიბრებისთვის.

1. დარწმუნდით, რომ სასწორის ყოველწლიური ტესტირება და დაკალიბრება ხდება მწარმოებლის რეკომენდაციების შესაბამისად;
2. აღჭურვილობის გამოყენებამდე უნდა დარწმუნდეთ, რომ სასწორი ჰორიზონტალურადაა მოთავსებული. ამისათვის თქვენ უნდა არეგულიროთ სასწორის სადგამი ფეხები მანამ, სანამ სასწორის ზედაპირზე ჩაყენებული სპირტის ბუშტუკები წრის ცენტრში არ დადგება (იხ. სურ 5);



სურ 5 – სასწორის ჰორიზონტალურ მდგომარეობაში დაყენება.

3. ჩართეთ სასწორის ეკრანი მისი მუშაობის შესამოწმებლად;
4. დაელოდეთ სანამ 0.00 გამოჩნდება ეკრანზე;
5. დარწმუნდით, საკვლევი პიროვნება განთავისუფლებულია ფეხსაცმელისგან და ყველა მძიმე ტანსაცმელისგან. სთხოვეთ მონაწილეს განთავისუფლდეს ყველა სხვა მძიმე ნივთისგან, როგორცაა ჭიბეებში ჩადებული ნივთები (მობილური ტელეფონები, საფულეები) მძიმე სამკაულები, დიდი საათები და ა.შ.;
6. სთხოვეთ მონაწილეს იდგეს უძრავად სასწორის ცენტრში და ხელები თავისუფლად ჰქონდეს ჩამოშვებული გვერდებზე. მისი მზერა მიმართული უნდა იყოს პირდაპირ წინ და იყოს რაც

შეიძლება მშვიდად. პოზა მნიშვნელოვანია, რადგან ის უზრუნველყოფს წონის თანაბარ განაწილებას წონის ზუსტად დაფიქსირების მისაღწევად;

7. ფიქსირებული წონა უნდა გამოჩნდეს ეკრანზე;
8. წონა უნდა დაფიქსირდეს კილოგრამებში და პროცედურის ჩამტარებლის მიერ უნდა იქნეს ჟურნალში შეტანილი და ხელმოწერილი;
9. წონა უნდა ჩაიწეროს ნაჩვენები მნიშვნელობის მიხედვით (ანუ უახლოეს 100გრ ან 0,1კგ-მდე);
10. გაიმეორეთ პროცესი მანამ, სანამ მონაწილის წონა არ გაიზომება 3-ჯერ;
11. თუ ეს მაჩვენებლები არ განსხვავდება ერთმანეთისგან 100 გ-ის ფარგლებში, დააფიქსირეთ ეს მაჩვენებლები, ისევე როგორც სამი ცდის შედეგად მიღებული საშუალო შედეგი. თუ თქვენი ბოლო სამი მაჩვენებელი ერთმანეთისგან 100 გ-ზე მეტად განსხვავდება, საჭიროა კვლევის გაგრძელება მანამ, სანამ ბოლო სამი მაჩვენებლის მნიშვნელობების განსხვავება არ იქნება 100 გრამზე ნაკლები.

სხეულის მასის ინდექსი (BMI)

სხეულის მასის ინდექსი (BMI) არის საზომი, რომელიც მიღებულია ადამიანის მასის (წონის) და სიმაღლიდან. BMI განისაზღვრება სპეციალური ფორმულით: $BMI = m/h^2$ – სხეულის წონა გაყოფილი სხეულის სიმაღლის კვადრატზე და გამოიხატება კგ/მ² ერთეულებში.


BMI შეიძლება განისაზღვროს ჯერ მისი კომპონენტების გაზომვით სასწორისა და სტადიომეტრის გამოყენებით. გამრავლება და გაყოფა შეიძლება განხორციელდეს პირდაპირ, ხელით ან კალკულატორის გამოყენებით, ან ირიბად, საძიებო ცხრილის (ან დიაგრამის) გამოყენებით. ცხრილი აჩვენებს BMI-ს წონისა და სიმაღლის ფუნქციის მიხედვით. ცხრილი ასევე შეიძლება ასახავდეს კონტურულ ხაზებს ან ფერებს სხვადასხვა BMI კატეგორიისთვის.

BMI – ის გამოთვლა არის მოსახერხებელი წესი, რომელიც გამოიყენება პიროვნების ფართოდ კლასიფიკაციისთვის ქსოვილის მასის

(კუნთების, ცხიმის და ძვლების) და სიმაღლის მიხედვით.

როდესაც BMI გამოიყენება ინდივიდის ჯანმრთელობის პროგნოზირებისთვის და არა როგორც სტატისტიკური საზომი ჯგუფებისთვის, მას აქვს შეზღუდვები, რამაც შეიძლება გახადოს ის ნაკლებად სასარგებლო ვიდრე ზოგიერთი ალტერნატივა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გამოიყენება მუცლის სიმსუქნის, დაბალი სიმაღლის ან მაღალი კუნთების მასის მქონე ადამიანებში.

BMI – 20-ზე ნაკლები და 25 ზე მეტი ასოცირდება ყველა მიზეზით სიკვდილიანობასთან, რისკი იზრდება 20-25 დიაპაზონიდან უფრო დაშორებით.



ცხრილი 1: როგორ გამოვთვალოთ BMI წონის (კილოგრამებში) და სიმაღლის (სანტიმეტრებში) გამოყენებით

თქვენი სხეულის მასის ინდექსის გამოსათვლელად შესაბამის ველებში უნდა მიუთითოთ სიმაღლე და წონა.

შედეგი ასეთია:

- თუ სხეულის მასის ინდექსი 16-ზე ნაკლებია, ადამიანს აქვს სხეულის მასის დიდი დეფიციტი;
- 16-დან 18.5-მდე მიუთითებს სხეულის მასის დეფიციტზე (წონის დეფიციტი);
- 18.5-დან 25-მდე პიროვნება ნორმალური წონისაა;
- 25-დან 30-მდე მაჩვენებელი ზედმეტ წონას (ჭარბი წონა) განსაზღვრავს;
- 30-ზე მეტი შედეგი კი სიმსუქნეზე მიუთითებს.

ამასთან, მეცნიერები სიმსუქნის სამ ხარისხს გამოჰყოფენ, კერძოდ:

1. სხეულის მასის ინდექსის მაჩვენებელი 30-35 მიეკუთვნება პირველი ხარისხის სიმსუქნეს;
2. სხეულის მასის ინდექსის მაჩვენებელი 35-40 მეორე ხარისხის სიმსუქნეა;
3. თუ სხეულის მასის ინდექსი 40-ზე მეტია ფიქსირდება მესამე ხარისხის, ანუ მორბიდული (მორბიდული – ავადმყოფობა, პათოლოგია) სიმსუქნე.

BMI ბავშვებში და ახალგაზრდებში

BMI სხვადასხვაგვარად გამოიყენება 2-დან 20 წლამდე ასაკის ადამიანებისთვის. იგი გამოითვლება ისევე, როგორც მოზრდილებში, მაგრამ შემდეგ შედარებულია ტიპური მნიშვნელობებით სხვა ბავშვებისთვის ან იმავე ასაკის ახალგაზრდებისთვის. იმის ნაცვლად, რომ შევადაროთ ფიქსირებული ზღურბლების მცირე წონისა და ჭარბი წონისთვის, BMI შედარებულია იმავე სქესის და ასაკის ბავშვების პროცენტულთან (პროცენტილი P წარმოადგენს მონაცემთა განლაგებისა და გაფანტულობის საზომს).

BMI – 5 პროცენტილზე ქვემოთ ბავშვი ითვლება ნაკლებწონიანად, ხოლო 95-პროცენტილის ზემოთ ითვლება მსუქნად. 85-დან 95 პროცენტილამდე BMI-ის მქონე ბავშვები განიხილება ჭარბწონიანად.

2013 წელს დიდ ბრიტანეთში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ 12-დან 16 წლამდე ქალებს აქვთ უფრო მაღალი BMI, ვიდრე იმავე ასაკის მამაკაცებს საშუალოდ 1.0 კგ/მ²-ით.

თავი III – სასიცოცხლო ნიშნების განსაზღვრა

1. სასიცოცხლო ნიშნები (ზოგადი მიმოხილვა)

სასიცოცხლო მონაცემების გასინჯვა (Vital signs – ლათინურიდან signa vitae) არის ორგანიზმის ყველაზე მნიშვნელოვანი სასიცოცხლო ფუნქციების გაზომვა. ძირითადად ვიყენებთ ოთხ სასიცოცხლო პარამეტრს მუდმივი მონიტორინგისთვის:

1. სხეულის ტემპერატურა (T);
2. პულსი (გულისცემის სიხშირე) (HR);
3. სუნთქვის სიხშირე (RR);
4. სისხლის არტერიული წნევა (BP).

ძველი ცივილიზაციები, როგორცაა ეგვიპტელები, ბერძნები და ჩინელები, აღიარებდნენ გარკვეული ფიზიოლოგიური პარამეტრების მონიტორინგის მნიშვნელობას ჯანმრთელობის შესაფასებლად. ისინი აკვირდებოდნენ გულისცემას, სუნთქვის სიხშირეს და სხეულის ტემპერატურას, თუმცა ეს შეფასებები ხშირად სუბიექტური იყო და მათი გაზომვა არ ხდებოდა სტანდარტიზირებულად.

სხეულის ტემპერატურა

სხეულის ტემპერატურაზე დაკვირვებები უძველესი დროიდან მოდის. ცხელების ან ჰიპოთერმიის შესაფასებლად გამოყენებულია ისეთი მეთოდები, როგორცაა შუბლზე ხელის მიდების ან კანის ფერის ცვლილებებზე დაკვირვება. მე-17 საუკუნეში თერმომეტრების შექმნამ

სანტორიო სანტორიოსა და გაბრიელ ფარენჰაიტის მიერ, შესაძლებელი გახადა სხეულის ტემპერატურის უფრო ზუსტად გაზომვა.

პულსი

პულსი იყო ერთ-ერთი პირველი სასიცოცხლო ნიშანი, რომელიც სისტემატურად იქნა შესწავლილი. უძველესი ექიმები, მათ შორის ჰიპოკრატე და გალენი, აღწერდნენ გულისცემის მნიშვნელობას და მის ცვლილებებს ჯანმრთელობის შეფასებისას. პულსის შეფასება მთელი ისტორიის მანძილზე რჩება სამედიცინო პრაქტიკის ქვაკუთხედად, მის გასაზომად შემუშავებული სხვადასხვა მეთოდებით, მათ შორის რადიალური არტერიის პალპაცია და უახლესი მიღწევები, როგორცაა პულსოქსიმეტრია.

სუნთქვის სიხშირე

სუნთქვის სიხშირის შეფასება უძველესი დროიდან იყო ცნობილი, თუმცა ხშირად იგნორირებული იყო პულსის და ტემპერატურის გაზომვებთან შედარებით. სუნთქვის სიხშირის სისტემატური აღრიცხვა სხვა სასიცოცხლო ნიშნებთან ერთად მე-19 და მე-20 საუკუნეებში სამედიცინო პრაქტიკაში უფრო გავრცელებული გახდა.

არტერიული წნევა

მიუხედავად იმისა, რომ არტერიული წნევა ბოლო დრომდე არ ითვლებოდა სასიცოცხლო ნიშნად, პულსის სიხშირის და პულსის ხარისხის მონიტორინგი ირიბად ასახავდა არტერიული წნევის ცვლილებებს. მე-19 საუკუნის ბოლოს სამუელ ზიგფრიდ კარლ რიტერ ფონ ბაშის მიერ სფიგმომანომეტრის შექმნამ და მისმა შემდგომმა გაუმჯობესებამ ნიკოლოზ კოროტკოვის და სხვათა მიერ შესაძლებელი გახადა არტერიული წნევის პირდაპირი გაზომვა.

ჟანგბადის სატურაცია

ჟანგბადის სატურაციის გაზომვის ისტორია, განსაკუთრებით მედიცინის კონტექსტში, მჭიდროდ არის დაკავშირებული პულსური ოქსიმეტრიის განვითარებასთან. თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების განვითარებამდე შეზღუდული იყო ჟანგბადის როლის გაგება ადამიანის ფიზიოლოგიაში. თავად ჟანგბადის აღმოჩენა

მიეკუთვნება მეცნიერებს, როგორებიც იყვნენ ჯოზეფ პრისტლი და ანტუან ლავუაზიე მე-18 საუკუნის ბოლოს.

პულსური ოქსიმეტრიის კონცეფცია, რომელიც ზომავს ჟანგბადის გაჯერებას არაინვაზიურად, შეიქმნა 1940-იან და 1950-იან წლებში. თავდაპირველი სამუშაო შეასრულეს მკვლევრებმა, გლენ ალან მილიკანმა და ჯონ ა. სევერინჰაუსმა. მათ დაასკვნეს, რომ სინათლის შთანთქმასხვადასხვანაირად ხდებოდა ჟანგბადიანი და დეოქსიგენირებული ჰემოგლობინის მიერ და ეს პრინციპი შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო სისხლის ჟანგბადით გაჯერების შესაფასებლად.

პირველი პრაქტიკული იმპულსური ოქსიმეტრი შეიქმნა Aoyagi-ს მიერ 1972 წელს. თუმცა, მისი გამოყენება საკმაოდ შრომატევადი იყო და არ იყო შესაფერისი ფართო კლინიკური გამოყენებისთვის. 1970-იანი წლების ბოლოს და 1980-იანი წლების დასაწყისში უფრო კომპაქტური და მოსახერხებელი პულსოქსიმეტრები შეიმუშავეს კომპანიებმა, როგორცაა Nellcor და Biox-მა.

პულსური ოქსიმეტრიამ თანდათანობით მოიპოვა ადგილი კლინიკურ პრაქტიკაში 1980-იან და 1990-იან წლებში. თავდაპირველად, იგი ძირითადად გამოიყენებოდა საოპერაციო ოთახებში და კრიტიკული თერაპიის განყოფილებებში. თუმცა, როდესაც ტექნოლოგია გაუმჯობესდა და მოწყობილობები უფრო ხელმისაწვდომი გახდა, პულსური ოქსიმეტრია გახდა სტანდარტული მონიტორინგის ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა სამედიცინო დანესებულებებში, მათ შორის საავადმყოფოებში, კლინიკებში და სახლის პირობებშიც კი.

COVID-19 პანდემიის დროს, ჟანგბადით გაჯერების მონიტორინგი განსაკუთრებით გადამწყვეტი გახდა ვირუსის რესპირატორული ხასიათის გამო. პულსოქსიმეტრები ფართოდ გამოიყენებოდა როგორც კლინიკურ, ისე სახლის პირობებში პაციენტების მონიტორინგისთვის რესპირატორული დისტრესისა და ჰიპოქსემიის ნიშნებისთვის, რაც ეხმარებოდა ჯანდაცვის პროვაიდერებს სამედიცინო ჩარევის საჭიროების მქონე პირების იდენტიფიცირებაში.

დღეს პულსური ოქსიმეტრია სამედიცინო პრაქტიკაში სტანდარტულ ინსტრუმენტად ითვლება ჟანგბადის გაჯერების შესაფასებლად და რესპირატორული ფუნქციის მონიტორინგისთვის.

სასიცოცხლო ნიშნების შეფასების თანამედროვე სტანდარტიზაცია

მე-20 საუკუნეში, სამედიცინო მეცნიერების განვითარების პარალელურად, გაიზარდა კლინიკური პრაქტიკისთვის სასიცოცხლო ნიშნების შეფასების სტანდარტიზაციის მნიშვნელობაც. ამან განაპირობა ნორმალური სასიცოცხლო ნიშნების სტანდარტიზებული დიაპაზონის დამკვიდრება სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისთვის და სასიცოცხლო ნიშნების მონიტორინგის ჩართვა ყოველდღიურ სამედიცინო პრაქტიკაში.

დღეისათვის სასიცოცხლო ნიშნების მონიტორინგი რჩება სამედიცინო გამოკვლევის ფუნდამენტურ კომპონენტად, რომელიც უზრუნველყოფს მნიშვნელოვან ინფორმაციას პაციენტის ფიზიოლოგიური მდგომარეობის შესახებ. ტექნოლოგიურმა მიღწევებმა კიდევ უფრო გააუმჯობესა სასიცოცხლო ნიშნების გაზომვის სიზუსტე, ეფექტურობა, ციფრული მონიტორები და პორტატული მოწყობილობები სულ უფრო გავრცელებული ხდება ჯანდაცვის პირობებში.

პაციენტის სასიცოცხლო მონაცემები

სასიცოცხლო მონაცემების გასინჯვა და მონიტორინგი მნიშვნელოვანია, რათა ვაკონტროლოთ ადამიანის ორგანიზმის ფუნქციონირება, რათა დავსვათ დიაგნოზი ან ვაკონტროლოთ, თუ როგორ მიმდინარეობს გამოჯანმრთელების პროცესი.

სასიცოცხლო მონაცემების გაზომვა და მონიტორინგი ტექნიკურად არ არის რთული და შესაძლებელია, როგორც კლინიკის, აგრეთვე სახლის პირობებში. პრაქტიკულად, ყველა სახის პაციენტისთვის პირველადი მონიტორინგი იწყება სასიცოცხლო მონაცემებით. ხშირ შემთხვევაში სწორედ სასიცოცხლო მონაცემები გვაძლევს საშუალებას, რათა დავუნიშნოთ ან მოვუხსნათ შესაბამისი მედიკამენტები პაციენტს. სასიცოცხლო მონაცემების გასინჯვის ცოდნა სავალდებულოა როგორც ექიმებისთვის, აგრეთვე ჩვეულებრივი მოქალაქეებისთვისაც. მათი შესრულება ტექნიკურად არ არის რთული და ხშირ შემთხვევაში, შეიძლება, ადამიანის სიცოცხლის გადარჩენაში დაგვეხმაროს.

2. სხეულის ტემპერატურის განსაზღვრა (T)

სხეულის ტემპერატურის მონიტორინგი უნდა ხორციელდებოდეს ყოველი პაციენტის ნებისმიერი გამოკვლევის წინ. აგრეთვე, თუკი პაციენტი საჭიროებს სტაციონარულ მკურნალობას, მედპერსონალი ვალდებულია 24 საათში ერთხელ მაინც (დამოკიდებულია პაციენტის მდგომარეობაზე, დაავადებაზე და სიმძიმეზე) აკონტროლოს პაციენტის სხეულის ტემპერატურა. ადამიანის ნორმალური ტემპერატურის ერთეულად გამოიყენება ცელსიუსი ($^{\circ}\text{C}$) ან ფარენგეიტი ($^{\circ}\text{F}$). საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის სხეულის ტემპერატურის განმსაზღვრელ ერთეულად გამოიყენება ცელსიუსი ($^{\circ}\text{C}$). ადამიანის სხეულის ნორმალური ტემპერატურა მერყეობს 36.6°C -დან 37.2°C -მდე. დღის განმავლობაში სხეულის ტემპერატურამ შეიძლება მოიმატოს 0.5°C , თუმცა ეს პათოლოგიად არ ჩაითვლება. ცხელებად ითვლება, თუ დღის საათებში სხეულის ორალური ტემპერატურა მაღალია $>37.2^{\circ}\text{C}$ ($>98.9^{\circ}\text{F}$) და შუადღის განმავლობაში $>37.7^{\circ}\text{C}$ ($>99.9^{\circ}\text{F}$). ადამიანის სხეულის ტემპერატურა 37.3°C -დან, 38.5°C -მდე ითვლება დაბალ ცხელებად, ხოლო სხეულის ტემპერატურა მაღალი $>38.5^{\circ}\text{C}$ -ზე, ითვლება მაღალ ცხელებად.

ადამიანის სხეულის ტემპერატურის განსაზღვრა ხდება თერმომეტრის საშუალებით. თერმომეტრი შეიძლება იყოს როგორც ელექტრო, აგრეთვე მექანიკური. სხეულის ტემპერატურის გასაზომად თერმომეტრის გამოყენება შესაძლებელია რექტალურად, პირის ღრუში, ილლიის ფოსოში, კანზე და ყურის ბიბილოზე. სამედიცინო გამოკვლევის ზოგიერთ ინსტრუმენტს (ლარინგოსკოპი, ბრონქოსკოპი და სხვა) შესაძლოა აგრეთვე ჰქონდეს ტემპერატურის საზომი ხელსაწყო. ძირითადად სხეულის ტემპერატურის გასაზომად გამოიყენებოდა (და დღემდე მრავალ ქვეყანაში გამოიყენება) ვერცხლისწყლის თერმომეტრი (Mercury Thermometer), თუმცა, რადგან არის რისკი, რომ თერმომეტრი შეიძლება დაზიანდეს, შუშა გატყდეს და ვერცხლისწყალი დაიღვაროს, რაც საკმაოდ საშიშია გარემომცემი ადამიანებისთვის, მრავალი ქვეყანა იყენებს ციფრულ, ელექტრო თერმომეტრებს.

ადამიანის სხეულის ტემპერატურის გასაზომად ყველაზე ხშირად იყენებენ პირის ღრუსა და ილლიის ფოსოს, თუმცა რექტალურად გამოიყენებენ ტემპერატურა იძლევა ყველაზე ზუსტ მაჩვენებლებს. შესაბა-

მისად, ორალური ტემპერატურა ყოველთვის დაბალია 0.5°C - 0.7°C -ით, ვიდრე რექტალური ტემპერატურა. აგრეთვე, იღლიის ფოსოში გაზომილი ტემპერატურა შეიძლება 0.5°C -ით დაბალი იყოს, ვიდრე ორალური ტემპერატურა. ადამიანის სხეულის ნორმალური ტემპერატურა ყველაზე დაბალია დილის საათებში, ხოლო ყველაზე მაღალ მაჩვენებლს აღწევს 18:00-დან 22:00 საათამდე.

ძალიან მაღალი ტემპერატურა, ცხელება (hyperpyrexia) – სხეულის მაღალი ტემპერატურა ($>41.5^{\circ}\text{C}$) არის ძალიან საშიში მდგომარეობა და შეიძლება ადამიანის სიკვდილიც კი გამოიწვიოს. ასეთი მდგომარეობის მიზეზებია: გულის კუნთის ინფარქტი, ინტრაკრანიალური სისხლჩაქცევა, ჰიპოთალამუსის პრობლემები, ინფექციები, შესაძლებელია ცენტრალური გენეზისიც. მაღალი ტემპერატურის დეფინიციის მიზნით ხშირად გამოიყენება ტერმინი ჰიპერთერმია.

ჰიპოთერმია (Hypothermia) – ადამიანის სხეულის ტემპერატურა ნაკლებია ვიდრე $<35.0^{\circ}\text{C}$, ჩვეულებრივი თერმომეტრები ვერ ზომავენ $<35.0^{\circ}\text{C}$ – ზე დაბალ სხეულის ტემპერატურას. შესაბამისად, უნდა გამოვიყენოთ სპეციალური, ჰიპოთერმიისთვის განკუთვნილი თერმომეტრები. ჰიპოთერმიის მიზეზი შეიძლება იყოს: დიდი ხნის განმავლობაში სიცივეში და ყინვაში ყოფნა, ჰიპოთირეოდიზმი.

3. პულსი (გულისცემის სიხშირე) (HR)

პულსი (გულისცემის სიხშირე) არის ადამიანის გულისცემის სიხშირე ერთი წუთის განმავლობაში. პულსის გაზომვა შესაძლებელია როგორც ცენტრალურად, ასევე პერიფერიულად. პულსის გაზომვა ხდება არტერიების დახმარებით. შესაბამისად, პულსს ვითვლით როგორც ცენტრალური არტერიების, აგრეთვე პერიფერიული, მცირე კალიბრის არტერიების დახმარებით. პულსის გასაზომად ვაკეთებთ არტერიების პალპაციას ძვლის მიმდებარედ, რა დროსაც ვგრძნობთ მცირედ ფეთქვებს და უნდა დავითვალოთ, თუ რამდენი ფეთქვა იქნება ერთი წუთის განმავლობაში.

პულსის გასინჯვა ძირითადად ხდება შემდეგ ადგილებში:

- კისერი (საძილე არტერია);

- წინამხრის მიდამო (მხრის არტერია);
- მჯის მიდამო (სხივის არტერია);
- მუხლის სახსრის უკან (მუხლქვეშა არტერია);
- კოჭის უკან (კოჭის უკანა არტერია);
- ტერფის ზედა მხარეს (უკანა ტერფის არტერია).

სხივის არტერია (Radial artery) არის ყველაზე ხშირად გამოყენებადი, ყველაზე კომფორტული და ადვილად მისადგომი ადგილი პულსის გასაზომად, პულსის დასათვლელად აუცილებელია გამოვიყენოთ მინიმუმ ორი თითი (ძირითადად შუა და საჩვენებელი), რათა სწორად მოვახდინოთ პულსის დათვლა (სურათი 1).



სურათი 1. პულსის შეფასება

პულსის გაზომვის დროს ყურადღებით უნდა დავაკვირდეთ:

- გულისცემის სიხშირეს ერთი წუთის განმავლობაში;
- გულისცემის რითმს;
- თუ არის სხვაობა პერიფერიულ და ცენტრალურ პულსს შორის.

პულსი უკეთესად შეიგრძნობა მსხვილი დიამეტრის (ცენტრალური) არტერიებიდან, ყველაზე ხშირად გამოიყენება საძილე არტერია და ბარძაყის არტერია. იშვიათ შემთხვევებში არტერიული წნევის დაბალი ციფრების გამო შესაძლებელია, პერიფერიული პულსი ვერ შევიგრძნოთ, ამიტომ აუცილებელია, ცენტრალური პულსის გასინჯვა, თუ

საძილე არტერიაზე პულსი არ იგრძნობა, შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ ადამიანის გული არ ფუნქციონირებს. საძილე არტერიის პულსის გაზომვა ხდება მკერდ-ლავინ-დვრილისებრი კუნთის მედიალურად. არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოვახდინოთ ორივე მხარეს საძილე არტერიის ზეწოლა ერთდროულად, რათა არ მოხდეს თავის ტვინისთვის სისხლის მიწოდების შეფერხება.

მოზრდილი ადამიანის ნორმალური გულისცემის სიხშირე მერყეობს 60-დან 100-მდე ერთი წუთის განმავლობაში. პულსს ვზომავთ ერთი წუთის განმავლობაში, თუმცა აგრეთვე შესაძლებელია, დავითვალოთ პულსი 30 წამის განმავლობაში და გავამრავლოთ 2-ზე, ან დავითვალოთ 15 წამის განმავლობაში და გავამრავლოთ 4-ზე, პასუხი აუცილებლად უნდა იყოს ერთი წუთის განმავლობაში.

ბრადიკარდია (Bradycardia ბერძ. Bradus – დაბალი, Cardia – გული) არის მდგომარეობა, როდესაც გულისცემის სიხშირე ნაკლებია 60-ზე ერთი წუთის განმავლობაში. ბრადიკარდია შეიძლება იყოს, როგორც ფიზიოლოგიური, აგრეთვე სხვადასხვა პათოლოგიების გამო: სხვადასხვა ნარკოტიკებით ინტოქსიკაცია, ჰიპოთირეოიდიზმი, ჰიპოთერმია, არითმიები და სხვა.

ტაქიკარდია (Tachycardia ბერძ. Tachus – მაღალი, Cardia – გული) არის მდგომარეობა, როდესაც გულისცემის სიხშირე მეტია 100-ზე ერთი წუთის განმავლობაში. ტაქიკარდიის მიზეზები შეიძლება იყოს: სხვადასხვა ნარკოტიკებით ინტოქსიკაცია, სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლა, ჰიპერთერმია, არითმიები და სხვა.

გულისცემის რითმი შეიძლება იყოს რეგულარული და არარეგულარული. ნორმალური გულისცემა არის რეგულარული დროის ერთნაირი ინტერვალებით, თუმცა სხვადასხვა მიზეზების და დაავადებების გამო შესაძლოა ეს რითმი და ინტენსივობა იყოს დარღვეული.

თუ ვერ ხერხდება პულსის შეგრძნება ვერც პერიფერიული და ვერც ცენტრალური არტერიებიდან, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ გულის მუშაობა არ ხორციელდება და ასეთ მდგომარეობას ჰქვია ასისტოლია.

4. სუნთქვის სიხშირე (RR)

სუნთქვის სიხშირე არის რაოდენობა, თუ რამდენჯერ ჩაისუნთქავს და ამოისუნთქავს ადამიანი ერთი წუთის განმავლობაში. სუნთქვის სიხშირე, ძირითადად, ითვლება ადამიანის მოსვენებულ მდგომარეობაში, გულმკერდის მოძრაობის დათვლით ერთი წუთის განმავლობაში. ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებელია, სუნთქვის სიხშირის დათვლის დროს პაციენტმა არ იცოდეს, რომ ჩვენ ვაპირებთ სუნთქვის სიხშირის დათვლას, რათა არ ინერვიულოს ან არ მოხდეს სუნთქვის სიხშირის ხელოვნური შეცვლა და მივიღოთ ზუსტი მონაცემი.

ნორმაში სუნთქვის სიხშირე მოზრდილ ადამიანში მერყეობს 12-დან 16-მდე ერთი წუთის განმავლობაში. სუნთქვის სიხშირე შეიძლება მომატებული იყოს ცხელების დროს, სხვადასხვა ფიზიკური დატვირთვის დროს და აგრეთვე სხვადასხვა დაავადების გამო. სუნთქვის სიხშირის მომატების დროს, თუ ეს არ არის ფიზიკური დატვირთვის გამო, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ადამიანის ორგანიზმს აქვს ჟანგბადის ნაკლებობა და ესაჭიროება მეტი ჟანგბადი. ეს მდგომარეობა შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა დაავადებით. ასევე მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, ხომ არ აქვს სუნთქვის პრობლემა პაციენტს, ვისთვისაც ვაპირებთ სუნთქვის სიხშირის დათვლას.

ნორმოპნოე – არის ნორმალური სუნთქვის სიხშირე ერთი წუთის განმავლობაში.

დისპნოე – იგივე ქოშინი, არის მდგომარეობა, როდესაც სუნთქვის უკმარისობის გამო იმატებს სუნთქვის სიხშირე.

ტაქიპნოე – არის ხშირი სუნთქვა (მომატებული სუნთქვის სიხშირე ერთი წუთის განმავლობაში).

ბრადიპნოე – არის იშვიათი სუნთქვა (შემცირებული სუნთქვის სიხშირე ერთი წუთის განმავლობაში).

5. სისხლის არტერიული წნევა (BP)

პაციენტებისთვის არტერიული წნევის გაზომვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. უმეტეს შემთხვევაში არტერიული წნევა იზომება

სფიგმომანომეტრის საშუალებით და ისინჯება სისტოლური და დიასტოლური წნევა.

სისტოლური წნევა ანუ მაქსიმალური წნევა არის წნევა, რომელსაც განავითარებს პარკუჭი სისტოლის დროს, ხოლო **დიასტოლური** ანუ მინიმალური წნევა არის წნევა, რომელიც ვითარდება სისტოლის დასრულების შემდეგ ანუ დიასტოლის დროს.

არტერიული წნევის ერთეულად მიჩნეულია მილიმეტრი ვერცხლის წყლის სვეტი (მმ.ვრც. სვ) და კილოპასკალი (კპა). თუმცა უმეტეს ქვეყნებში და მათ შორის საქართველოში გამოიყენება მმ.ვრც.სვ.

არტერიული წნევის ნორმად მიჩნეულია 120/80 მმ.ვრც. სვ, თუმცა მნიშვნელოვანია ვიცოდეთ პაციენტის ნორმალური წნევა, რადგან სხვადასხვა ადამიანს შეიძლება სხვადასხვა წნევის ნორმა ჰქონდეს. აგრეთვე მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ წნევის რამოდენიმე პარამეტრი – სხვაობას სისტოლურ წნევასა და დიასტოლურ წნევას შორის ჰქვია პულსური წნევა, რომელიც ნორმაში 35-50 მმ.ვრც.სვ.-ის ტოლია.

საშუალო დინამიური წნევა. ეს არის წნევა, რომელიც იქნებოდა სისხლძარღვებში პულსური რხევების არარსებობის შემთხვევაში და გამოითვლება ფორმულით: $P(\text{საშუალო})=P(\text{დიასტოლური})+1/3P(\text{პულსური})$. ნორმაში $P(\text{საშუალო})$ არის 90-95 მმ.ვრც.სმ. რომ ნორმაში წნევის აპარატის (სფიგმომანომეტრის) მანჯეტის დიამეტრი შეადგენს 12.5 სმ-ს, რაც სავსებით საკმარისია მოზრდილი ადამიანისთვის. არსებობს აგრეთვე გამონაკლისები, ჭარბი წონის მქონე პაციენტებისთვის, აგრეთვე ბავშვებისთვის და მცირე წონის მქონე ადამიანებისთვის აუცილებელია, გამოვიყენოთ მანჯეტები რომლებიც შეესაბამება მათ აღნაგობას.

არტერიული წნევის გაზომვისას პაციენტი უნდა იყოს მოსვენებულ მდგომარეობაში, მინიმუმ 5 წუთის განმავლობაში პაციენტი მშვიდად უნდა იჯდეს სკამზე და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გავზომოთ არტერიული წნევა. მანიპულაციის ჩატარების წინ პაციენტს უნდა ავუხსნათ, თუ რას ვაკეთებთ და რატომ. უნდა დავრწმუნდეთ, რომ ტანსაცმელი, რომელიც აცვია, არ უჭერს ხელზე და მხარი უნდა იყოს თავისუფალი. პაციენტს ხელი მშვიდად უნდა ედოს მაგიდაზე დაახლოებით გულის სიბრტყის დონეზე. წნევის აპარატის მანჯეტი უნდა მოვათავსოთ მხრის მიდამოში, დაახლოებით ორთავა კუნთის დონეზე, მხრის არტერიის ზევით, მინიმუმ 2 სანტიმეტრით ზევით იდაყვის ნაკეციდან. უნდა

დავრწმუნდეთ, რომ მინიმუმ ზედა მხრის 80% გარშემორტყმულია წნევის აპარატის მანჟეტით, მხრის არტერიის ზევით. უნდა მოვახდინოთ მხრის არტერიის პალპაცია მინიმუმ ორი თითით, რათა ზუსტად დავადგინოთ, თუ რა ადგილას გადის მხრის არტერია. მხრის არტერიის საპროექციო არეში მოვათავსოთ ფონენდოსკოპის დიაფრაგმა (ფონენდოსკოპის ბოლო რომელიც უნდა დავადოთ პაციენტს). შემდეგ უნდა გავბეროთ წნევის აპარატის მანჟეტი მინიმუმ 30 მმ.ვრც.სვ-ით ზევით ვიდრე პაციენტის ნორმალური წნევაა და ამის შემდეგ ნელ-ნელა გამოვუშვათ ჰაერი წნევის აპარატის მანჟეტიდან, უნდა დავაკვირდეთ პირველ პულსაციას, რომელსაც მოვისმენთ ფონენდოსკოპის საშუალებით და ეს იქნება სისტოლური წნევა, ამის შემდეგ უნდა დაველოდოთ ბოლო პულსაციას, რომელსაც მოვისმენთ ფონენდოსკოპის საშუალებით და ეს იქნება დიასტოლური წნევა (სურათი 2).

აუცილებელია, გავწმინდოთ ფონენდოსკოპი მანიპულაციის დაწყების წინ და შემდეგ. აუცილებელია, მინიმუმ ორჯერ გავზომოთ პაციენტის არტერიული წნევა, შუალედში წნევის აპარატის მანჟეტი ბოლომდე უნდა დავცალოთ ჰაერისაგან.



სურათი 2. არტერიული წნევის გაზომვა

არტერიული ჰიპერტენზია ეს არის მდგომარეობა როდესაც პაციენტს აღენიშნება ნორმაზე მაღალი სისტოლური და დიასტოლური წნევის ციფრები. **არტერიული ჰიპოტენზია** ეს არის მდგომარეობა როდესაც პაციენტს აღენიშნება ნორმაზე დაბალი სისტოლური და დიასტოლური წნევის ციფრები.

ჟანგბადის სატურაცია – SpO₂

ჟანგბადის სატურაცია სასიცოცხლო მნიშვნელობის მონაცემია, რომელიც გამოიყენება სისხლში ჰემოგლობინთან დაკავშირებული ჟანგბადის რაოდენობის შესაფასებლად. ჟანგბადის გაჯერება ჩვეულებრივ იზომება პროცენტულად და ჩვეულებრივ შემოკლებით არის "SpO₂" (პერიფერიული კაპილარული ჟანგბადის გაჯერება) პულსური ოქსიმეტრიის გამოყენებით გაზომვისას.

ჟანგბადის სატურაცია ნიშნავს ჰემოგლობინის მოლეკულების პროცენტულ რაოდენობას სისხლში, რომლებიც დაკავშირებულია ჟანგბადის მოლეკულებთან. ის გვიჩვენებს, თუ რამდენად ეფექტურად ხდება ჟანგბადის ტრანსპორტირება ფილტვებიდან სხეულის ქსოვილებში.

ჟანგბადის სატურაცია ჩვეულებრივ იზომება არაინვაზიური მეთოდით, რომელსაც ეწოდება პულსური ოქსიმეტრია.



სურათი 3. პულსოქსიმეტრი

პულსოქსიმეტრია გულისხმობს პატარა სენსორის განთავსებას, როგორც წესი, თითზე, ფეხის თითზე ან ყურის ბიბილოზე, რომელიც ასხივებს კონკრეტული ტალღის სიგრძის სხივს კანში. სენსორი განსაზღვრავს ჟანგბადით გაჯერებული და დეოქსიგენირებული ჰემოგლობინის მიერ შთანთქმული სინათლის რაოდენობას, რაც საშუალებას იძლევა გამოითვალოს ჟანგბადის გაჯერება.

ჯანმრთელ ადამიანებში ჟანგბადის გაჯერება ჩვეულებრივ 95%-დან 100%-მდეა. 90%-ზე დაბლა დონე შეიძლება მიუთითებდეს ჰიპოქსემიაზე, მდგომარეობაზე, რომელიც ხასიათდება სისხლში ჟანგბადის დაბალი დონით, რომელმაც მკურნალობის გარეშე შეიძლება გამოიწვიოს ქსოვილების დაზიანება და ორგანოთა დისფუნქცია.

ჟანგბადის გაჯერების მონიტორინგი გადამწყვეტია სხვადასხვა კლინიკურ პირობებში, მათ შორის გადაუდებელი დახმარების, ინტენსიური თერაპიის, ანესთეზიისა და რესპირატორული თერაპიის ჩათვლით. ეს ეხმარება ჯანდაცვის პროვაიდერებს შეაფასონ პაციენტის რესპირატორული ფუნქცია, პასუხი ჟანგბადის დამატებით თერაპიაზე და მთლიანი ჟანგბადის სტატუსი.

ჟანგბადის გაჯერების მაჩვენებლებზე შეიძლება გავლენა იქონიოს რამდენიმე ფაქტორმა, მათ შორის სიმალლემ ზღვის დონიდან, ფილტვების ფუნქციამ, ჰემოგლობინის კონცენტრაციამ და ისეთი სამედიცინო მდგომარეობების არსებობამ, როგორცაა ფილტვის დაავადება, ანემია ან გულის უკმარისობა.

თავი IV – ნაშლის შეყვანის გზები

სტანდარტული პროტოკოლი

სტანდარტული პროტოკოლი გულისხმობს იმ სტანდარტის გათვალისწინებას, რომელიც აუცილებელია ნებისმიერი მანიპულაციის ჩატარების დროს. სტანდარტული პროტოკოლის შესრულება უზრუნველყოფს პაციენტის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვას.

ნებისმიერი პროცედურის წინ:

- გადაამოწმეთ პროცედურის აუცილებლობა ექიმთან;
- გადაამოწმეთ, დანიშნულებაში მითითებული სახელი და გვარი ემთხვევა თუ არა პაციენტის სახელს და გვარს;
- შეაგროვეთ პროცედურისთვის საჭირო აღჭურვილობა;
- დაიბანეთ ხელები; გაეცანით პაციენტს (უთხარით მას თქვენი სახელი, გვარი, თანამდებობა);
- აუხსენით პროცედურის მიზანი და არსი პაციენტისთვის გასაგებ ენაზე;
- გადაამოწმეთ და ჩაინიშნეთ პაციენტის მდგომარეობა;
- დააყენეთ საწოლი საჭირო სიმაღლეზე, არსებობის შემთხვევაში ჯებირები დატოვეთ აწეულ მდგომარეობაში, ჯებირი ჩამონიეთ მხოლოდ იმ მხარეს, საიდანაც ხდება პროცედურის დროს პაციენტთან მიდგომა;
- შეინარჩუნეთ პაციენტის პრივატულობა.

პროცედურის დასრულების შემდეგ:

- დატოვებულ პაციენტი კომფორტულ პოზიციაში დაცემის თავიდან აცილების მიზნით;
- აუხსენით პაციენტს როგორ დაგიკავშირდეთ;
- ჩაინიშნეთ სასიცოცხლო მაჩვენებლები;
- დააწყვეთ პაციენტისთვის საჭირო აღჭურვილობა/საგნები მისთვის მისაწვდომ დისტანციაზე (მაგალითად, წყალი).

1. მედიკამენტის შეყვანის გზები

ნამლის მოქმედების ძალა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა გზით შეიყვანება იგი ორგანიზმში. ორგანიზმში ნამლის შეყვანის ორ მთავარ გზას ვარჩევთ: ენტერალურს და პარენტერალურს.

ენტერალური გზა – მედიკამენტების მიღების ენტერალური გზა მიეკუთვნება ნამლის მიღებას საჭმლის მომნელებელი ტრაქტის გავლით. პირის ღრუდან ფხვნილების, ტაბლეტების, ხსნარების, კაფსულების, ემულსიისა და მიქსტურების სახით, ენიქვეშა და ბუკალური ტაბლეტები, ელექსირები, სუსპენზიები, სიროფები, ლოზენგები (საწუნნი აბები); სწორი ნაწლავიდან ოყნისა და რექტალური სანთლის სახით, აგრეთვე კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავში მედიკამენტის ადმინისტრირება ზონდის მეშვეობით.

პარენტერალური გზა – მედიკამენტის ადმინისტრირება ინექციის მეშვეობით. (ინექცია ლათინური სიტყვაა და შესხურებას ნიშნავს). ინექცია შეიძლება გავაკეთოთ: ქსოვილებში (კანი, კანქვეშა ქსოვილები, კუნთები, ძვალი), სისხლძარღვებში (ვენა, არტერია, ლიმფური სისხლძარღვი), ღრუებში (მუცელი, პლევრა, გული, სახსარი).

ენდოტრაქეალური – მედიკამენტების ადმინისტრირება ენდოტრაქეული მილის საშუალებით რესპირატორულ ტრაქტში.

ეპიდურალური – მედიკამენტების ადმინისტრირება სპინალურ არხში (უხშირესად გამოიყენება ოპიოიდები და სხვა საანესთეზიო საშუალებებისათვის).

ინტრაპლევრული – მედიკამენტების ადმინისტრირება პლევრის ღრუში.

ტოპიკალური (ადგილობრივი) – მედიკამენტების ადმინისტრირება ცხვირიდან, ყურიდან, თვალიდან, კანიდან, საშოდან და ა.შ. გამოიყენება აეროზოლები, მალამოები, კრემები, პასტები, ფხვნილები, ხსნარები, ქაფები, გელები, ტრანსდერმალური დასაკრავი პლასტიკები, საინჰალაციო საშუალებანი, ვაგინალური/რექტალური სანთლები.

მედიკამენტების ადმინისტრირების 5 წესი

1. სწორი მედიკამენტი;
2. სწორი პაციენტი;
3. სწორი დოზა;
4. სწორი გზა;
5. სწორი დრო.

1.1. ენტერალური გზა

ორალურად წამლის შეყვანა – წარმოადგენს ავადმყოფისათვის ყველაზე უფრო მოხერხებულ და ბუნებრივ გზას. თუმცა, მას ნაკლოვანებებიც აქვს წამლის კუჭ-ნაწლავში გადაადგილების თავისებურების გამო. ორალურად მიღებული წამლის შეწოვა შეიძლება პირის ღრუსა და კუჭში დაიწყოს. ამასთან, ჩვეულებრივ, წამლების უმრავლესობა წვრილ ნაწლავში შეიწოვება. წამალი გაივლის ნაწლავის კედელს და სისხლის ნაკადთან ერთად სამიზნე ადგილზე მისვლამდე ღვიძლისკენ გადაადგილდება. ნაწლავის კედელი და ღვიძლი მრავალ წამალს ქიმიურად ცვლის (მეტაბოლიზმი), რაც ამცირებს სისხლის ნაკადში მოხვედრილი წამლის რაოდენობას. როცა ორალურად წამლის მიღების გამოყენება ვერ ხერხდება, საჭიროა წამლის შეყვანის სხვა გზის შერჩევა.

წამლის ენისქვეშა მიღება (სუბლინგვალური შეყვანა) – ენისქვეშა მიდამოდან წამალი სწრაფად შეიწოვება, რასაც უზრუნველყოფს პირის ღრუს ლორწოვანი გარსის უხვი ვასკულარიზაცია. ასეთი გზით მიღებისას სამკურნალო პრეპარატი არ იშლება კუჭის წვენით და ღვიძლის ფერმენტებით, მათი მოქმედება სწრაფად დგება (2-3 წუთში).

ეს საშუალებას იძლევა სუბლინგვალურად შევიყვანოთ გადაუდებელი, ურგენტული დახმარების ზოგიერთი პრეპარატი (ნიტროგლიცერინი – გულის არეში ტკივილის დროს; კლოფელინი – ჰიპერტონული კრიზების დროს და სხვ.) ან წამლები, რომლებიც იშლებიან კუჭში (ზოგიერთი ჰორმონალური პრეპარატები). ზოგჯერ სწრაფი შეწოვის მიზნით პრეპარატებს ღებულობენ ლოყაზე (ბუკალურად) ან ღრძილზე აპკის სახით.

წამლის რექტალურად მიღება – ამ გზას იყენებენ იშვიათად (სუპო-ზიტორიუმი) კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებებისას, ავადმყოფის უგონო მდგომარეობის დროს. სწორი ნაწლავიდან შეწოვა უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე შიგნით მიღებისას. სამკურნალო პრეპარატის დაახლოებით 1/3 საერთო სისხლის მიმოქცევაში ხვდება ღვიძლის გავლის გარეშე, ვინაიდან ქვედა ჰემოროიდული ვენა შედის ქვედა ღრუ ვენის სისტემაში, და არა კარის ვენაში. ამ მეთოდით შეყვანის დროს წამლის მოქმედების სიჩქარე და ძალა უფრო მეტია, ვიდრე პირიდან მიღების დროს.

1.2. პარენტერალური გზა

ინექციები

ინექციების სახით მედიკამენტების ადმინისტრირება ძალიან გავრცელებული ფორმაა. მისი გაკეთება შეუძლია მხოლოდ სპეციალურად მომზადებულ და სათანადო გამოცდილების მქონე პირს; წამლის შესაყვანად საჭიროა სპეციალური იარაღი – შპრიცი, რომელიც უნდა იყოს ერთჯერადი მოხმარების და აუცილებელია ასეპტიკისა და ანტისეპტიკის ნორმების დაცვა. პროცედურის შეცდომამ შესაძლებელია, გამოიწვიოს ბევრი გართულება. ამ გზით წამლის შეყვანის უპირატესობა იმდენად დიდია, რომ ამჟამად, უმეტესად, მას მიმართავენ მედიცინის ყველა დარგში.

ინექციების უპირატესობებია:

- წამლის მოქმედების სისწრაფე;
- ავადმყოფის უგონო მდგომარეობის დროს წამლის ნემსით

შეყვანა ყველაზე უფრო მიზანშეწონილია (ამ შემთხვევაში წამლის მიცემა პირის ღრუდან სახიფათოა და შეიძლება გართულებაც კი გამოიწვიოს სასუნთქ გზებში მოხვედრის გამო);


- მედიკამენტი არ განიცდის კუჭის წვენისა და სხვა ფერმენტების ზეგავლენას და არ კარგავს თავისი მოქმედების ძალას.

ძალიან მნიშვნელოვანია პაციენტის ფსიქოლოგიური მომზადება ინექციის გაკეთების წინ:

- მოკლედ და მისთვის გასაგებ ენაზე აუხსენით, რა და რატომ უნდა გააკეთოთ;
- წყნარად და მშვიდად ისაუბრეთ პაციენტთან;
- მიეცით მას საშუალება, მიიღოს მისთვის მოხერხებული მდგომარეობა;
- შეასრულეთ თქვენი მანიპულაცია ზუსტად და დამაჯერებლად.

ინექციები ძირითადად ხორციელდება:

- კანში – ID, IC (Intradermal, Intracutaneus);
- კანქვეშ – SD, SC (Subdermal, Subcutaneus);
- კუნთებში – IM (Intramusculus);
- ინტრავენურად – IV (Intravenous).



სურათი 1. ინექციის ტიპები

1.2.1 კუნთშიდა ინექცია

კუნთშიდა იგივე ინტრამუსკულური ინექცია კუნთში ხორციელდება, როდესაც ჩვენ გვინდა მოვათავსოთ მედიკამენტი კუნთის სისქეში, ეს არის ყველაზე ხშირად გამოყენებადი ინექცია, რომელიც გამოიყენება, როგორ სტაციონარულ პირობებში, აგრეთვე სახლის პირობებში, რადგან კუნთში ინექციის გაკეთება არ არის რთული და არ იწვევს ბევრ გართულებას. თუმცა არის გართულებები, რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს კუნთში ინექციამ, ასეთებია: სისხლძარღვის დაზიანება, ნერვის დაზიანება, კუნთის შეშუპება, ინექციის ადგილას შეიძლება ხშირად ვიხილოთ სინითლე ან შეშუპება.

კუნთში ინექციის დროს მედიკამენტს შეიძლება დასჭირდეს რამდენიმე საათიდან კვირამდეც კი, რათა ბოლომდე მოხდეს მისი ათვისება. კუნთშიდა ინექციის დროს აუცილებელია მინიმუმამდე დავიყვანოთ რისკი ყველანაირი გართულებისა. ინექციის მომზადების წინ აუცილებელია ხელების დაბანა საპნითა და წყლით, ან ხელის სადებიზინფექციო ხსნარით ჯანმოს მიერ მოწოდებული რეკომენდაციების გათვალისწინებით. ჯანმოს მიერ მოწოდებული რეკომენდაციით არ არის აუცილებელი მედიკამენტების მომზადების დროს ხელთათმანის ხმარება, თუმცა თუ მედპერსონალს დაზიანებული აქვს ხელი აუცილებელია ხელთათმანის გამოყენება და ინექციის წინ ხელთათმანის გამოცვლა. მედიკამენტი შედის კუნთში, რაც უზრუნველყოფს კანში და კანქვეშ შეყვანილ მედიკამენტებთან შედარებით სწრაფ აბსორბციას და სწრაფ ეფექტს. მედიკამენტებს აქვთ ხანგრძლივი მოქმედების ეფექტი.

ინექციისთვის საჭირო აღჭურვილობა

- ნემსი სათანადო ზომის;
- ანტისეპტიკური ბურთულები;
- არასტერილური ხელთათმანები.



სურათი 2. კუნთშია ინექციისთვის საჭირო აღჭურვილობა.

ინექციის მომზადება

ინექციის მომზადება აუცილებელია მოხდეს სუფთა, სტერილურ ადგილას, სადაც არ იქნება ბიოლოგიური ნარჩენები ან რაიმე სხვა სახის დაბინძურება. მრავალჯერადად გამოყენებადი მედიკამენტი, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა პაციენტზე არ უნდა იმყოფებოდეს პაციენტის სიახლოვეს. ერთჯერადად ხმარებადი ინექციის მომზადება უნდა მოხდეს სუფთა გარემოში, ფრთხილად უნდა გავტეხოთ ამპულა, სწრაფად უნდა ამოვიღოთ მედიკამენტი შპრიცში, უნდა შევეცადოთ, რომ ამპულაში ნემსის მოთავსების დროს არ შევეხოთ ამპულის კიდევებს და ისე ამოვიღოთ მედიკამენტები, რათა არ დავაბინძუროთ ნემსი. აუცილებელია გადავამოწმოთ, თუ რა

მედიკამენტს ვამზადებთ და დავაკვირდეთ დოზას, თუ რამდენი მლ გვჭირდება, დღის ბოლოს აუცილებელია გახსნილი ამპულების, იმ შემთხვევაში თუ მედიკამენტი ისევ არის შიგნით, სპეციალურ ნაგვის ურნაში მოთავსება. დაუშვებელია, სხვადასხვა ვაქცინის ერთ ნემსში გაზავება, თუ მათ არ მოჰყვება სპეციალური ნებართვა.

შპრიცისა და ნემსის გამოყენების წესები

ინექციისთვის გამოსაყენებელი ნემსი და შპრიცი აუცილებლად უნდა იყოს სტერილური და უხმარი. ყველა ინექციის დროს აუცილებელია გამოვიყენოთ სხვადასხვა ნემსი და შპრიცი, ერთი და იმავე შპრიცით სხვადასხვა მედიკამენტის გაკეთება დაუშვებელია. ამპულიდან მედიკამენტის ამოღების შემდეგ ნემსის გამოცვლა არ არის აუცილებელი, თუ ნემსი არ დაზიანდა ან არ დაბინძურდა. პაციენტები ისეთი დაავადებებით, როგორებიცაა ჰეპატიტი C, ჰეპატიტი B, ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი (HIV) და სხვა, პროფესიონალურ რისკს წარმოადგენენ მედპერსონალისთვის კლინიკებში, რადგან არის დაინფიცირებული ნემსის თითში შერჭობის რისკი. ამის გამო მიღებულია მრავალი რეგულაცია (სპეციალური კონტეინერები ნემსისთვის, უკეთესი ხარისხის ნემსების დამზადება, პრაქტიკანტებისა და გამოუცდელი მედპერსონალის მკაცრი კონტროლი). აუცილებელია, მაქსიმალურად ფრთხილად ვიყოთ ნებისმიერ გამოყენებულ ნემსთან, რათა არ მოხდეს საკუთარი თავის ან სხვისი ინფიცირება. ინექციის შემდეგ აუცილებელია ნემსის და შპრიცის განცალკავება ისე, რომ არ დავახუროთ ნემსს თავზე და ამის შემდეგ მოვათავსოთ ორივე სპეციალურ ნაგვის ურნაში, რომელიც უნდა იმყოფებოდეს სტაციონარულ განყოფილებებში.

ინექციის წესები

1. კანის დამუშავება

ინექციის დაწყების წინ კანი უნდა იყოს მაქსიმალურად გასტერილებული. ამისთვის ბამბა უნდა დავასველოთ სპირტით, უნდა მოხდეს იმ ადგილს დამუშავება, სადაც ვაპირებთ ინექციის გაკეთებას. დამუ-

შავებას ვინცებთ ინექციის წერტილიდან და წრიული მოძრაობით ვამუშავებთ კანს გარე მიმართულებით, შემდეგ ველოდებით კანის გაშრობას, დაუშვებელია ორჯერ ან მეტჯერ სპირტიანი ბამბის ერთსა და იმავე ადგილას წასმა, იმ შემთხვევაში თუ კიდევ გვინდა დამუშავება, აუცილებელია ვიხმაროთ ახალი სპირტიანი ბამბა.

2. ინექციის წესები

კუნთში ინექციის გასაკეთებლად საჭიროა, ავირჩიოთ მსხვილი კუნთი, სადაც მოვახერხებთ კუნთის სისქეში შესვლას ნემსით და ინექციის გაკეთებას. კუნთში მრავალი სისხლძარღვი გადის, რაც ხელს უწყობს მედიკამენტის სწრაფ ათვისებას, შესაბამისად კუნთში და ინექცია ბევრად სწრაფია, ვიდრე კანქვეშა და კანში და ინექციები. მედიკამენტი აუცილებლად უნდა შევამოწმოთ წინასწარ და დავრწმუნდეთ, რომ მისი კუნთში გაკეთება დაშვებულია. ინექციის დროს ნემსი უნდა დავიჭიროთ 90 გრადუსით და ისე გავაკეთოთ ინექცია. მედიკამენტი უნდა მოვათავსოთ აუცილებლად კუნთის სისქეში.

3. კუნთში და ინექციის ადგილები

კუნთში და ინექციისთვის ყველაზე ხშირად გამოიყენება ყველაზე ნაკლებ ტრავმული და მტკივნეული ადგილი დიდი დუნდულო კუნთის უკანა მხარე (Dorsogluteal M.). პაციენტის დუნდულო უნდა დაიყოს ოთხ ნაწილად და გარეთა ზედა კვადრატში გაკეთდეს ინექცია, რადგან ამ მიდამოში ყველაზე ნაკლები შანსია ნერვის ან მსხვილი სისხლძარღვის დაზიანების.

კუნთში და ინექცია აგრეთვე კეთდება:

- დიდი დუნდულოს კუნთში გარეთა ნაწილში (Ventrogluteal M.);
- დელტისებურ კუნთში (Deltoid M.);
- ბარძაყის ლატერალური კუნთი (Vastus Lateralis M.).


ბარძაყის გარე ზედაპირი – მოიცავს ოთხთავა კუნთს და მოთავსებულია ბარძაყის წინაგარეთა მიდამოში. ბარძაყი როგორც ჰორიზონტალურად, ასევე ვერტიკალურად იყოფა სამ ნაწილად, ინექცია კეთდება

გარეთა შუა მესამედში. უპირატესად გამოიყენება ახალშობილებსა და ბავშვებში, რადგან დიდია კუნთები და ფართოა საინექციო არე. ბარძაყზე ინექციის დროს პაციენტმა უნდა მიიღოს ჰორიზონტალური მდებარეობა.

დელტოიდური კუნთი – მხრის ლატერალური მიდამო გამოიყენება მხოლოდ მოზრდილებში. ლოკალიზაცია დგინდება აკრომიონის მორჩის ქვედა კიდის პალპაციით. სამკუთხედი იქმნება ილლიის შუა წერტილით, მხრის გარეთა კიდითა და აკრომიონის მორჩით. დელტოიდურ კუნთში დასაშვები მოცულობა 1-2 მლ. მხარზე ინექციის დროს პაციენტი უნდა იჯდეს ან იწვეს (ზურგზე, მუცელზე).

დუნდულო კუნთი – იყოფა 4 კვადრატად. ინექცია კეთდება ზემო გარეთა კვადრატში. დუნდულოზე კუნთშიდა ინექციის დროს პაციენტი უნდა იწვეს გვერდზე ან მუცელზე, ყოვლად დაუშვებელია ამ მანიპულაციის ჩატარება, როდესაც პაციენტი ფეხზე დგას, ვინაიდან ფეხზე დგომის დროს დუნდულა კუნთები დაჭიმულია და ინექციის დროს მატულობს შიში ამ პროცედურისადმი, დაჭიმული კუნთი უფრო მეტად იჭიმება და შეიძლება მივიღოთ გართულება: ნემსის ჩატეხვა, ან შეიძლება შიშმა და ტკივილმა გამოიწვიოს კოლაფსი ან გულის წასვლა.

კუნთშიდა ინექციის მანიპულაცია



სურათი 3. კუნთშიდა ინექციის ადგილები.

კუნთშიდა მანიპულაციის დროს აუცილებელია გავაკეთოთ შემდეგი:

1. გავწლოთ ინექციის წერტილის გარშემო კანი მაქსიმალურად;
2. გავაკეთოთ ინექცია 90-გრადუსიანი კუთხით მაქსიმალურად სწრაფად;

3. ნემსის ჩხვლეტის შემდეგ გამოვქაჩოთ ტუმბო უკან რათა დავრწმუნდეთ, რომ არ მოვხვდით სისხლძარღვში (იმ შემთხვევაში, თუ მოვახდინეთ სისხლძარღვის დაზიანება და შპრიცში მივიღეთ სისხლი, აუცილებელია პროცედურის თავიდან დაწყება სხვა ადგილას);
4. ნელა მივაჭიროთ შპრიცის ტუმბოს და მოვახდინოთ მედიკამენტის შეშვება მაქსიმალურად ნელი ტემპით;
5. მედიკამენტის სრულად შეშვების შემდეგ სწრაფად ამოვიღოთ ნემსი კუნთიდან;
6. ინექციის ადგილას დავადოთ სტერილური მარლა და რამოდენიმე წამი ხელი დავაჭიროთ;
7. ნემსი ფრთხილად მოვათავსოთ სპეციალურ კონტეინერში.

ინექციების პროცედურის მსვლელობა

- დააზუსტეთ პაციენტის ვინაობა და მედიკამენტის იდენტურობა;
- უზრუნველყავით ხელების ჰიგიენა, ჩაიცვით სუფთა ხელთათმანები;
- მოამზადეთ მედიკამენტი, კვლავ შეამოწმეთ მისი იდენტურობა და ვადა;
- მოათავსეთ პაციენტი კომფორტულ პოზიციაში, აუხსენით პროცედურის არსი და მიზანი;
- შეარჩიეთ ინექციისთვის საჭირო ზუსტი მიდამო;
- გაწმინდეთ საინექციო არე სპირტიანი ბურთულით: ცენტრიდან პერიფერიისკენ;
- დაიჭიროთ შპრიცი ცერა და მომდევნო ოთხ თითს შორის, გადაჭიმეთ კანი;

შენიშვნა: კანის გადაჭიმვა იწვევს ნემსის სწრაფ შეღწევას კუნთოვან ქსოვილში. თუ, პაციენტს აქვს სუსტად განვითარებული კუნთოვანი ქსოვილი, მაშინ უნდა გამოიყენოთ კანქვეშა ინექციის ძხოს მითითებული მანევრი: მოიქციეთ კუნთოვანი ქსოვილი ცეხა და საჩვენებელ თითებს შორის და წამოსწიეთ.

- მოახდინეთ ნემსის სწრაფი შეყვანა 90-გრადუსიანი კუთხით;

შენიშვნა: 90-გრადუსიანი დახიდობის კუთხე ნემსის კუნთოვან

ქსოვიდში ღიმაღ ჩასვდის საშუალებას იძლევა, ხოლო ნემსის სწიხად შეყვანას მინიმუმამდე დაჰყავს ჩხვდებით გამოწვეული დისკომფორტი.

- ხელით, რომლითაც კანი გაქვთ დაფიქსირებული, დააფიქსირეთ შპრიცი, ხოლო მეორე ხელით გამოქაჩეთ დგუში და მოახდინეთ ასპირაცია. სისხლის მიღების შემთხვევაში ამოიღეთ ნემსი, დაიბანეთ ხელი და პროცედურა თავიდან გაიმეორეთ. თუ ასპირაციის შემდეგ სისხლს არ მიიღებთ, დაიწყეთ მედიკამენტის ნელი შეყვანა;

შენიშვნა: თუ, შპრიცში მიიღებთ სისხლს, ეს ნემსის სისხლდახლვში მოხვედხაზე მიუთითებს.

- გამოიღეთ ნემსი სწრაფად და მოახდინეთ სპირტიანი ბურთულით ბეწოლა საინექციო არეზე;
- ნემსის გამოღებისას დააფიქსირეთ კანი მეორე ხელით. პუნქციის არე დაამუშავეთ ანტისეპტიკური ბურთულით, მოიხსენით ხელთათმანები და დაიბანეთ ხელები. აწარმოეთ დოკუმენტაცია.

ინტრამუსკულარული ინექციის Z-კვალის ტექნიკა

ინტრამუსკულარული ინექცია ასევე შეიძლება გაკეთდეს Z ტექნიკით, რაც გულისხმობს საინექციო არეში კანის და კანშიდა ქსოვილის ქვევით ან გვერდზე 2,5 სმ (Z-ებრი) გადაწვას და უშუალოდ კუნთში ინექციას. დანარჩენი ეტაპები ხორციელდება ისე, როგორც ზემოთ არის აღწერილი.



სურათი 4. ინექციის ადგილი

გახსოვდეთ!

მცდარია წარმოდგენა იმაზე, რომ რაც უფრო გრძელია და სქელია ნემსი, მით უფრო მტკივნეულია ინექცია, ტკივილის შეგრძნება დაკავშირებულია უპირველესად ნემსის სიმახვილეზე და მის სიგლუვეზე. გარდა ამისა, ტკივილის შეგრძნება დაკავშირებულია ნემსის სიმოკლეზე – შეიძლება სამკურნალოწამლო ნივთიერება მოხვდეს არა კუნთში, არამედ კანქვეშ, რის შედეგადაც ვალიზიანებით კანქვეშა უჯრედს, რაც მეტად მტკივნეულია.



სურათი 5. ინექციის ტექნიკა.

1.2.2 კანშიდა ინექცია

კანშიდა ინექცია კეთდება ღრმად, დაახლოებით 15 მმ სიღრმეზე, ინექციის ადგილებია:

- მხრის გარეთა ზედაპირის ზედა მესამედი;
- ბარძაყის ლატერალური ზედაპირის ზედა მესამედი;
- ბეჭქვეშა არე;
- მუცლის წინა კედელი (ჭიპის მიდამოში).


ტექნიკა: კანის დამუშავების შემდეგ ვაკეთებთ კანის ნაოჭს და ნემსის 2/3 შეგვყავს 45-გრადუსიანი კუთხით ქრილით ზევით.

- დაამუშავეთ ინექციის გაკეთების არე ორი სტერილური სპირტიანი ბურთულით, ჯერ ფართოდ საინექციო არე, მერე უშუალოდ ნემსის გაკეთების ადგილი;
- მარცხენა ხელით ინექციის კანი მოანაოჭეთ; შეიყვანეთ ნემსი კანქვეშ 45 გრადუსიანი კუთხით 15 მმ სიღრმეზე ქრილით ზემოთ, საჩვენებელი თითი ნემსის კანულაზეა;

- გადაიტანეთ მარცხენა ხელი დგუშზე და შეიყვანეთ სამკურნალო საშუალება. შეეცადეთ ნემსი არ გადაიტანოთ ხელიდან ხელში;
- გამოიღეთ ნემსი და ნემსის ჩხვლეტის ადგილას სპირტიანი ბურთულით გააკეთეთ მსუბუქი მასაჟი.

პროცედურის მსვლელობა

- დააბუსტეთ პაციენტის ვინაობა და მედიკამენტის იდენტიფიკაცია;
- უზრუნველყავით ხელების ჰიგიენა ჩაიცვით სუფთა ხელთათმანები;
- მოამზადეთ მედიკამენტი, კვლავ შეამოწმეთ მისი იდენტიფიკაცია და ვადა;
- მოათავსეთ პაციენტი კომფორტულ პოზიციაში, აუხსენით პროცედურის არსი და მიზანი;
- შეარჩიეთ ინექციისთვის საჭირო ზუსტი მიდამო;
- განმინდეთ კანი. ჩხვლეტამდე დაელოდეთ საინექციო არის გაშრობას;
- მოხსენით თავსახური ნემსს და გამოდევნეთ ჰაერი შპრიციდან;
- კანის დამუშავების შემდეგ ვაკეთებთ „კანის ნაოჭს“ და ნემსის 2/3 შეგვყავს 45°-იანი კუთხით – ქრილით ზევით;
- გამოიღეთ ნემსი და განახორციელეთ მსუბუქი ზეწოლა; მოიხსენით ხელთათმანები და დაიბანეთ ხელები;
- აწარმოეთ დოკუმენტაცია.



სურათი 6. კანშიდა ინექცია.

ინექციამდე აუცილებელია დავიცვათ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც მოწოდებულია ჯანმრთელობის მიერ ნებისმიერი სახის ინექციის წინ და შემდეგ. ინექცია უნდა მოხდეს კანქვეშა სივრცეში, აუცილებელია ყოველი ინექციის შემდეგ ვცვალოთ ინექციის ადგილები.

1.2.3 პერიფერიული ვენის კათეტერიზაცია

პერიფერიული ვენური კათეტერის განთავსება მედიკამენტის ან სითხეების შეყვანისთვის სისხლძარღვთან წვდომის მიღების უმარტივესი მეთოდია. აღნიშნული მანიპულაციის ძირითადი მიზანი მედიკამენტის სწრაფი და მაქსიმალური მოქმედების მიღებაა.

პროცედურის ჩვენებაა: ინფუზიური თერაპია; მედიკამენტების ადმინისტრირება ინტრავენურად, ჰემოტრანსფუზიები, პარენტალური კვება და სხვა.

პროცედურის ჩასატარებლად, როგორც წესი, გამოიყენება ზედა კიდურის ვენები (წინამხრის ვენა, ანტეკუბიტალური, ხელის ზურგის, მაჯის). ამათგან საუკეთესო ლოკალიზაციის წინამხარი ან მაჯაა. ქვედა კიდურებზე თრომბოლიზის განვითარების მაღალი რისკის გამო პროცედურის ჩატარება ხდება მხოლოდ ექიმის გადაწყვეტილებით. ნემსის დიამეტრი ანუ კალიბრი აღინიშნება გეიჯებით (G).

კათეტერის ზომები:

კათეტერის ზომა	გამოყენება	ფერი
14 G	ყველაზე დიდი ზომის კათეტერია, მისი გამოყენება ხდება გადაუდებელ შემთხვევებში, მაგ: ტრავმების და ქირურგიული პროცედურებისთვის, გამოიყენება სწრაფი ინფუზიისთვის	სტაფილოსფერი ან ყავისფერი
16 G	საშუალო ზომის კათეტერია და ძირითადად გამოიყენება სისხლის გადასხმის დროს	ნაცრისფერი

თავი IV – ნამდის შუყვანის გზები

18G	ითვლება უნივერსალური ზომის კათეტერად და გამოიყენება სისხლის ასაღებად, ხსნარების გადასახმელად	მწვანე
20 G		ვარდისფერი
22 G	პედიატრიული უნივერსალური ზომის კათეტერი	ცისფერი
24 G	ახალშობილის ზომები	ყვითელი
26 G		იისფერი



სურათი 7: კათეტერის ზომები. <https://www.greppmed.com/images/3199/intravenous-peripheral-management-flowrates-catheter>

პროცედურისთვის საჭირო აღჭურვილობა:

1. თირკმლისებრი თასი;
2. არასტერილური ხელთათმანი;
3. კათეტერი (შესაბამისი ზომის);
4. ანტისეპტიკური ხსნარი;
5. ბამბის ბურთულები კანის გასაწმენდად;
6. ვენის კათეტერის ფიქსატორი;

7. ლახტი;
8. კათეტერის ჩასარეცხად ფიზიოლოგიური ხსნარი;
9. შპრიცი (საჭიროებისამებრ);
10. უტილიზაციის კონტეინერი.



სურათი 8. ინტრავენური კათეტერიზაციისთვის საჭირო ინვენტარი.

პაციენტის მდებარეობა:

1. მჯდომარე ან ნახევრად მწოლიარე;
2. ხელი განუული სხეული ღერძიდან 45 გრადუსით;
3. ხელისგული მიმართული ზევით;
4. ხელი ოდნავ დაჭიმული და იდაყვში გაშლილი.

პროცედურის აღწერა:

1. მიესალმეთ პაციენტს, აუხსენით პროცედურა და მიიღეთ მისგან თანხმობა;
2. მოამზადეთ შესაბამისი აღჭურვილობა;
3. შეარჩიეთ კათეტერის ჩადგმის ადგილი (შესაბამისი პერიფე-

- რიული ვენა);
4. დაადეთ ლახტი და სთხოვეთ პაციენტს ამუშავოს მუშტი (უკეთესი ვიზუალიზაციისთვის);
 5. დაამუშავეთ მონიშნული ადგილი სადებიზფექციო ხსნარით და ბამბის წრიული მოძრაობით შიგნიდან გარე მიმართულებით.
 6. მიუახლოვეთ კათეტერი კანს და განახორციელეთ მისი ჩადგმა 30 გრადუსიანი კუთხით;
 7. ერთი ხელით დაიწყეთ კათეტერის შეყვანა, მეორე ხელით მანდრენი დატოვეთ უმოძრაოდ;
 8. არასოდეს არ შეეცადოთ მანდრენის უკან – კათეტერში შეცურებას, ვინაიდან შესაძლოა გამოიწვიოთ კათეტერის მთლიანობის დარღვევა;
 9. წარმატებული კათეტერიზაციის ინდიკატორია შესაბამისი კამერაში სისხლის გამოჩენა;
 10. შეცვალეთ ფიქსაცია, კათეტერი დაიკავეთ ცერა და შუა თითით, ხოლო საჩვენებელი თითი მოათავსეთ კანულის საცობის თავზე კათეტერი საცობზე მიწოლის გზით წასწიეთ წინ;
 11. კათეტერის მწვერვალის ზემოთ ვენაზე თითის ზეწოლით აიცილეთ სისხლის დაღვრა;
 12. კანულა შესაძლებელია მიერთებულ იქნა საინფუზიო ხსნართან, თუ არ იყენებთ, უნდა მოხდეს კათეტერის ჩარეცხვა ფიზიოლოგიური ხსნარით;
 13. მოახდინეთ კათეტერის ფიქსაცია და დააფიქსირეთ კათეტერიზაციის თარიღი;
 14. გამოყენებული ნარჩენები მოათავსეთ შესაბამისი უტილიზაციის ყუთში;
 15. გაიხადეთ ხელთათმანი;
 16. დაიბანეთ ხელი.

შესაძლო გართულებები:

1. ინფექცია;
2. ჰემატომა;
3. აიროვანი ემბოლია;
4. ვენის თრომბოზი;
5. არტერიის ჩხვლეტა და სხვა.

გახსოვდეთ!

1. ინფექციის რისკის თავიდან აცილების მიზნით არ დატოვოთ კათეტერი ვენაში თუ ამის საჭიროება არ არის;
2. ინტრავენური კათეტერის შეცვლა რეკომენდირებულია 72 საათში ერთხელ.

1.2.4 არტერიის კათეტერიზაცია

არტერიის კათეტერიზაცია არის პროცედურა, რომელიც ხორციელდება მწოლიარე ავადმყოფთან, კათეტერის ჩადგმა ხდება არტერიაში სელდინგერის მეთოდის გამოყენებით.

არტერიის კათეტერიზაცია საშუალებას გვაძლევს არტერიული წნევა ვზომოთ მუდმივად.

ასევე არტერიის კათეტერიზაციის ჩვენებაა:

- სუნთქვის მწვავე უკმარისობა, არტერიული აირების ხშირი ანალიზისთვის;
- არტერიული წნევის მუდმივი გაზომვა, შოკურ მდგომარეობებში, დიდი ქირურგიული ჩარევების შემდეგ, ჰიპერტენზიული კრიზი ან ვაზოპრესორული თერაპია;
- გულის წუთ-მოცულობის და დარტყმითი მოცულობის უწყვეტი მონიტორინგი.

იმ პაციენტებში, რომლებშიც არ გვაქვს ცენტრალურ ვენაზე წვდომა, არტერიული კათეტერები გამოიყენება სისხლის ანალიზის გასაკეთებლად.

მეთოდი

არტერიის კათეტერიზაციისთვის გვჭირდება შემდეგი მასალა:

- სტერილური ხელთათმანები;
- სტერილური შემოსაფარგლი მასალა;
- საპუნქციო არის დამუშავება ბეტადინისა და ქლორჰექსიდინის ხსნარით;
- დასამუშავებელი ხელსაწყო;
- არტერიის კათეტერი;

- მისაკერებელი ნემსი;
- საფიქსაციო მასალა.

არტერიის კათეტერიზაცია ხდება სტერილურ გარემოში. არტერიის კათეტერიზაციამდე ხდება არტერიული პულსის შემოწმება. მტკიცებულებები არ არსებობს რომელიმე საპუნქციო არის უპირატესობის შესახებ, მაგრამ უხშირესად არტერიული კათეტერიზაცია ხდება სხივის, ბარაყის, მხრის ან ილლიის არტერიაში. პედიატრიულ პაციენტებში ასევე გამოიყენება საფეთქლისა და ჭიპის არტერიები.

სხივის არტერიის კათეტერიზაციამდე უნდა შემოწმდეს ავადმყოფის კოლატერალური სისხლმომარაგება, კოლატერალური სისხლმომარაგება ფასდება იშემიური გართულებების ასაცილებლად. შეფასება ხდება ალენის ტესტით.

ულტრაბგერის როლი

ულტრაბგერის გამოყენება ხდება მაშინ, როდესაც სისხლძარღვის პალპაცია რთულია, ძალიან წვრილ სისხლძარღვებში ან მსუქან პაციენტებში. დღეისათვის ულტრაბგერის როლი კანულაციის პროცესში გაზრდილია და სულ უფრო ხშირად გამოიყენება სტანდარტული კანულაციის პროცესშიც.

პუნქცია

არტერიული პულსის აღმოჩენის შემდეგ, კათეტერიზაციის ადგილის სტერილურად დამუშავება ხდება, სხივის არტერიის შემთხვევაში ხელი გაშლილი უნდა იყოს და მაჯაში გადახრილი. პუნქციამდე კეთდება ადგილობრივი ანალგეზია, რაც ამცირებს ტკივილს კათეტერიზაციამდე და ასევე ამცირებს ვაზოსპაზმს.

უხშირესად არტერიის კათეტერიზაცია ხდება სელდინგერის პრინციპით, ადგილობრივი ანესთეზიის შემდეგ, არადომინანტური ხელით ხდება არტერიული პულსის პალპაცია და როდესაც პულსს ვიგრძნობთ დომინანტური ხელით, ნემსს ვხრით 30-45 გრადუსით და ვახდენთ პუნქციას, არტერიული სისხლი შემოდის ნემსში პულსურად, რაც იმის ნიშანია რომ არტერიის პუნქცია წარმატებით განხორციელდა, შემდეგ დომინანტური ხელით ნემსი ოდნავ უნდა დავხაროთ და მასში გავატაროთ მიმმართველი მავთული, როცა მიმმართველი

მავთული მოხვდება არტერიაში, ნემსი ნაზად უნდა ამოვაცუროთ არტერიიდან ისე, რომ მიმმართველი არ ამოყვეს მას და დარჩეს ადგილზე, საბოლოოდ კი მიმმართველში უნდა გავატაროთ არტერიის კათეტერი და როცა კათეტერს სრულად ჩავდგამთ არტერიაში მიმმართველიც უნდა ამოვიღოთ, ხოლო კათეტერი უნდა დავაფიქსიროთ.

გართულებები

არტერიის კათეტერიზაციას შესალოა ახლდეს ადგილობრივი და სისტემური გართულებები: ინფექცია, სისხლდენა, სისხლჩაქცევა, ტკივილი, შეშუპება, გარდა ამისა, სისხლძარღვოვანი გართულებები, როგორც არის: სისხლძარღვის დაზიანება, თრომბოემბოლია, ვაზოსპაზმი, ფსევდოანევრიზმის განვითარება და არტერო-ვენური ფისტულის ჩამოყალიბება.

თრომბოზი

თრომბოზის აღმოჩენა ხდება ულტრაბგერით 25% შემთხვევებში, თუმცა მნიშვნელოვანი თრომბოზი <1% შემთხვევებში გვხვდება, თრომბოზების რისკს ზრდის:

- კათეტერიზაციის ხანგრძლივობა >72 საათზე;
- დიდი კათეტერების გამოყენება;
- წვრილი სისხლძარღვები;
- გულის დაბალი ნუთ-მოცულობა;
- პერიფერიული არტერიების დაავადებები;
- ვაზოსპაზმი (რეინოს ფენომენი).

თრომბოზების თავიდან ასაცილებლად უმჯობესია არტერიის ჩარეცხვა მოხდეს ჰეპარინიზირებული ხსნარებით, ვიდრე ჩვეულებრივი ფიზიოლოგიური ხსნარით, რადგან კვლევებმა ცხადყო ჰეპარინიზებული ხსნარების გამოყენების უპირატესობა თრომბოზების პრევენციის მიზნით.

ნატრიუმის ციტრატი ასევე გამოიყენება როგორც ჰეპარინის ალტერნატივა იმ შემთხვევებში, როდესაც ვლინდება ალერგია ჰეპარინის მიმართ ან სხვა წინააღმდეგ ჩვენებაა.

ემბოლია

კიდურების იშემიის მიზეზი უხშირესად არის ემბოლია, რაც წარმოადგენს სისხლძარღვის სანათურის დაცობას სისხლის ნაკადით მოტანილი ნაწილაკებით, თრომბებით.

ინფექცია

რთული დასადგენია რა არის მიზეზი კათეტერ ასოცირებული ინფექციისა, რადგან ხშირად როგორც არტერიული, ასევე ვენური კათეტერები იწვევენ მსგავს ინფექციებს. დადგენილია, რომ 10 დან 20% არტერიული კათეტერიზაცია რთულდება ადგილობრივი ინფექციებით, დაახლოებით 10% ხდება მათი კოლონიზაცია და 0.4-5% რთულდება ბაქტერიემიით ან სეფსისით.

აიროვანი ემბოლიზმი

ჰაერის ნაკადის შეღწევა არტერიულ კათეტერში იწვევს ემოლიზაციას და ორგანოების იშემიურ დაზიანებას, როგორცაა: თავისა და ზურგის ტვინი, გული და კანი. პრიმატების მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, 2 მლ ჰაერის შეყვანა სხივის არტერიაში იწვევს ტვინის ჰაეროვან ემბოლიას.

გართულებები შესაძლოა დამოკიდებული იყოს პუნქციის ადგილთან, მაგალითად სხივის არტერიის კათეტერიზაცია დაკავშირებულია პერიფერიულ ნეიროპათიებთან, ბარძაყის არტერია რეტროპერიტონეულ სისხლჩაქცევასთან, ილლიისა და მხრის არტერია შუათანა ნერვის დაზიანებასთან.

შეჯამება და რეკომენდაციები

- არტერიული კათეტერიზაციის ჩვენებაა წნევის მუდმივი მონიტორინგი;
- არტერიული კათეტერიზაციის საწყისი ეტაპი არის არტერიული პულსის მოსინჯვა სხივის, ბარძაყის, მხრის და ილლიის არტერიებზე;
- პაციენტებს, ვისაც აქვთ სისხლძარღვოვანი ანომალიები რეკომენდებულია არტერიის კათეტერიზაცია ულტრაბგერის გამოყენებით, რაც ამცირებს პუნქციის დროს და კათეტერი-

- ზაცია უფრო სწრაფად ხდება;
- სხივის არტერიის კათეტერიზაციამდე უნდა ჩატარდეს ალენის ტესტი;
- რეკომენდებულია არტერიის კათეტერიზაცია მაქსიმალურად სტერილურ პირობებში და თავდაცვის მეთოდების გამოყენებით, მათ შორის დამცავი სათვალის;
- არტერიის პუნქციამდე რეკომენდებულია ადგილობრივი ანესთეზიის გამოყენება;
- ჰეპარინიზაცია ჩასარეცხი ხსნარის რეკომენდებულია, თუ პაციენტს არ აღენიშნება რაიმე წინააღმდეგჩვენება ჰეპარინის გამოყენებისადმი;
- დაუშვებელია კათეტერის რუტინულად გადატანა სხვა ადგილზე;
- შესაძლოა ადგილი ქონდეს არტერიის კათეტერიზაციის ადგილობრივ და სისტემურ გართულებებს: ინფექცია, სისხლდენა, ჰემატომა, ტკივილი, შეშუპება, კიდურის იშემია.

1.2.5 ძვალშია კანულაცია (IO)

1920-იანი წლების დასაწყისში სესილ კ. დრიკერმა და ჰარვარდის კოლეგებმა განაცხადეს, რომ ცხოველური მოდელის წარმატება იყო ძვლის ტვინის ღრუში სითხის შეყვანა, რომელიც აღწევდა ინტრავასკულარულ ცირკულაციას.

1930-იანი წლების დასაწყისში ტოკანტინსმა და ო'ნილმა დაადგინეს, რომ გრძელი ძვლების ძვლის ტვინის ღრუ იყო სისხლძარღვთა წვდომის პოტენციური ადგილი სითხისა და სისხლის ინფუზიისთვის. 1934 წელს, A. Josefson იყო პირველი, ვინც გააკეთა მოხსენება ადამიანებში თერაპიული IO ინფუზიის შესახებ.

მეორე მსოფლიო ომის დროს, IO ინფუზიების გამოყენება ნახსენებია სხვადასხვა წყაროებში.

IO კანულაციის ადრეული წარმატების მიუხედავად, მისი გამოყენება, როგორც ტრადიციული სისხლძარღვთა კათეტერიზაციის ალტერნატივა, შეზღუდული იყო 1980-იან წლებამდე. რამდენიმე პედიატრიულმა კვლევამ განაახლა ინტერესი IO კანულაციის მიმართ, როგორც მეთოდი გადაუდებელი მედიკამენტების რეანიმაციის დროს.

1985 წელს, ამერიკის გულის ასოციაციის (AHA) მიერ პედიატრიული რეანიმაციის ახალ გაიდლაინებმა აღიარა IO, როგორც ინტრავენური (IV) წვდომის უსაფრთხო ალტერნატივა.

ძვალშიდა კანულაცია (ENG: Intraosseous cannulation IO) წარმოადგენს ორგანიზმში მედიკამენტის შეყვანის ერთ-ერთ სწრაფ და უსაფრთხო მეთოდს კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი ან/და დაშავებული პაციენტის შემთხვევაში, როდესაც პერიფერიული ან ცენტრალური ვენური წვდომა რთული ან შეუძლებელია.

ცენტრალური ვენის კათეტერიზაციასთან შედარებით ძვალშიდა კანულაცია ბევრად სწრაფი და შედეგიანია. ორგანიზმში ამ გზით შეყვანილი სითხე იმავე სისწრაფით აღწევს ცირკულაციაში, რა სისწრაფითაც ი/ვ-ის დროს.

პროცედურის ჩატარების ჩვენებაა: გადაუდებელი მდგომარეობები, როდესაც ი/ვ ან ცენტრალური ვენური კათეტერიზაციის გამოყენება შეუძლებელია.

პროცედურის ჩატარების აბსოლუტური უკუჩვენებაა: ძვლის მოტეხილობა. ქვემო ღრუ ვენის დაზიანება.

პროცედურის ჩატარების შედარებითი უკუჩვენებაა: კანულაციის მიდამოს დამწვრობა ან ინფექცია, ოსტეოპოროზი ან ოსტეოგენეზის დეფექტი ძვლის მოტეხილობის გაზრდილი რისკის გამო.

პროცედურისთვის საჭირო აღჭურვილობა:

1. ანტისეპტიკური ხსნარი;
2. დახვეული პირსახოცი;
3. სამედიცინო ხელთათმანი;
4. მყარი ნემსი;
5. საბურღი მოწყობილობა;
6. ზამბარიანი ხრახნი;
7. შპრიცი (ზომის შერჩევა საჭიროებისამებრ);
8. ფიზიოლოგიური ხსნარი ჩასარეცხად;
9. 10სმ/10 სმ სტერილური დოლბანდი;
10. ი/ვ საინფუზიო მილი და შესაბამისი ხსნარები.



სურათი 9: <https://www.teleflex.com/anz/en/product-areas/emergency-medicine/intraosseous-access/arrow-ez-io-system/index.html>

გაითვალისწინეთ!

ნემსის ზომები:

- ვარდისფერი: 15მმ / 3-39 კგ
- ცისფერი: 25მმ / => 3 კგ
- ყვითელი: 45 მმ / 40კგ და მეტი

გონზე მყოფ პაციენტებში გამოიყენება ადგილობრივი გაუტკივარება: 1%-იანი ლიდოკაინი (ეპინეფრინის გარეშე), 25-22 ზომის ნემსი – 3-5 მლ შპრიცი, ძვლის ტვინის გაუტკივარებისთვის 2%-იანი ლიდოკაინი.

კანულაციის მიდამო მოზრდილებში

მოზრდილებში უპირატესად გამოიყენება წვივის ძვლის დისტალური მიდამო. ნემსის შეყვანა ხდება წვივის მედიალური მხრიდან, შიდა კოჭის და წვივის შეერთების ადგილზე. გულის გაჩერების და შოკის დროს უპირატესობა ენიჭება მხრის ძვალს. ნემსის შეყვანა ხდება დიდი ბორცვის მიდამოში. მოზრდილებში ასევე გამოიყენება წვივის პროქსიმალური მიდამო, თუმცა ძვალი სქელია და საჭიროა საბურღი მოწყობილობის გამოყენება. სხვა მიდამოები: თეძოს ძვალი, ბარდაყის ძვალი, სხივის და ლავინის ძვალი, გულმკერდის ძვალი ასევე გამოიყენება საჭიროების დროს.

კანულაციის მიდამო ბავშვებში

ბავშვებში, 6 წელზე ნაკლებ ასაკობრივ ჯგუფში, გამოიყენება წვივის ძვლის პროქსიმალური მიდამო. ალტერნატივის სახით გამოიყენება ბარძაყის ძვლის დისტალური არე. მოზარდებში კანულაციისთვის კი წვივის ძვლის დისტალური, მედიალური არე, კოჭის ძვლის შერთებიდან 2სმ-ით ზევით.

პროცედურის აღწერა:

1. შეაგროვეთ შესაბამისი აღჭურვილობა;
2. გონზე მყოფ დაზარალებულს მიაწოდეთ ინფორმაცია პროცედურის შესახებ;
3. პაციენტი მოათავსეთ ჰორიზონტალურ პოზიციაში;
4. თუკი ინექციის ადგილია წვივის ძვლის პროქსიმალური ან ბარძაყის ძვლის დისტალური მიდამო, მაშინ მუხლქვეშ მოათავსეთ დახვეული პირსახოცი;
5. შეარჩიეთ ინექციის ადგილი და დაამუშავეთ ანტისეპტიკური ხსნარით;
6. დამუშავების შემდეგ არასტერილური ნივთების კონტაქტი არ უნდა მოხდეს დამუშავებულ მიდამოსთან;
7. გონზე მყოფი დაზარალებულის შემთხვევაში ჩაატარეთ ადგილობრივი გაუტკივარება 1% იანი ლიდოკაინით;
8. გაუტკივარება კეთდება კანულაციის მიდამოში ღრმად, ისე რომ მოიცვას პერიოსტეუმის შრე;
9. არადომინანტი ხელით მოსინჯეთ კანულაციის მიდამო და ამავე ხელით დააფიქსირეთ მიდამო წვივის ძვლის პროქსიმალურად;
10. თვითდაზიანების პრევენციის მიზნით ნუ შეეხებით ხელით კანულაციის უკანა მხარეს;
11. მარჯვენა ხელით მყარად დაიჭირეთ ნემსი კანულაციის წერტილის მოპირდაპირედ, ნემსის მიმართულება არ უნდა სცილდებოდეს სასახსრე სივრცეს და ძვლის საზრდელას;
12. ნემსის შეყვანა დაიწყეთ საშუალო ძალის გამოყენებით, ბრუნვითი მოძრაობით;


13. შეწყვიტეთ ნემსის შეყვანა, როგორც კი გაიგებთ ტკაცუნის ხმას, ამ დროს ხდება ძვლის ქერქოვანი ნაწილის გახვრეტა;
14. მოახდინეთ სასხლეტის მოჭერით ნემსის შეყვანა პენეტრაციის წერტილში;
15. ტკაცუნის ხმის გაგონებისთანავე, წინააღმდეგობის გაქრობისთანავე ხდება სასხლეტის გათავისუფლება, სახრახნისი სცილდება კანულაციის ნემსს და ხდება ნემსის ადგილზე დაფიქსირება;
16. თუკი კანულაციის ნემსის საყრდენი ძალის გარეშე თავისით ფიქსირდება ძვლის მიდამოში, ეს არის მტკიცებულება იმისა, რომ ის ძვლის ტვინშია და კანულაცია წარმატებით განხორციელდა. აღნიშნულის დამტკიცება ასევე შესაძლებელია ასპირაციით სისხლის მიღების შემთხვევაშიც;
17. დასტურის შემდეგ ხდება ძვლის ტვინის ადგილობრივი გაუტკივარება 2%-იანი ლიდოკაინის ხსნარით;
18. უერთებთ სითხეს კანულას.



სურათი 10: ძვალშიდა კანულაცია. <https://www.theresuscitationcoach.com/post/intraosseous-access>



სურათი 11: https://link.springer.com/chapter/10.1007/978-3-319-78367-3_13



სურათი 12: <https://emedicine.medscape.com/article/908610-overview>

როგორც კი შესაძლებელი ხდება ი/ვ ან ცვკ კანულაცია, ახდენთ ძვალში კანულის ამოღებას და სტერილური სახვევით კანულაციის ადგილის დაფიქსირებას.

1.2.6 ვენური ინფუზია

ინტრავენური ინფუზია წარმოადგენს პაციენტის ვენურ სისტემაში სითხის შეყვანის ერთ-ერთ მეთოდს. აღნიშნული პროცესი, როგორც წესი ხორციელდება კანულის მეშვეობით და გამოიყენება ისეთი საჭირო-

ბების დროს, როგორცაა: სისხლის მოცულობის აღდგენა, ელექტროლიტების ჩანაცვლება, მედიკამენტების შეყვანა, ქიმიოთერაპია და სხვა.

ინტრავენური ინფუზიის უპირატესობა სხვა მეთოდებთან შედარებით სისწრაფა, ვინაიდან მედიკამენტის შეყვანა პირდაპირ მიმოქცევაში ხდება.

პროცედურის დაწყებამდე, რასაკვირველია, ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია, დარწმუნდეთ მედიკამენტის შეყვანის სისწორეში, აღნიშნულის დადგენის მიზნით:

1. იკითხეთ პაციენტის პერსონალური მონაცემები;
2. პაციენტს მიაწოდეთ ინფორმაცია პროცედურის შესახებ და მიიღეთ მისგან თანხმობა;
3. დარწმუნდით, რომ პაციენტს არ აქვს ალერგია კონკრეტულ მედიკამენტზე;
4. დაიბანეთ ხელი და ჩაიცვით ხელთათმანი;
5. დარწმუნდით, რომ საინფუზიო ხსნარი ნამდვილად დანიშნული აქვს პაციენტს;
6. შეამოწმეთ მედიკამენტის ვარგისიანობის ვადა;
7. შეამოწმეთ მედიკამენტის დასახელება, დოზა და ორგანიზმში შეყვანის გზა;
8. გახსენით საინფუზიო ხსნარის გარეთა პაკეტი, ხოლო საინფუზიო ხსნარი დაკიდეთ შტატივზე;
9. გახსენით წვეთოვანი სისტემის პაკეტი. ჩაკეტეთ წვეთოვანის სისტემა პლასტმასის რგოლის ჩამოწევის საშუალებით;
10. ხოლო მისი წვეტიანი პლასტმასის ბოლო (ისე რომ სტერილურ ზედაპირს არ შეეხოთ) შეიყვანეთ საინფუზიო ხსნარის პორტში;
11. ხელის მოჭერის და აშვების გზით შუამდე შეავსეთ წვეთოვანი სისტემის გამჭვირვალე საკანი;
12. პლასტმასის რგოლის აწევით გახსენით წვეთოვანი სისტემა, გაუშვით საინფუზიო ხსნარი და დარწმუნდით რომ ჰაერის ბუშტუკები სრულად არის გამოდევნილი;
13. მიუერთეთ საინფუზიო სისტემა ინტრავენურ კათეტერს და რგოლის აწევით დაიწყეთ ინფუზია.



სურათი 13: <https://www.ndsu.edu/pubweb/bismarcknursing/advanced/skill/V001.html>

გახსოვდეთ!

პროცედურის დასრულების შემდეგ კეტავთ პლასტმასის რგოლს და ვენიდან ფრთხილად იღებთ კათეტერს, ჩხვლეტის ადგილს აფიქსირებთ სპირტიანი ბამბის მეშვეობით, ხოლო გამოყენებულ ნარჩენებს ათავსებთ შესაბამის კონტეინერში.

1.3 ლუმბალური პუნქცია

ლუმბალური პუნქცია არის პროცედურა, რომელიც ხორციელდება დიაგნოსტიკური და თერაპიული მიზნით. ლუმბალური პუნქციით ხდება თავ-ზურგ ტვინის სითხის გამოკვლევა და გვაძლევს საჭირო ინფორმაციას სხვადასხვა კლინიკური მდგომარეობის შესაფასებლად.

ლუმბალური პუნქციის ჩვენება

საეჭვო ცენტრალური ნერვული სისტემის ინფექცია – თავ-ზურგ ტვინის სითხის ანალიზი ხდება მიზეზი გადაუდებელი ლუმბალური პუნქციის, განსაკუთრებით ბავშვთა ასაკში. ვირუსული ან ბაქტერიული მენინგიტის სადიაგნოსტიკოდ. ბაქტერიული მენინგიტების დროს ანტიბიოტიკოთერაპიის დაწყება აუარესებს გამოსავალს. თავ-ზურგ ტვინის სითხის ანალიზი ძალიან სპეციფიური და სარწმუნოა.

საექვო სუბარაქნოიდული სისხლჩაქცევა – ლუმბალური პუნქციის გადაუდებელი ჩვენებაა სპონტანური სუბარაქნოიდული სისხლჩაქცევა. თავდაპირველად კეთდება კომპიუტერული ტომოგრაფია და თუ ტომოგრამაზე სისხლჩაქცევის სარწმუნოობა ბუნდოვანია საბოლოო დიაგნოზის დასადასტურებლად კეთდება ლუმბალური პუნქცია.

სხვა – ლუმბალური პუნქციის სხვა ჩვენებას წარმოადგენს ქიმიოთერაპიის შეყვანა ან საკონტრასტო ნივთიერების შეშვება თავ-ზურგ ტვინის სითხეში ზურგის ტვინის დასურათების მიზნით, ისეთი მდგომარეობების დროს, როგორც არის: ჰიდროცეფალია, გიან-ბარის სინდრომი. სამკურნალო მიზნით ლუმბალური პუნქცია გამოიყენება თავ-ზურგ ტვინის სითხის გამოშვება იდიოპათიური ინტრაკრანიალური ჰიპერტენზიის დროს (ე.წ. პსევდოტუმორ ცერებრი).

უკუჩვენება

ლუმბალურ პუნქციას შესაძლოა ქონდეს აბსოლუტური ან შეფარდებითი უკუჩვენება. მომატებული ინტრაკრანიალური წნევა არის აბსოლუტური უკუჩვენება. სისხლის შედედების დარღვევები და გულ-ფილტვის უკმარისობები წარმოადგენს შეფარდებით უკუჩვენებას. ასეთ დროს პუნქციის განხორციელების გადაწყვეტილება თავ-ზურგ ტვინის სითხის გადაუდებელი აუცილებლობის მიხედვით წყდება.

სპეციფიურ უკუჩვენებებს მიეკუთვნება:

- დეკორტიკაციული, დეცერებრაციული დაზიანებები;
- ტვინის შეშუპება;
- ბრადიკარდიის არსებობა ჰიპერტენზიის თანხლებით;
- იმუნოსუპრესია;
- კარდიოგენული შოკი;
- თრომბოციტოპენია (<100);
- მიმდინარე ანტიკოაგულაციური თერაპია;
- საპუნქციო ზონის ინფიცირება;
- სავარაუდო მენინგოკოკური ინფექცია.

მომზადება პროცედურისთვის

ლუმბალურ პუნქციამდე უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოებები:

კომპიუტერული ტომოგრაფია უნდა ჩაუტარდეთ ლუმბალურ პუნქციამდე იმ ბავშვებს, რომელთაც აღენიშნებათ:

- ცნობიერების დაბინდვა;
- ტვინის შეშუპება;
- გულყრები;
- ტვინის აბსცედირების რისკები.

საეჭვო ბაქტერიული მენინგიტის დროს სისხლის ბაქტერიოლოგია და ემპირიული ანტიბიოტიკოთერაპია უნდა დაინიშნოს კომპიუტერული თერაპიის ჩატარებამდე.

მძიმე ავადმყოფებში საჭიროა სასიცოცხლო პარამეტრების მონიტორინგი პროცედურის მსვლელობისას.

ბავშვები უკეთ იტანენ პროცედურას მჯდომარე პოზაში. ხერხემლის დეფორმაციები წინასწარ უნდა იქნას შესწავლილი და პროცედურა ჩატარდეს ფლუროსკოპიის ქვეშ, წინასწარ უნდა განისაზღვროს პროცედურის მსვლელობისას სედაციის საჭიროება. ბავშვებში, პუნქციამდე 30-60 წუთით ადრე, ტრანსდერმალურად, ლიდოკაინის შემცველი კრემის შეზღვევა ხდება. ლუმბალური პუნქცია საკმაოდ მარტივი შესასრულებელია ტექნიკურად და უსაფრთხოა, თუმცა შიშს იწვევს ბავშვებსა და დიდებშიც, ამიტომ საჭიროა დეტალური ახსნა და, ასევე, პროცედურის დეტალური განმარტება ექიმის მხრიდან.

მასალა:

- ლიდოკაინი 1% ადრენალინის შემცველობის გარეშე, კანისა და კანქვეშა სტრუქტურების გაუტკივარების მიზნით;
- სტერილური 3 მლ შპრიცი ლიდოკაინის ინექციისთვის;
- სტერილური სინჯარა თავ-ზურგ ტვინის სითხის ასაღებად;
- სტერილური ხელთათმანები;
- სტერილური მასალა;
- პოვიდონის ხსნარი;
- 22 გეიჯი ზომის სპინალური ნემსი მოზრდილებისთვის;
- ბავშვებისათვის განკუთვნილი ნემსის ზომები განსხვავებულია და იცვლება ასაკის მიხედვით.

პროცედურის ჩატარების ტექნიკა

ლუმბალური პუნქცია ხდება მიმმართველიანი სპინალური ნემსით წელის მალის სუპრა და ინტრასპინალურ ლიგამენტებს შორის და საბოლოოდ ნემსის დისტალური წვერი ხვდება სუბარაქნოიდულ სივრცეში, საიდანაც ხდება თავ-ზურგ ტვინის სითხის გამოსვლა და მისი შეგროვება ანალიზისთვის.

ლუმბალური პუნქცია ხდება ზურგის ტვინის დისტალურ ნაწილში, რაშის კუდის მიმდებარედ. ახალშობილებში ზურგის ტვინი ბოლოვდება L3 დონეზე. ხერხემლის სვეტი გაცილებით სწრაფად იზრდება ვიდრე ზურგის ტვინი, ამიტომ მოზრდილებში ზურგის ტვინი მთავრდება L1 დონეზე, ამ მოვლენის გათვალისწინებით პატარებში ლუმბალური პუნქცია ხდება L5 – S1 მალთაშუა სივრცეში, ხოლო დიდებში L2 – L3 მალთაშუა სივრცეში.

ბავშვებში 40-50 წუთით ადრე ხდება ტოპიკალური ლიდოკაინის შეხელა საპუნქციო არეში, დიდებში კანისა და კანქვეშა სტრუქტურების გაუტკივარება 1% ლიდოკაინის ინექციით.

სპინალური ნემსისა და მიმმართველის შემოწმება ხდება პუნქცია-ამდე.

სპინალური ნემსის დაჭერა მისაღებია როგორც ერთ, ასევე ორივე ხელში, ეს დამოკიდებულია ექიმის გამოცდილებაზე და თუ როგორ ტექნიკას ანიჭებს უპირატესობას.

ლუმბალური პუნქცია შესალოა გაკეთდეს ორ პოზიციაში: მჯდომარე და წელში მოხრილ პოზაში და გვერდზე მწოლიარე. ემბრიონის პოზაში საპუნქციო არეში კანის სტერილურად დამუშავების შემდეგ, კეთდება ადგილობრივი ანალგეზია კანისა და კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილის, შემდეგ საპუნქციო ნემსით ხდება წელის მალეების შესაბამის სეგმენტში სპინალური ნემსით პუნქცია. ნემსის წვერი მოზრდილებში დახრილია 45 გრადუსით, ხოლო 12 თვემდე ჩვილებში დაახლოებით 30 გრადუსით. ნემსი მიმართულია წელის მალეებიდან ჭიპისაკენ.

მაგარი გარსის გავლის შემდეგ უნდა იგრძნობოდეს რეზისტენტობის შემცირება სტრუქტურებში, ე.წ. „ჩავარდნის“ შეგრძნება, რაც მიუთითებს სასურველ სივრცეში ნემსის მოხვედრას და ძალიან ნაზად უნდა შემოწმდეს სითხის წამოსვლა. 1 მლ თავ-ზურგ ტვინის სითხე საკმარისია ანალიზისთვის.

გართულებები

პოსტსპინალური თავის ტკივილი არის ლუმბალური პუნქციის ყველაზე ხშირი გართულება. ის ვლინდება 5-15 %.

სხვადასხვა მეთოდების გამოყენება მაგ: უმცირესი ზომის ნემსის გამოყენება, ასევე ატრავმული ნემსი, ნემსის წვერის პოზიცია ამცირებს პოსტ-სპინალურ თავის ტკივილს.

1.4 ნამლის ტოპიკალური (ადგილობრივი) გამოყენება

ნამლის ტოპიკალური გამოყენება გულისხმობს მის ადგილობრივ გამოყენებას ზედაპირზე მოხვედრით. ტოპიკალური გამოყენების მაგალითია ნამლის დატანა თვალის, ცხვირის, პირის ღრუს, საშოსა და ცხვირის ლორწოვანსა და კანზე. მისი მიზანია მოახდინოს მხოლოდ ადგილობრივი ეფექტი შესაბამისი ორგანოს კანსა და ლორწოვანზე. ტოპიკალური გამოყენების წამლები ძირითადად გვხვდება კრემების, ლოსიონების, საცხის, სფრეის, ფხვნილის, აეროზოლის და წვეთების სახით. ნამლის ტოპიკალური გამოყენებისას ნამლის კონცენტრაცია მაღალია ადგილობრივად, ხოლო ნაკლებია სისტემურ ცირკულაციაში. თუმცა შესაძლებელია ადგილობრივმა შეწოვამ გამოიწვიოს სისტემურ ცირკულაციაში მოხვედრა და გვერდითი მოვლენების განვითარება.

ნამლის ტოპიკალური გამოყენების უპირატესობები

- ადგილობრივი მიღება, როდესაც სისტემური გზით მიღების დროს ვლინდება ტოქსიური გვერდითი მოვლენები;
- დერმატოლოგიური და ოფთალმოლოგიური პრეპარატები;
- ნამლის პირველადი მეტაბოლიზმის თავიდან არიდება;
- მისაღებად მარტივი და მოსახერხებელია;
- არ ხდება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის გაღიზიანება;
- არ ახლავს კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან შეწოვის შეფერხების რისკები;
- ადვილად მოხსნა მკურნალობის დასრულების შემდეგ;

- სპეციფიურ ლოკალიზაციაზე ადვილად გამოყენება. აქვს ხანმოკლე ნახევარდაშლის პერიოდი და ვიწრო თერაპიული ფანჯარა;
- პაციენტების მხრიდან წამლის უფრო ფართო გამოყენება;
- მოსახერხებელია თვით-მკურნალობისას;
- მუდმივი მიღების დროს დაბალი დოზის ეფექტურობა.

წამლის ტოპიკალური გამოყენების უარყოფითი მხარეები

- ტოპიკალურად მისაღებ წამლებს აქვთ მაღალი მოლეკულური სიმკვრივე და ცუდად იხსნებიან ცხიმში, ამიტომაც არ ხდება მათი შეწოვა კანიდან და ლორწოვანი გარსიდან სისტემური ეფექტის აუცილებლობის დროს;
- შესაძლოა გამოიწვიოს კანის და ლორწოვანის ადგილობრივი გაღიზიანება და კონტაქტური დერმატიტის განვითარების მაღალი რისკი;
- შესაძლებელია მხოლოდ იმ პრეპარატების ტოპიკალური გამოყენება, რომელთა ეფექტის მისაღწევად საკმარისია პლაზმაში მათი დაბალი კონცენტრაცია.

ექიდერმისში არსებულმა ენზიმებმა შეიძლება გამოიწვიოს ტოპიკალურად მიღებული წამლის დაშლა.

ორალური ინჰალაცია

ინჰალატორის გამოყენების ტექნიკა

დღეს ამ მონყობილობის გარეშე სეზონურ ვირუსებთან გამკლავება, განსაკუთრებით ბავშვებისთვის, ძალიან რთულია. ინჰალატორს ხშირად იყენებენ გაციების, ხველის, ბრონქიტისა და სურდოს დროს. აპარატი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ალერგიული ადამიანებისთვის. აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ ინჰალაციის გაკეთებას თავისი წესები აქვს და მისმა არამიზანმიმართულმა გამოყენებამ შესაძლოა, ნეგატიური შედეგიც მოიტანოს.

ნებულაიზერი იგივე ინჰალაციის აპარატი არის მონყობილობა, რომელიც ზედა და ქვედა სასუნთქი გზებისთვის მედიკამენტების

გადასაცემად გამოიყენება. ნებულაიზერი თხევადი ფორმის მედიკამენტებს აპარატის საშუალებით აეროზოლად გარდაქმნის, რის შემდეგაც ხდება მათი შესუნთქვა. ის ძირითადად გამოიყენება გაციების, ცრუკრუპის, მწვავე ბრონქიტის, ბრონქული ასთმისა და ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების დროს, თუმცა, ინჰალაციის აპარატის შინ ქონა იმას არ ნიშნავს, რომ ყოველ წამოხველებაზე გავუკეთოთ ბავშვს ინჰალაცია მედიკამენტით. ის აუცილებლად უნდა დაინიშნოს ექიმის მიერ შესაბამისი ჩვენებით, დოზითა და ხანგრძლივობით.

ყველაზე გამოყენებადი მედიკამენტების ჯგუფი ალერგოლოგიაში, რომელიც ნებულაიზერით მიეწოდება, არის ბრონქების გამაფართოებელი პრეპარატები (ბრონქოდილატატორები), რომლებიც ხშირად გამოიყენება ალერგიული და ვირუსით გამოწვეული ბრონქოსპაზმის, მსტვინავი სუნთქვის, ასთმური შეტევის დროს. ისინი აფართოებენ სასუნთქ გზებს და ხსნიან ბრონქოსპაზმს. ასევე ხშირად გამოიყენება საინჰალაციო კორტიკოსტეროიდები, რომლებიც ამცირებენ სასუნთქი გზების ანთებით პროცესებს, სასუნთქი გზების შეშუპებას და ქარბ ლორწოს.

ტექნიკა

- ინჰალაციის გაკეთებამდე აუცილებელია ხელების დაბანა;
- აპარატში მოთავსების წინ ყურადღებით გადაამოწმეთ ექიმის მიერ დანიშნული მედიკამენტის დოზა;
- ინჰალაციის პროცედურას 5-10 წუთი სჭირდება. ხელი შეუწყეთ ბავშვს, რომ ამ პერიოდში ნელა და მშვიდად ისუნთქოს. მშობლებსაც შეუძლიათ შვილთან ერთად ისუნთქონ, ხმამაღლა დაუთვალონ და ა.შ.;
- რეკომენდებულია, ინჰალატორის გამოყენება გაგრძელდეს მანამ, სანამ ნებულაიზერში არსებული მედიკამენტი არ ამოიწურება;
- დასრულების შემდეგ პირი წყლით ჩამოიბანეთ;
- რეკომენდებულია, რომ ყოველი პროცედურის შემდეგ ნებულაიზერის ნაწილები (კომპრესორის გარდა) გამდინარე

თბილი წყლით გაირეცხოს, სუფთა ნაწილები პირახოცზე დააწყეთ, რომ კარგად გაშრეს. ხოლო კვირაში ერთხელ ან ორჯერ სასურველია, სადებიინფექციო ხსნარის საშუალებით გასტერილდეს.



სურათი 15. ნებულაიზერი.

თავი V – სასუნთქი სისტემა

1. შესავალი

რა არის ფილტვის ფუნქციური ტესტები?

ფილტვის ფუნქციური ტესტები არის არაინვაზიური კვლევის მეთოდი, რომელიც აჩვენებს რამდენად კარგად მუშაობს ფილტვი. ამ ტესტების მეშვეობით იზომება ფილტვის მოცულობა, ტევადობა, ჰაერის ნაკადის სიჩქარე და გაზთა ცვლა. ამ მეთოდით შესაძლებელია ფილტვის გარკვეული დაავადებების განსაზღვრა.

ფილტვის დაავადებების ორი ტიპი არსებობს, რომლებიც მოქმედებს ჰაერის ჩასუნთქვა-ამოსუნთქვაზე:

ობსტრუქციული – გამოწვეულია სასუნთქი გზების რეზისტენტობით. ობსტრუქციული დაავადება იწვევს აირის ნაკადის შემცირებას.

რესტრიქციული – როცა ფილტვის ქსოვილი სათანადოდ არ იშლება, იქმნება გაზთა ცვლის პრობლემები, რაც უმეტესად გამოწვეულია ფილტვის მოცულობის შემცირებით.

ფილტვის ფუნქციური ტესტები შეიძლება გაკეთდეს ორი მეთოდით.

2. სპირომეტრია

ფილტვის ფუნქციური ტესტებით იზომება:

ჩასუნთქული მოცულობა: ჰაერის ის რაოდენობა, რომლის ჩასუნთქვა და ამოსუნთქვა ხდება ნორმალური სუნთქვის პროცესში.

ნუთ-მოცულობა: ჰაერის მთლიანი რაოდენობა, რომლის ამოსუნთქვა ხდება 1 ნუთის განმავლობაში.

სასიცოცხლო ტევადობა: ჰაერის მთლიანი მოცულობა, რისი ამოსუნთქვაც შესალებელია მაქსიმალური ჰაერის რაოდენობის ჩასუნთქვის შემდეგ.

ფუნქციური რეზიდუალური ტევადობა: ჰაერის ის რაოდენობა, რომელიც რჩება ფილტვებში ნორმალური ამოსუნთქვის შემდეგ.

რეზიდუალური მოცულობა: არის ჰაერის ის რაოდენობა, რომელიც რჩება ფილტვებში მაქსიმალური ძალით ამოსუნთქვის შემდეგ.

ფილტვის მთლიანი ტევადობა: ფილტვის მთლიანი მოცულობა, მას შემდეგ რაც ის გაივსება მაქსიმალური ჰაერის რაოდენობით.

ფორსირებული სასიცოცხლო ტევადობა: ჰაერის ის რაოდენობა, რომლის ამოსუნთქვაც შესაძლებელია მაქსიმალური ძალით და სისწრაფით მაქსიმალური ჩასუნთქვის შემდეგ.

ფორსირებული ამოსუნთქვის მოცულობა: ჰაერის ის რაოდენობა, რომლის ამოსუნთქვა ხდება პირველ, მეორე და მედამე წამს ფორსირებული სასიცოცხლო ტევადობის ტესტირებისას.

ფორსირებული ამოსუნთქვის ნაკადი: ნაკადის საშუალო სიჩქარე ფორსირებული სასიცოცხლო ტევადობის ტესტირების შუაში.

ფილტვის ფუნქციური ტესტების მაჩვენებელი განსხვავებულია ადამიანებს შორის. ჩასუნთქული და ამოსუნთქული ჰაერის მოცულობა ტესტირების შედეგები შედარებულია ასაკს, სიმაღლეს, სქესს და რასასთან. შედეგების შედარება ხდება ასევე პაციენტის წინა ტესტირების მონაცემებთან.

რატომ კეთდება ფილტვის ფუნქციური ტესტები?

ფილტვის ფუნქციური ტესტები კეთდება ბევრი მიზეზით. ზოგჯერ ფუნქციური ტესტები ჯანმრთელ ადამიანებშიც კეთდება რუტინული კვლევისას, ასვე უტარდებათ განსაკუთრებულ პირობებში მომუშავე ადამიანებს, ფილტვის დაზიანების მომატებული რისკით, მაგ: მალაროელებს, ფაბრიკა-ქარხანაში მომუშავეებს და ა.შ, ან კეთდება ადამიანებში, რომლებსაც აქვთ ჯანმრთელობის ისეთი პრობლემები, როგორიც არის:

- ალერგიები;
- სასუნთქი სისტემის ინფექციები;
- გულმკერდის არეში ოპერაციული ჩარევების შემდეგ;
- ფილტვის ქრონიკული დაავადებების დროს, როგორც არის: ასთმა, ემფიზემა, ბრონქოექტაზიები ან ქრონიკული ბრონქიტი;
- ასბესტოზი;
- სასუნთქი სისტემის რესტრიქციული პრობლემები, როგორც არის: სქოლიოზი, სიმსივნე, ანთება;
- სარკოიდოზი;
- სკლეროდერმია.

ფილტვის ფუნქციური ტესტები კეთდება ოპერაციის წინა პერიოდში, როდესაც ადამიანს აქვს გულის და ფილტვის დაავადებები და არიან მწველები.

რა რისკ-ფაქტორები ახლავს ფილტვის ფუნქციურ ტესტირებას?

ვინაიდან ფილტვის ფუნქციური ტესტირება არაინვაზიური მეთოდია, ის არის საკმაოდ უსაფრთხო და სწრაფი მოსახლეობის უმრავლესობაში, თუმცა ახლავს გარკვეული რისკები:

- თავბრუსხვევა;
- ხველა;
- ღრმა ჩასუნთქვის დროს ასთმური შეტევა.

ფილტვის ფუნქციური ტესტები არ კეთდება:

- თვალის ოპერაციების შემდეგ, ვინაიდან ტესტირების პროცესში არსებობს თვალშიდა წნევის მომატების საფრთხე;
- გულმკერდის ან მუცლის ღრუს ქირურგიის შემდეგ;
- შეტევითი გულის დაავადებები, პროცედურის დროს გულმკერდის არეში ტკივილი;
- მსხვილ სისხლძარღვთა ანევრიზმები;
- ტუბერკულოზი ან სასუნთქი სისტემის ინფექციები.

ზოგჯერ ფილტვის ფუნქციური ტესტირება ძალზედ არასპეციფიურია, მაგ:

- პაციენტის ძალისხმევა და მონაწილეობა ტესტირების პროცესში;
- სასუნთქი გზების გამაფართოებელი წამლები (ბრონქოდილატატორები);
- ტკივილგამაყუჩებლები;
- ორსულობა;
- გადაღლილობა.

როგორ ხდება ფილტვის ფუნქციური ტესტირება?

ფილტვის ფუნქციური ტესტირება ამბულატორიული პროცედურაა.

1. სთხოვეთ პაციენტს გაიხადოს მჭიდრო ტანსაცმელი, არ ეკეთოს სამკაული, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს პროცედურას;
2. პროცედურის დროს შარდის ბუშტი უნდა იყოს დაცლილი;
3. პაციენტი უნდა იჯდეს. რბილი მომჭერი უნდა გაუკეთდეს ცხვირზე, ისე რომ პაციენტმა ვერ შეძლოს ცხვირით სუნთქვა, ისუნთქოს მხოლოდ პირით;
4. პაციენტს ეძლევა სტერილური სატუჩარი, მუნშტუკი, რომელიც მიმაგრებულია სპირომეტრთან;
5. ტუჩი მჭიდროდ ეკვრის სატუჩარს და პაციენტს ეძლევა ინსტრუქცია სხვადასხვა გზით ჩასუნთქვა-ამოსუნთქვის;
6. უნდა მოხდეს მჭიდრო მონიტორინგი და შეფასება პროცედურის დროს განვითარებული სისუსტის, სუნთქვის გაძნელების;
7. ბრონქოდილატატორი ეძლევა პაციენტს ზოგიერთი პროცედურის დროს, ტესტი მეორდება ბრონქოდილატატორის მიღებიდან რამოდენიმე წუთში.

3. ტრაქექოსტომია

ტრაქექოსტომია არის პროცედურა, რომელიც საშუალებას იძლევა ჰაერი და ჟანგბადი ჩავიდეს ფილტვებში ტრაქეის მთლიანობის დარღვევის გზით, ტრაქექოსტომია ხდება კისერზე განაკვეთით.

პროცედურის აღწერა

ქირურგიული განაკვეთი ტრაქეაზე იქმნება დროებით ან მუდმივად, როცა ინტუბაცია მოსალოდნელია რომ გაგრძელდება > 1-2 კვირაზე.

მცირე ზომის მილი იდგმება ტრაქეაში, რაც ამცირებს პნევმონიის რისკს. ხშირად ტრაქეოსტომია ხორციელდება საოპერაციო ბლოკში, ზოგადი ანესთეზიის ქვეშ. ხელს უწყობს სეკრეტის ამოტუმბვას ფილტვებიდან. გამოიყენება, როდესაც ავადმყოფი ხანგრძლივად საჭიროებს ფილტვების ხელოვნურ ვენტილაციას. გადაუდებელი ტრაქეოსტომია ხორციელდება, მაშინ როცა სასუნთქი გზების უეცარი დახშობა ხდება სახის ან კისრის არეში ტრავმული დაზიანების შედეგად ტრაქეოსტომიით პაციენტები უფრო სწრაფად იხსნებიან სასუნთქი აპარატიდან, ვიდრე ენდოტრაქეულად ინტუბირებული პაციენტები.

ჩვენება

- ხანგრძლივი ხელოვნური ვენტილაცია;
- ფილტვის ტუალეტი;
- სასუნთქი გზების დაცვა;
- ქირურგიული ჩარევები;
- ზედა სასუნთქი გზების დახშობა;
- ასპირაციის რისკი.

კონკრეტული მდგომარეობები, რომლებიც საჭიროებს ტრაქეოსტომიის გაკეთებას:

- სასუნთქი გზების თანდაყოლილი ანომალიები;
- ინჰალანტებით ან კოროზიული ნივთიერებებით სასუნთქი გზების დამწვრობა;
- უცხო სხეულის ობსტრუქცია სასუნთქ გზებში;
- ხორხის დაზიანება;
- კისრის ან პირის მწვავე დაზიანება;
- ორმხრივი სახმო იოგების პარალიზი;
- სახის დამწვრობა ან ოპერაციები;

- ფილტვის ქრონიკული დაავადებები;
- ანაფილაქსია;
- კომა;
- თავ-კისრის სიმსივნეები;
- ყლაპვის კუნთების პარალიზი;
- დაზიანება გულმკერდის არეში;
- დიაფრაგმის დისფუნქცია.

გართულებები

ტრაქეოსტომიის გართულებები შესაძლოა გამოვლინდეს ადრეულ, მოკლე და ხანგრძლივ პერიოდში.

ადრეული გართულებები

- სისხლდენა;
- ასპირაცია;
- პნევმოთორაქსი;
- ტექნიკურად შეუსრულებელი პროცედურა.

მოკლე პერიოდის გართულებები

- დახშობა;
- პნევმოთორაქსი;
- ქირურგიული ემფიზემა;
- ინფექცია;
- ტრაქეის ნეკროზი;
- ტრაქეო-არტერიული ფისტულა.

ხანგრძლივი პერიოდის გართულებები

- ტრაქეომალაცია;
- კან-ტრაქეის ფისტულა;
- ტრაქეის სტენოზი;
- დეკანულაციის პრობლემები.

4. პრეოქსიგენაცია

პრეოქსიგენაცია გულისხმობს ადექვატურ მანუალურ, არაინვაზიურ, მაღალი ნაკადით 100% ჟანგბადით პაციენტის ვენტილაციას სახის ნიღბის გამოყენებით დაახლოებით 3 წუთის განმავლობაში.

ტერმინი ჰაერსავალი გზა მოიცავს ცხვირის და პირის ღრუს, ხახას, ხორხს, ტრაქეას და ბრონქებს. ადამიანებში ჰაერსავალი გზა ძირითადად არის გამტარი გზა. ვინაიდან, პირ-საყლაპავის და ცხვირ-ტრაქეის გზები კვეთენ ერთმანეთს, ანატომიური და ფუნქციური სირთულეები ვლინდება და სასუნთქი გზების დაცვაა საჭირო ასპირაციისა და ხორხში საკვების მოხვედრის თავიდან ასაცილებლად. ანატომიური სტრუქტურები იცვლებიან ზომისა და ფორმის მიხედვით ბავშვებსა და დიდებში.

ხორხის ჩონჩხი ანატომიურად შედგება ცხრა ხრტილისგან(სამი წყვილი და სამი კენტი) ერთად ისინი ქმნიან სახმო ნაკეცებს. ხორხის სტრუქტურების მოძრაობა კონტროლდება ორი ჯგუფის კუნთებით: გარეგანი კუნთები, რომლებიც ხორხის მოძრაობას ურუნველყოფენ მთლიანობაში და შიგნითა კუნთები, რომლებიც ამოძრავებენ სხვადასხვა ხრტილს ერთმანეთთან თანხვედრაში. ხორხის ინერვაცია ხდება ცდომილი ნერვის ორი ტოტით: ხორხის ზედა და შებრუნებული ხორხის ნერვებით. ვინაიდან, შებრუნებული ხორხის ნერვი აინერვირებს ხორხის შიგნითა კუნთებს, ამ ნერვის ტრავმა იწვევს სახმო იოგების დისფუნქციას. ნერვის ცალმხრივი დაზიანების დროს ჰაერსავალი ფუნქცია შენახულია, თუმცა ხორხის დამცავი ფუნქცია დაზიანებულია და არსებობს ასპირაციის საფრთხე.

კრიკოთიროიდული მემბრანა უზრუნველყოფს კრიკოთიროიდული სივრცის საფარველს. ზრდასრულებში მემბრანა 9 მმ არის სიგრძეში და 3 სმ სიგანის, შედგება ყვითელი ელასტიური ქსოვილისგან, რომელიც მოთავსებულია კანსა და სახის თხელ შრეს შორის. პირდაპირ მემბრანის ქვეშ მდებარეობს ხორხის ლორწოვანი.

ბეჭდისებრ ხრტილზე ჩამოკიდებულია ტრაქეა, ბეჭდისებრ-ტრაქეის იოგით. ტრაქეა ზომით 15 სმ დიდებში და გამყარებულია 17-18 ხრტილით, უკანა მემბრანული ზედაპრი ესაზღვრება საყლაპავს. დიდებში ტრაქეის პირველი რკალი მდებარეობს კისრის მეექვსე მალის წინ. ტრაქეის ხრტილები ერთმანეთთან დაკავშირებულია

ფიბროელასტიური ქსოვილით, რაც მას საშუალებას აძლევს გაიჭიმოს ზომასა და დიამეტრში ჩასუნთქვა-ამოსუნთქვის დროს. ტრაქეა ბოლოვდება მეხუთე გულმკერდის მალის დონეზე, სადაც მისი ბიფურკაცია ხდება ბრონქებად. მარჯვენა ბრონქი დიამეტრით უფრო დიდია ვიდრე მარცხენა, ამდენად ენდოტრაქეული მილიც ღრმად ჩაწევის შემთხვევაში ანატომიური თავისებურების გამო მიდის მარჯვენა ბრონქისკენ.

ჰაერსავალი გზების მართვის ისტორია

1874 წლამდე ჰაერსავალი გზების დახშობა არ იყო შესწავლილი. ჰაერგამტარის პირველი მოდელი ჯოზეფ ტომას კლოვერმა პირველად 1880 წელს გამოიყენა. კლოვერი ასევე იყენებდა ცხვირხახის მილებს ქლოროფორმით ანესთეზიისთვის. 1884 წელს გამოგონილ იქნა ოდოიერის მილი, მეტალის მოხრილი ჰაერგამტარი ხელსაწყო, რომელიც პირიდან ხორხის შესასვლელამდე წვდებოდა და თავსდებოდა პირხახაში.

ტრაქეის ინტუბაცია პირველად 1788 წელს განხორციელდა, როგორც სარეანიმაციო ღონისძიება მომაკვდავ პაციენტში, ხოლო თითქმის 100 წლის შემდეგ თანამედროვე ენდოტრაქეული მილის პირველი მოდელი გამოიგონა გერმანელმა ოტოლარინგოლოგმა ფრანც კუნმა. კუნმა გამოიგონა დრეკადი მეტალის მილი, რომელიც არ იგრინებოდა და იდეალურად იმეორებდა სასუნთქი გზების ანატომიას.

სერ ივან მაგილმა და სტენლი როუბოტამმა შექმნეს თანამედროვე ენდოტრაქეული მილები, რომელთაც იყენებდნენ პირველ მსოფლიო ომში, სახის რეკონსტრუქციის წარმოებისთვის. მეორე მსოფლიო ომმა გამოავლინა ბევრი ხარვეზი, რომელიც ახლდა ბრმად სასუნთქი სისტემის დაცვას და საჭირო გახდა თანამედროვე მეთოდების დანერგვა, 1951 წლიდან პირდაპირი ლარინგოსკოპიისა და სუქცინილქოლინის გამოყენებამ შესაძლებელი გახადა ტრაქეის ინტუბაციის უსაფრთხოება და წარმატება.

5. ენდოტრაქეული ინტუბაცია

ენდოტრაქეული ინტუბაცია არის პროცედურა, რომელიც ხორციელდება მაშინ, როცა ამა თუ იმ მიზეზით ადამიანს არ შეუძლია ისუნთქოს დამოუკიდებლად.

ჩვენება:

გადაუდებელ განყოფილებაში ტრაქეის ინტუბაციის ყველაზე ხშირი ჩვენებაა სუნთქვის მწვავე უკმარისობა, არასაკმარისი ოქსიგენაცია ან ვენტილაცია იმ პაციენტებში, რომლებსაც აქვთ ცნობიერების დაბინდვა. საოპერაციო ბლოკში ინტუბაციის ჩვენებაა ზოგადი ანესთეზიის წარმოება სხვადასხვა ქირურგიული ოპერაციებისთვის. უგონო პაციენტები, რომლებსაც სჭირდებათ სასუნთქი გზების პროტეზირება. იშვიათად ენდოტრაქეული ინტუბაცია ხდება ჰიპერვენტილაციის მიზნით, რათა შემცირდეს ინტრაკრანიალური წნევა.

უკუჩვენება:

არსებობს მცირე რაოდენობა ტრაქეის ინტუბაციის აბსოლუტური უკუჩვენების. ხორხის და ხორხსარქველის პათოლოგიები, ხორხის ტრავმული დაზიანება, ხორხისა და ხორხზედა სტრუქტურების შეშუპება, გამონვეული ბაქტერიული ინფექციებით, დამწვრობით ან ანაფილაქსიური შოკით. ასეთ შემთხვევებში ლარინგოსკოპიით სტრუქტურების ვიზუალიზაცია თითქმის შეუძლებელია, ენდოტრაქეული ინტუბაციის მცდელობა შეშუპების მომატებასა და ტრავმატიზაციასთან არის დაკავშირებული.

შეფარდებით უკუჩვენებას წარმოადგენს ანატომიური თავისებურებები, სასუნთქი გზების დაზიანება და კლინიცისტის გამოუცდელობა.

გადაუდებელი მედიცინის განყოფილებაში ტრაქეის ინტუბაცია ხდება სტრესულ პირობებში. ტრაქეის ინტუბაციას სჭირდება გამოცდილება და ინტუბაციის რამოდენიმე მეთოდის ცოდნა. გამოცდილმა ექიმმა უნდა იცოდეს თუ როგორ აღმოაჩინოს პოტენციურად რთული ინტუბაცია, წამლები, რომლებიც საჭიროა სხვადასხვა კლინიკურ სიტუაციაში და რთული ან წარუმატებელი ინტუბაციის მართვა. შესაძლოა გამოცდილ გადაუდებელ განყოფილების ექიმმაც დაავიანოს ინტუბაცია, რაც იწვევს პაციენტის ავადობას და სიკვდილს.

პაციენტის ინტუბაციის გადაწყვეტილება ექიმმა უნდა მიიღოს ფაქტებზე დაყრდნობით და ყოყმანის გარეშე. მაგ: თავის მძიმე ტრავმა საჭიროებს დაუყოვნებელ ინტუბაციას, ხოლო რესპირატორული დისტრესი ან სუნთქვის უკმარისობა საჭიროებს მდგომარეობის გაუმჯობესებას არაინვაზიური დადებითი წნევით ვენტილაციის უზრუნველყოფას.

როდესაც ინტუბაციის ჩვენება ბუნდოვანია, ექიმი პაციენტის მდგომარეობას აფასებს 3 კითხვის დასმით, რაც განსაზღვრავს ინტუბაციის საჭიროებას:

- გამოხატულია თუ არა სასუნთქი გზების უკმარისობა?
- გამოხატულია თუ არა ოქსიგენაციის ან ვენტილაციის უკმარისობა?
- გამოხატულია თუ არა ინტუბაციის საჭიროება?

ინტუბაციის ტექნიკის აღწერა

ინტუბაცია მოითხოვს შემდეგი ეტაპების გავლას:

- მომზადება;
- პრეოქსიგენაცია;
- ინდუქცია;
- პოზიცია;
- ინტუბაცია;
- პოსტინტუბაციური მართვა.

მომზადება

მომზადებაში იგულისხმება მოსალოდნელი გართულებების შეფასება, სასუნთქვი გზების მართვის გეგმის შემუშავება (ასევე სათადარიგო გეგმის ქონა) ყველა საჭირო აღჭურვილობის მომზადება, აუცილებელი პერსონალის ყოლა და წამლების მომზადება. რთული ინტუბაციის შეფასება.



სურათი 1. ინტუბაციისთვის საჭირო ინვენტარი.

პრეოქსიგენაცია

პრეოქსიგენაცია უნდა გამოვიყენოთ ყველა შემთხვევაში, როცა გვაქვს საკმარისი დრო. ეს არის პროცედურა, რომელიც საშუალებას გვაძლევს ჩავანაცვლოთ აზოტის მოცულობა ფილტვებში (69% ფუნქციური ნარჩენი ტევადობის) ჟანგბადით, რათა უზრუნველყოთ ერთგვარი რეზერვუარი, აპნოეს ფაზაში ალვეოლური კაპილარული სისხლისთვის. პრეოქსიგენაცია 100%-იანი ჟანგბადით მჭიდროდ მორგებული სახის ნიღბით 5 წუთის განმავლობაში, სპონტანურ სუნთქვაზე მყოფ პაციენტებში, 10 წუთიან ჟანგბადის რეზერვს ქმნის აპნოეს ფაზაში. იდეალურ პირობებში, პაციენტი სუნთქავს ატმოსფერულ ჰაერს (21% ჟანგბადი), ასეთ პაციენტში ოქსიჰემოგლობინის სატურაცია <90% ხდება აპნოეს 2 წუთში. მსუქან პაციენტებში, სუნთქვის უკმარისობით პაციენტებში, ან რაიმე რესპირატორული პრობლემით ავადმყოფებში დესატურაცია გაცილებით სწრაფად ხდება.

უფრო ნაკლებ დროის მომცველი მეთოდებიც არსებობს პრეოქსიგენაციის,მაგ: თუ 4 სასიცოცხლო ტევადობას ჩავისუნთქავთ 30 წამის განმავლობაში, 100% ჟანგბადის გამოყენებით, ამ მეთოდით ძალიან იზრდება არტერიული ოქსიგენაცია.

ჰაერსავალი გზების მხარდაჭერა ანესთეზიის ინდუქციის პროცესში

ანესთეზიის ინდუქციის პროცესში იწყება აპნოე და ოქსიგენაცია და ვენტილაცია უზრუნველყოფილია ანესთეზიოლოგის მიერ. ტრადიციული მეთოდებია სახის ნიღბის გამოყენება და ენდოტრაქეული მილი, ხორხის ჰაერგამტარი ნიღაბი გამოიყენება დაახლოებით 35% შემთხვევაში.

სახის ნიღბით ანესთეზია

სახის ნიღბით ანესთეზია არის ხელსაწყო, რომელიც გამოიყენება საანესთეზიო აირებისა და ჟანგბადის მიწოდებისთვის და ასევე აპნოეს პირობებში პაციენტის ვენტილაციისთვის. ანესთეზიის ინდუქციაში პაციენტის ცნობიერება იცვლება ნათელი ცნობიერებიდან უგონო მდგომარეობამდე. სახით ნიღბით ვენტილაცია არის მინიმალურად ინვაზიური, უნივერსალური და გამოიყენება ჰაერსავალი გზების მართვისთვის. სახის ნიღაბი მჭიდროდ ედება პაციენტს სახეზე და მისი დაჭერა ხდება მარცხენა ხელით. ანესთეზიის ინდუქციის პრეოქსიგენაციის ფაზაში საანესთეზიო აირების გაჟონვა უნდა ავიცილოთ თავიდან. სახის ნიღბით სწორი ვენტილაციისთვის ყბის წამოწევა და თავის ტრაქცია გვჭირდება ადეკვატური ოქსიგენაციის მისაღწევად. უკბილო პაციენტებში სახის მარტივი ნიღბით ვენტილაცია უფრო რთული ხდება. მაშინ როცა სახის ნიღბით ვენტილაცია რთული ხდება და ჰერმეტიზაცია ირღვევა, ასევე შესაძლებელია ცხვირის და პირის აირგამტარის გამოყენება. ცხვირის აირგამტარი მილები უფრო ნაკლებად იწვევენ გულიწრევის, ლებინებისა და ხველის რეფლექსებს ანესთეზირებულ პაციენტებში, თუმცა ხშირია ცხვირიდან სისხლდენები მათი გამოყენების შემდეგ.

ხმისზედა ჰაერგამტარი

ხორხის აირგამტარი არის ყველაზე ხშირად გამოყენებადი ხმისზედა ჰაერგამტარი ამერიკაში. სხვა აირგამტარებთან შედარებით, რომლებიც ადრეულ 1990 იანებში გამოიყენებოდა, 2002 წელს გამოიგონეს თანამედროვე ხორხის აირგამტარი. არსებობს სხვადასხვა ტიპის ხორხის აირგამტარები: კლასიკური, დრეკადი. ასეთი ტიპის ხორხის აირგამტარებს აქვთ მცირე ზომის ნიღაბი, რომელსაც იმგვარი

ფორმა აქვს, რომ პირდაპირ ებჭინება ხორხის ზედაპირს. მას ასევე აქვს მუფთა, რომელიც იბერება, როგორც კი ნილაბი მოხვდება სასუნთქელ ადგილას. ლარინგიალური ნილბები განსხვავდება ზომის მიხედვით.

ლარინგიალური ნილბების უპირატესობებია: იმ პაციენტებს, ვისაც აღენიშნებათ მიდრეკილება ბრონქოსპაზმისკენ, ტრაქეის ინტუბაცია ამწვავებს ბრონქოსპაზმს, ხოლო ლარინგიალური ნილბის გამოყენება ამცირებს ბრონქოსპაზმის გამოყენებას.

ლარინგიალური ნილბის გამოყენება უკუნაჩვენებია კუჭის შიგთავსის ასპირაციის რისკის შემთხვევებში (მაგ: სავსე კუჭი, დიაფრაგმის თიაქარი, ნაწლავის ობსტრუქცია და ა.შ), სხვა უკუნაჩვენებებია ფილტვის ტევადობის შემცირება, სასუნთქი გზების ობსტრუქცია.


თავი VI – გულ-სისხლძარღვთა სისტემა

1. ელექტროკარდიოგრაფია

ჯერ კიდევ 1787 წელს გალვანმა შეამჩნია, რომ ბაყაყის კუნთზე ელექტრული იმპულსების ზემოქმედება ამ უკანასკნელის შეკუმშვას იწვევდა. 1843 წელს კარლო მატეუჩი კიდევ ერთხელ მიუბრუნდა ზემოთ ნახსენებ თემატიკას და აღმოაჩინა, რომ თურმე ელექტრულ იმპულსებს გულის კუნთის მუშაობაზეც შეეძლოთ გარკვეული ზეგავლენის მოხდენა. მან განაგრძო ექსპერიმენტალური სამუშაოები ფრინველებზე, კერძოდ კი მტრედებზე, რამაც ერთგვარი საფუძველი ჩაუყარა მომავალში ელექტროკარდიოგრაფიის პრინციპებს.

1876 წელს პირველად მოხერხდა აღნიშნული ელექტრული იმპულსების გრაფიკული სახით აღბეჭდვა. ამისათვის ე.წ. მარეიმ გამოიყენა ლიპმანის კაპილარული ელექტრომეტრი, რომლის საშუალებითაც აუგუსტუსმა 1907 წელს პირველად მოახერხა ადამიანის ელექტროკარდიოგრაფიის ჩაწერა. თუმცა ეს ხელსაწყო და თავად მეთოდიც ჯერ კიდევ შორს იყო სრულყოფილებისაგან.

1903 წელს გამოჩნდა ცნობილი ჰოლანდიელი ფიზიოლოგი ვილემ ეინთჰოვენი, რომელმაც მისი წინამორბედების ოცნებები რეალობად აქცია და შექმნა ხელსაწყო, რომელმაც მას 1924 წელს ნობელის პრემიაც კი მოუტანა. იგი მიჩნეულია ელექტროკარდიოგრაფიის გამომგონებლად. ეკგ-ზე აღბეჭდილი კბილების შესატყვისი ასოებით აღნიშვნა (p, q, r, s, t), რომელსაც დღემდე ვიყენებთ, სწორედ მისი იდეაა. თუმცა, მაშინდელი დანადგარი საკმაოდ დიდი ზომის იყო, რაც მის ყოველდღიურ გამოყენებას კლინიკაში შეუძლებელს ხდიდა.



სურათი 1: პირველი ელექტროკარდიოგრაფი

რა თქმაუნდა დროთა განმავლობაში იგი დაიხვეწა და დღეს-დღეისობით მისი ტრანსპორტირება და ყოველდღიურად გამოყენება აღარანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. კარდიოგრამის პირველ 3 განხრას დღემდე ეინთჰოვენის სახელწოდებით მოიხსენიებენ. ე.წ. სტანდარტული განხრები, რომლებიც რეგისტრირდება ელექტროდების შემდეგი სახით წყვილად ჩართვის შედეგად:

- I განხრა – მარცხენა ხელი (+) და მარჯვენა ხელი (-);
- II განხრა – მარცხენა ფეხი (+) და მარჯვენა ხელი(-);
- III განხრა – მარცხენა ფეხი (+) და მარცხენა ხელი (-).

(+) და (-) ნიშნებით აღნიშნულია გალვანომეტრის თუ რომელ პოლუსთან არის შეერთებული ელექტროდი, ე.ი. მითითებულია ყოველი განხრის დადებითი და უარყოფითი პოლუსი.


1942 წელს გოლდბერგერმა კიდევ უფრო დახვეწა ელექტროკარდიოგრაფია და ეინთჰოვენის სტანდარტულ განხრებს დაუმატა გაძლიერებული განხრები კიდურებიდან, რომელთა აღნიშვნებიც წარმოდგება შესაბამისი ინგლისური სიტყვების პირველი ასოებიდან, ესენია:

- aVR – გაძლიერებული განხრა მარჯვენა ხელიდან;
- aVL – გაძლიერებული განხრა მარცხენა ხელიდან;

aVF – გაძლიერებული განხრა მარცხენა ფეხიდან.

თანამემამულის მსგავსად თავისი წვლილი ელექტროკარდიოგრაფის დახვეწაში ამერიკელმა კარდიოლოგმა ფრანკ ვილსონმაც შეიტანა, რომელმაც შემოგვთავაზა ე.წ. გულმკერდის განხრები. თითოეული განხრა აღინიშნება V ასოთი და დანომრილია 1-დან 6-ის ჩათვლით.

დღეისათვის, ეკგ-ს მნიშვნელობა კარდიოლოგიაში შეუცვლელია.



სურათი 2: თანამედროვე ელექტროკარდიოგრაფია

ელექტროკარდიოგრაფის გადაღება

ელექტროკარდიოგრაფია – მიოკარდიუმში წარმოქმნილი ელექტრული იმპულსების გრაფიკული გამოსახულებაა, რომლის რეგისტრირება ხდება სპეციალური ხელსაწყოთა, ელექტროკარდიოგრაფის საშუალებით.

ე.კ.გ.-ს საშუალებით ვაფასებთ:

- გულის შეკუმშვათა სიხშირეს და რეგულარულობას;
- მიოკარდიუმის მწვავე ან ქრონიკულ დაზიანებას (მიოკარდიუმის ინფარქტი, იშემია);
- ელექტროლიტური დისბალანსით გამოწვეულ ცვლილებებს;
- გულის კამერების მდგომარეობას (ჰიპერტროფია);

- არაკარდიულ დაავადებებს (მაგ. ფილტვის არტერიის თრომბოემბოლია);
- მედიკამენტებით გამოწვეულ ჰიპერდოზირებას;
- სხვადასხვა გენეტიკური პათოლოგიების არსებობას და ა.შ.

აღჭურვილობა

- ელექტროკარდიოგრაფი, რომელშიც წინასწარ იქნება ჩადებული ელექტროკარდიოგრაფიის ლენტი;
- მნებავი ერთჯერადი/ან მრავალჯერადი ელექტროდები;
- საპარსი (ეკგ-ს ხარვეზების რეგისტრაციის თავიდან ასაცილებლად, საჭიროების შემთხვევაში, გულმკერდზე არსებული ჭარბი თმა უნდა მოცილდეს/მოიპაროს).

ეკგ რეგისტრაციის დაწყებამდე

- დაიბანეთ ხელი ან გამოიყენეთ ანტისეპტიკური ხსნარი. ჩაიცვიეთ ერთჯერადი ხელთათმანი;
- გაეცანით პაციენტს. უთხარით თქვენი სახელი, გვარი, თქვენი თანამდებობა ან ფუნქცია;
- დააბუსტეთ პაციენტის სახელი, გვარი და დაბადების თარიღი;
- პაციენტს განუმარტეთ გამოკვლევა მისთვის გასაგებ ენაზე, მაგ. „უნდა გადაგიღოთ ელექტროკარდიოგრამა. ეს არის გულის ელექტრული აქტივობის გრაფიკული ჩანაწერი. კიდურებსა და გულმკერდზე დაგაკრავთ წებოვან ელექტროდებს და გადავიღებთ კარდიოგრამას“;
- უთხარით პაციენტს, რომ მისი თანხმობის შემთხვევაში გამოკვლევას დაესწრება თქვენს გარდა სხვა პერსონალი (მაგ. მდებრობითი სქესის მედპერსონალი მდებრობითი სქესის პაციენტის შემთხვევაში);
- მიიღეთ სიტყვიერი თანხმობა ეკგ რეგისტრაციაზე;
- პაციენტი მოამზადეთ გამოკვლევისთვის. პაციენტმა ტანსაცმლისგან უნდა გაინთავისუფლოს გულმკერდი და ქვედა კიდურების ქვედა ნაწილები და მატები (შეგიძლიათ მისცეთ გადასაფარებელი, იმ ნაწილების დასაფარად, რომლის ტანსაცმლისგან გათავისუფლება არაა აუცილებელი);
- დააწვინეთ პაციენტი გასასინჯ ტახტზე ისე, რომ თავი ამაღლე-

- ბული ჰქონდეს 45° კუთხით;
- სანამ დაიწყებდეთ ეკგ რეგისტრირებას, ჰკითხეთ ხომ არ აქვს ტკივილი ან დისკომფორტი.

ელექტროდების განლაგება

ეკგ-ს ხარვეზებით რეგისტრაციის თავიდან ასაცილებლად, ელექტროდების კანთან მჭიდრო კონტაქტის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, გულმკერდზე არსებული წარბი თმა უნდა მოცილდეს/მოიპარსოს (ავადმყოფის სიტყვიერი თანხმობის შემდეგ). ზედმეტად ცხიმიანი კანის შემთხვევაში კანი უნდა გაიწმინდოს სპირტით. ელექტროდების მიმაგრებისას კანი მშრალი უნდა იყოს. დაბინძურებული კანის შემთხვევაში კანი უნდა დაიბანოს საპნით და წყლით და შემდეგ გაშრეს ელექტროდების დაკრობამდე.

ელექტროდს ძლიერად არ დააწვეთ დაკრობისას, რომ გელი გარეთ არ გამოვიდეს და ელექტროდი არ აძვრეს.

პაციენტს უმაგრდება 10 ელექტროდი. 4 ელექტროდი მაგრდება ზედა და ქვედა კიდურებზე, 6 გულმკერდზე.

გულმკერდზე განლაგდება გულმკერდის 6 ელექტროდი შემდეგნაირად:

- V1 – მეოთხე ნეკნთაშორის სივრცეში, მკერდის ძვლის მარჯვენა კიდესთან;
- V2 – მეოთხე ნეკნთაშორის სივრცეში, მკერდის ძვლის მარცხენა კიდესთან;
- V3 – V2 და V4 ელექტროდებს შორის შუა წერტილი;
- V4 – მეხუთე ნეკნთაშორის სივრცეში, ლავინშუა ხაზზე, მარცხნივ;
- V5 – მეხუთე ნეკნთაშორის სივრცეში, ილლიის წინა ხაზზე, მარცხნივ;
- V6 – მეხუთე ნეკნთაშორის სივრცეში, ილლიის შუა ხაზზე, მარცხნივ.



სურ.3. გულმკერდის ელექტროდების განლაგება შესაბამის წერტილებში.

ელექტროდების განლაგების შემდეგ ელექტროდებს მიუმაგრეთ შესაბამისი სადენები.

კიდურებზე ელექტროდები თავსდება შემდეგნაირად:

წითელი ელექტროდი Red (RA): მარჯვენა წინამხარზე;

ყვითელი (LA): მარცხენა წინამხარზე;

მწვანე (LL): მარცხენა კოჭთან შიგნითა ან გარეთა ზედაპირზე;

შავი (RL): მარჯვენა კოჭთან შიგნითა ან გარეთა ზედაპირზე.

კიდურების ელექტროდებსაც უმაგრებთ შესაბამის სადენებს ქვედა მხრიდან (უფრო მოსახერხებელია).



სურ. 4. ელექტროდების დადება

- დარწმუნდით, რომ კარდიოგრაფში დევს ეკგ-ის ლენტი;
- დარწმუნდით, რომ პაციენტს ელექტროდები კარგად აქვს დამაგრებული;
- სთხოვეთ პაციენტს, რომ არ იმოძრაოს ან ისაუბროს ეკგ-ს რეგისტრაციის პერიოდში;
- ჩაიწერეთ 12-განხრიანი ეკგ.

ეკგ-ს განხრები

სტანდარტული ორპოლუსიანი განხრები:

- I სტანდარტული განხრის მისაღებად ირთვება ორივე წინამხარზე მიმაგრებული ელექტროდები;
- II სტანდარტული განხრის მისაღებად ირთვება მარჯვენა წინამხარსა და მარცხენა წვივზე მიმაგრებული ელექტროდები;
- III სტანდარტული განხრის მისაღებად ირთვება მარცხენა წინამხარსა და მარცხენა წვივზე მიმაგრებული ელექტროდები.

გაძლიერებული ერთპოლუსიანი განხრები (Augmented Volume):

- AVR გაძლიერებული ერთპოლუსიანი განხრა მარჯვენა ხელიდან მიიღება აქტიური ელექტროდის ჩართვით მარჯვენა ხელიდან და მარცხენა ხელისა და ფეხის ელექტროდების გაერთიანებით და ერთად ჩართვით;
- AVL გაძლიერებული ერთპოლუსიანი განხრა მარცხენა ხელიდან მიიღება აქტიური ელექტროდის ჩართვით მარცხენა ხელიდან და მარჯვენა ხელისა და მარცხენა ფეხის ელექტროდების გაერთიანებით და ერთად ჩართვით;
- AVF გაძლიერებული ერთპოლუსიანი განხრა მარცხენა ქვედა კიდურიდან მიიღება აქტიური ელექტროდის ჩართვით მარცხენა ფეხიდან და მარჯვენა ხელისა და მარცხენა ხელის ელექტროდების გაერთიანებით და ერთად ჩართვით.

გულმკერდის ერთპოლუსიანი განხრები (V1-V6-Voltage leads):

გულმკერდის ერთპოლუსიანი განხრების მისაღებად აქტიურ ელექტროდს ათავსებენ გულმკერდზე შესაბამის წერტილებში, ხოლო

მეორე ელექტროდი წარმოიქმნება სამივე კიდურზე დამაგრებული ელექტროდების გაერთიანებით და ჩართვით.

ეკგ-ზე დაიტანეთ შემდეგი მონაცემები:

- ავადმყოფის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი ან ასაკი;
- რა მიზნით ჩაუტარდა ელექტროკარდიოგრაფია;
- იმ შემთხვევაში, თუ ეკგ ლენტზე ავტომატურად არ იწერება, ეკგ რეგისტრაციის თარიღი და დრო თქვენ მიაწერეთ აუცილებლად.

2. გულმკერდის დრენირება

გულმკერდის დრენაჟის ევოლუცია: ისტორიული პერსპექტივა

მთელი ისტორიის მანძილზე, გულმკერდის ისეთი დაავადებების მკურნალობა, როგორცაა პნევმოთორაქსი, პლევრალური გამონაჟონი და ემპიემა, ექიმებისთვის მთავარი გამოწვევა იყო. გულმკერდის დრენაჟის ტექნიკის განვითარება წარმოადგენს ინოვაციების, ექსპერიმენტებისა და გაუმჯობესების საინტერესო ისტორიას, რომელიც მოიცავს სამედიცინო პროგრესის ყველა ეტაპს.

გულმკერდის დრენაჟის კონცეფცია პირველად შემოგვთავაზა ჰიპოკრატემ, როდესაც მან აღწერა ემპიემის მკურნალობა ქრილობის ამოწვისა და ლითონის მილების ჩასმის გზით. თუმცა, ეს მეთოდი ფართოდ არ გამოიყენებოდა 1918 წლის გრიპის ეპიდემიამდე პოსტპნევმონიური ემპიემის ევაკუაციისთვის, რომელიც პირველად აღწერა დოქტორმა გრეჰემმა.

პირველი ცნობები გულმკერდის დაავადებებზე მომდინარეობს უძველესი ცივილიზაციებიდან, სადაც გულმკერდის დაზიანებებისა და რესპირატორული დაავადებების აღწერილობები გვხვდება ეგვიპტის, მესოპოტამიისა და ძველი საბერძნეთის სამედიცინო ტექსტებში. თუმცა, ამ დაავადებების ეფექტური მკურნალობა შეზღუდული იყო ამ პერიოდში.

უძველესი ექიმები აკვირდებოდნენ გულმკერდის დაზიანებებს და მათ გავლენას სუნთქვაზე, მაგრამ თერაპიული ჩარევები ხშირად რუდემენტული იყო და მნიშვნელოვან რისკებს ატარებდა. მაგალითად,

პნევმოთორაქსის მკურნალობის ადრეული მცდელობები მოიცავდა პროცედურებს, როგორცაა ბანკებით მკურნალობა ან გულმკერდის დასერვა, რომლებიც მიზნად ისახავდა ქარბი ჰაერის ამოღებას მკერდიდან, მაგრამ ხშირად იწვევდა შემდგომ გართულებებს.

ადრეული ინოვაციები და ექსპერიმენტული მეთოდები

მხოლოდ რენესანსისა და თანამედროვე ანატომიის და ქირურგიის შემდგომი განვითარებით დაიწყო უფრო სისტემატური მიდგომები გულმკერდის დაავადებების მიმართ. მე-17 და მე-18 საუკუნეებში პიონერმა ქირურგებმა, როგორებიც იყვნენ ამბრუაზ პარე და ჯონ ჰანტერი, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს გულმკერდის დაზიანებებისა და დაავადებების შეცნობასა და მკურნალობაში.

გულმკერდის დრენაჟის ერთ-ერთი ყველაზე ადრეული დოკუმენტირებული მცდელობა მოხდა მე-18 საუკუნის ბოლოს, როდესაც ინგლისელმა ექიმმა ჰენრი ჰილ ჰიკმანმა აღწერა ემპიემის დრენირების მეთოდი ტროაკარისა და კანულის გამოყენებით. მიუხედავად იმისა, რომ მისი ტექნიკა უხეში იყო და თანამედროვე სტანდარტებით იწვევდა მაღალ სიკვდილიანობას, მან საფუძველი ჩაუყარა სამომავლო მიღწევებს გულმკერდის ქირურგიაში.

მე-19 საუკუნეში მნიშვნელოვანი პროგრესი იყო გულმკერდის ქირურგიის სფეროში, რაც გამოწვეული იყო ანესთეზიის, ქირურგიული ტექნიკისა და სამედიცინო ინსტრუმენტების განვითარებით. ქირურგებმა, თეოდორ ბილროტიმ და რიჩარდ ფონ ვოლკმანმა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს გულმკერდის ქირურგიის განვითარებაში თორაკოტომიის ტექნიკის გაუმჯობესებით და გულმკერდის დაავადებების მკურნალობის ახალი მიდგომების შესწავლით.

1852 წელს ფრანგმა ექიმმა ჟოზეფ-ფრანსუა მალგანმა შემოიტანა ნეკნთაშუა დრენაჟის კონცეფცია ემპიემის სამკურნალოდ, მხარი დაუჭირა სადრენაჟო მილის შეყვანას გულმკერდის კედელში ჩირქის ევაკუაციისა და ფილტვების ხელახალი გაფართოების სტიმულირებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ მის მეთოდს თავდაპირველად სკეპტიციზმი მოჰყვა, მან გზა გაუხსნა გულმკერდის დრენაჟის ტექნიკის ფართოდ გამოყენებას მომდევნო წლებში.

თანამედროვე ინოვაცია და სტანდარტიზაცია

მე-20 საუკუნეში მოხდა გულმკერდის დრენაჟის ტექნიკის შემდგომი გაუმჯობესება და სტანდარტიზაცია, რაც განპირობებული იყო ქირურგიული ინსტრუმენტების, ვიზუალიზაციის ტექნოლოგიების მიღწევებით და გულმკერდის ანატომიის და ფიზიოლოგიის გაგებით. ინოვაციებმა, როგორცაა დახურული დრენაჟის სისტემების დანერგვა, გულმკერდის მილის გაუმჯობესებულმა მასალებმა და პროცედურის ჩატარებამ ვიზუალიზაციის კონტროლით, მოახდინა რევოლუცია გულმკერდის ქირურგიის სფეროში და მნიშვნელოვნად გააუმჯობესა პაციენტის გამოჯანმრთელების სიხშირე.

დღეს გულმკერდის დრენაჟის პროცედურები არის რუტინული პროცედურები, რომლებსაც ასრულებენ გულმკერდის ქირურგები, ინტერვენციული რადიოლოგები და ჯანდაცვის სხვა პროფესიონალები მთელ მსოფლიოში. უძველესი ექიმების ადრეული ექსპერიმენტებიდან დაწყებული თანამედროვე მედიცინის დახვეწილ ტექნიკამდე, გულმკერდის დრენაჟის ისტორია ასახავს გულმკერდის ქირურგიის სფეროში ინოვაციებისა და სრულყოფილების შეუჩერებელ სწრაფვას.

გულმკერდის დრენაჟი (ასევე ცნობილია როგორც ნეკნთაშუა დრენაჟი) გულისხმობს პლასტმასის მილის შეყვანას გულმკერდის ღრუში ჰაერის ან სითხის გამოდინების მიზნით.

ჩვენებები

პლევრალური გამონაჟონი

პლევრის დრენაჟის დაყენების ჩვენებები პლევრის გამონაჟონისთვის არის:

- დიდი კეთილთვისებიანი გამონაჟონი;
- ავთვისებიანი პლევრალური გამონაჟონი სიმპტომების გასაუმჯობესებლად და პლევროდეზამდე დიაგნოსტიკის დასახმარებლად;
- ემპიემა და გართულებული პარაპნევმონიური გამონაჟონი;
- სიმპტომური პლევრალური გამონაჟონი, რომელიც არ ექვემდებარება მკურნალობას.

პნევმოთორაქსი

პნევმოთორაქსისთვის პლევრის დრენაჟის დაყენების ჩვენებებია:

- დიდი პირველადი სპონტანური პნევმოთორაქსი, რომელიც იწვევს ქოშინს;
- დიდი მეორადი სპონტანური პნევმოთორაქსი 50 წელზე უფროსი ასაკის პაციენტებში;
- ტრავმული პნევმოთორაქსი (ჰემოპნევმოთორაქსის ჩათვლით)
- მუდმივი პნევმოთორაქსი მარტივი ასპირაციის შემდეგ;
- პნევმოთორაქსი ნებისმიერ პაციენტში, რომელიც იღებს მექანიკურ ვენტილაციას.



სურათი 5 : გულმკერდის დრენაჟის ჩვენებები

სპეციფიკური პროცედურა

გულმკერდის დრენაჟის განთავსების სხვა ჩვენებები მოიცავს:

- პლევროდუმი ტალკის გამოყენებით;
- გულმკერდის შემდგომი პროცედურები (მაგ., სამედიცინო თორაკოსკოპია და გულმკერდის, საყლაპავის ან გულის ქირურგია).

აღჭურვილობის შეგროვება

განმინდეთ საპროცედურო კალათა სადებიზნფექციო ხელსახოცით.

შეაგროვეთ პროცედურისთვის საჭირო აღჭურვილობა და მოათავსეთ იგი საპროცედურო მაგიდის სუფთა ქვედა თაროზე:

- ანტისეპტიკური ხსნარი აპლიკატორთან ერთად (როგორცაა ქლორჰექსიდინი, ChloraPrep™-თან ერთად);
- სტერილური ზეწრები, ხალათი და ხელთათმანები;

- სტერილური მიდამო (რომელიც იქმნება ქრილობის მოვლის პაკეტით);
- სტერილური მარლა;
- 5-10 მლ ადგილობრივი საანესთეზიო ხსნარი, როგორცაა 1% ლიდოკაინი.;
- ნემსი 23 G (ლურჯი) ან 25 G (ნარინჯისფერი);
- ნემსი 21 G (მწვანე);
- შპრიცი 10მლ x2;
- სადრენაჟო კომპლექტი გულმკერდის დრენაჟისთვის Seldinger Chest Drain Kit (12F შეესაბამება უმეტეს ჩვენებებს);
- სტერილური წყალი გულმკერდის სადრენაჟო ბოთლისთვის;
- სწორი ნაკერის ნემსი (შეუწოვადი აბრეშუმი 0 ან 1/0);
- სკალპელი (თუ არ შედის გულმკერდის დრენაჟის კომპლექტში);
- გამჭვირვალე სახვევი საშუალება;
- შესაბამისი კონტეინერები სითხის შესაგროვებლად მიკრობიოლოგიის, ციტოლოგიისა და ბიოქიმიის შედეგებისთვის (თუ საჭიროა დიაგნოსტიკა);
- ულტრაბგერითი აპარატი სტერილური საფარით ულტრაბგერითი ზონდისთვის (ეფუზიებისთვის).



სურათი 6: გულმკერდის დრენაჟის ჩატარების საპროცედურო აღჭურვილობა.

პროცედურისთვის მომზადება

პროცედურის დაწყებამდე გადახედეთ პროცედურის შედარებით უკუჩვენებებს.

პროცედურის აბსოლუტური უკუჩვენებები არ არსებობს.

პროცედურის შედარებითი უკუჩვენებებია:

- პაციენტი, რომელიც არ თანამშრომლობს ექიმთან;
- კანის ადგილობრივი ინფექცია სითხის პროექციის მიდამოში;
- სისხლის შედედების დარღვევა, ანტიკოაგულანტების გამოყენება ან კოაგულოპათია (INR >1,5 ან თრომბოციტების რაოდენობა < 50);
- გულმკერდის ულტრაბგერითი (ეფუზია) ან რენტგენის (პნევმოთორაქსი) პროცედურით არ არის გამოვლენილი გულმკერდის დრენაჟის უსაფრთხო მდებარეობა;
- ულტრაბგერითი პროცედურის ჩამტარებელი ექიმის არარსებობა (პლევრის გამონაჟონისთვის).

იმის გამო, რომ ეს შედარებითი უკუჩვენებებია, მათი არსებობისას, გადაწყვეტილების მიმღებმა ექიმმა უნდა განსაზღვროს, ალემატება თუ არა რისკები პროცედურის სარგებელს ან არსებობს თუ არა ამ რისკების შემცირების საშუალება.

მაგალითად, თუ პაციენტი ღებულობს ანტიკოაგულანტებს, მაგრამ ესაჭიროება გულმკერდის დრენაჟი, გადაწყვეტილების მიმღებმა ექიმმა უნდა განსაზღვროს, იმოქმედოს დაუყოვნებლივ, შეაჩეროს პროცედურა, მოხსნას ანტიკოაგულანტები და შემდეგ გააგრძელოს პროცედურა, თუ მიიღოს სხვა ალტერნატიული ზომები.

გამოსახულებების დათვალიერება

ბოლო დროს ჩატარებული გულმკერდის რენტგენის ან კომპიუტერული ტომოგრაფიის (კტ) სკანირების სურათების დათვალიერებით დარწმუნდით, რომ არსებობს გამონაჟონი ან პნევმოთორაქსი და აღნიშნეთ თუ რომელ მხარეს.

პნევმოთორაქსისთვის შეაფასეთ გულმკერდის რენტგენი, გულმკერდის დრენაჟის შესაბამისი ადგილის დასადგენად (ჩვეულებრივ ეს არის „უსაფრთხოების სამკუთხედი“ – იხილეთ პროცედურის მომზადება).

პლევრის გამონაჟონის არსებობისას, დარწმუნდით, რომ გყავთ კომპეტენტური ექოსკოპისტი.

- დაიბანეთ ხელები ალკოჰოლური გელით. თუ ხელები შესამჩნევად დაბინძურებულია, დაიბანეთ ისინი საპნით და წყლით;
- საჭიროების შემთხვევაში გამოიყენეთ პერსონალური უსაფრთხოების აღჭურვილობა (PPE);
- გაეცანით პაციენტს თქვენი სახელისა და პოზიციის მითითებით;
- დაადასტურეთ პაციენტის სახელი და დაბადების თარიღი;
- მოკლედ და გასაგებ ენაზე აუხსენით პაციენტს თუ რას მოიცავს პროცედურა.

მაგარიტად...

„გუდმკეხდის ხენგგენზე ვხედავთ, რომ პრევიზის ღრუში აჩის დიდი ხაოღენობით სითხე/ჰაეხი, ხომედიც ხედს უშდის სუნთქვას. თქვენი ფიღვების სუნთქვის გასაიოდებდა, საჭიხოა ჰაეხის/სითხის გამოღვენა გუდმკეხდში მიღის შეყვანით.

ჩვენ ამას ვაკეთებთ, ჯეხ ნემსის შეყვანით ოხ ნეკნს შოხის და შემდეგ პღასტმასის მიღით ჩანაცვლებით. ჩვენ ვიყენებთ აღგიღობიღვ საანესთეზიო საშუალებებს პიოცეღუხისგან დისკომფოღიღის შესამციხებდაღ და ასევე შეიღდება დაღინიშნოთ გკივიღღამაყუჩებღები. ღხენაჟი ჩვეუღებიღვ აღგიღზე ხჩება ეხთი ან ოხი ღღე, მაღხამ ზოგჯეხ 1-2 კვიხაც კი ჰაეხის/სითხის სხუღად ამოღებისთვის“.

როდესაც ჩვენ ვასრულებთ ასეთ ინვაზიურ პროცედურას, ყოველთვის არსებობს რისკები, მაგრამ, ჩვენ ვთვლით, რომ სარგებელი აღემატება რისკებს. ყველაზე გავრცელებული პოტენციური გართულებები მოიცავს სისხლდენას, ტკივილს, ინფექციას, ჰაერის ან სისხლის შეღწევას ფილტვის ღრუში, მიმდებარე ორგანოების დაზიანებას“.

მიიღეთ წერილობითი თანხმობა გულმკერდის დრენაჟის ჩატარებაზე.

შეამონმეთ აქვს თუ არა პაციენტს ალერგია (მაგ., ლატექსზე, ადგილობრივი საანესთეზიო სითხეზე).

სანამ კლინიკურ პროცედურას გააგრძელებთ, ჰკითხეთ პაციენტს, აქვს თუ არა რაიმე ტკივილი.

პროცედურისთვის მომზადება:

პაციენტისთვის პოზიციის შერჩევა.

გულმკერდის ძრწნაჟის ჩასატარებლად იყენებენ სამ გავრცელებულ პოზიციას, რაც განპირობებულია მილის შეყვანის ადგილით, პაციენტის მობილურობით და კომფორტით:

1. პაციენტი წევს ტახტზე ნახევრად მოხრილ მდგომარეობაში ზურგზე, ის ხელი, რომელ მხარესაც მილი შეჟყავთ ამოღებული აქვს თავის უკანა მხარეს.



სურათი 7: გულმკერდის საძრწნაჟო პოზიცია: ზურგზე წოლა.

2. პაციენტი ზის ვერტიკალურად, გადახრილია წინ სანოლის კიდეზე, და ორივე მკლავით ეყრდნობა ჩაკეტილი სანოლის მაგიდაზე მოთავსებულ ორ ბალიშს.



სურათი 8: გულმკერდის საძრწნაჟო პოზიცია: მკლმარე, წინ გადახრილი.

3. პაციენტი წევს გვერდზე, თავი დადებული აქვს ბალიშზე, ორივე ხელი ამოდებული აქვს თავის ქვეშ.



სურათი 9: გულმკერდის სადრენაჟო პოზიცია: გვერდზე წოლა

გულმკერდის დრენაჟის მდებარეობის განსაზღვრა

პნევმოთორაქსისთვის, ულტრაბგერითი კვლევის ჩატარება ჩვეულებრივ არ არის საჭირო და ტარდება "უსაფრთხოების სამკუთხედში" სადრენაჟე მილის მოთავსებით თუ რენტგენი აჩვენებს, რომ ამის გაკეთება უსაფრთხოა.

პლევრის გამონაჟონისთვის სთხოვეთ ექოსკოპისტს, ჩაატაროს პირველადი სკანირება. ოპერატორმა უნდა შეაფასოს გამონაჟონის მხარე და მონიშნოს საუკეთესო ადგილი ასპირაციისთვის. იდეალურ შემთხვევაში, ეს უნდა იყოს "უსაფრთხოების სამკუთხედში".

მილის შეყვანის მონიშვნის მარტივი გზაა კალმის თავსახურის კანში შერჭობა და ისე მობრუნება, რომ პაციენტს დისკომფორტი არ შეექმნას. ეს ნიშანი კვლავ შესამჩნევი იქნება კანის განმენდის შემდეგ.

უსაფრთხოების სამკუთხედი


უსაფრთხოების სამკუთხედი არის ილლიის უბანი, რომელსაც აქვს ყველაზე დაბალი გართულების სიხშირე ისეთი ინვაზიური პლევრის პროცედურების დროს, როგორცაა თორაკოცენტეზი ან გულმკერდის მილის დრენაჟი.

ამ უბნის მიღმა შეყვანილ ნემსებს აქვთ ფილტვების, პერიკარდიუმის, გულის და ღვიძლის პერფორაციის მაღალი ალბათობა და უნდა

ჩატარდეს გამოსახულების დეტალურად შესწავლისა და/ან ულტრაბგერითი კვლევის კონტროლით (ეფუზიის შემთხვევაში).

უსაფრთხოების სამკუთხედი შემოიფარგლება სამი ანატომიური ნიშნით:

- მკერდის ძირითადი კუნთი (Pectoralis major);
- ზურგის უფართოესი კუნთი (Latissimus dorsi);
- მე-5 ნეკნთაშუა სივრცე (დაახლოებით დვრილის დონეზე).



სურათი 10. უსაფრთხოების სამკუთხედი


სტერილური ველის შექმნა:

1. დაიბანეთ ხელები და ჩაიცვით წინსაფარი;
2. ამოიღეთ გარე შეფუთვა სტერილური ველიდან;
3. მოათავსეთ სტერილური ჭრილობის პაკეტი საპროცედურო მაგიდის სუფთა ზედა თაროზე, გახსენით პაკეტი კუთხეებიდან, მის შიდა ზედაპირთან შეხების გარეშე;
4. გამოიყენეთ ასეპტიური შეხების ტექნიკა (ANTT), რათა განალაგოთ სადრენაჟო ნაკრები, ანტისეპტიკური ხსნარი, სტერილური ზეწრები, ნემსები, შპრიცი, ულტრაბგერითი გადამცემის სტერილური თავსახური (გამონაჟონებისთვის), სტერილური მარლა, ნაკერების მასალა და სტერილური საფენი სტერილურ მიდამოზე;
5. შეავსეთ სადრენაჟო ბოთლი სტერილური წყლით გამყოფ საზამდე;
6. ხელახლა დაიბანეთ ხელები;

7. ჩაიცვით სტერილური ხელთათმანები და განმინდეთ პაციენტის კანის დაახლოებით 20 სმ ინექციის ადგილის გარშემო;
8. გადააფარეთ პაციენტს სტერილური ზეწრები ისე, რომ მხოლოდ განმენდილი ადგილი ჩანდეს;
9. შეამოწმეთ ადგილობრივი ანესთეზიის ვარგისიანობის ვადა და სთხოვეთ ექოსკოპისტს ან ასისტენტს გახსნას ბოთლი. გამოიყენეთ ნემსი და შპრიცი, რათა აავსოთ იგი სტერილური მოწყობილობის არასტერილურ ზედაპირით შეხების გარეშე;
10. პლევრალური ეფუზიის დროს: მოათავსეთ ხელი ულტრაბგერითი გადამწოდის სტერილურ გარსში ისე, რომ შესაძლებელი იყოს ოპერატორის გადამწოდის დაჭერა, ისე, რომ დანარჩენმა ნაწილმა დაფაროს გადამცემის მავთული ქრილობის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად.

ადგილობრივი ანესთეზია


1. შეამოწმეთ კვალი კანზე და შეიგრძენით ადგილი, რათა დარწმუნდეთ, რომ ნემსი შეყვანილია ნეკნის ზემოთ, რათა თავიდან აიცილოთ ნეიროვასკულური კონის დაზიანება;



სურათი 11. დაუმიზნეთ ნეკნის ზემოთ, რათა თავიდან აიცილოთ ნეიროვასკულურ კონაში მოხვედრა

2. პლევრალური გამონაჟონისთვის: ექოსკოპისტმა შეიძლება ხელახლა შეამოწმოს ნემსის შეყვანის ადგილი, რათა დარწმუნდეს, რომ სითხე არ არის გადანაცვლებული;

3. შეიყვანეთ 23-25 G ნემსი ადგილობრივი საანესთეზიო საშუალებით კანში მცირე კუთხით (~15 გრადუსი). ინექციის დროს, თქვენ უნდა დაინახოთ დერმასა და ეპიდერმის შორის ანეული პატარა ადგილი, რომელსაც ეწოდება „დერმალური ბუბტი“;
4. გააჩერეთ მოქმედებები 30 წამით;
5. 21 G (მწვანე) ნემსის გამოყენებით, შეიყვანეთ დარჩენილი ადგილობრივი საანესთეზიო საშუალება ნეკნთაშუა კუნთებში, ინექციის წინ აუცილებლად გააკეთეთ ასპირაცია, რათა დარწმუნდეთ, რომ არ ხართ შესული სისხლძარღვში;
უძველესი პრეზერვატივი იქნა აღმოჩენილი ინგლისში, ტაძარ დადლის ნანგრევებში 1640 წ. მე-18 საუკუნეში გამოიშვა თანამედროვე პრეზერვატივის პროტოტიპი, ინგლისელმა ექიმმა კონდომმა, რომელიც ასევე იყო ჩარლზ II-ის პირადი მკურნალი, შესთავაზა ქისების გამოყენება არასასურველი ორსულობის თავიდან არიდების მიზნით.

ინდუსტრიული რევოლუცია

უდიდესი საჩუქარი კაცობრიობას გაუკეთა ამერიკელმა ნოვატორმა ჩარლზ გუდიერმა, როდესაც გამოიგონა რეზინის წარმოება კაუჩუკის საფუძველზე, რამაც 1860 წლიდან რეზინის პრეზერვატივების მასიური გამოშვებას მისცა ბიძგი. მე-20 საუკუნის 20 წლებიდან გაყიდვაში გაჩნდა უკვე ლატექსის პრეზერვატივები. ამავე დროს მთელ მსოფლიოში მეცნიერები აღმოაჩინენ, რომ მაღალი კონცენტრაციით მიღებული სქესობრივი ჰორმონები ზეგავლენას ახდენენ ოვულაციაზე. უამრავ ლაბორატორიაში ერთდროულად იწყება ექსპერიმენტები ამ ფენომენის შესასწავლად. ამ დროს ნათელი მოეფინა საკვერცხის ჰორმონების, ესტროგენების და პროგესტერონის როლს რეპროდუქციულ სისტემაში, რამაც განაპირობა კონტრაცეფციის რითმული მეთოდის განვითარება, რომელიც ეფუძნებოდა ოვულაციის დღის ცოდნას რექტალური ტემპერატურის ცვალებადობის საფუძველზე.

ანტიკურ ბერძნულ მითოლოგიაში აღწერილია, რომ გაზაფხულის ქალღმერთი პერსეფონა გახდა გაუპატიურების მსხვერპლი სიკვდილის ღმერთისაგან. იგი უარს აცხადებდა ყველანაირი საკვების მიღებაზე ბრონეულის თესლის გარდა. ბერძნები საუკუნეების განმავლობაში აღნიშნავდნენ დღესასწაულს, რომელიც გაზაფხულის ქალღმერთ პერსეფონასა და დედამისის დემეტრას გაერთიანებას უკავშირდებოდა, სადაც მხოლოდ ქალები დაიშვებოდნენ, რომლებიც მიირთმევდნენ ბრონეულის, ფიჭვის თესლებს, პიტნას და აგნუს კასტუსს. ეს მცენარეები გამოირჩეოდა კონტრაცეპტიული ეფექტით. ამიტომ მედიცინის ისტორიკოსები თვლიან, რომ ჰორმონალური კონტრაცეფციის განვითარების საფუძვლები ძველ საბერძნეთში ჩაეყარა.

საშვილოსნოს შიდა მონყობილობები გამოიყენებოდა მტკივნეული მენსტრუაციების სამკურნალოდ, ეს იყო მეტალის პესარიები, რომელიც შემდგომში მოდიფიცირდნენ საშვილოსნოს შიდა კონტრაცეპტივებში.

საშვილოსნოს შიდა კონტრაცეპტივები ფართოდ გამოიყენება მე-20 საუკუნის 60 წლებიდან, როდესაც პლასტიკის სპირალების გამოყენება გახდა შესაძლებელი. რიჩარდ რიხტერმა 1909 წ. გამოიგონა საშვილოსნოს შიდა კონტრაცეპტივი, რომელიც მზადდებოდა აბრეშუმის ქრის ფიბროინისაგან.

სტერილიზაცია პირველად გამოიყენებოდა ევგენიკის მიზნებით ადრეულ 1900-იან წლებში, მაგრამ მე-20 საუკუნის ბოლოსთვის ვაზექტომია და კვერცხსავალი მილების ლიგირება გახდა შობადობის რეგულაციის პოპულარული მეთოდი.

საინტერესო ფაქტს კონტრაცეფციის ისტორიაში წარმოადგენს ის მოვლენა, რომ პირველი კრებული თავდაცვის საშუალებების შესახებ შექმნილი იყო რომის პაპის იოანე XXI-ის მიერ, რომელიც მოღვაწეობდა მე-13 საუკუნეში. ეს წიგნი, სახელწოდებით "Thesaurus pauperum" – "ღარიბების საგანძური" უზომოდ პოპულარული იყო მოსახლეობაში.

შუა საუკუნეები და ახალი დრო

შუა საუკუნეებში ევროპაში სიფილისი ბობოქრობდა, რომელიც ერთ-ერთი ვერსიით ჩამოტანილი იყო კოლუმბის ექსპედიციის წევრების მიერ. ამიტომ ექსპერიმენტები კონტრაცეპტივებთან ძირითადად ეძღვნებოდა არა ორსულობის თავიდან აცილებას, არამედ „ფრანგული დაავადებისგან“ დაცვას. აბრეშუმის და ბამბის ნაჭრები და ლენტები, ცხოველების ნაწლავები და შარდის ბუშტები გამოიყენებოდა როგორც პრეზერვატივები. ცნობილია, რომ ჯაკომო კაზანოვა არ ამყარებდა სქესობრივ კავშირს მსგავსი დაცვის გარეშე და ამ მიზნით ბატკნის ტყავს იყენებდა.

1960 წელს, პირველი ორალური კონტრაცეპტივი, Enovid, დამტკიცდა მასობრივი წარმოებისთვის და გასაყიდად შეერთებულ შტატებში. მას ჰქონდა გვერდითი მოვლენების მნიშვნელოვანი რაოდენობა, მაგრამ მისი დანერგვა მართლაც რევოლუციური მოვლენა იყო. ამ დღიდან ქალებს ჰქონდათ შედარებით უსაფრთხო შესაძლებლობა, გაეკონტროლებინათ ორსულობა. იწყება ჰორმონალური კონტრაცეპტივების ერა და მასთან ერთად სექსუალური რევოლუცია.

კონტრაცეფციის განვითარებაში უდიდესი როლი ითამაშა 1841 წ. შვეიცარიელი ზოოლოგი კელერის მიერ სპერმატოზოიდების აღმოჩენამ. მან დაამტკიცა, რომ ეს სქესობრივი უჯრედია და არა პარაზიტი, როგორც ადრე ეგონათ. ის იყენებდა განსხვავებულ ქიმიურ ნივთიერებებს სპერმიციდული ეფექტის დადგომისთვის. ამ დროიდან

კონტრაცეფცია გაიყო მექანიკურ და ქიმიურ მეთოდებად.

1933 წ. რაიმონდ პერლიმ, ბიოლოგმა ჯონ ხოპკინის უნივერსიტეტიდან შეიმუშვა კონტრაცეფციის ეფექტურობის შეფასების მაჩვენებელი-პერლის ინდექსი, რომელიც უდრის არასასურველი ორსულობების რიცხვს 100 ქალბატონზე. რაც უფრო დაბალია პერლის ინდექსი, მით უფრო ეფექტურია კონტრაცეფციის მეთოდი. გამოყენების სიმარტივის გამო პერლის ინდექსი დღესაც რჩება ყველაზე გავრცელებულ სტატისტიკურ მაჩვენებლად კონტრაცეფციის ეფექტურობის შესაფასებლად.

2020 წელს, The Lancet Global Health-მა გამოაქვეყნა კვლევა ქალების სექსუალური ქცევისა და კონტრაცეფციის თანამედროვე მეთოდებზე მოთხოვნილების შესახებ: კვლევა მოიცავს 1995-2018 წლებში 74 ქვეყანაში 15-49 წლის ქალების მონაცემებს. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ 2018 წლისთვის 74 ქვეყნიდან 34-ში გაიზარდა ყველა ასაკის სქესობრივად აქტიური ქალების რაოდენობა, რომლებიც იყენებდნენ კონტრაცეფციას ორსულობის თავიდან ასაცილებლად. მკვლევრები კონტრაცეფციის მოთხოვნის ზრდას გენდერული თანასწორობისა და განათლების განვითარებას უკავშირებენ.

საშვილოსნოსშიდა კონტრაცეპტივი არის მსოფლიოში ყველაზე პოპულარული შობადობის კონტროლის საშუალება, 160 მილიონი მომხმარებლით. ამ ქალების ორი მესამედი ცხოვრობს ჩინეთში, სადაც უფრო მეტი ქალი ირჩევს სპირალს, ვიდრე სტერილიზაციას.



სურათი 33. სპირალი, საშვილოსნოს შიდა კონტრაცეფცია.

საშვილოსნოსშიდა მონყობილობა არის პატარა, T ფორმის ჩასახვის სანინაალმდეგო საშუალება. იგი შეჰყავთ საშოში და საშვილოსნოს ყელის მეშვეობით საშვილოსნოში. მანიპულაცია ტარდება კლინიკის პირობებში.

საჭირო ინსტრუმენტები: საშვილოსნოსშიგა კონტრაცეპტივი, სიმპსის სარკე, საშვილოსნოს შიდა ზონდი, ტყვიის მაშა, თირკმლისებრი თასი, პინცეტი, სტერილური მასალა, ბეტადინის ხსნარი, სტერილური ხელთათმანი.



სურათი 34. სპირალის ჩადგმა მანეკენზე.

სპირალის ჩადგმას მოკლევადიანი პროცედურაა, რომელსაც სჭირდება 5-დან 10 წუთამდე. პაციენტმა მანიპულაციამდე უნდა დაცალოს შარდის ბუშტი, პრივატულ ვითარებაში მოთავსდეს გინეკოლოგიურ სავარელებზე მოდიფიცირებულ ლითოტომიურ პოზიციაში.

პირველ ეტაპზე ექიმმა უნდა ჩაატაროს ბიმანუალური ვაგინალური გასინჯვა, შეაფასოს გარეთა და შიგნითა სასქესო ორგანოები, შემდეგ საშოში უნდა ჩაუდგას სარკე, ანტისეპტიური ხსნარით დამუშავდეს საშო და საშვილოსნოს ყელი. საშვილოსნოს ყელი უნდა აღებული იყოს ტყვიის მაშაზე. საშვილოსნოს ღრუ გაიზომოს საშვილოსნოს ზონდით. მოინიშნოს სპირალის შეყვანის სიგრძე, სპირალი შეყავთ საშვილოსნოს ღრუში ფუძემდე.

კონტრაცეპტივს აქვს ბოლოში მიმაგრებული სიმები, რომელიც უნდა მოიჭრას საშვილოსნოს ყელის გარეთა პირთან საკმარისად ახლოს, რომ არ შეუქმნას დისკომფორტი პარტნიორს, მაგრამ ადვილი იყოს მისი ამოღება საჭიროების შემთხვევაში.

სმკ უპრიანია ჩაიდგას მენსტრუალური სისხლდენის ბოლო დღეს, ჩადგმის შემდეგ პაციენტს შეიძლება ანუხებდეს სპაზმები, ტკივილი, თავბრუსხვევა.

გინეკოლოგი ამოწმებს, არის თუ არა სპირალი სწორად დაყენე-

ბული და მტკივნეულია თუ არა, შემდეგ კი ფრთხილად ამოიღებს გიდს. თავად სპირალის ზომა მხოლოდ 1-2 მმ-ია, მის ბოლოზე კი ნეილონის ძაფია მიმაგრებული, რომელიც შემდეგ თავისუფლად ჩამოიკიდება საშოში. ეს ძაფი სულ რაღაც 4-5 სმ სიგრძისაა, გარეგნულად არ შეიმჩნევა, ამიტომ სექსუალური პარტნიორი ვერც კი გაიგებს მისი არსებობის შესახებ. მაგრამ ამ ძაფის წყალობით პაციენტს შეუძლია დარწმუნდეს, რომ სპირალი თავის ადგილზეა და როცა კონტრაცეპტივის ამოღების დრო მოვა, ეს ძაფის დახმარებით მარტივად შეიძლება.

თავი IX – კანი

1. კანი, დამწვრობა

კანი არის ელასტიური, თვითაღდგენადი და წყალგაუმტარი საფარველი. ის წარმოადგენს დამცავ ბარიერს სიცხისა და სიცივის წინააღმდეგ და მონაწილეობს სხეულის ტემპერატურის რეგულაციის მექანიზმებში. კანქვეშა ქსოვილი დაფარულია კანის ორი შრით – ეპიდერმისით და დერმით.

ეპიდერმისი არის გარეგანი შრე და შედგება ეპითელური უჯრედებისგან. ეპიდერმისის სისქე ცვალებადობს. ყველაზე სქელ ფენას წარმოადგენს მტევნის პალმარული ზედაპირი და ტერფის პლანტარული ზედაპირი. ეპიდერმისი შედგება ხუთი შრისგან, რომელთაგან ყველაზე ღრმა შრე წარმოდგენილია ბაზალური უჯრედებით. ისინი მონაწილეობს კანის ახალი უჯრედების წარმოქმნაში, რომელიც მიემართება ზედაპირისკენ და ჩაანაცვლებს ძველ უჯრედებს. თუ დაზიანების შემდეგ ბაზალური უჯრედების საკმარისი რაოდენობა გადარჩება, კანის რეგენერაცია შესაძლებელია. კანის დერმა წარმოდგენილია შემაერთებული ქსოვილით და შეიცავს კოლაგენსა და ელასტიურ ბოჭკოებს. ორშრიანი დერმა შეიცავს სისხლძარღვებს, ნერვულ დაბოლოებებს, საოფლე ჯირკვლებს, ცხიმოვან ჯირკვლებს, ლიმფურ ძარღვებსა და თმის ფოლიკულებს. დერმა წარმოადგენს საკვები ნივთიერებების მარაგს ეპიდერმისისთვის. დერმის ქვეშ მოთავსებულია კანქვეშა ქსოვილი, რომელიც შედგება ცხიმოვანი და შემაერთებული ქსოვილისგან. დერმის უჯრედების განადგურების შემთხვევაში მას რეგენერაციის უნარი აღარ აქვს. კანი ასრულებს ოთხ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას. ესენია: თერმორეგულაცია, პროტექცია, სეკრეცია და მგრძობელობა. კანში არსებული მგრძობიარე ნერვული ბოჭკოების მიერ თავის ტვინის ქერქის შესაბამის

უბნებს გადაეცემა ტკივილის, შეხების, ტემპერატურისა და ზეწოლის შეგრძნება. საოფლე ჯირკვლები გამოიმუშავებს ოფლს, რითაც უზრუნველყოფს სხეულის ნორმალური ტემპერატურის შენარჩუნებას. ცხიმოვანი ჯირკვლები წარმოქმნის ცხიმოვან ნივთიერებას, რომელიც ხელს უწყობს კანის გაპოხვას და ასევე გააჩნია ანტიფუნგალური და ანტიბაქტერიული თვისებები. კანი იცავს ორგანიზმს დაზიანებისგან, რომელიც შეიძლება განვითარდეს სიცხის, სიცივის, ბაქტერიების, სოკოების და ქიმიური ნივთიერებების ზემოქმედების შედეგად. კანი ასევე იცავს სხეულს სითხისა და ელექტროლიტების დაკარგვისგან.

დამწვრობა დაზარალებულზე დამანგრეველად ზემოქმედებს დაწყებული დაზიანების მიღების საწყისი ეტაპიდან და დამთავრებული ჰოსპიტალიზაციისა და რეაბილიტაციის ხანგრძლივი პერიოდით. უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში მძიმე დამწვრობისა და შემდგომი ჰოსპიტალიზაციის სიხშირე 50%-ით შემცირდა. ეს განპირობებულია მოსახლეობის განათლების დონის ამაღლებით, საკანონმდებლო ცვლილებებით, თამბაქოს მომხმარებელთა რაოდენობის შემცირებითა და სახლში საკვების მომზადების წესების ცვლილებით. მიუხედავად ამისა, დამწვრობა წარმოადგენს სიკვდილობის რიგით მესამე მიზეზს ბავშვებში. დამწვრობის შედეგად სიკვდილის შემთხვევების უმრავლესობა გამოწვეულია სახლში გაჩენილი ხანძრით. სიკვდილობის 78% განპირობებულია ტოქსიური ნივთიერებების შესუნთქვითა და ინჰალაციური დაზიანებით. სახლში გაჩენილი ხანძრის შედეგად დაღუპული ადამიანების სიკვდილის მიზეზის შემთხვევათა 40% ალკოჰოლისა და ნარკოტიკების გამოყენებაა. ელექტროტრავმის შედეგად სიკვდილობა შეადგენს 1000-ს ყოველწლიურად. მეხის დაცემის შედეგად იღუპება დაახლოებით 80 ადამიანი ყოველწლიურად. მამაკაცებში სიკვდილობის სიხშირე შვიდჯერ მეტია, ვიდრე ქალებში.

1.1 დაზიანების მექანიზმი და ბიომექანიკა

დამწვრობის გამომწვევი შეიძლება იყოს შემდეგი ტიპის ენერგიათა ზემოქმედება:

- თერმული ენერგია;
- ქიმიური ენერგია;
- ელექტრობა;
- ულტრაიისფერი გამოსხივება;
- მაიონიზებული გამოსხივება.

თერმული დამწვრობის გამომწვევი უხშირესი მექანიზმი არის სითბოსა და/ან ალის ზემოქმედება; ფილტვის დაზიანების გამომწვევი უხშირესი მექანიზმი კი – ორთქლისა და ტოქსიური ნივთიერებების ინჰალაცია. ნატურალური და სინთეზური მასალის წვის შედეგად ხდება ნარჩენი აირების – ნახშირბადის მონოქსიდის, წყალბადის ციანიდისა და სხვა გაზების გამოყოფა. გარდა ამისა, წვის პროცესის დროს ადგილი აქვს დიდი რაოდენობით ჟანგბადის მოხმარებას, რასაც თან სდევს ატმოსფეროში ჟანგბადის კონცენტრაციის მკვეთრი შემცირება, ნახშირორჟანგის დონის მატება და გარემოს ტემპერატურის გაზრდა.

უხშირესი თანმხლები დაზიანებები

დამწვრობის დროს ყველაზე ხილულია კანის დაზიანება, თუმცა არ უნდა დაგვავინწყდეს სასუნთქი სისტემის პოტენციური დაზიანების შესაძლებლობა, რაც საჭიროებს დაუყოვნებელ შეფასებასა და მართვას. ინჰალაციური დაზიანება მნიშვნელოვნად ზრდის სიკვდილობას დამწვრობის დროს. დამატებით დაზიანებებს შეიძლება მიეკუთვნებოდეს აფეთქების შედეგად განვითარებული ტრავმები: მოტეხილობები, თავის ტრავმა, მუცლის ტრავმა და/ან გულმკერდის ტრავმა.

1.1.1 თერმული დაზიანების ნიშნებისა და სიმპტომების პათოფიზიოლოგიური საფუძველი

კანისა და რბილი ქსოვილების დაზიანება თერმული ენერგიით, რომლის გაფანტვის უნარი ადამიანის სხეულს არ შეუძლია, იწვევს კანისა და კანქვეშა სტრუქტურების ყველა შრის დაზიანებას. კანის მძიმე დამწვრობა წარმოდგენილია დაზიანების ზონებით:

- კოაგულაციის ზონა – დაზიანებული უჯრედები წარმოქმნის კოაგულაციის უბანს ცენტრალურ ნაწილში, სადაც უჯრედები არასიცოცხლისუნარიანია;
- შეშუპების ზონა – გარს აკრავს კოაგულაციის ზონას. ადგილი აქვს კაპილარების ოკლუზიას, პერფუზიის დარღვევასა და შეშუპებას დამწვრობის მიღებიდან 24-28 სთ-ის შემდეგ;
- ჰიპერემიის ზონა (სისხლის ნაკადის მომატება) – შეშუპების ზონის გარშემო არე, სადაც ადგილი აქვს სისხლის ნაკადის მომატებას, რაც წარმოადგენს ანთებითი პასუხის შედეგს.

დაზიანებას თან სდევს პოხიერი უჯრედებიდან, ლეიკოციტებიდან და თრომბოციტებიდან მთელი რიგი ვაზოაქტიური ნივთიერებების გამოთავისუფლება. თერმული დამწვრობის სიმძიმე დაკავშირებულია ისეთი სისტემური პრობლემების ხარისხთან, როგორცაა: ჰიპოვოლემია, გულ-სისხლძარღვთა, სუნთქვისა და თირკმლის უკმარისობა. კანის მძიმე დაზიანების დროს (სხეულის ზედაპირის 20-30%) მოსალოდნელია სისტემური პათოფიზიოლოგიური პროცესების განვითარება.

პლაზმის დაკარგვა და სხვა სისხლძარღვოვანი პასუხი

დამწვრობის მქონე პაციენტს შეიძლება აღენიშნებოდეს შოკი სისხლძარღვშიდა სითხის დაკარგვის, ქსოვილების პერფუზიის დარღვევისა და ასოცირებული ტრავმული დაზიანებების შედეგად. კაპილარების პირდაპირი დაზიანებისა და ვაზოაქტიური ნივთიერებების გამოთავისუფლების შედეგად კაპილარების განვლადობა ირღვევა, რასაც მოჰყვება ცილებისა და სხვა გახსნილი ნივთიერე-

ბების გადანაცვლება სისხლძარღვშიდა სივრციდან ინტერსტიციუმში. ჰიპერემია (სისხლის მომატებული ნაკადი) ზრდის კაპილარულ წნევას კაპილარის არტერიულ ბოლოზე. ცილების დაკარგვა აქვეითებს კოლოიდურ-ოსმოსურ წნევას. ინტრავასკულური და კოლოიდურ-ოსმოსური წნევების აღნიშნული ცვლილებები განაპირობებს ჰიპოვოლემიისა და შეშუპების განვითარებას. ინტრავასკულური სივრციდან სითხის დაკარგვის ხარისხი დამოკიდებულია:

- პაციენტის ასაკზე;
- დამწვრობის ფართობსა და სიღრმეზე;
- ინტრავასკულურ წნევაზე;
- დამწვრობიდან გასულ დროზე; გარდა ამისა, ორგანიზმის ანთებითი პასუხი იწვევს მრავალი აქტიური ნივთიერების გამოყოფას, რომელიც ხელს უწყობს შეშუპებისა და კარდიოვასკულარული ცვლილებების განვითარებას;
- ჰისტამინი: იწვევს ვაზოდილატაციას და კაპილარული განვლადობის გაზრდას;
- პროსტაგლანდინები: იწვევს ვაზოდილატაციას და კაპილარების განვლადობის გაზრდას; თრომბოქსან A2: იწვევს თრომბოციტების აგრეგაციას და შეიძლება გაზარდოს იშემიის ზონა; ლეიკოტრიენები და ციტოკინები: ხელს უწყობს ანთებითი პასუხის განვითარებას;
- ბრადიკინინი: ზრდის ვენულების განვლადობას;
- თავისუფალი რადიკალები: იწვევს სისხლძარღვების ენდოთელიუმის დაზიანებას;
- პათოფიზიოლოგიურ პასუხს დამწვრობაზე მიყვავართ შემდეგ ცვლილებებამდე:
 - » ჰემოკონცენტრაცია, რაც ვლინდება ჰემატოკრიტის მომატებით;
 - » სისხლის სიბლანტის მომატება;
 - » პერიფერიული რეზისტენტობის მომატება სისხლის გაზრდილი სიბლანტის გამო.

ჰიპოქსემია/ასფიქსია

წვის პროცესის დროს ხდება ჟანგბადის მოხმარება, შესაბამისად ის დაზარალებულები, რომლებიც ხანძრის დროს იმყოფებიან დახურულ სივრცეში, შეისუნთქავენ ჰაერს, სადაც ჟანგბადის კონცენტრაცია < 21%. შესუნთქული ჟანგბადის ფრაქციის (FiO_2) დაქვეითების გამო ვითარდება არტერიული ჰიპოქსემია. ასფიქსია ვითარდება მაშინ, როდესაც სისხლში დაქვეითებულია ჟანგბადის კონცენტრაცია და სისხლსა და ქსოვილებში მომატებულია ნახშირორჟანგის კონცენტრაცია. ასფიქსია ან ჟანგბადოვანი შიმშილი შეიძლება განვითარდეს გარემოში ჟანგბადის ნაკლებობის ან ტოქსიური ნივთიერებების შესუნთქვის შედეგად. ტოქსიური სუბსტანციების, მათ შორის ნახშირბადის მონოქსიდის შესუნთქვა წარმოადგენს სიკვდილის უხშირეს მიზეზს საყოფაცხოვრებო ხანძრის დროს.

ნახშირბადის მონოქსიდით ინტოქსიკაცია

ნახშირბადის მონიქსიდი არის უგემო, უსუნო და უფერო გაზი, რომელიც არსებობს ორგანული მასალის წვის შედეგად გამოყოფილ კვამლში. ის ასევე გამოიყოფა მაშინ, როდესაც ადგილი აქვს ჟანგბადის მოხმარებას არასრული წვის პროცესის დროს. შესუნთქვის დროს ნახშირბადის მონოქსიდი გაივლის ალვეოლურ-კაპილარულ მემბრანას და უკავშირდება ერითროციტების მემბრანას. ვინაიდან ნახშირბადის მონოქსიდის ჰემოგლობინთან ბმის სიმტკიცე 200-300-ჯერ მეტია, ჰემოგლობინის ჟანგბადმატარებელი მოცულობა მკვეთრად მცირდება. ნახშირბადის მონოქსიდი ასევე ზემოქმედებას ახდენს მიოკარდიუმზე მიოგლობინთან შეკავშირების გზით, რასაც მოსდევს გულის კუნთის ნეკროზი. ჟანგბადი, რომელიც რჩება შეკავშირებული ჰემოგლობინის მოლეკულასთან, ვეღარ მიდის ქსოვილებამდე. ამდენად ქსოვილოვანი ჰიპოქსია გაცილებით უფრო გამოხატულია იმ პაციენტებში, რომლებსაც აღენიშნება გულისა და/ან ფილტვის თანმხლები დაავადებები. ნახშირბადის მონოქსიდის ტოქსიური მოქმედების მქონე პაციენტებთან ჟანგბადის სატურაციის ნორმალური მაჩვენებელი შეიძლება იყოს არაზუსტი, რადგან პულსოქ-

სიმეტრი ვერ ახდენს ოქსი – და კარბოქსიჰემოგლობინის ერთმანეთისგან გარჩევას.

ფილტვის დაზიანება

ორგანული ნაერთების არასრული წვის შედეგად გამოიყოფა მრავალი ნივთიერება. ზოგიერთი მათგანის ინჰალაცია შეიძლება ტოქსიური იყოს.

წვის შედეგად წარმოქმნილი ტოქსიური ნივთიერებები

ნაერთი	ტოქსიური ნივთიერება
ორგანული ნივთიერებები	ნახშირბადის მონოქსიდი
რეზინი	გოგირდის დიოქსიდი
მატყლი, აბრეშუმი	ციანიდი, წყალბადის სულფიდი
ვინილი	წყალბადის ქლორიდი
პოლივინილ ქლორიდი	ფოსგენი
პოლიურეთანი	ციანიდი, ამონიუმი, ჰალოგენური მჟავები

კვამლი წარმოადგენს აირებისა და მყარი ნივთიერებების ნარევს, რომელიც წარმოიქმნება ბუნებრივი და სინთეზური ნაერთების დაშლისა და წვის დროს. კვამლის შემადგენლობა დამოკიდებულია:

- ნაერთზე, რომელიც იწვის;
- ტემპერატურასა და მისი მომატების სიჩქარეზე;
- წვის გარემოში ჟანგბადის რაოდენობაზე;

ჩასუნთქვის დროს კვამლი და კუპრი აღწევს დაზარალებულის სასუნთქ სისტემაში. ნაწილაკების ზომა და მათი მდებარეობა სასუნთქ გზებში განსაზღვრავს ფილტვის დაზიანების სიმძიმეს. შედარებით დიდი ზომის ნაწილაკები აზიანებს ზედა სასუნთქ გზებს, მაგრამ განიცდის გარკვეულ ფილტრაციას და ნაკლებად აღწევს ქვედა სასუნთქ გზებში. ზოგიერთი აირი შესუნთქვის დროს წარმოქმნის

დამაზიანებელ მჟავებს და/ან ტუტეებს, რასაც მოსდევს მემბრანების შეშუპება და საბოლოოდ დაწყლულება და ნეკროზი. სხვა აირები ინვევს უჯრედული მემბრანების რღვევას და ხელს უშლის უჯრედების მიერ ჟანგბადის მოხმარებას. ორთქლი, რომელსაც გააჩნია 4000-ჯერ მეტი სითბოტევადობა, ვიდრე მშრალ აირს, შეუძლია პირდაპირ დააზიანოს სასუნთქი გზები თერმული ზემოქმედების შედეგად. სეკრეტისა და ნაწილეკების დაგროვების შედეგად ადგილი აქვს სასუნთქი გზების ობსტრუქციას და ატელექტაზების წარმოქმნას. კვამლის ინჰალაციამ შეიძლება მიაღწიოს ალვეოლებამდე, რაც შეშუპებასა და კოლაბირებას იწვევს. გარდა ამისა, შეიძლება ადგილი ჰქონდეს სურფაქტანტის დანაკარგსაც. სურფაქტანტის გარეშე ალვეოლები იფუშება (კოლაბირდება), ამავდროულად ქვეითდება ფილტვის ელასტიურობაც. ფილტვის შეშუპება შეიძლება განვითარდეს იმ პაციენტებში, რომელთაც აღენიშნება კანის მძიმე თერმული დამწვრობა ინჰალაციური დაზიანებით ან მის გარეშე.

ჰიპერმეტაბოლიზმი

მძიმე ტრავმისა და დამწვრობის დროს მეტაბოლიზმის სიჩქარის მომატება განპირობებულია ავტონომიური ნერვული სისტემის აქტივაციითა და შედეგად, თირკმელზედა ჯირკვლებიდან, ჰიპოთალამუსიდან და ჰიპოფიზიდან მთელი რიგი ჰორმონების გამოყოფით. აღნიშნულს თან სდევს სითბოს პროდუქციის გაზრდა და სხეულის ტემპერატურის მომატება. დამწვრობის შემდეგ პაციენტის მეტაბოლიზმის გაზრდის ხარისხი დამოკიდებულია დამწვრობის ხარისხსა და ფართობზე. დამწვრობაზე ორგანიზმის პასუხსა და მეტაბოლიზმის მომატებაზე გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები:

- ასაკი;
- გარემოს ტემპერატურა;
- ტკივილი;
- შფოთვა;
- პაციენტის აქტივობა;
- ინფექცია (გვიანი გართულება).

ჰიპერმეტაბოლიზმის ნიშნებია:

- ტაქიპნოე, რომელიც ნაწილობრივ განპირობებულია ჟანგბადის გაზრდილი მოხმარებით;
- ტაქიკარდია, რომელიც ნაწილობრივ განპირობებულია გაზრდილი სიმპათიკური პასუხით;
- სუბფებრილიტეტი.

1.1.2 ელექტრული დამწვრობა

ელექტროდენის პირდაპირი მოქმედების ან მეხის დაცემის შედეგად განვითარებული დამწვრობა განსხვავებულ ხასიათს ატარებს. ელექტრული დამწვრობა შეიძლება დაიყოს მაღალი და დაბალი ძაბვის დაზიანებებად. შეფასების დროს მნიშვნელოვანია განისაზღვროს:

- ძაბვა;
- ელექტროდენის ტიპი;
- ელექტროდენის წყაროს მდებარეობა;
- ელექტრობის წყაროსთან კონტაქტის ხანგრძლივობა.

ელექტრული დამწვრობის დროს რთულია დაზიანების რეალური გავრცელების შეფასება, რადგანაც ელექტრული დენი აღწევს სხეულში კონტაქტის წერტილიდან და შემდეგ ვრცელდება ნაკლები რეზისტენტობის მქონე მიდამოებისკენ, სანამ ის დატოვებს სხეულს და გამოვა გარეთ. ელექტრულმა ენერგიამ შეიძლება გაიაროს სხეულის შინაგანი სტრუქტურები და ღრმად მდებარე ქსოვილები, გარეგნულად კანზე შეიძლება აღინიშნებოდეს მხოლოდ შემავალი და გამომავალი ქრილობები, მაშინ როდესაც ქვეშმდებარე ქსოვილები იყოს დაზიანებული ნეკროზის განვითარებამდე. ელექტრობამ შეიძლება გამოიწვიოს ნებისმიერი ქსოვილის დაზიანება. აღნიშნული დამოკიდებულია ქსოვილის რეზისტენტობაზე, ელექტროდენის ინტენსივობასა და ზემოქმედების ხანგრძლივობაზე. ელექტროდენი პირველად გაივლის ნერვებში, შემდეგ სისხლძარღვებში, კუნთებში, კანში, მყესებში, ცხიმში და საბოლოოდ ძვლებში. აღსანიშნავია, რომ ელექტროდენის

მოქმედება ყველაზე მეტად აზიანებს კიდურებს და შედარებით ნაკლებად ტორსსა და შინაგან ორგანოებს. სისხლძარღვებისა და კუნთების დაზიანება წარმოადგენს ელექტროტრავმის უმნიშვნელოვანეს ასპექტს. სისხლძარღვების დაზიანებას შეიძლება მოჰყვეს სისხლდენა და/ან თრომბების წარმოქმნა. შედეგად ადგილი აქვს ჰემოგლობინის გამოყოფას, რომელიც ჩნდება შარდში. კუნთების მასიური დაზიანების დროს (რაბდომიოლიზი) ადგილი აქვს მიოგლობინის გამოყოფას შარდით. კუნთების დაზიანებამ შეიძლება გამოიწვიოს შეშუპება და მოგვიანებით კომპარტმენტის წნევის მომატება.

ნიშნები და სიმპტომები

- როგორც წესი, აღინიშნება ორი ქრილობა, შემავალი და გამო-
მავალი;
- ცნობიერების შეცვლა;
- არითმიები, მათ შორის წინაგულოვანი ან პარაკუჭოვანი ფიბრი-
ლაცია და ასისტოლია;
- მიოგლობინურია.

1.1.3 ქიმიური დამწვრობა

ქიმიური დამწვრობა ვითარდება დაზარალებულის კაუსტიკურ ქიმიურ აგენტებთან – მჟავები, ტუტეები და/ან ნავთობის პროდუქტები – კონტაქტის შედეგად. ქიმიური ნივთიერებები აზიანებს უჯრედის კედელს და იწვევს უჯრედული ცილების დაშლას. ტუტე ნივთიერებები უფრო მძიმე დაზიანებებს იწვევს, ვინაიდან აღწევს უფრო ღრმა შრეებში, ვიდრე მჟავები. ნებისმიერი ტიპის ქიმიური დამწვრობის დროს კანის დაზიანებაზე გავლენას ახდენს კონტაქტის ხანგრძლი-
ვობა, ნივთიერების კონცენტრაცია და მისი რაოდენობა. უხშირეს შემთხვევაში ქიმიური დამწვრობა შემოიფარგლება მხოლოდ ადგილო-
ბრივი დაზიანებით და არ მოიცავს სისტემურ პასუხს. საექთნო მოვლის შეფასების ფაზაში მნიშვნელოვანია გამომწვევი აგენტის იდენტიფი-
კაცია. ქსოვილის დაზიანების გავრცელება შეიძლება არ იყოს გამო-

ვლენილი დაზიანებისთანავე და პროგრესირდეს გარკვეული დროის შემდეგ. აღნიშნული დამოკიდებულია დამაზიანებელი ქიმიური აგენტის ხასიათსა და დეკონტამინაციის პროცედურების ეფექტურობაზე.

ნიშნები და სიმპტომები

- ერითემა, შეშუპება, ბუშტუკები ან ქსოვილის ნეკროზი;
- ტკივილი.

1.2 დამწვრობის მქონე პაციენტის შეფასება და მოვლა

- რა არის გამომწვევი მიზეზი/დამწვრობის მექანიზმი?
- თუ არის დაზიანების გამომწვევი მიზეზი სამედიცინო პერსონალისთვის საშიშროების შემცველი?
- თუ აქვს დაზარალებულს ტანსაცმელი ან რაიმე სამკაული, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა მოშორდეს, რათა შეჩერდეს წვის პროცესი და თავიდან იქნეს აცილებული მოჭერა, რაც იწვევს შეშუპების განვითარებას?
- რა არის პაციენტის ჩივილი?
- ხმის ტემბრი შეცვლილია?
- სად იმყოფებოდა პაციენტი დაზიანების მიღების მომენტში?

ინჰალაციურ დაზიანებაზე უნდა იქნეს ეჭვი მიტანილი, თუ ხანძარი იყო დახურულ სივრცეში, თან ახლდა ორთქლის გამოყოფა ან ადგილი ჰქონდა პოტენციურად ტოქსიური ნივთიერებების წვას. აფეთქება ზრდის სიცოცხლისთვის საშიში სხვა დაზიანების, მათ შორის პენეტრაციული ტრავმის რისკს. პაციენტს, რომელმაც მიიღო სახის დამწვრობა დახურულ სივრცეში და აღენიშნება ნახშირბადის მონოქსიდის დონე $> 15\%$, მაღალი ალბათობით (90%) გამოხატული აქვს ინჰალაციური დაზიანება.

- რა იყო პაციენტის მიახლოებითი წონა დამწვრობამდე?
- დაზიანებამდე ხომ არ იყო პაციენტი ალკოჰოლის ან ნარკოტი-

- კული საშუალებების ზემოქმედების ქვეშ?
- ხომ არ არის დამწვრობის მექანიზმი/ხასიათი საექვო ძალადობის არსებობაზე?
 - პაციენტი თამბაქოს მომხმარებელია?

ფიზიკური გასინჯვა

- განსაზღვრეთ სასუნთქი გზების გამავლობა და სუნთქვის ეფექტურობა;
- დაათვალიერეთ ცხვირ-ხახა და პირ-ხახა: შეამოწმეთ მურის არსებობა, ლორწოვანი გარსების გაღიზიანება და/ან მომატებული სეკრეტი. განსაზღვრეთ ხველის, ხმის ტემბრის შეცვლის, სტრიდორისა და ყლაპვის რეფლექსის არსებობა;
- შეამოწმეთ თმის შეტრუსვა ცხვირის, სახისა და წარბების არეში;
- შეაფასეთ დამწვრობისა და შეშუპების არსებობა, განსაკუთრებით სახისა და კისრის გარშემო; დათვალეთ სუნთქვის სიხშირე, განსაზღვრეთ სუნთქვის ხასიათი და დააკვირდით გულმკერდის მოძრაობას ჩასუნთქვის დროს; ტაქიპნოე შეიძლება მიუთითებდეს ჰიპერკაპნიაზე, ფილტვის დაზიანებაზე, შოკზე, აგზნებაზე, ტკივილზე და/ან ჰიპერმეტაბოლიზმზე. გულმკერდის ცირკულარული დამწვრობა ხელს უშლის ფილტვების სრულ გაშლას და შეიძლება მიგვიყვანოს რესპირატორულ დარღვევებამდე;
- განსაზღვრეთ დამწვრობის ხარისხი ზედაპირული (პირველი ხარისხის) დამწვრობის დროს აღინიშნება მშრალი, ერითემური უბნები ბუშტუკების გარეშე. დაზიანებული მიდამო ზეწოლისას ფერმკრთალდება და მგრძობიარეა, ეპიდერმისი არის ინტაქტური; ნაწილობრივი სიღრმის (მეორე ხარისხის) დამწვრობის დროს გამოხატულია ჰიპერემია, კანი სველია და ვლინდება ბუშტუკები. პაციენტი უჩივის ტკივილს. არსებობს ნაწილობრივი სიღრმის დამწვრობის 3 ტიპი:
 - » ზედაპირული ნაწილობრივი სიღრმის დამწვრობა, რომელიც მოიცავს დერმის ზედა შრეს;

- » ღრმა ნაწილობრივი სიღრმის დამწვრობა, რომელიც მოიცავს დერმის უფრო ღრმა შრეებს;
- » სრული სიღრმის (მესამე ხარისხის) დამწვრობა შეფერილობით მერყეობს ღია ყვითლიდან მუქ წითლამდე, ყავისფრამდე ან შავამდე. დაზიანებული მიდამო არის მშრალი, ქსოვილი არაელასტიურია და დაკარგული აქვს მგრძნობელობა. ასეთი ხარისხის დამწვრობა შეიძლება იყოს სიცოცხლისთვის და/ან კიდურისთვის საფრთხის მომცველი;

დამწვრობის სიღრმის ბოლომდე განსაზღვრა ხშირად შეუძლებელია გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში. სიღრმის განსაზღვრა უნდა მოხდეს მხოლოდ დეტალური გასინჯვის, მკვდარი ქსოვილების მოცილების და გაგრილების შემდეგ;

დამწვრობის სიღრმე და ხარისხი

სიღრმე	ხარისხი	მახასიათებლები
ზედაპირული	პირველი	• მშრალი, წითელი, ფერმკრთალდება, მტკივნეული
ნაწილობრივი სიღრმის • ღრმა ნაწილობრივი სიღრმის; • ზედაპირული ნაწილობრივი სიღრმის.	მეორე	• ჰიპერემიული, სველი, ბუშტუკები, მტკივნეული • მოიცავს ზედა დერმას; • მოიცავს ღრმა დერმას.
სრული სიღრმის	მესამე	• მშრალი; • შეიძლება იყოს გამჭვირვალე; • ფერი ცვალებადობს; • არ არის მტკივნეული.

დამწვრობის ზომა შეიძლება გაიზარდოს პირველი 48 სთ-ის განმავლობაში.

განსაზღვრეთ დამწვრობის გავრცელება:

- არსებობს დამწვრობის ფართობის გათვლის სხვადასხვა ხერხი;


- ცხრიანების წესი, რომლის მიხედვითაც სხეული დაყოფილია მიდამოებად, რომელიც შეადგენს სხეულის საერთო ზედაპირის 9% ან 9%-ის ჯერადს, გარდა შორისის მიდამოსი, რომლის ფართობი შეადგენს 1%-ს. ცხრიანების წესი არის მიახლოებითი და შედარებით ხშირად გამოიყენება მოზრდილებში და 10 წელზე მეტის ასაკის ბავშვებში;
- ფართოდ გამოიყენება Lund and Browder ცხრილი, რომელიც იძლევა უფრო ზუსტი გამოთვლის საშუალებას;
- არათანაბარი დამწვრობის ფართობის გასათვლელად გამოიყენება ე.წ. ხელისგულის წესის მიხედვით, თუ ჩავთვლით, რომ ხელისგულის ფართობი არის სხეულის საერთო ზედაპირის ფართობის 1%.

განსაზღვრეთ დამწვრობის ლოკალიზაცია:

- გულმკერდისა და კისრის ცირკულარული დამწვრობა იწვევს რესპირატორული დარღვევების განვითარებას. კიდურების ცირკულარულმა დამწვრობამ შეიძლება მიგვიყვანოს ნეირო-ვასკულურ დარღვევებამდე;
- თერმული დაზიანების ზოგიერთი ლოკალიზაცია დაკავშირებულია გარკვეულ პრობლემებთან. სახისა და კისრის დამწვრობა იწვევს რესპირატორულ პრობლემებს შეშუპების განვითარების შემთხვევაში. ამ მიდამოს დაზიანებამ ასევე შეიძლება შეზღუდოს ლაპარაკი, ყლაპვა, საკვებისა და სითხის მიღება. ხელების დამწვრობა აფერხებს მთელ რიგ აქტივობებს, მათ შორის ყოველდღიურ საქმიანობას. ქვედა კიდურების დაზიანების დროს იზღუდება გადაადგილების უნარი. შორისის მიდამოს დაზიანება დაკავშირებულია ინფექციის რისკთან, ასევე შარდვისა და დეფეკაციის პრობლემებთან.

განსაზღვრეთ დამწვრობის სიმძიმე:

- თერმული დაზიანების სიმძიმე შეიძლება განისაზღვროს სიღრმის, გავრცელებისა და ლოკალიზაციის მიხედვით;
- საერთო სიმძიმეს განსაზღვრავს დაზიანებამდე ჯანმრთელობის მდგომარეობა, სხვა დაზიანებების არსებობა და დაზიანების მექანიზმი.



სურათი 1. დამწვრობის ფართობის გათვლა.

აუსკულტაცია

მოისმინეთ სუნთქვითი ხმიანობა: დამწვრობის დროს ხშირია წვის ნარჩენი პროდუქტების შესუნთქვის შემთხვევები. თუ დაზარალებულს აღენიშნება გულმკერდის ცირკულარული დამწვრობა, მექანიკური ვენტილაციის დროს გულმკერდის ექსკურსიის მისაღწევად შეიძლება საჭირო გახდეს მაღალი ჩასუნთქვის წნევა.

პალპაცია

- გასინჯეთ პერიფერიული პულსი ვასკულური დარღვევის გამოსავლენად, რომელიც შეიძლება განპირობებული იყოს კიდურების ცირკულარული დამწვრობით ან სისხლძარღვების უშუალო დაზიანებით;
- გასინჯეთ კიდურები მგრძობელობის შესაფასებლად და სხვა ნევროლოგიური დარღვევის გამოსავლენად. სრული სიღრმის დამწვრობა, რომელიც მთლიანად სკობს ნერვულ დაბოლოებებს, არ არის მტკივნეული. მესამე ხარისხის დამწვრობის გარშემო არსებული უბნები, რომელზეც არ აღინიშნება ღრმა დაზიანება, შენარჩუნებული აქვთ სენსორული ფუნქცია და

- შეიძლება იყოს მტკივნეული;
- შეხებით გასინჯეთ კანის ტემპერატურა, რათა განსაზღვროთ პერიფერიული პერფუზია. დამწვრობით დაზიანებული ქსოვილი არის ცივი დაქვეითებული პერფუზიისა და სითხის დაკარგვის გამო.

დიაგნოსტიკური პროცედურები

რადიოგრაფიული კვლევა

- გულმკერდის რენტგენოგრაფია რეკომენდებულია საწყისი სურათის მისაღებად, რათა დინამიკაში შეფასდეს ფილტვის დაზიანება.

ლაბორატორული კვლევები

- არტერიული სისხლის გაზები, pH, SaO_2 :
 - » არტერიული სისხლის გაზები გამოიყენება ოქსიჰემოგლობინის, კარბოქსიჰემოგლობინის და მეტჰემოგლობინის განსაზღვრისთვის;
 - » კარბოქსიჰემოგლობინის ნორმალური მაჩვენებელია 0-13%, > 25% ითვლება ტოქსიურ დონედ, ხოლო > 60% წარმოადგენს ლეტალურ მაჩვენებელს;
- შარდის ანალიზი ჰემოგლობინის და მიოგლობინის განსაზღვრისთვის. თუმცა, ჩვეულებრივ დიაგნოზისთვის საკმარისია შარდის ფერი.

პულსოქსიმეტრია

- როგორც წესი, პულსოქსიმეტრით შეუძლებელია კარბოქსიჰემოგლობინის და ოქსიჰემოგლობინის დიფერენცირება;
- რბილი, ფიბროოპტიკური ბრონქოსკოპიით შესაძლებელია ინჰალაციური დაზიანების ხარისხის განსაზღვრა.

ქმედებები, ჩარევები

- შეაჩერეთ წვის პროცესი: მოაშორეთ ტანსაცმელი და სამკაულები (ბეჭედი, საათი, ყელსაბამი) მოსალოდნელი შემუშების დროს და სითბოს გადაცემის თავიდან ასაცილებლად;
- უზრუნველყავით სასუნთქი გზების გამავლობა: მოემზადეთ ადრეული ინტუბაციისთვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გამოხატულია ინჰალაციური დაზიანების ნიშნები. ტრაქეის ინტუბაცია შეიძლება იყოს გაძნელებული შემუშების გამო. მნიშვნელოვანია, რომ ინტუბაციის ტექნიკა ან სასუნთქი გზების ქირურგიული გახსნა გამოცდილმა და განაფულმა პერსონალმა აწარმოოს. მნიშვნელოვანია დიდი ზომის მილის გამოყენება ადეკვატური ვენტილაციისათვის, განსაკუთრებით ინჰალაციური დაზიანების დროს.

სახის დამწვრობის დროს განიხილეთ მილის ფიქსაციის ალტერნატიული საშუალებების გამოყენება.

- მიაწოდეთ ჟანგბადი რეზერვუარიანი ნიღბით 12-15 ლ/წთ ნაკადის გამოყენებით;
- ჩაატარეთ დამხმარე ვენტილაცია საჭიროების დროს: მექანიკური ვენტილაციის ჩატარებისას გამოიყენეთ ის ვენტილატორები, რომელთაც ჰაერის გათბობისა და დატენიანების შესაძლებლობა აქვთ;
- ჩაატარეთ 2 პერიფერიული ვენის კათეტერიზაცია ფართო კალიბრის 14-16 G კათეტერით და დაიწყეთ თბილი ინტრავენური ხსნარების ინფუზია;
- მოერიდეთ კათეტერის დაზიანებულ მიდამოში მოთავსებას;
- შეიყვანეთ კრისტალოიდური ხსნარები, როგორცაა რინგერ ლაქტატის ხსნარი წინასწარ განსაზღვრული პროტოკოლის მიხედვით. პაციენტს, რომელსაც აღენიშნება სხეულის ფართობის 20%-ზე მეტის დამწვრობა, ესაჭიროება სითხით რესუსიტაცია; არსებობს მთელი რიგი ფორმულებისა, რომელიც მოწოდებულია პირველ 24 საათში სითხეზე მოთხოვნილების გამოსაანგარიშებლად. ფორმულები ეფუძნება პაციენტის

წონასა და დამწვრობის გავრცელებას. თუმცა სითხით რეანი-
მაციისთვის საჭირო რაოდენობა განისაზღვრება პაციენტის
პასუხით, როგორცაა მაგალითად დიურეზი. მოსალოდნელზე
მეტი რაოდენობით სითხის ინფუზია ესაჭიროება პაციენტებს
შემდეგი მდგომარეობების დროს:

- » ინჰალაციური დაზიანება;
- » მაღალი ვოლტაჟის ელექტრული დაზიანება;
- » ალკოჰოლის გამოყენება;
- » დაგვიანებული სითხით რეანიმაცია;
- განიხილეთ თანმხლები დაავადებები;
- შეიყვანეთ ანალგეზიური საშუალებები: ოპიოიდური საშუალებები შეიყვანეთ ინტრავენურად. ინტრამუსკულარული შეყვანის გზა რეკომენდებული არ არის.
- ჩადგით შარდის ბუშტის კათეტერი დიურეზის მონიტორინგის მიზნით: მიზანშეწონილია დიურეზი შეადგენდეს 30-50 მლ/სთ მოზრდილებში და 1 მლ/კგ/სთ ბავშვებში;
- ჩადგით გასტრული მილი;
- გამოიყენეთ ფიზიოლოგიურ ხსნარში დასველებული სტერილური საფენები, თუ დამწვრობის ფართობი < 10%:
 - » არ გამოიყენოთ ყინული;
 - » შეინარჩუნეთ დაზიანებული მიდამოს სიგრილე (ხელს უწყობს ტკივილის გაყუჩებას);
 - » დააფინეთ გრილი საფენები 10 წუთის განმავლობაში ქსოვილების გასაგრილებლად;
 - » მოერიდეთ გრილი საფენების გამოყენებას > 20 წუთის განმავლობაში, რათა თავიდან იქნეს აცილებული ქსოვილების შემდგომი დაზიანება და ჰიპოთერმია;
- დაფარეთ > 10% დამწვრობის მიდამო სუფთა და მშრალი საფენებით;
- შეინარჩუნეთ პაციენტის სითბო, განსაკუთრებით ტრანსპორტირების დროს: ვინაიდან დამწვრობის მქონე პაციენტი ვერ ინარჩუნებს სითბოს, ეცადეთ გაათბოთ ოთახი ჰიპოთერმიის თავიდან ასაცილებლად. გარემოს ტემპერატურის შენარჩუნება ასევე მნიშვნელოვანია, ვინაიდან პაციენტი შეიძლება იმყოფებოდეს ჰიპერმეტაბოლურ მდგომარეობაში. > 50% დამწვ-

რობის დროს გარემოს ტემპერატურის > 30 გრადუსამდე აწევა ამცირებს ჰიპერმეტაბოლიზმს;

- დაეხმარეთ გულმკედის და/ან კიდურების ესქაროტომიის ჩატარებაში გულმკერდის ადეკვატური ექსკურსიის ან კიდურების სისხლის მიმოქცევის გასაუმჯობესებლად. ესქაროტომია არის განაკვეთი, რომელიც კეთდება ნაწიბურზე ან დამწვრობით ქსოვილზე ცირკულარული დაჭიმულობის შესამცირებლად;
- წამოწიეთ დაზიანებული კიდურები სხვა უკუჩვენების არარსებობისას, რათა გაადვილდეს ვენური უკუდინება;
- ჩაატარეთ დამწვრობის მიდამოს ადეკვატური მოვლა;
- დამწვრობის მიდამოს ადგილობრივი მოვლა მოიცავს:
 - » წრილობის დამუშავების წინ ანალგეზიური მედიკამენტების შეყვანას;
 - » წრილობის გასუფთავებას წყლითა და საპნით;
 - » დანეკროზებული ქსოვილების მოცილებას;
 - » ბუშტუკების მთლიანობის დარღვევას – არ არის რეკომენდებული ზოგიერთი ავტორის მიერ;
 - » თმის მოპარსვას წრილობის გარშემო. არასდროს არ მოპარსოთ წარბები;
 - » ადგილობრივი ანტიმიკრობული მალამოების გამოყენებას;
- უზრუნველყავით პაციენტისა და ოჯახის წევრების ფსიქოსოციალური დახმარება;
- მოამზადეთ პაციენტი ოპერაციული ჩარევისთვის, საავადმყოფოში მოთავსებისთვის ან ტრანსპორტირებისთვის.

პაციენტის დამწვრობის ცენტრში რეფერალის კრიტერიუმები:

- » სხეულის 10% ან მეტი ფართობის ნაწილობრივი და სრული სისქის დამწვრობის კომბინაცია 10 წლამდე და 50 წლის ზემოთ პაციენტებში;
- » სხეულის 10%-ზე მეტი ფართობის ნაწილობრივი სისქის დამწვრობა;
- » დამწვრობა, რომელიც მოიცავს სახეს, ქვედა და ზედა კიდურებს, გენიტალიებს, შორისსა და მსხვილ სახსრებს;
- » სრული სისქის დამწვრობა ნებისმიერი ასაკის პაციენტებში;

- » მაღალი ძაბვის ელექტრული დამწვრობა;
- » ქიმიური დამწვრობა;
- » ინჰალაციური დაზიანება;
- » თანმხლები სამედიცინო მდგომარეობები, რომელიც ართულებს მართვას, ახანგრძლივებს გამოჯანმრთელებას ან გავლენას ახდენს სიკვდილობაზე.

საექთნო მოვლა ელექტრული დამწვრობის დროს

- pH, PaCO₂, PaO₂, SaO₂, SpO₂ და ბიკარბონატის მონიტორინგი. დარწმუნდით, რომ ვენტილაცია და სითხის სტატუსი ადეკვატურია;
- შეიყვანეთ ინტრავენური სითხეები იმ სიჩქარით, რომ მიიღოთ დიურეზი 70-100 მლ/სთ;
- დააკვირდით შარდის ფერს:
 - » მუქი შარდი მიუთითებს მიოგლობინის შესაძლო არსებობაზე. აღნიშნული ნივთიერების ექსკრეციის გასაადვილებლად რეკომენდებულია ნატრიუმის ბიკარბონატის ინფუზია. თუ შარდის ფერი არ უბრუნდება ნორმას, განიხილეთ მანიტოლის შეყვანა, რაც ხელს უწყობს დიურეზსა და მიოგლობინის გამოყოფას. თუ მიოგლობინი ორგანიზმიდან არ გამოიყოფა, ის ლაგდება თირკმლის მილაკებში და ინვევს თირკმლის უკმარისობას;
- ჩაატარეთ გულის რიტმისა და სიხშირის მონიტორინგი, სულ მცირე 24 სთ-ის განმავლობაში; დააკვირდით შესაბამისი სინდრომის ნიშნებს და სიმპტომების გამოვლენას და მზად იყავით ფასციოტომიის ჩასატარებლად.

საექთნო მოვლა ქიმიური დამწვრობის დროს


- დარწმუნდით, რომ გუნდის ყველა წევრი დაცულია ქიმიური ნივთიერებებით კონტამინაციისგან, რისთვისაც რეკომენდებულია ხელთათმანების, სამედიცინო ტანსაცმლის, ნიღბისა და სათვალის გამოყენება;

- ჩაატარეთ დაზიანებული მიდამოების ირიგაცია წყლითა და ფიზიოლოგიური ხსნარით. ტუტეების მოხვედრის დროს საჭიროა მეტი ხნით ირიგაცია;
- არ დაკარგოთ დრო გამანეიტრალებელი აგენტების ძებნაში. კირის შემცველი ნაერთების მოხვედრისას წყლით ირიგაცია არ არის რეკომენდებული, ვინაიდან მათი კომბინაცია წარმოშობს კოროზიულ ნაერთს, რომელიც აგრძელებს წვის პროცესს.

2. ჭრილობა


ჭრილობა – კანის, ლორწოვანი გარსისა და ღრმად მდებარე ქსოვილების დაზიანებაა. ჭრილობას ყოველთვის მექანიკური დაზიანება იწვევს და დეფექტთან ერთად მის გარშემო არსებული ქსოვილების მეტ-ნაკლები დაზიანებაც აღინიშნება.

ჭრილობას ახასიათებს სამი ძირითადი ნიშანი: პირლიაობა, ტკივილი და სისხლდენა. სისხლდენა დამოკიდებულია დაზიანებული სისხლძარღვების რაოდენობასა და სახეობაზე. ქსოვილთა დაზიანების ხასიათის მიხედვით არჩევენ ნაჩხვლელ, ნაკვეთ, დაჟეჟილ, ამპუტირებულ, ცეცხლნასროლ, ნაკბენ, მოწამლულ, დაჩეჩქვილ, და სხვა ჭრილობებს. ჭრილობა შეიძლება იყოს შემავალი და არაშემავალი.



ნაჩხვლეთ ქრილობას იწვევს წვეტიანი იარალი: ნემსი, ლურსმანი, ხიშტი, სადვისი, ხანჯლის წვერი, ლითონის ჩხირი და სხვა. ასეთი ქრილობა მეტად სახიფათოა ქსოვილების სიღრმესა და ღრუებში (გულმკერდის, მუცლის ღრუს) მდებარე ორგანოების დაზიანების თვალსაზრისით. ასეთი სახის ქრილობის გარეგნული სახე ხშირად არ იძლევა საჭირო მონაცემებს დიაგნოზის დასადგენად. ასეთი ავადმყოფები დაუყოვნებლივ უნდა გადაიგზავნონ საავადმყოფოში. გაპობილ ქრილობას იწვევს გამპობი იარალი, ნაჯახი, ხმალი და სხვა. ასეთი სახის ქრილობები მეტად პირლიაა და ზოგჯერ ძვლამდეც აღწევს. ქრილობის კიდების არეში ქსოვილები დაჟეჟილი და დაჩეჩქვილია, რის გამოც მისი მკურნალობა საკმაოდ რთულია. ცეცხლნასროლ ქრილობებს ცეცხლსასროლი იარალი იწვევს. ასეთ ქრილობებს ტყვიით მიყენებული ქრილობების გარდა მიეკუთვნება ყუმბარისა და ნაღმის ნამსხვრევებით გამონვეული ქრილობები. მონამულ ქრილობას იწვევს ქრილობაში მოხვედრილი გველის, მორიელის, ფუტკრის, კრაბანას შხამი და სხვა მომწამვლელი ნივთიერებები). ნაკბენი ქრილობა გამონვეულია ცხოველისა (ძაღლის, მგლის, ცხენის და სხვა) და ადამიანის კბილებით. მძიმე დაზიანებას იწვევს ცხოველის ეშვები. ნაკბენი ქრილობა ყოველთვის ინფიცირებულია ნერწყვით. სწრაფად ვითარდება ანთებითი რეაქცია. ქრილობის შეხორცება ყოველთვის ქიანურდება. ცოფიანი ძაღლის ნაკბენი იწვევს მძიმე დაავადებას — ცოფს, ვირთაგვას ნაკბენი — ზოგჯერ სოდოკუს დაავადებას და სხვა.

ქსოვილების ნაკვეთი, ნაკანრი და ნაჩხვლეთი ქრილობა კბენის ან სხვა სახის ტრავმის შედეგია. თუ ნაკბენი ქრილობა ძალიან დიდი არ არის, ის ჩვეულებრივ, სწრაფად ხორცდება. ამავე დროს, ზოგიერთი სახის ქრილობიდან დიდი რაოდენობით სისხლი შეიძლება დაიკარგოს, ზოგის დროს ღრმად მდებარე სტრუქტურები – ნერვები, მყესები ან სისხლძარღვები ზიანდება.



ზოგჯერ ქრილობა შეიძლება დაინფიცირდეს ან მასში უცხო სხეულის ნაწილი (როგორცაა ხიჭვი, მინა ან ტანსაცმლის ფრაგმენტი) ჩარჩეს. ზედაპირული ტრავმები სხეულის უმეტეს არეებში იშვიათად არის ძალიან სისხლმდენი და სისხლდენაც თავისით ჩერდება. ხელისა და თავის, ისევე, როგორც არტერიისა და მსხვილი ვენების ქრილობები ძლიერი სისხლდენის წყაროა. თუ ქრილობა ქუჩყით ან ბაქტერიებითაა დაბინძურებული, ინფექციის განვითარებაა მოსალოდნელი. მართალია, ნებისმიერი ქრილობის დაინფიცირებაა შესაძლებელი, მაგრამ ეს უფრო მეტად ღრმა ნაკანრი და ნაჩხვლეტი ქრილობის შემთხვევაშია მოსალოდნელია, როდესაც ქუჩყი კანქვეშ ღრმად შეაღწევს. თითქმის ყოველთვის ინფიცირდება ქრილობები, რომლებშიც უცხო სხეულია ჩარჩენილი. რაც უფრო დიდხანს რჩება ქრილობა დაბინძურებული, მით უფრო მაღალია ინფექციის განვითარების ალბათობა.



დასაწყისში ქრილობა მტკივნეულია, თუმცა, მომდევნო დღეებში ტკივილი იკლებს. თუ ნერვები ან მყესებია დაზიანებული, დაზარალებულს შესაძლოა სხეულის გარკვეული ნაწილების მოძრაობა შეეზღუდოს. ნერვის დაზიანება სისუსტეს ან დამბლის განვითარებას, მგრძნობელობის დაკარგვას ან დაბუჟებას იწვევს. თუ ნაჩხვლექ ქრილობაში უცხო სხეულია ჩარჩენილი, ჩვეულებრივ, შეხებისას მტკივნეულობა აღინიშნება.

ტკივილის გაძლიერება ქრილობის მიღებიდან მომდევნო დღეების განმავლობაში ხშირად ინფექციის პირველი ნიშანია. მოგვიანებით ინფიცირებული ქრილობა წითელი ფერის ხდება, შუპდება, ქრილობიდან ჩირქდენა იწყება. შესაძლებელია სხეულის ტემპერატურის მომატება.

2.1 პირველადი დახმარება ქრილობის დროს

ქრილობის მკურნალობის პირველი საფეხური სისხლდენის შეჩერებაა. ხილული სისხლდენის შეჩერება თითქმის ყოველთვის არის შესაძლებელი სისხლდენის კერაზე თითებით ან ხელით ხუთიოდე წუთის განმავლობაში ზეწოლით. თუ შესაძლებელია, სისხლმდენი უბანი გულის დონეზე მაღლა უნდა განთავსდეს, მაგალითად – კიდური მაღლა აიწიოს. ლახტის დადებისას წყდება სხეულის გარკვეული ნაწილის სისხლით მომარაგება და, შესაბამისად, ჟანგბადით უზრუნველყოფა, ამიტომ ის მხოლოდ მძიმე დაზიანების დროს გამოიყენება (მაგალითად, ბრძოლის ველზე).




ინფექციის თავიდან ასაცილებლად ქუჩყი უნდა მოსცილდეს და ქრილობა ჩამოირეცხოს. ქუჩყის დიდი ზომის ხილული ნაწილები ხელით სცილდება, ხოლო მცირე ზომისა – საპნით და სუფთა წყლით ჩამოიბანება. თუ ამის მიუხედავად ქუჩყის ნაწილაკები კვლავ რჩება ქრილობაში, თბილი წყლის ძლიერი ჭავლით ჩამორეცხვაა სასურველი. არ არის რეკომენდებული ისეთი საშუალებების გამოყენება, როგორცაა ალკოჰოლი (სპირტი), იოდი და წყალბადის ზეჟანგი. ყველა ჩამოთვლილი დამატებით აზიანებს ქსოვილებს და აფერხებს შეხორცების პროცესს. თუ ქრილობა ღრმაა, მისი გულდასმით განმეინდაა საჭირო. მცირე ზომის ქრილობა შეიძლება დაიფაროს საფენებით, ღრმა ან დიდი ზომის ქრილობას ნაკერების დადება სჭირდება. ქრილობის გასუფთავების და, თუ საჭირო გახდა, დახურვის შემდეგ, ანტიბიოტიკის შემცველი მალამო და სახვევი გამოიყენება. ქსოვილთა შეერთება ხდება ან უსისხლოდ (შემწებებელი ნივთიერებები, პლასტიკური, მიშელის ბრჭყალები) ან სისხლიანი წესით (ნაკერის დადება). არჩევენ რეზორბციულ (განოვად) და არარეზორბციულ (არაგანოვად) საკერავ მასალას. რეზორბციულ საკერავ მასალაში გამოყოფენ სინთეზური (ვიკროლი, დექსონი, პოლიდიაქსანინი და ნატურალური (კეტგუტი და ქრომირებული კეტგუტი) მასალებისაგან დამზადებულ


დაფებს. რეზორბციული მასალით წარმოებული ნაკერი მოსახსნელი არ არის. მაგ: კუჭის, ნაწლავების, ფასციის, კუნთების გაკერვის მიზნით. არარეზორბციულ საკერავ მასალაში გამოყოფენ სინთეზურ (პროლენი, მირალენი, ეთილონი, სერალონი) და ჩვეულებრივ აბრეშუმის დაფს. ის გამოიყენება კანისა და კანქვეშა ქსოვილის გასაკერად. რბილი ქსოვილები (კანი და აპონევროზი) იკერება აბრეშუმის ან კაპრონის დაფით ან კეტგუტით.

ნაკერების სახეები:

1. კვანძოვანი – შედგება ცალკეული კვანძებისაგან, რომელთაგან თითოეული ცალკ-ცალკე ედება. იყენებენ კანის, კანქვეშა ქსოვილის, აპონევროზისა და კუნთების გასაკერად.
2. უწყვეტი (ჩვეულებრივი) – გამოიყენება კუჭზე და ნაწლავებზე ოპერაციული ჩარევის დროს, აგრეთვე სისხლძარღვების გასაკერად. უწყვეტ ნაკერს ეკუთვნის მულტანოვსკის და ლეიბისებრი ნაკერები.



კვანძოვანი ნაკერი



უწყვეტი ნაკერი


კვანძების სახეები:

ქირურგიული კვანძი-მიიღება დაფის ბოლოების პირველ მომენტში ორჯერ გადაჯვარედინებით. მეორედ ჩასკვნის დროს აუცილებელია დაფის ბოლოების დაჭიმულად დაჭერა. გამოიყენება მსხვილი სისხლძარღვების გადასკვნისას.

უბრალო-მიიღება პირველ მომენტში დაფის ბოლოების ერთმანეთზე ერჯერ გადაჯვარედინებით (გადახვევით).



ქირურგიული კვანძი



უბრალე კვანძი

სამედიცინო დახმარება საჭირო ხდება შემდეგი გარემოებების დროს:

- თუ ქრილობის სიგრძე 3/4 სმ-ზე მეტია, სახის მიდამოშია, ღრმა ან კიდები დაცილებულია;
- სისხლდენა თავისით ან თითებით ზეწოლის მიუხედავად არ შეწყდა;
- ნერვის ან მყესების დაზიანების სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში, როგორცაა მგრძნობელობის, მოძრაობის უნარის დაკარგვა, დაბუჟება;
- თუ ქრილობა ღრმა ან დაბინძურებულია და უცხო სხეულების მოცილება გაძნელებულია;
- ნაჩხვლეთი ქრილობის შემთხვევაში, როდესაც სავარაუდოა ქრილობაში უცხო სხეულის არსებობა;
- დაზარალებულს ბოლო 5 წელია არ ჩატარებია ტეტანუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია.

ნაცხის აღების ტექნიკა ხახიდან:

პაციენტი უნდა იჯდეს სკამზე, თავი გადაწიოს უკან, გახსნას პირი და ენა გამოწიოს წინ. ენა უნდა დაფიქსირდეს შპადელით და პაციენტს უნდა ვთხოვოთ თქვას „აააა“. სწრაფად, მაგრამ ნაზად შეეხეთ სტერილური ჩხირით იქ, სადაც არის ექსუდატი, ჩირქი ან ანთების ნებისმიერი ადგილი, ასევე შეეხეთ სასის ტონზილებს და ხახის უკანა კედელს. ფრთხილად გამოიღეთ ჩხირი ისე, რომ არ შეეხოთ პირის ღრუს ან ენას.

1.2 ნაცხის აღება თვალიდან

თვალის ზედაპირიდან (ლორწოვანიდან, რქოვანადად) მიღებული და დათესილი კულტურა საჭიროა სხვადასხვა ვირუსული, ბაქტერიოლოგიური თუ სოკოვანი ინფექციის დიაგნოსტიკისათვის.

საჭიროა სათანადო მომზადება ნაცხის აღებამდე:

- არ უნდა მოხდეს ანტიბიოტიკების თუ სხვა ფუნგიციდური საშუალებების მიღება 10 დღის განმავლობაში
- არ უნდა მოხდეს კოსმეტიკური საშუალებების გამოყენება ნაცხის აღებამდე
- არ შეიძლება წყლით სახის ჩამობანვა და ანტისეპტიკური საშუალებებით გაწმენდა ნაცხის აღების დღეს.

რეკომენდირებულია ნაცხის ანალიზის აღება დილის საათებში მეთი კომფორტისთვის, რადგან პაციენტი შემდგომ შეძლებს სახის დაბანას და ჰიგიენის დაცვას.

ნიმუშის აღების პროცესი

სთხოვეთ პაციენტს, მაღლა აიხედოს. ასეპტიური ტექნიკის გამოყენებით, სტერილური ჩხირი დაიჭირეთ რქოვანის პარალელურად და ნაზად წაუსვით კონიუქტივაზე ქვედა ქუთუთოებთან ცხვირის მხრიდან გარეთა მიმართულებით. ჩხირი წაუსვით იქ სადაც არის ჩირქი ან ექსუ-

დატი, ან იქ, სადაც დაზიანებაა. თუ ორივე თვალი უნდა გაიწმინდოს, გამოიყენეთ სხვადასხვა ჩხირი და ეტიკეტებით მიანიშნეთ – „მარჯვნივ“ და „მარცხნივ“, შესაბამისად. ცალკეული ნიმუშები უნდა შეგროვდეს ვირუსების, ქლამიდიოზის, ნეისერიას ან გონორეის გამოვლენის მიზნით.

1.3 ნაცხის აღება ყურიდან

ყურის ნაცხის აღების პროცედურისთვის არ არის საჭირო სპეციალური მომზადება. თუმცა, პათოგენის დიაგნოსტიკისა და მგრძნობელობის დადგენის სარწმუნო შედეგის მისაღებად კვლევა ტარდება ანტიბაქტერიული, სოკოს საწინააღმდეგო და სხვა საშუალებებით მკურნალობის დასრულებიდან მინიმუმ 2 კვირის შემდეგ. ასევე სულ ცოტა ერთი დღით ადრე უნდა შეჩერდეს იმ ადგილობრივი მოქმედების მედიკამენტების გამოყენება, რომლებიც აფერხებენ პათოგენური ფლორის ზრდას. საუკეთესოა, თუ ბიომასალის აღება მოხდება დაავადების მკურნალობის დაწყებამდე. ასევე სასურველია, ნაცხის აღებამდე არ მოხდეს ყურის გამოწმენდა ან საპნით დაბანა.

ნაცხის აღების ტექნიკა: ყურის ნაცხის აღება ხდება გარეთა სასმენი მილიდან. პროცედურა აბსოლუტურად უსაფრთხოა და არ იწვევს დისკომფორტს. აუცილებელია ინდივიდუალური დაცვის საშუალების გამოყენება(ხელთათმანი):

- სტერილური ზონდი ბამბის წვერით ფრთხილად უნდა ამოვიღოთ სტერილური სინჯარიდან;
- უნდა მოხდეს გარეთა სასმენი მილის გასასწორებლად ყურის ნიჟარის უკან და ზევით გაქაჩვა;
- ბრუნვითი მოძრაობების გამოყენებით, ზონდი თავსდება გარეთა სასმენ მილში 1,5 სმ სიღრმეზე;
- ზონდი ფრთხილად უნდა იქნას ამოღებული სასმენი მილიდან ისე რომ არ შეეხოს ახლომდებარე ქსოვილებს ან ზედაპირებს და უნდა მოთავსდეს სტერილურ სინჯარაში.

2. უცხო სხეულის ამოღება ყურიდან, თვალიდან და ცხვირიდან

2.1. უცხო სხეულის ამოღება ყურიდან

ყურის უცხო სხეული ყველაზე ხშირად გვხვდება ბავშვთა ასაკის პაციენტებში. როგორც წესი, ბავშვი თვითონ ატყობინებს მშობელს რომ შემთხვევით ჩაიდო მცირე ზომის საგანი ყურში. ასევე ხშირია ყურის განმენდის დროს ბამბის ჩარჩენა გარეთა სასმენ მილში. ზოგჯერ კი, განსაკუთრებით ბუნებაში ყოფნისას სხვადასხვა მწერი შეიძლება შეძვრეს ან შეფრინდეს ყურში. ყველა ეს სიტუაცია მოითხოვს დაუყოვნებლივ ჩარევას და ყურიდან უცხო სხეულის ამოღებას.

ყურში უცხო საგნის არსებობას ჩვეულებრივ თან ახლავს მთელი რიგი ჩივილები:

- დისკომფორტის, სიმძიმის შეგრძნება გარე სასმენ მილში;
- ტკივილი, ზოგჯერ ინტენსიური (განსაკუთრებით თუ უცხო სხეული არის მოძრავი, ბასრი, რომელიც აზიანებს კანს ან/და დაფის აპკს);
- ხმაური ყურში;
- ყურის დაგუბება;
- თავბრუსხვევა, თავის ტკივილი;
- გულისრევა, ლებინება.

ზოგჯერ უცხო სხეული, რომელიც მოხვდება გარეთა სასმენ მილში, კლინიკურად არ ვლინდება სანამ არ განვითარდება მასთან დაკავშირებული გართულებები, პაციენტი ხვდება ყელ-ყურ-ცხვირის სპეციალისტთან. სწორედ ექიმი აღმოაჩენს პაციენტის დისკომფორტის და ჩივილების მიზეზს.

ტექნიკა

ყურიდან უცხო სხეულის ამოღება ხდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით რაც დამოკიდებულია უშუალოდ იმაზე თუ რა სახის უცხო სხეულია, მის ზომაზე და ასევე მის მდებარეობაზე გარეთა სასმენ

მიღში (რა სიღრმეზეა). ყველა ამ მეთოდის ჩატარებისას აუცილებელია ვიზუალური კონტროლი რითვისაც ვიყენებთ შუბლის განათებას ან სპეციალურ ყურის მიკროსკოპს.

ყურიდან უცხო სხეულის ამოღების მეთოდებია:

1. ყურის უცხო სხეულის გამორეცხვა წყლით (გამოიყენება მრგვალი, გლუვი სხეულების მოსაშორებლად, რომელთა გამოღება არ შეიძლება პინცეტით ან ვერ ხერხდება მისი გამოძევება კაუჭით;

ირიგაცია ხდება თბილი წყლის ქავლით, რომელიც შემოუვლის უცხო სხეულს და შიგნიდან გარეთ გამორეცხავს მას.

აღნიშნულ მეთოდს აქვს თავისი უკუჩვენებები. არ შეიძლება წყლით გამორეცხვა:

- თუ ეჭვია რომ დაფის აპკი დაზიანებულია;
- თუ არ არის სივრცე რომ წყალმა შემოუაროს უცხო სხეულს;
- თუ პაციენტს აქვს წარსულში მიღებული თავის ტრავმა და ჰქონდა ქალაფუძის მოტეხულობა.

2. პინცეტის გამოყენებით (თუ ობიექტი არის რბილი, მდებარეობს ზედაპირულად და ადვილად დასაჭერია);
3. კაუჭის გამოყენებით (თუ გარე სასმენი არხი თითქმის მთლიანად დაბლოკილია უცხო სხეულით, მაგრამ ის ზედაპირულად არის განლაგებული; კაუჭი გადადის არხის კედლის გასწვრივ, მოხრილი ბოლო თავსდება უცხო სხეულის უკან და ხდება მისი გამოტანა გარეთ);
4. ასპირაცია (გამოიყენება საქაჩი რომელიც ქმნის ვაკუუმს. ვიზუალური კონტროლით საქაჩზე დამაგრებული წვრილი მილი შეიწოვს უცხო სხეულს და ფრთხილად ხდება მისი ამოღება);
5. ქირურგიული ჩარევა (გამოიყენება რთულ შემთხვევებში, როდესაც უცხო სხეულის მოცილება სხვა მეთოდებით შეუძლებელია).

თუ ყურში ცოცხალი მწერია, წინასწარ საჭიროა მისი მოკვლა (დახრჩობა), უპირატესად სპირტხსნარით. აღნიშნული სითხე არამარტო კლავს მწერს, არამედ წყლის წართმევის ხარჯზე ხდება

მისი ზომაში დაპატარავება. ამის შემდეგ როგორც წესი ხდება მკვდარი მწერის ამორეცხვა.

რეკომენდაციები პროცედურის შემდეგ

- პროცედურის დასრულების შემდეგ აუცილებლად უნდა მოხდეს ყურის დათვალეირება – ოტოსკოპია, შეფასდეს ყურის მდგომარეობა და დაზიანების სიმძიმე.
- მსუბუქ შემთხვევებში, ამ მანიპულაციის შემდეგ, მედიკამენტების გამოყენება ჩვეულებრივ არ არის საჭირო.
- თუ ყურის გარეთა სასმენი მილი დაზიანდა ან განვითარდა ანთება, ინიშნება ყურის წვეთები. ასევე სასურველია რამოდენიმე დღის განმავლობაში ყური არ დასველდეს.

რა არის ოტოსკოპია

ოტოსკოპია ეს არის ტექნიკა, რომელიც საშუალებას გაძლევთ სწრაფად და უმტკივნეულოდ შეაფასოთ ყურის გარეთა სასმენი მილი, დაფის აპკი და დაფის ღრუს მდგომარეობა (დაფის აპკის პერფორაციის შემთხვევაში). პროცედურა ტარდება სამედიცინო მონწყობილობის – ოტოსკოპის გამოყენებით. ეს არის სპეციალური მონწყობილობა, რომელიც აღჭურვილია განათებით და გამადიდებელი ლინზით. ამის წყალობით, შესაძლებელია სმენის ორგანოს გულდასმით დათვალეირება და ოდნავი დეფექტების გამოვლენაც კი. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ყურზე მანიპულაციების ჩატარებაც (ბიოფსია, პოლიპის ამოღება და მრავალი სხვა).

ოტოსკოპიას უმეტესწილად ატარებს ოტოლარინგოლოგი, უფრო იშვიათად – ზოგადი პროფილის ექიმი, პედიატრი. გადაუდებელ შემთხვევებში მას ახორციელებს სასწრაფო დახმარების პერსონალიც.



სურათი 1. ოტოსკოპია მანეკენზე.

ოტოსკოპიის ჩვენებები:

- სმენის დაქვეითება;
- ეჭვი ყურის დაავადებაზე;
- ქავილი და ტკივილი ყურებში;
- ყურის ტრავმა;
- გოგირდის საცობები;
- ყურის არხში უცხო სხეულების არსებობა;
- სისხლდენა;
- ყურის დაგუბება.

უკუჩვენებები

გამოკვლევას მკაცრი უკუჩვენებები არ აქვს. მაგრამ შეიძლება ტექნიკურად ვერ ჩატარდეს შემდეგი მიზეზების გამო:

- ყურის თანდაყოლილი ანომალიების დროს;
- გარეთა სასმენ მილში დიდი რაოდენობით სისხლის ან ჩირქის

- არსებობისას;
- პათოლოგიური წარმონაქმნები გარეთა სასმენ მილში;
- გარეთა სასმენი მილის დიფუზური შეშუპება.

დიაგნოსტიკურმა ოტოსკოპიამ შეიძლება გამოავლინოს შემდეგი პათოლოგიები:

- უცხო სხეულები და გოგირდის საცობი გართა სასმენ მილში;
- დაფის აპკის ნებისმიერი ცვლილება (გამობერილობა, ჩაზნექა, შეშუპება, გახეთქვა და ა.შ.);
- ოტომიკოზი (სოკოვანი დაავადება);
- გარე ყურის ეგზემა;
- ფურუნკულოზი;
- პოლიპები;
- ოტიტი (კატარალური, ჩირქოვანი);
- პათოლოგიური გამონადენი (სისხლიანი, ჩირქოვანი, სეროზული).

როგორ ტარდება ყურის დათვალიერება

ყურის შესამოწმებლად პაციენტი ზის ექიმის მოპირდაპირე მხარეს და თავს აბრუნებს სპეციალისტისგან საპირისპირო მიმართულებით. თუ ჩივილი არის მხოლოდ ერთ ყურზე, პირველად ხდება ჯანმრთელი ყურის დათვალიერება, შემდეგ კი იმ ყურის, რომელსაც პაციენტი უჩივის.

ოტოსკოპიის ტექნიკა:

- საჭირო დიამეტრის ყურის სარკის (დაბრის) შერჩევა;
- ყურის ნიჟარა უნდა გაიქაჩოს უკან და ზევით;
- გარეთა სასმენი მილის შესაბამისი ზომის ყურის სარკე ფრთხილად თავსდება არხის შესასვლელში;

2. უცხო სხეულის ამოღება ყურიდან, თვალიდან და ცხვირიდან

- არიან პაციენტები, რომლებიც პროცედურის დროს იწყებენ ხველას. ეს იმიტომ ხდება, რომ მოწყობილობა ალიზიანებს ცდომილ ნერვს.

პროცედურის დამთავრების შემდეგ უნდა მოხდეს პაციენტის ინფორმირება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და მასთან შეთანხმდეს შემდგომი მოქმედების ტაქტიკა.

2.2 უცხო სხეულის ამოღება თვალიდან

თვალის უცხო სხეულები კონიუნქტივის და რქოვანის ყველაზე გავრცელებული დაზიანებებია. უცხო სხეულის მოცილების ტექნიკა განსხვავდება უცხო სხეულის ტიპის მიხედვით.

ზედაპირული უცხო სხეულის მოცილება ხდება თვალის ირიგაციით (ამორეცხვით) ან/და სველი ბამბის წვერის გადატარებით.

ღრმად ინვაზირებული უცხო სხეულები ამოღებული უნდა იქნას სპეციალური სტერილური ინსტრუმენტით (თვალის უცხო სხეულების მოსაშორებლად შექმნილი ინსტრუმენტი) ან 25 ან 27 G ზომის ნემსით ნაპრალოვანი მიკროსკოპის ვიზუალიზაციით.



სურათი 2. თვალმოსკოპია მანეკენზე.

თვალშიდა უცხო სხეულებს ან ნებისმიერ გამჭოლ დაზიანებებს ქირურგიულად მკურნალობს ოფთალმოლოგი.

აღჭურვილობა:

- ნაპრალოვანი ნათურა კობალტის ლურჯი ფილტრით (სასურველია);
- ადგილობრივი საანესთეზიო საშუალება (მაგ. 0,5% პროპარაკაინის თვალის წვეთები);
- ფლუორესინის ზოლები;
- სტერილური ბამბის წვერის მქონე აპლიკატორები;
- უცხო სხეულის ამოსაღები სპეციალური ინსტრუმენტი, ან 25 ან 27 G ნემსი, რომელიც მიმაგრებულია სპეციალურ შპრიცზე;
- დაბალი სიჩქარის მბრუნავი ბურღი;
- სტერილური ფიზიოლოგიური ხსნარი და 10-20მლ შპრიცი.



სურათი 3. უცხო სხეულის ამოღება თვალიდან.

პროცედურა

სასურველია კვლევა დავიწყოთ ანესთეზიის გარეშე თუ პაციენტის დისკომფორტის დონე გვაძლევს ამის საშუალებას. შეამოწმეთ მხედველობის სიმახვილე, თვალის მოძრაობა და გუგის ზომა, ფორმა და რეფლექსები. თუ ხედავთ პერფორაციის ნიშნებს, შეაჩერეთ პროცედურა და მიიღეთ დაუყოვნებლივი ოფთალმოლოგიური კონსულტაცია.

თუ ადგილობრივი საანესთეზიო საშუალება არ იქნა გამოყენებული

წინასწარი პროცედურის გამოკვლევამდე, სთხოვეთ პაციენტს, რომ აიხედოს ზემოთ, შემდეგ კი ადგილობრივი თვალის საანესთეზიო წვეთი მოათავსეთ დაზიანებული თვალის ქვედა თაღში. პაციენტს უთხარით, რომ თვალი დახუჭოს დაახლოებით ერთი წუთის განმავლობაში, რათა არ გადმოიღვაროს პრეპარატი.

ნაპრალოვანი მიკროსკოპით კარგად უნდა დათვალიერდეს თვალის მთელი კონიუქტივა და რქოვანა. თუ უცხო სხეულები არ ჩანს და მხოლოდ რქოვანაზე ვიზუალიზდება ნაკანრი, ზედა და ქვედა თაღებზე წაუსვით დასველებული ბამბის წვერის აპლიკატორი და შემდეგ გამორეცხეთ თვალი სტერილური ფიზიოლოგიური ხსნარით.

2.3. უცხო სხეულის ამოღება ცხვირიდან

ცხვირის ღრუში უცხო სხეულები ხშირად დიაგნოზირებულია როგორც მცირეწლოვან ბავშვებში, ასევე კოგნიტური და ფსიქიკური აშლილობის მქონე ბავშვებში. ყველაზე ხშირად, ბავშვები ცხვირში ათავსებენ ბამბას, ქაღალდს, პატარა ქვებს, მძივებს, ბარდას, ლობიოს, მცენარის თესლს, თხილს, მწერებს, ღილებს და ბატარეებს.

უცხო სხეულების უმეტესობა ლოკალიზებულია ცხვირის ღრუს წინა ნაწილში და ადვილად ჩანს ცხვირის სარკის გამოყენებით.

ბრტყელი ბატარეები და მაგნიტები დაუყოვნებლივ უნდა იქნეს ამოღებული, რადგან მათ შეუძლიათ გამოიწვიონ ცხვირის ლორწოვანი გარსის და/ან ძვიდის ქიმიური დამწვრობა ან პერფორაცია.

აბსოლუტური უკუჩვენებები

არ უნდა ვეცადოთ ცხვირის უცხო სხეულის ამოღება თუ ვერ ხერხდება უცხო სხეულის ვიზუალიზაცია ან არსებული ხელსაწყოებით შეუძლებელია მის ამოღება.

შედარებითი უკუჩვენებები

- უცხო სხეული, რომელიც პენეტრირებულია რბილ ქსოვილებში და იწვევს მნიშვნელოვან ანთებას და/ან შეშუპებას;
- პატარა ზომის გამჭვირვალე უცხო სხეული, და/ან პატარა ზომის უცხო სხეულის მდებარეობა ცხვირის ღრუში უკან ან ზემოთ;
- ამოღების წარუმატებელი მცდელობები.

ამოღების ტექნიკა

- თავდაპირველად პაციენტმა სასურველია ნაზად ჩაბეროს ცხვირში რათა მოხდეს იქ არსებული სეკრეტის გამოდევნა. ასევე შესაძლებელია ამ ქმედებით ლორწოსთან ერთად უცხო სხეულის გამოდევნაც. თუ ვერ ახერხებს ცხვირში ჩაბერვას, საჭიროა ცხვირის ღრუდან სეკრეტის ფრთხილად გამოქაჩვა საქაჩით, ისე რომ უცხო სხეული არ გადავიდეს ცხვირის ღრუს უკანა ნაწილში;
- ლორწოვანი გარსის მგრძნობელობის და შეშუპების შესამცირებლად უნდა მოხდეს ადგილობრივი საანესთეზიო და ვაზოკონსტრიქტორის გამოყენება;
- 3-5 წუთის შემდეგ უნდა შეფასდეს საანესთეზიო და ვაზოკონსტრიქტორის მოქმედება. თუ მნიშვნელოვანი შეშუპება გრძელდება, განმეორებით ხდება ვაზოკონსტრიქტორის გამოყენება;
- ცხვირის სარკით ხდება ცხვირის ნესტოს გაფართოვება, სინათლის წყაროდ სასურველია გამოყენებული იქნას შუბლის განათება;
- უცხო სხეულის ვიზუალიზაციის გასაუმჯობესებლად საქაჩით უნდა მოხდეს ლორწოს მოშორება;
- თუ უცხო სხეული რბილია, ან თუ ის მყარია, მაგრამ აქვს კიდე, რომლის დაჭერაც შესაძლებელია წინა მხრიდან, მისი ამოღება შესაძლებელია პინცეტით;
- უფრო მძიმე ან უფრო დიდი საგნები, რომლებიც მდებარეობს წინ ცხვირის შესასვლელში, შესაძლებელია ამოღებულ იქნას მავთულის მარყუჟის ან კაუჭით. ამ დროს ინსტრუმენტი უნდა

გადავიდეს უცხო სხეულის უკან და ნაზი მოზიდვით გამოძევდეს;

- გლუვი, მრგვალი საგნების ამოღება შესაძლებელია საქაჩის საშუალებით.

ძირითადი შეცდომები ამოღების დროს

- გლუვი, მრგვალი საგნების პინცეტით ამოღების მცდელობა ხშირად იწვევს მათ უფრო სიღრმეში გადაადგილებას;
- თუ მიუხედავად რამდენიმე მცდელობისა, ვერ ხერხდება უცხო სხეულის ამოღება, ყოველი განმეორებითი მცდელობა იწვევს ცხვირის ღრუს რბილი ქსოვილების ზედმეტად ტრავმირებას, მათ შეშუპებას და უცხო სხეულის ამოღების ალბათობის შემცირებას.

ზოგადი რეკომენდაციები უცხო სხეულის ამოღებისას:

- პაციენტის სკამის აწევა ექიმის თვალის სიმაღლეზე უფრო ადვილია, ვიდრე ექიმის მოხრა;
- უნდა შემოწმდეს ცხვირის მეორე ნახევარი, პირის ღრუ და გარეთა სასმენი მილი სხვა უცხო სხეულების არსებობაზე;
- უცხო სხეულის ამოღების შემდეგ აუცილებელია ცხვირის ხელახალი გამოკვლევა, რათა არ გამოგვრჩეს კიდევ სხვა უცხო სხეული.

თავი XI – ტრავმები

ტრავმა (ბერძ. trauma – ქრილობა, დაზიანება) —ადამიანის ორგანიზმის დაზიანება, რომელსაც იწვევს გარე ფაქტორების ზემოქმედება. განარჩევენ სხვადასხვა ტიპის ტრავმებს, მათ შორის ყველაზე ხშირია:

- მექანიკური,
- თერმული (მოყინვა, დამწვრობა),
- ქიმიური,
- ელექტროტრავმა და სხვა ტიპის ტრავმები.

ტრავმატიზმი მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მზარდი სტატისტიკის საფუძველზე შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ პროფილაქტიკური ინტერვენციების გარეშე ტრავმატიზმის შედეგად გამოწვეული სიკვდილიანობა 2030 წლისათვის საერთო სიკვდილიანობაში მე-5 ადგილს დაიკავებს.

1. თავის ტრავმები

თავის ტრავმები საკმაოდ გავრცელებული პრობლემაა და საერთო ტრავმატიზმის დაახლოებით 35-40% შეადგენს. ტრავმების უმრავლესობა, როგორც წესი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგია, თუმცა ხშირ მიზეზებს სიმაღლიდან ვარდნა ან სხვადასხვა აქტივობის დროს განვითარებული დაზიანებებიც წარმოადგენს. ანატომიურად თავის ტვინს დაზიანებისგან თავის ქალას საკმაოდ მყარი ძვლები იცავს,

თუმცა რასაკვირველია ტრავმის ხასიათიდან გამომდინარე აღნიშნული დაცვა სრულყოფილად ვერ ხორციელდება.

ტრავმამ შესაძლოა გამოიწვიოს:

1. სკალპის დაზიანება;
2. ქალას ღრუში არსებული სისხლძარღვების დაზიანება;
3. თავის ტვინის დაზიანება (მათ შორის მაშინ, როდესაც ქალა გატეხილი არ არის);
4. ქალას ძვლების მოტეხილობა;
5. ქრილობა და სხვა.



სურათი 1. თავის ქალას ნორმალური აგებულება <https://medlineplus.gov/ency/article/000028.htm>

ჩამოთვლილი დაზიანებებიდან გამომდინარე შესაძლოა სხვადასხვა პრობლემა წარმოიშვას.

1.1 სკალპის დაზიანება

სკალპის დაზიანება, როგორც წესი, განეკუთვნება თავის მსუბუქ ტრავმას. ძირითადად სკალპის დაზიანებას მხოლოდ სისხლდენა ახლავს, რისი მიზეზიც კანთან საკმაოდ ახლოს მდებარე სისხლძარღვების სიჭარბეა.



სურათი 2. სკალის დაზიანება ტრავმის დროს. <https://www.sciencephoto.com/media/264644/view/scalp-laceration>

აღნიშნულ დაზიანებას უმეტესად ახასიათებს თავბრუსხვევა და თავის მსუბუქი ტკივილი. იშვითად შესაძლოა ახლდეს გულისრევა ან/და ღებინება და დეზორიენტაცია. სკალპიდან სისხლდენა პირდაპირი ზეწოლით მარტივად შერდება.

1.2 ტვინის შერყევა

ტვინის შერყევა მიეკუთვნება თავის ტვინის ტრავმების მსუბუქ და ამავდროულად, ხშირ დაზიანებებს. იგი წარმოადგენს გონებრივი ფუნქციების დროებით, ხანმოკლე დარღვევას ტვინის დაზიანების გარეშე და თავის ქალაზე პირდაპირი, ძლიერი დარტყმის დროს ვითარდება.

ახასიათებს რეტროგრადული ამნეზიის განვითარება (ადამიანმა შესაძლოა ვერ შეძლონ გაიხსენონ, რა მოხდა ტრავმამდე ცოტა ხნით ადრე ან შემდეგ).


ზოგად სიმპტომებს მიეკუთვნება:

- გონების ხანმოკლე კარგვა,
- თავის ტკივილი;
- თავბრუსხვევა;
- გულისრევა ან/და ღებინება;

თავის ტრავმის დროს ზიანდება ქალას ძვლები და მიკროსისხლ-
ძარღვები, ირღვევა სისხლის მიმოქცევა, უმთავრესად – თავის ტვინის
ღეროში, სადაც სასიცოცხლო მნიშვნელობის ცენტრები მდებარეობს.
გონების კარგვის 10-20 წუთიანი ეპიზოდი ტვინის შერყევის მსუბუქ
ფორმაზე მეტყველებს, რამდენიმე საათით გონების დაკარგვა კი
თავის ტვინის მძიმე დაზიანების – ღეროს დაზიანების, სისხლჩაქ-
ცვის, ჰემატომის ნიშანია.

1.3 თავის ტვინის კომპრესია

ჰემატომის, ტვინის შეშუპების, ქალას ძვლების ნამტვრევების
შედეგად თავის ტვინზე განვითარებული ზეწოლის შედეგად შესაძლოა
თავის ტვინის კომპრესია განვითარდეს. მას შემდეგ რაც, ჰემატომა
მნიშვნელოვან მოცულობას მიაღწევს მოხდება კლინიკური ნიშნების
გამოვლენა, ტრავმიდან ძირითადად 12-36 საათის შემდეგ.



სურათი 3. თავის ტვინის კომპრესია ტრავმის დროს <https://www.firstaidforfree.com/first-aid-for-cerebral-compression/>

დამახასიათებელი კლინიკური სიმპტომებია:

- თავის ძლიერი ტკივილი;
- ლებინება;
- კომა;
- ბრადიკარდია;

- კრუნჩხვა;
- სისუსტე ან დამბლა სახის ან სხეულის ერთ მხარეს (ჰემიპლეგია);
- ანიზოკორია (თვალის გუგის გაფართოვება დაზიანებულ მხარეს);
- შესაძლოა უგონო მდგომარეობის განვითარება.

ზუსტი დიაგნოზის დასმა ხდება კომპიუტერული ან მაგნიტო – რეზონანსული ტომოგრაფიის კვლევის შედეგად.

1.4 ქალა-ფუძის მოტეხილობა

თავის ქალას ფუძის მოტეხილობები, ჩვეულებრივ გამოწვეულია ბლაგვი ძალის მოქმედებით. ყველაზე ხშირად ზიანდება საფეთქლის ძვალი და ქალას ფოსო შუა ნაწილი. ასევე ზიანდება თავის ტვინის ნერვები, რასაც მათი დისფუნქციის სიმპტომები ახლავს. აღნიშნული ნერვებიდან ყველაზე ხშირად სახის და ლოკოკინა ნერვები ზიანდება.

კლინიკური სურათიდან გამომდინარე, პრეჰოსპიტალურ ეტაპზე მოტეხილობის სავარაუდო დიაგნოზის დასმა რთული არ არის. როგორც წესი ქალა-ფუძის მოტეხილობის სიმპტომებიდან ყველაზე ხშირია:

- “ენოტის თვალების სიმპტომი”, რომელიც ტრავმის შედეგად ქალას ღრუდან ცხვირ-ხახასა და პერიორბიტულ ქსოვილში სისხლის ჩაღვრის შედეგია.



სურათი 4. „ენოტის თვალების სიმპტომი“ ქალა-ფუძის მოტეხილობისას
<https://generalsurgeryclinics.blogspot.com/2013/02/panda-sign-raccoon-eyes-in-head-injury.html>

- “ბეტლის ნიშანი” – სიხლჩაქცევა ყურის ნიჟარის უკან;



სურათი 5. “ბეტლის ნიშანი” – სიხლჩაქცევა ყურის ნიჟარის უკან;
<https://www.medicinehack.com/2011/12/battle-sign-battles-sign.html>

- სისხლიანი გამონადენი ცხვირიდან ან ყურიდან – რინორეა ან ოტორეა.

თავის ტვინის მაგარი გარსის დაზიანებით მიმდინარე ქალა-ფუძის მოტეხილობის პროგნოზი, როგორც ზენი მძიმეა მოსალოდნელი ინფექციური გართულებების გამო.

კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის მოსვლამდე, თავის ტრავმების დროს პაციენტის დახმარება ძალიან მნიშვნელოვანია, აღნიშნული მიზნით:

- გამოიძახეთ სამედიცინო დახმარება;
- შეამოწმეთ დაზარალებულის ცნობიერება, სასუნთქი გზები და სუნთქვა;
- საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყავით სასუნთქი გზების გამავლობის აღდგენა;
- ვინაიდან შესაძლოა დაზარალებული ნებისმიერ დროს გადავიდეს უგონო მდგომარეობაში მზად იყავით გულ-ფილტვის რეანიმაციის დასაწყებად;
- თუკი პაციენტს აღენიშნება სისხლდენა სცადეთ მისი შეჩე-

რება; თუ ეჭვი გაქვთ თავის ქალას მოტეხილობაზე, არ განახორციელოთ პირდაპირი ზეწოლა სისხლდენის ადგილზე და არ მოაცილოთ ნამსხვრევები ჭრილობიდან. დაფარეთ ჭრილობა სტერილური საფენით;

- თუ დაზარალებულის სუნთქვა და გულისცემა ნორმალურია, მაგრამ ის უგონო მდგომარეობაშია, მოექცით ისე, თითქოს მას ხერხემლის დაზიანება აქვს. დააფიქსირეთ თავი და კისერი და თავიდან აიცილეთ ნებისმიერი ზედმეტი მოძრაობა. დაელოდეთ სამედიცინო დახმარებას;
- თუკი პაციენტს დაეწყება ლებინება, ტრავმის პრევენციის მიზნით მოახდინეთ მისი გადაბრუნება, ისე რომ კისრის და ხერხემლის მთლიანობა შენარჩუნებული იქნას ერთ სწორ ხაზზე.

2. გულმკერდის და ხერხემლის ტრავმა

გულმკერდის და ხერხემლის დაზიანების შემთხვევაში მნიშვნელოვანია მოქმედებების სწორი ტაქტიკა. ნეკნების მოტეხილობამ, შესაძლოა დააზიანოს ფილტვები და პლევრა, რის შედეგადაც შეიძლება პაციენტს განუვითარდეს პნევმოთორაქსი, რომლის დროსაც ჰაერის ჩაგროვება ხდება პლევრის ღრუში ან ჰემოთორაქსი, რომლის დროსაც ხდება სისხლის დაგროვება, რაც თავის მხრივ სუნთქვისა და გულის აქტივობის დარღვევას იწვევს .

კიდურების მოტეხილობისგან განსხვავებით გულმკერდის დაზიანების დროს იმობილიზაცია შესაძლოა მცდარი იყოს და ასეთი ტაქტიკით ფილტვის ან პლევრის დაზიანება გამოვიწვიოთ. გულმკერდის კედლის ტრავმულ დეფექტზე არასწორად დადებულმა ოკლუზიურმა ნახვევმა ან კედლის დეფექტმა შესაძლოა შეასრულოს ერთი მიმართულების სარქვლის პრინციპი და ასევე გამოიწვიოს დაჭიმული პნევმოთორაქსი.

2.1 დაჭიმული პნევმოთორაქსი

ვითარდება როდესაც ფილტვიდან ან გულმკერდის კედლის გავლით ჰაერი გაედინება მხოლოდ ერთი მიმართულებით. აირი იძულებით გროვდება პლევრალურ სივრცეში, რაც საბოლოოდ იწვევს დაზიანებული ფილტვის კოლაფსს და შუასაყრის ცდომას საპირის-პირო მხარეს, რომელიც იწვევს ვენური მოძინების შემცირებას და მეორე ფილტვის კომპრესიას.

დაჭიმული პნევმოთორაქსი ხასიათდება შემდეგი კლინიკური ნიშნებით:

- ტკივილი გულმკერდში;
- სუნთქვის უკმარისობა;
- ქოშინი;
- ტაქიკარდია
- ჰიპოტენზია;
- ტრაქეის დევიაცია (გადახრა) მოპირდაპირე მხარეს;
- სუნთქვითი ხმიანობის არ არსებობა ცალ მხარეს;
- გულმკერდის ასიმეტრია სუნთქვითი მოძრაობის გარეშე;
- კისრის ვენების შებერილობა;
- ციანოზი (გვიანი გამოვლინება).

დაჭიმული პნევმოთორაქსი მოითხოვს დაუყოვნებელ დეკომპრესიას და თავდაპირველად შეიძლება ჩატარდეს მსხვილი კალიბრის ნემსის სწრაფი შეყვანა გულმკერდის დაზიანებულ მხარეს, მეორე ნეკნთაშუა სივრცეში ლავინშუა ხაზზე.

2.2 ღია პნევმოთორაქსი

გულმკერდის კედლის შედარებით დიდმა ღია დეფექტებმა შეიძლება გამოიწვიოს ღია პნევმოთორაქსი. თუ გულმკერდის ღია ქრილობის შესავალი ტრაქეის 2/3-ზე ან უფრო მეტი დიამეტრისაა ჩასუნთქვის დროს აირი უპირატესად გაივლის გულმკერდზე არსე-

ბული ღია დეფექტის მეშვეობით. რის გამოც ირღვევა ეფექტური ვენტილაციის პროცესი და ვითარდება ჰიპოქსია.

ღია პნევმოთორაქსის საწყისი მართვა გულისხმობს დეფექტის დაუყოვნებელ დახურვას სტერილური ოკლუზიური ნახვევით. ნახვევი უნდა იყოს იმ ზომის, რომ გადაფაროს ქრილობის კიდეები და შემდეგ დაიხუროს სამი მხრიდან, შედეგად მიღებულ უნდა იქნას ერთი მიმართულების სარქვლის ეფექტი. ჩასუნთქვისას ოკლუზიური ნახვევი იცავს აირს შიგნით შესვლისგან, ამოსუნთქვის დროს კი ნახვევის ღია მხარე აძლევს საშუალებას აირი გამოიდევენოს პლევრებს შორის სივრციდან.

მცურავი გულმკერდი

ნეკნების მრავლობითი მოტეხილობის დროს, როდესაც ორი ან მეტი მოსაზღვრე ნეკნია მოტეხილი ორ ან მეტ ადგილას ვითარდება მცურავი გულმკერდი.

მცურავი გულმკერდის დროს დარღვეულია გულმკერდის ნორმალური მოძრაობა. ფილტვის ქსოვილის მნიშვნელოვანი დაზიანება, რომელიც თავის მხრივ ტკივილის გამო, იწვევს გულმკერდის მოძრაობის შეზღუდვას, შეიძლება გახდეს ჰიპოქსიის ძირითადი მიზეზი.

მცურავი გულმკერდი ადრეულ სტადიაზე გულმკერდის ნახვევის გამო შესაძლოა რთულად ამოსაცნობი იყოს. პაციენტებს ძირითადად აღენიშნებათ:

- გულმკერდის ასიმეტრიული, არა კოორდინირებული მოძრაობა;
- არანორმალური სუნთქვითი მოძრაობები;
- მოტეხილი ნეკნების ან ხრტილების კრეპიტაცია.

მცურავი გულმკერდის საწყისი მკურნალობა მოიცავს:

- ადექვატურ ვენტილაციას,
- დატენიანებული ჟანგბადის მიწოდებას და კრისტალოიდების ინფუზიას (სისტემური ჰიპოტენზიის გათვალისწინებით).

2.3 ხერხემლის ტრავმები

ხერხემალი ადამიანის ორგანიზმში საყრდენ ფუნქციას ასრულებს, თუმცა აღნიშნულის გარდა მის არხში ზურგის ტვინი (ახდენს მის დაცვას) და მისგან გამომავალი სპინალური ნერვები მდებარეობს, რისი საშუალებითაც კისრიდან კიდურებამდე ინერვაცია ხორციელდება.

კომბინირებული ტრავმის შემთხვევებში ყოველთვის სავარაუდოა რომ პაციენტს ჰქონდეს ხერხემლის დაზიანება ნევროლოგიური დეფიციტით ან მის გარეშე. თავის ტვინის დაზიანების მქონე ავადმყოფთა დაახლოებით 5%-ს აღენიშნება თანმხლები ხერხემლის ტრავმა, ამავე დროს ხერხემლის დაზიანების მქონე ავადმყოფთა 25% ავლენს თავის ტვინის დაზიანების ნიშნებს. ხერხემლის ტრავმის შემთხვევათა 55% მოდის კისრის რეგიონზე, 15% გულმკერდზე, 15% თორაკოლუმბარულ და 15% ლუმბოსაკრალურ მიდამოებზე.

ხერხემლის ტრავმები სხვადასხვა ნიშნის მიხედვით კლასიფიცირდება, საიდანაც მნიშვნელოვანია:

- ტრავმის მექანიზმი;
- ლოკალიზაცია;
- დაზიანების ხარისხი;
- დაზიანების სიმძიმე.

დაზიანების ადგილის მიხედვით შეიძლება გავარჩიოთ:

- ხერხემლის კისრის ნაწილის;
- გულმკერდისა;
- გავა-წელის მიდამოს ტრავმები.

ხერხემლის დაზიანებაზე საეჭვო ყველა ავადმყოფს ესაჭიროება იმობილიზაცია სავარაუდო დაზიანების ზემოთ და ქვემოთ, მოტეხილობის რენტგენოლოგიური ან სხვა ტიპის კვლევით სრულად გამორიცხვამდე. ხერხემლის იმობილიზაცია სავალდებულოა კისრის მალეების დაზიანების გამორიცხვამდე.

სწორი იმობილიზაცია მიიღწევა პაციენტის ნეიტრალურ მდებარეობაში – ანუ გულაღმა მწოლიარე ხერხემლის მოხრის ან გაშლის გარეშე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ტკივილის არსებობის შემთხვევაში გრძელ ფარზე ავადმყოფის იმობილიზაციისას მიუღებელია ხერხემლის გასწორების ნებისმიერი მცდელობა.

ტრავმირებული პაციენტის შესაბამის ფარზე იმობილიზაციის შესახებ გადანყვეტილების მიღების შემდეგ, გასათვალისწინებელია შემდეგი პრინციპები:

1. პაციენტის თავი უნდა იყოს ნეიტრალურ პოზიციაში (გარდა უკუნაჩვენები შემთხვევებისა, მაგ: ტკივილი);
2. მოახდინეთ პაციენტის პირველადი დათვალირება და საჭიროების მიხედვით უზრუნველყავით შესაბამისი დახმარება;
3. შეამოწმეთ პაციენტის მოტორული უნარი, სენსორული რეაქცია და ცირკულაცია ოთხივე კიდურში. თუ პაციენტის მდგომარეობა იძლევა აღნიშნულის საშუალებას;
4. დაათვალირეთ პაციენტის კისერი, მოახდინეთ მისი გაზომვა და დააფიქსირეთ შესაბამისად შერჩეული კისრის საყელოთი;
5. უზრუნველყავით პაციენტის მოთავსება საიმობილიზაციო ფარზე შესაბამისი წესების დაცვით (ხერხემლის ხაზის მთლიანობის შენარჩუნებით – მორის ბრუნვის პრინციპით).



სურათი 6. პაციენტის მოთავსება საიმობილიზაციო ფარზე – მორის ბრუნვის პრინციპით. <https://openoregon.pressbooks.pub/emslabmanual/chapter/spinal-immobilization/>

6. დაზარალებული მყარად დააფიქსირეთ საიმობილიზაციო ფარზე, დააფიქსირეთ შესაბამისი ღვედებით.
7. განაგრძეთ თავის მანუალური ფიქსაცია შესაბამისი ბალიშებით სრულ დაფიქსირებამდე.



სურათი 7. თავის მანუალური ფიქსაცია <https://openoregon.pressbooks.pub/emslabmanual/chapter/spinal-immobilization/>

გასათვალისწინებელია, რომ კისრის იმობილიზაცია ნახევრად რიგიდული საყელოთი ვერ უზრუნველყოფს კისრის მალეების სრულ სტაბილიზაციას. გრძელ ფარზე იმობილიზაცია სათანადო სამაგრი მოწყობილობების გამოყენებით უფრო ეფექტურია და შედარებით საიმედოდ ზღუდავს კისრის მოძრაობას.

მორის ბრუნვის პრინციპი

კეთდება გრძელი ფარიდან ავადმყოფის გადმოყვანის, აგრეთვე პაციენტის ზურგის დასათვალისწინებლად და ამისათვის აუცილებელია სულ მცირე ოთხი ადამიანის შეთანხმებული მოქმედება. ერთი ადამიანი დგება ავადმყოფის თავთან რათა გააკონტროლოს კისრის მალეების და თავის სტაბილურობა, კიდევ ორი იკავებს ადგილს პაციენ-

ნტის გვერდით, ტორსისა და კიდურების იმობილიზაციის უზრუნველსაყოფად. როდესაც პაციენტს გადააბრუნებენ სამი ადამიანი აფიქსირებს მას უძრავ მდგომარეობაში მეოთხე გამოიკვლევს პაციენტის ზურგს და გამოაცლის ფარს. ფარის გამოცლის შემდეგ პაციენტს ფრთხილად აბრუნებენ გულაღმა მდებარეობაში ისე რომ არ დაირღვეს ხერხემლის სტაბილურობა.



სურათი 8. ძირის ბრუნვის პრინციპი. <https://www.wikihow.com/Do-a-Log-Roll>

3. კისრის საყელო

კისრის საყელო არის ფიქსატორი, რომელიც გამოიყენება კისრისა და ხერხემლის ტრავმის შემდეგ თავის მოძრაობის შესაზღუდად.

ძირითადად 3 ტიპის საყელოს განარჩევენ:

1. **რბილი საყელოები** – ისინი მზადდება ქაფიანი რეზინის, პოლიეთილენის ან ზოგჯერ გასაბერი მანჟეტისგან და ერგება კისერზე. ეს საყელოები იძლევა მოძრაობის გარკვეულ დიაპაზონს, ძირითადად წინ და უკან, ხოლო ზღუდავს გვერდით მოძრაობას.

2. **რიგიდული საყელოები** – საყელოები დამზადებულია პლასტ-მასისგან და ყველაზე შემზღუდველია კისრის ყველა სხვა ტიპის საყელოს შორის. მათი გამოყენება ხდება კისრის თითქმის ყველა მოძრაობის შეზღუდვის მიზნით ოპერაციის ან მძიმე ტრავმის შემდეგ,
3. **სპორტული საყელოები** – ეს საყელოები წარმოადგენს ხისტი საყელოების სპეციალიზებულ ტიპს. მათ იყენებენ სარბოლო მანქანების მძღოლები, მოტომობროლოგები, რათა თავიდან აიცილონ კისრის დაზიანება შეჯახების ან უეცარი გაჩერების შემთხვევაში.

კისრის საყელოს დადების წესი:

- განსაზღვრეთ იმობილიზაციის საჭიროება. სთხოვეთ პაციენტს ტკივილის ან ნებსბიმიერი სახის დისკომფორტის შემთხვევაში შეგატყობინოთ;
- უზრუნველყავით თავის ნეიტრალურ პოზიციაში ფიქსაცია;
- ზუსტად გაზომეთ პაციენტის კისერი თითების საშუალებით და შეარჩიეთ საყელოს სწორი ზომა (წარმოსახვითი ხაზე ქვედა ყბის ქვედა კიდედან ლავინის ძვლამდე).



სურათი 9. თითების საშუალებით პაციენტის კისრის გაზომვა საყელოს ზომის შესარჩევად <https://clinical.stjohnwa.com.au/clinical-skills/trauma/spinal-precautions-immobilisation/c-spine-collar>

- კისრის გაზომვის შემდეგ მოახდინეთ საყელის გაზომვა და

სწორი ზომის ფიქსაცია;



სურათი 10. საყელის გაზომვა და სწორი ზომის შერჩევა.
<https://clinical.stjohnwa.com.au/clinical-skills/trauma/spinal-precautions-immobilisation/c-spine-collar>

- ფრთხილად შეაცურეთ საყელო კისრის ქვეშ, ისე რომ არ მოახდინოთ თავის და კისრის მოძრაობა;
- დააფიქსირეთ საყელო შესაბამისი სამაგრიტ;
- დარწმუნდით, რომ საყელო სწორად ადევს და არ ზღუდავს პაციენტის სუნთქვას.



სურათი 11. სწორად დადებული საყელო
<https://clinical.stjohnwa.com.au/clinical-skills/trauma/spinal-precautions-immobilisation/c-spine-colla>

4. კიდურების ტრავმა

ძვალ-კუნთოვანი სისტემის დაზიანებები ხშირად საკმაოდ მძიმედ გამოიყურება, მაგრამ იშვიათად არის სიცოცხლისათვის ან კიდური-სათვის საშიში. თუმცა, აუცილებელია ასეთი ტრავმების სწორი შეფასება და მართვა, რათა პაციენტი არ დადგეს სიცოცხლის ან კიდურის დაკარგვის საფრთხის ქვეშ. ექიმისათვის აუცილებელია ამ ტრავმების გამოცნობა, დაზიანების ანატომიის კარგი ცოდნა, პაციენტის დაცვა შემდგომი დაზიანებისაგან და გართულებების პრევენცია.

ძვალ-კუნთოვანი სისტემის ტრავმის შეფასება ხდება როგორც პაციენტთან საუბრისა და ინსპექციის გზით, ასევე დაზიანებული კიდურის პალპაციის გზით. საჭიროა ოთხივე კიდურის თანმიმდევრული შეფასება, რომლის მიზანიც არის:

- სიცოცხლისთვის საშიში დაზიანებების გამორიცხვა (მაგ: სისხლდენა);
- კიდურის დაკარგვის საფრთხის გამორიცხვა;
- ხშირი განმეორებითი შეფასება.

კიდურების დაზიანების დროს ყველაზე ხშირ პრობლემას მოტეხილობა წარმოადგენს, რომელიც, თავის მხრივ, შესაძლოა იყოს ღია ან დახურული.

ღია მოტეხილობის დროს კანის მთლიანობა დარღვეულია და ძვალს გარემოსთან აქვს კონტაქტი, ამიტომ იქმნება მოტეხილობის არეში მიკრობების შეჭრა, ამის კვალობაზე კი ადგილობრივი და/ან ზოგადი გართულებების განვითარების საფრთხე.

დახურული მოტეხილობის დროს, კანის მთლიანობა დარღვეული არ არის და შესაბამისად ინფექციის შეჭრაც გამორიცხებულია.

მოტეხილობისთვის დამახასიათებელ ზოგად სიმპტომებს

მიეკუთვნება:

- ტკივილი
- მოძრაობის შეზღუდვა
- მოტეხილობის მიდამოს დეფორმაცია

- დეფორმაციის გამო გამოხატული კიდურის დამოკლება;
- სისხლდენის გამო განვითარებული შოკის ნიშნები;
- კრეპიტაცია.



სურათი 12. ღია და დახურული მოტეხილობები :<https://www.apollospectra.com/hyderabad/kondapur/treatment/management-of-open-fracture>

ნებისმიერი მოტეხილობის დროს პრეჰოსპიტალურ ეტაპზე დახმარების ტაქტიკა სისხლდენის შეჩერებას (ღია მოტეხილობის დროს) და იმობილიზაციას გულისხმობს. აღნიშნულის საწყისი მიზანია დაზიანებული კიდურის პოზიციის ანატომიურ პოზიციასთან რაც შეიძლება ახლოს მიყვანა და მოტეხილობის ადგილას მოძრაობის მაქსიმალური შეზღუდვა. ამის მიღწევა შესაძლებელია სხვადასვა საიმობილიზაციო საშუალებების გამოყენებით (მაგ: სამკუთხა სახვევეები, სატრაქციო არტაშნები და ა.შ).



სურათი 13. სამკუთხა სახვევეები, <https://manartiexports.com/product/bandages/triangular-bandage>



სურათი 14. საიმობილიზაციო საშუალებები: <https://safeguardmedical.com/products/allevac/prometheus-traction-splint/>



სურათი 15. არტაშანი: <https://progress.com.sg/product/sam-splint/>

კიდურების სხვა მოტეხილობებთან შედარებით უფრო საშიშ მდგომარეობას მენჯის მოტეხილობაა. აღნიშნულის სიმპტომი ძლიერი შინაგანი სისხლდენაა.

მენჯის მოტეხილობას, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნებისა, ახასიათებს:

- სისხლიანი გამონადენი სასქესო ორგანოებიდან;
- შარდვისას გამოხატული ტკივილი;
- სიარულის ან/და დგომის შეუძლებლობა;
- ტკივილი საზარდულის, ბარძაყისა და წელის მიდამოში, რომელიც განსაკუთრებით მოძრაობისას ხდება შემანუხებელი.

პირველი დახმარება მოტეხილობების დროს:

გამოიძახეთ საწრაფო სამედიცინო დახმარება თუ:

- დაზარალებული არ სუნთქავს, არ არის კონტაქტური, მსგავს შემთხვევაში სასწრაფო დახმარების მოსვლამდე დაიწყეთ გფრ;
- თუ პაციენტს აღენიშნება ძლიერი სისხლდენა;
- ნებისმიერი გადაადგილება ან მოძრაობა იწვევს ტკივილს;
- კანის მთლიანობა დარღვეულია და ძვალი გარეთ არის გამოსული;
- დაზიანებული კიდურის მიდამო დაბუჟებულია ან ფერი აქვს შეცვლილი;
- თუკი გაქვთ ეჭვი, რომ პაციენტს მოტეხილობასთან ერთად აღენიშნება ხერხემლის ან/და თავის ტრავმა;
- სასწრაფო დახმარების მოსვლამდე შეეცადეთ მოახდინოთ კიდურის ფიქსაცია სამკუთხა სახვევით.

კიდურების იმობილიზაცია

მხრის ან წინამხრის იმობილიზაცია სამკუთხა სახვევით:



სურათი 16. სამკუთხა სახვევით იმობილიზაცია: <https://pharameasy.in/blog/how-to-deal-with-bone-fracture-101/>

თავი XII – პირველადი დახმარება გადანუდებელი მდგომარეობების დროს

1. გულყრა

კრუნჩხვა (გულყრა) არის თავის ტვინში ელექტრული აქტივობის უეცარი, უკონტროლო დარღვევა.

კრუნჩხვას ხშირ შემთხვევაში თან სდევს ცნობიერების დაბინდვა ან დაკარგვა. არსებობს მრავალი სახის კრუნჩხვა, რომელსაც თან სდევს მთელი რიგი სიმპტომები რაც კრუნჩხვის სიმძიმეს განსაზღვრავს.

კრუნჩხვა საკმაოდ გავრცელებული პრობლემაა, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიხედვით, მსოფლიოში ეპილეფსია 50 მილიონ ადამიანს აქვს. ათიდან ერთ ადამიანს კი ცხოვრების რომელიმე ეტაპზე შესაძლოა, გამოუვლინდეს ეს დაავადება.

კრუნჩხვის გამომწვევი ძირითადი მიზეზებია:

- ჟანგბადის დეფიციტი;
- თავის ტრავმა;
- მეტაბოლური დარღვევები;
- სითბური დარტყმა;
- თავის ტრავმა;
- ეპილეფსია;
- თავის ტვინის სხვადასხვა დაავადება;
- მაღალი ტემპერატურის ფონზე განვითარებული გულყრა.

1.1 ეპილევსია

ეპილევსია წარმოადგენს ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებას, რომელიც თავის ტვინის ნეირონების ელექტრონული აქტივობის დარღვევის შედეგად აღმოცენდება. ეპილევსია, როგორც წესი გამოხატულია სპონტანური ან გენერალიზებული კრუნჩხვით.

მსოფლოში მოსახლეობის 1%-ს (65 მლნ.) აქვს ეპილევსია. ასაკის მატებასთან ერთად გამოვლინების სიხშირე მატულობს. ახალი შემთხვევები განვითარებულ ქვეყნებში განსაკუთრებით ხშირია ჩვილებსა და ასაკოვნებში, ხოლო განვითარებად ქვეყნებში გვიან ბავშვობასა და ადრეულ მოზარდობაში, რაც სავარაუდოდ განპირობებულია ჩვილობისა და ბავშვობის ეპილევსიების გაქრონიკულულობით (არასწორი მართვის გამო).

ეპილევსიის განვითარების რისკ ფაქტორებს მიეკუთვნება:

- გენეტიკური განწყობა;
- სხვადასხვა ინფექციური დაავადება;
- განვითარების დარღვევები;
- თავის ტვინის დაავადებები;
- თავის ტრავმა.

ეპილევსიისთვის დამახასიათებელია:

- ცნობიერების შეცვლა;
- მცირე ხნიანი გონების აქტივობის გათიშვა;
- შფოთვა, აგზნება;
- ტრიზმი;
- გონების დაკარგვა;
- უნებლიე მოძრაობები;
- აურა (სიმპტომების განვითარების წინათგრძნობა).

განარჩევნ ფოკალურ და გენერალიზებულ ფორმებს. ამათგან ფოკალური ფორმის დროს დარღვეული აქტივობა გამოიხატება თავის ტვინის მხოლოდ ერთ არეალში, ხოლო გენერალიზებული ფორმის დროს აღნიშნული აქტივობა ტოტალურად არის დარღვეული.

მარტივი ფოკალური გულყრის ფორმისთვის დამახასიათებელია კიდურების კანკალი, სუნის, გემოს აღქმის შეცვლა, იშვიათად თავბ-

რუსხვევა; თუმცა ამ ფორმის დროს ცნობიერების დაკარგვა არ ხდება. რაც შეეხება დისკოგნიტურ ფოკალურ გუღყრას, აქ ცნობიერების ცვლილება ხდება და პაციენტი ხშირად უმიზნო სიარულით, მზერის მიშტერებით, ყლაპვითი და ლეჭვითი მოძრაობებით გამოავლენს კლინიკურ ნიშნებს.

1.2 ფებრილური გუღყრა

ბავშვთა ასაკში კრუნჩხვის განვითარება ხშირია სხეულის ტემპერატურის მომატების ფონზე – ფებრილური გუღყრა. აღნიშნული პრობლემა პირველადი დახმარების დროული და სწრაფი აღმოჩენის შემთხვევაში, როგორც წესი საშიში არ არის, თუმცა ბავშვის გადაყვანა კლინიკაში აუცილებელია სხვა მნიშვნელოვანი დაავადების გამოსარიცხად. ფებრილური გუღყრა, როგორც წესი გვხვდება ექვსი თვიდან ხუთ წლამდე ასაკის ბავშვებში (უხშირესად 12-18 თვის ასაკში).

- პაციენტებს, ოჯახურ ანამნეზში აღნიშნული პრობლემის არსებობით მეტი რისკი აქვთ კრუნჩხვის განვითარების;
- ყოველი სამი ბავშვიდან ერთს, რომელსაც ერთხელ მაინც ჰქონია გუღყრა პირველი კრუნჩხვიდან 1-2 წლის განმავლობაში აქვთ განმეორების რისკი;

ფებრილური გუღყრა შესაძლოა იყოს ტონური ან კონური

დამახასიათებელი ნიშნებია:

- სხეულის უკონტროლო მოძრაობა;
- მზერის ერთ ადგილზე მიმართვა;
- ღებინება ან/და უნებლიე შარდვა;
- ნერწყვის დინება პირიდან;
- ცნობიერების დაბინდვა ან უგონო მდგომარეობა.

პირველადი დახმარება კრუნჩხვის დროს:

- შეინარჩუნეთ სიმშვიდე;
- შეეცადეთ შეუმსუბუქოთ დაცემა ტრავმის პროფილაქტიკის მიზნით;

- თუ კრუნჩხვა გრძელდება 2 წუთზე მეტს ან შეტევა მეორდება, აუცილებელია სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის გამოძახება;
- გარშემომყოფებს სთხოვეთ არ მიუხლოვდნენ დააზრალეხულს;
- ტრავმის პრევენციის მიზნით თავქვეშ დაუდეთ რბილი საგანი;
- შეუხსენით ქამარი/საკინძე, მოხსენით სათვალე;
- დარჩით დაზარალებულთან კრუნჩხვების დასრულებამდე ან სამედიცინო სამსახურის მოსვლამდე;
- შეამოწმეთ ხომ არ ატარებს პაციენტი სამედიცინო სამაჯურს;
- კრუნჩხვის დასრულების შემდეგ თუ პაციენტი უგონო მდგომარეობაშია, მაგრამ სუნთქავს მოათავსეთ უსაფრთხო მდებარეობაში;
- შეეცადოთ ჩაინიშნოთ კრუნჩხვის განვითარების დრო და ხანგრძლივობა, აღნიშნული ინფორმაცია მიაწოდეთ ექიმს.

გახსოვდეთ:

- ნუ დაიჭერთ დაზარალებულს, არ შეეცადოთ შეაჩეროთ კრუნჩხვითი მოძრაობები;
- კრუნჩხვის მქონე ადამიანი „ენას ვერ გადაყლაპავს“, არ მოახდინოთ პირის ძალით გაღება და უცხო სხეულის მოთავსება, რამაც შესაძლოა ყბის და კბილების დაზიანება გამოიწვიოს;
- არ შეეცადოთ პირიდან პირით ვენტილაციის გაკეთება. პაციენტები, როგორც წესი, კრუნჩხვის შემდეგ იწყებენ ისევ დამოუკიდებლად სუნთქვას;
- არ შესთავაზოთ ადამიანს წყალი ან საჭმელი, სანამ ის სრულად არ მოვა გონს.

2. ნაკბენი

2.1 გველის ნაკბენი

დედამინაზე 2700 – ზე მეტი გველის სახეობაა გავრცელებული. ამათგან საქართველოში ძირითადად 4 სახეობის შხამიანი გველი გვხვდება და მათ შორის ყველაზე საშიში გიურზაა.

გიურზა (ლათ. *Macrovipera lebetinus*) – შხამიანი გველი გველგეს-ლასებრთა ოჯახისა. აქვს დაახლოებით 1,5 მ სიგრძის სხეული. რუხი ფერისაა, ზურგზე მუქი კოპლებით. საქართველოს ტერიტორიაზე გვხვდება შირაქში, გარეჯის უდაბნოში, თბილისის მიდამოებში. ბინადრობს ქსეროფიტულ ბიოტოპებში. ადის ზღვის დონიდან 1500 მ-მდე. ზაფხულის ბოლოს დებს 15-20 კვერცხს, რომლებიდანაც 35-45 დღის შემდეგ იჩეკება 23-25 სმ სიგრძის წიწილები.

აღსანიშნავია, რომ გიურზას შხამი ტოქსიურობით პირველობას კობრას უთმობს და სასიკვდილოა ადამიანისთვის.

საშიშროების შემთხვევაში გიურზა სწრაფად შედის თავშესაფარში, ან იწყებს ხმამაღალ სისინს და უმაღვე ეცემა მტერს. მისი სხეული არის ძლიერ კუნთოვანი და მკვრივი, ყბები აქვს ძალზედ მოძრავი და, ხელში აყვანის შემთხვევაშიც კი, მუდამ ცდილობს ადამიანს ხელზე უკბინოს, თუნდაც ამისათვის შხამიანი ეშვებით საკუთარი ქვედა ტუჩის გახვრეტა მოუწიოს. კბენის დროს, ორგანიზმში შეჰყავს 50 მგ. შხამი.

გიურზას შხამი შეიცავს ფერმენტებს, რომლებიც შლიან სისხლის წითელ ბურთულებს და სისხლძარღვის კედელს. ვითარდება ძლიერი კანქვეშა და შინაგანი ორგანოების შეშუპება, სისხლჩაქცევები, სისხლისდენა, გულისა და თირკმლის ფუნქციის მოშლა. ვითარდება დიდი ზომის ჰემორაგიული შეშუპებები, შხამი იწვევს სისხლის შემადე-დებელი სისტემის მოშლას. ნაკბენის გარშემო აღინიშნება ძლიერი ტკივილი, ვითარდება ქსოვილის ნეკროზი, იწყება თავბრუსხვევა, პირღე-ბინება. მისი ნაკბენი სასიკვდილოა ადამიანისა და ცხოველებისათვის.

შხამიანი გველის ნაკბენის სიმპტომები

სხვადასხვა ტიპის გველებს აქვთ სხვადასხვა ტიპის შხამი და სიმპტომები შეიძლება განსხვავდებოდეს, თუმცა ყველაზე გავრცელებული სიმპტომებია:

- სისხლიანი გამონადენი ქრილობიდან;
- ქარბი სისხლდენა და სისხლის შედედების გაძნელება;
- კბილის კვალი კანში და შეშუპება ნაკბენის ადგილზე;
- ძლიერი ტკივილი ნაკბენის ადგილზე;
- ფერის შეცვლა, როგორცაა სინითლე და სისხლჩაქცევები;
- გადიდებული ლიმფური კვანძები ;
- დიარეა;
- წვის შეგრძნება;
- კრუნჩხვები;
- გაბრუება;
- სისუსტე და თავბრუსხვევა ;
- დაბინდული ხედვა;
- ქარბი ოფლიანობა;
- ცხელება;
- გაძლიერებული წყურვილის შეგრძნება;
- ტაქიკარდია;
- გაძნელებული სუნთქვა და სხვა.

გველის ნაკბენის შემთხვევაში სამედიცინო დახმარების ადრეული ხელმისაწვდომობა ჯანდაცვის დაწესებულებაში კრიტიკულად მნიშვნელოვანია. პირველ რიგში უნდა მოხდეს სწორი შეფასება და დიაგნოსტიკა.

პირველადი დახმარება გველის ნაკბენის დროს

1. დაუყოვნებლივ გამოიძახეთ სასწრაფო დახმარების ბრიგადა;
2. ჩაიცვით სამედიცინო ხელთათმანი;
3. თუკი დაზარალებულს უკეთია სამკაულები, აუცილებლად მოხსენით;
4. სცადეთ დაამშვიდოთ პაციენტი;
5. დაზარალებული მოათავსეთ, ისე, რომ ნაკბენი ადგილი მოექცეს გულის დონიდან ქვევით;
6. ქრილობა მობანეთ და დააფინეთ სტერილური საფენი;
7. ნაკნები ადგილის ზევით დაადეთ ზომიერად მჭიდრო ნახვევი;
8. სასწრაფო დახმარების მოსვლამდე დარჩით დაზარალებულთან და აკონტროლეთ სასიცოცხლო პარამეტრები;

9. თუკი დაზარალებული გადავა უგონო მდგომარეობაში გახსენით სასუნთქი გზები და მოემზადეთ გულ-ფილტვის რეანიმაციის ჩასატარებლად;
10. სასურველია დააფიქსიროთ კბენის დრო და გველის სახეობა.

გველის ნაკბენის დროს დაუშვებელია:

1. შხამის გამოწოვა;
2. ნაკბენი ადგილის დასერვა;
3. ლახტის დადება.

2.2 ცხოველის ნაკბენი

მთავარ საფრთხეს ნებისმიერი ცხოველის ნაკბენის შემთხვევაში ცოფი წარმოადგენს.

ცოფი ვირუსული ზოონოზური ინფექციური დაავადებაა, რომლის დროს ზიანდება თავისა და ზურგის ტვინი. ადამიანსა და ცხოველში ცოფის კლინიკურად გამოვლინების შემთხვევაში შედეგი ყოველთვის ლეტალურად მთავრდება.

ძაღვების ცოფით დაავადების შესახებ ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან იცოდნენ. ჯერ კიდევ ჰომეროსის „ილიადაში“ ბერძნები ჰექტორს ცოფიან ძაღლს უწოდებდნენ. ჩვ.წ. I საუკუნეში კ. ცელსმა აღწერა ცოფი ადამიანში და შემოიტანა ამ დაავადების დასახელება ჰიდროფობია. ეს სახელწოდება ამ დაავადებას მან უწოდა მთავარი და ყველაზე უფრო დამახასიათებელი სინდრომის მიხედვით: წყლის არა მარტო შეხედვამ, არამედ მისმა ხმაურმა, ხოლო ზოგჯერ სიტყვა წყლის გაგონებამაც კი შეიძლება ავადმყოფში უძლიერესი შეტევა გამოიწვიოს. 1770 წელს ვან სვიტენმა პირველად აღწერა ცოფის პარალიზური ფორმა. 1884 ცინკემ დაამტკიცა დაავადების გადატანის შესაძლებლობა დაავადებული ცხოველის ნერწყვით. ცოფის ვირუსული ეტიოლოგია 1903 წელს დაამტკიცა პოლ რემლენჟემ. 1892 წელს ვ.ბაბოშმა, ხოლო 1903 წელს ა.ნეგრიმ განგლიოზურ უჯრედებში აღწერეს სპეციფიკური ჩანართები, განსაკუთრებული ციტოპლაზმური სტრუქტურები, რომელთაც შემდგომში ბებემ-ნეგერის სხეულაკები ეწოდა. მათი აღმოჩენა უჯრედში ცოფის არსებობის უდავო დასტურია.

ცოფის შესწავლის საქმეში და მის საწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების შემუშავებაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ლუი პასტერს. პასტერმა ცოფის საწინააღმდეგო პირველი აცრა ჩაატარა 1885 წლის 6 ივნისს და სრული წარმატებით დამთავრდა. მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერმა ვერ აღმოაჩინა ამ დაავადების გამომწვევი აგენტი, მან შეიმუშავა პროფილაქტიკური აცრების შესანიშნავი მეთოდი, ხოლო თვით პრეპარატს ე.ჯენერის პატივსაცემად „ვაქცინა“ უწოდა.

ცოფით გამონვულ სიკვდილიანობის სტატისტიკაში 40 % 15 წლამდე ასაკის პაციენტებზე მოდის. ყველაზე საშიში ცხოველების ჩამონათვალს მიეკუთვნება: ძაღლი, კატა, მელია, ღამურა, ვირთხა).



სურათი 1. ცოფის ვირუსის გადამტანი ცხოველები.

ადამიანის ორგანიზმში ცოფის ვირუსი შეიძლება მოხვდეს ცხოველის ნერწყვიდან კბენის შემდეგ განვითარებული მათ შორის მიკროტრაავების დროსაც. დრო ორგანიზმში ცოფის ვირუსის მოხვედრიდან სიმპტომების გამოვლენამდე არის ინკუბაციური პერიოდი. ის შეიძლება გაგრძელდეს კვირებიდან თვეებამდე.

დაავადებულ ცხოველს აღენიშნება ქცევის შეცვლა: მოუსვენრობა, უარს ამბობს საკვებსა და წყალზე, აღენიშნება ნერწყვდენა, ღრღნის უცხო სხეულებს, კბენს ცხოველებსა და ადამიანებს (საკუთარ პატრონსაც კი). არის შემთხვევები, როცა ცხოველი ხდება ზედმეტად ალერსიანი, შეიმჩნევა სიელმე, ყეფა ხრინჩიანი ხდება. ინფიცირებიდან ხანგრძლივი დროის განმავლობაში დაავადების ნიშნები შეიძლება

არ გამოვლინდეს და ინკუბაციური პერიოდი გაგრძელდეს რამდენიმე დღიდან წლამდე (ყველაზე ხშირად 3-6 კვირა). დაავადების მიმდინარეობის ხანგრძლივობა კლინიკური ნიშნების გამოვლენის შემდგომ 2-10 დღეა, ცხოველს დაავადების ბოლო სტადიაში უვითარდება კიდურების, საყლაპავის დამბლა და კვდება.

დაავადების საინკუბაციო პერიოდი შესაძლოა ორი კვირიდან ერთ წლამდე გაგრძელდეს. დაავადებულ ადამიანში კლინიკური ნიშნების გამოვლენა დამოკიდებულია დაზიანების ხარისხზე. კლინიკური სიმპტომები ძირითადად არის:

- თავის ტკივილი;
- ყლაპვის გაძნელება;
- გულისრევა ან/და ღებინება;
- შფოთვა;
- ცხელება;
- უძილობა;
- ჰიდროფობია;
- ნაწილობრივი პარალიზება და სხვა.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება პრევენციულ ღონისძიებებს ცოფის თავიდან აცილების მიზნით, აღნიშნულს მიეკუთვნება:

- ცხოველების ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინით აცრა;
- შინაური ცხოველების მორიდება მაწანწალა ცხოველებთან;
- გარეულ ცხოველებთან კონტაქტის შეზღუდვა (მაგ: მოფერება და ა.შ.);
- შესაბამისი სამსახურებისთვის ინფორმაციის მიწოდება მაწანწალა ან საეჭვო რისკის მქონე ცხოველის შესახებ.

ცხოველის კბენის შემთხვევაში:

- დაზარალებულს წყლით ჩამობანეთ დაზიანებული მიდამო;
- სტერილური საფენით დაფარეთ კანი;
- შეაჩერეთ სისხლდენა პირდაპირი ზეწოლით;
- აუცილებლად მიმართეთ ექიმ რაბიოლოგს.

ვაქცინაცია:

ცოფის პრევენციის ერთადერთ გზას, სწორედ ვაქცინაცია წარმოადგენს. ექიმი რაბიოლოგი ამუშავებს ჭრილობას და პაციენტის ანამნეზის შეკრების შემდეგ იღებს გადანყვეტილებას ვაქცინაციის შესახებ.

არსებობს აქტიური და პასიური იმუნიზაცია. ამათგან აქტიური იმუნიზაციის დროს ორგანიზმში ხდება მკვდარი ვირუსის ან მისი ტოქსიკენების შეყვანა. პასიური იმუნიზაცია უტარდებათ იმ პაციენტებს, რომლებიც ითვლებიან მაღალი რისკის ქვეშ და ამ დროს ხდება ორგანიზმში იმუნური შრატების შეყვანა.

გახსოვდეთ:

ცოფის საწინააღმდეგოდ სპეციფიკური მკურნალობა არ არსებობს, დაავადება არ იკურნება. როგორც ცხოველებში, ასევე ადამიანებში იძულებით/პროფილაქტიკური ჩარევის გარეშე შედეგი ყოველთვის სიკვდილით მთავრდება.

2.3 ლაიმის დაავადება

ლაიმის დაავადებას (ბორელიოზი) იწვევს ბაქტერია *Borrelia burgdorferi* და იზვიათად *Borrelia mayonii*. ადამიანზე გადადის ინფიცირებული შავფეხა ტკიპების ნაკბენით. ადამიანების უმეტესობა ინფიცირდება ტყიან ადგილებში, ძირითადად ზაფხულში ან ადრეულ შემოდგამაზე.



სურათი 2. შავფეხა ტკიპა.

საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მონაცემებით, 2018 წელს ჩვენს ქვეყანაში ლაიმის დაავადების 400 შემთხვევა დაფიქსირდა, მათ შორის 81 შემთხვევა ბავშვებში. 2017 წელს შემთხვევათა რაოდენობა 180 იყო, 2016 წელს კი 266.

დაავადების ადრეული სიმპტომები იწყება ნაკბენიდან 3-30 დღის პერიოდში და იყოფა 3 ძირითად სტადიად.

პირველი სტადიის დროს პაციენტს აღენიშნება:

- ცხელება;
- თავის ტკივილი;
- დაღლილობა;
- კუნთების ტკივილი;
- ლიმფური კვანძების გადიდება.

მეორე სტადიის დროს:

- კისრის ტკივილი;
- არითმიები;
- კიდურების სისუსტე;
- სახის კუნთების ორმხრივი სისუსტე;
- დამახასიათებელი კანის გამონაყარი, რომელსაც ერითემა მიგრანტები ეწოდება.



სურათი 3. ერითემა ლაიმის დაავადების დროს.

მესამე სტადიის დროს:

- ვითარდება ართრიტი და აკროდერმატიტი.

ლაიმის დაავადების დიაგნოსტიკურება ხდება სიმპტომების, ფიზიკური შედეგების (მაგ. გამონაყარი) და ინფიცირებული ტკიპების ზემოქმედების საფუძველზე. ლაბორატორიული ტესტების თვალსაზრისით რეკომენდებულია ორ საფეხურიანი კვლევა ბორელიოზის ანტისხეულების დეტექციაზე.

ტკიპის ნაკბენის შემთხვევაში:

1. ამოიღეთ ტკიპა სწრაფად და ფრთხილად. გამოიყენეთ წვრილწვერიანი, რომ ტკიპა მაქსიმალურად ახლოს დაიჭიროთ კანთან. ნაზად ამოიღეთ ტკიპა ნელი მოძრაობით;
2. ამოღებულ ტკიპას გადაუღეთ სურათი ან კონტეინერით წაიღეთ ექიმთან ვიზიტის დროს. აღნიშნული დაეხმარება ექიმს ტკიპის სახეობის იდენტიფიცირებაში;
3. დაიბანეთ ხელი და დაბანეთ ნაკბენი ადგილი. გამოიყენეთ თბილის წყალი, საპონი.

როდის უნდა მიმართოთ სასწრაფო დახმარებას

დარეკეთ სასწრაფო დახმარების გამოსაძახებლად, თუ პაციენტს განუვითარდება:

- ძლიერი თავის ტკივილი
- სუნთქვის გაძნელება
- დამბლა

როდის დაუკავშირდეთ ექიმს:

- თუკი ვერ შეძელით ტკიპის მთლიანად ამოღება;
- გამონაყარი კიდევ უფრო დიდი გახდა;

- განვითარდა გრიპის მსგავსი ნიშნები და სიმპტომები;
- თქვენ ფიქრობთ, რომ ნაკბენის ადგილი ინფიცირებულია.

გახსოვდეთ:

დაავადების თავიდან აცილების საუკეთესო გზა პრევენციაა.

3. სისხლდენა ცხვირიდან

ცხვირიდან სისხლდენის მიზეზი შეიძლება ბევრი რამ იყოს. მათ შორის ყველაზე ხშირად გვხვდება სისხლდენა, რომელიც გამოწვეულია მშრალი ჰაერის ზემოქმედებით, ალერგიებით, სასუნთქი გზების ინფექციებით, მცირე ტრავმებით და ა.შ.

როგორც წესი ცხვირიდან სისხლდენა სიცოცხლისთვის საშიშ დაზიანებას არ მიეკუთვნება და ჩარევის გარეშე მარტივად ჩერდება, თუმცა რეკომენდებულია გარკვეული წესების ცოდნა სისხლდენის გახანგრძლივების დროს მისი შეჩერების მიზნით.

როგორც სხვა ნებისმიერი სამედიცინო დახმარების საჭიროების დროს, ცხვირიდან სისხლდენის დროსაც აუცილებელია:

- არ დაიბნეთ და შეინარჩუნოთ სიმშვიდე;
- სისხლის წნევის შემცირების მიზნით დაზარალებულს სთხოვეთ დაჯდეს და თავი გადმოიწიოს წინ;
- სთხოვეთ პაციენტს ცერა და საჩვენებელი თითით მოახდინოს ნესტოების დახშობა, ხოლო სუნთქვა განაგრძოს პირით;
- ზეწოლა უნდა გაგრძელდეს დაახლოებით 10-15 წუთის განმავლობაში.

დაუშვებელია:

- თავის უკან გადაწევა;
- ცხვირში ბამბის ან ნებისმიერი ტამპონის მოთავსება ექიმის რეკომენდაციის გარეშე;
- ყინულის დადება.

გახსოვდეთ:

გამოიძახეთ სამედიცინო სამსახური, თუ:

- სისხლდენა გაგრძელდა 30 წუთზე მეტი დროის განმავლობაში;
- სისხლდენა გაძლიერდა;
- პაციენტი კარგავს გონებას.

4. დიაბეტი

შაქრიანი დიაბეტი არის ქრონიკული დაავადება, რომელიც ვითარდება ან მაშინ, როდესაც პანკრეასი არ გამოიმუშავებს საკმარის ინსულინს, ან როდესაც ორგანიზმი ვერ გამოიყენებს მის მიერ გამოიმუშავებულ ინსულინს ეფექტურად. ინსულინი არის ჰორმონი, რომელიც არეგულირებს სისხლში გლუკოზას. ჰიპერგლიკემია, რომელსაც ასევე უწოდებენ სისხლში გლუკოზის მომატებას ან სისხლში შაქრის მომატებას, არის უკონტროლო დიაბეტის საერთო ეფექტი და დროთა განმავლობაში იწვევს სხეულის მრავალი სისტემის სერიოზულ დაზიანებას.

2014 წელს 18 წლის და უფროსი ასაკის მოზარდების 8.5%-ს ჰქონდა დიაბეტი. 2019 წელს დიაბეტი იყო 1,5 მილიონი სიკვდილის პირდაპირი მიზეზი და დიაბეტით გამოწვეული სიკვდილიანობის 48% 70 წლამდე მოხდა.

2000-დან 2019 წლამდე დაფიქსირდა 3%-ით ზრდა დიაბეტით გამოწვეული ასაკობრივი სტანდარტიზებული სიკვდილიანობის მაჩვენებლებში. დაბალი საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში დიაბეტით გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებელი 13%-ით გაიზარდა.

ამის საპირისპიროდ, 30-დან 70 წლამდე ასაკის ოთხი ძირითადი არაგადამდები დაავადების (გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კიბო, ქრონიკული რესპირატორული დაავადებები ან დიაბეტი) სიკვდილის ალბათობა გლობალურად 22%-ით შემცირდა 2000-2019 წლებში.

დიაბეტის განვითარების რისკის ფაქტორებია:

- პრედიაბეტი – დიაბეტის წინარე მდგომარეობა;
- შაქრიანი დიაბეტის ოჯახური ანამნეზი;
- ქარბი წონა / სიმსუქნე;
- ნაკლებად მოძრავი, მჯდომარე ცხოვრების წესი;
- კვებითი თავისებურებები (არაჯანსაღი საკვები, სწრაფი კვება);
- ასაკის მატება;
- პოლიციისტური საკვერცხეების სინდრომი.

გამოყოფენ შაქრიანი დიაბეტის ორ ტიპს – I (ინსულინდამოკიდებული) და II ტიპის (ინსულინდამოუკიდებელი) დიაბეტი.

I ტიპის შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ადამიანებში ინსულინი გამომუშავდება მცირე რაოდენობით ან საერთოდ არ გამომუშავდება. დიაბეტის ამ ფორმის ჩამოყალიბებაში, მის მიმართ გენეტიკური მიდრეკილების დროს, უდიდეს როლს თამაშობს ვირუსული ინფექციები, გარემო ფაქტორები, არასწორი კვება.

II ტიპის შაქრიანი დიაბეტის დროს კუჭქვეშა ჯირკვალი განაგრძობს ინსულინის გამომუშავებას, მაგრამ ინსულინის მიმართ ორგანოების მგრძობელობა ქვეითდება. დიაბეტის ამ ტიპის განვითარების მიზეზებია: გენეტიკური მიდრეკილება, გაცხიმოვნება, ზოგიერთი ენდოკრინული დაავადება. შაქრიანი დიაბეტი შესაძლოა გამოვლინდეს, როგორც რომელიმე ვირუსული დაავადების, პანკრეატიტის ან კუჭქვეშა ჯირკვლის სიმსივნეების შემდგომი გართულება.

ტიპი 2 დიაბეტის დროს სიმპტომები შეიძლება იყოს მსუბუქი და დიდი დრო დასჭრიდეს გამოვლენას:

სიმპტომები მოიცავს:

- წყურვილის შეგრძნებას;
- ჩვეულებრივზე უფრო ხშირად შარდვას;
- დაბინდულ ხედვას;
- დაღლილობის შეგრძნებას;
- წონის უნებლიე დაკლებას.

დიაბეტის გართულებას წარმოადგენს კომატოზური მდგომარეობები. აღნიშნულის მიზეზი შესაძლოა გახდეს სისხლში შაქრის მომატება და დაქვეითება.

ამათგან უფრო ხშირად ჰიპოგლიკემიური კომა ვითარდება, მართივად ამოსაცნობად არსებობს კლინიკური ნიშნები:

- კანკალი;
- ცივი და მკრთალი კანი;
- საერთო სისუსტე;
- ძილიანობა;
- ოფლიანობა;
- უეცრად განვითარებული შიმშილის შეგრძნება;
- კრუნჩხვა.

ჰიპოგლიკემიის დროს პირველი დახმარების მთავარი მიზანი სისხლში შაქრის დონის სწრაფი მომატებაა, ამიტომ სამედიცინო დახმარების მოსვლამდე:

- პაციენტი მოათავსეთ მწოლიარე ან მჯდომარე მდგომარეობაში;
- მიეცით შაქრის შემცველი საკვები ან სასმელი;
- დაამზიდეთ პაციენტი და დარჩით მასთან;

თუ შაქრის მიცემის ფონზე მისი მდგომარეობა არ გაუმჯობესდა, გამოიძახეთ სასწრაფო დახმარება.

თუკი პაციენტმა დაკარგა გონება:

- არ მისცეთ სასმელი ან საკვები;
- თუ სუნთქავს მოათავსეთ უსაფრთხო მდებარეობაში;
- მუდმივად აკონტროლეთ სასიცოცხლო ნიშნები და მზად იყავით გფრ ჩასატარებლად.

ჰიპერგლიკემიური კომა ეტაპობრივად, რამდენიმე დღის მანძილზე ვითარდება და მისთვის დამახასიათებელია:

- გახშირებული პულსი;
- გახშირებული შარდვა;
- გულისრევა;
- ღებინება;
- კანის სიმშრალე;
- აცეტონის სუნი პირიდან.

თუკი პაციენტი უგონოდ არის და სუნთქავს მოათავსეთ უსაფრთხო მდებარეობაში.



სურათი 4. ჰიპოგლიკემიური კომის დროს პაციენტის უსაფრთხო პოზირება.

თუკი პაციენტი არ სუნთქავს, მოემზადეთ გფრ ჩასატარებლად.

5. სასუნთქი გზების ობსტრუქცია

აირგამტარი გზების გამავლობის შენარჩუნების და უცხო სხეულისგან დაცვის მიზნით ადამიანის ორგანიზმს უამრავი დაცვითი მექანიზმი გააჩნია, ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანია:

- ეპიგლოტის ფიზიკური აქტივობა;
- ფარისებრი ხრტილები მიერ აირგამტარი გზების ბლოკირება;
- ნამდვილი და ცრუ ხმოვანი იოგების დროებითი სპაზმი;
- ხველის რეფლექსი.

რასკვირველია, აღნიშნული დაცვის მექანიზმების არსებობა მნიშვნელოვანია, თუმცა გარკვეულ ეტაპზე მაინც შესაძლებელია სასუნთქ გზებში სხვადასხვა უცხო სხეულის მოხვედრა.

სასუნთქი გზების ობსტრუქცია (დახშობა) ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული პრობლემაა განსაკუთრებით ბავშვთა ასაკის პაციენტებში. ობსტრუქცია როგორც წესი ძალიან მალე ხდება სიკვდილის

მიზეზი, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია პრობლემის დროული ამოცნობა და შემდეგ დახმარების გაწევა. ვინაიდან, აღნიშნული პრობლემა ყველაზე ხშირად საკვების მიღების დროს ვითარდება ხშირად მას „კაფეტერიის სინდრომსაც“ უწოდებენ.

სასუნთქი გზების ობსტრუქცია შესაძლოა ორი სახის იყოს:

1. მსუბუქი (ნაწილობრივი დახშობა);
2. მძიმე (სრული დახშობა).

როგორც წესი, დაზარალებული, რომელიც იხრჩობა, აკეთებს „უნივერსალური მოხრჩობის სიმპტომს“, რითაც გარშემომყოფთ ანიშნებს, რომ მას პრობლემა აქვს სასუნთქ გზებში. ასეთ დროს თქვენი ქმედება მოიცავს დაზარალებულთან მისვლას და შეკითხვას: „რა გჭირს, გჭირდება დახმარება?“.



სურათი 5. პოზა სასუნთქი გზების ობსტრუქციის დროს - უნივერსალური მოხრჩობის სიმპტომი.

თუკი შეკითხვაზე დაზარალებულს გაჭირვებით, მაგრამ მაინც შეუძლია პასუხის გაცემა ან ხველა. ეს ნიშნავს, რომ მას მსუბუქი ობსტრუქცია აქვს და შესაბამისად, თქვენ უნდა ურჩიოთ, რომ უფრო ძლიერად დაახველოს.

თუკი პაციენტს:

- არ შეუძლია ხველა,
- ვერ გცემთ პასუხს,
- არის ციანოზური.

ეს ნიშნავს, რომ მას აქვს მძიმე ობსტრუქცია და დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს ჰეიმლიკის მანევრის კეთება.

ჰეიმლიკის მანევრი ტარდება ერთ წელს გადაცილებულ ბავშვებსა და მოზრდილებთან:

- დაზარალებულს უნდა დაუდგეთ ზურგის მხრიდან;
- ფეხი მოათავსოთ მის ფეხებს შორის და ოდნავ წინ გადაწიოთ პაციენტი;
- ცალი ხელით შეკრათ მუშტი (ცერა თითს მუშტში ჩავაყოლებთ);
- მანევრი უნდა გაკეთდეს ჭიპიდან დაახლოებით ერთი სანტიმეტრით ზევით;
- მონიშნულ ადგილს დაადეთ მუშტი და დააფიქსირეთ მეორე ხელით, რათა ბეწოლა უფრო ძლიერი იყოს;
- დაიწყეთ 45 გრადუსით შიგნით და ზემოთ მიმართული ინტენსიური ძლიერ ბიძგების განხორციელება.



სურათი 6. ჰეიმლიკის მანევრი.

აღნიშნული ბიძგები გულმკერდის ღრუში წნევას ზრდის, რაც ზედა სასუნთქ გზებში მოხვედრილ უცხო სხეულს ამოაგდებს. ბიძგები უნდა გაგრძლდეს მანამ, სანამ არ ამოაგდებს უცხო სხეულს ან სუნთქვის გაჩერების გამო დაზარალებული გონს არ დაკარგავს.

გონის დაკარგვის შემთხვევაში, დაზარალებულს აწვეთ ზურგზე, უთვალეერებთ პირის ღრუს და იქ არსებული უცხო სხეულის შემთხვევაში ახდენთ მის ამოღებას კაუჭისებურად მოხრილი თითის საშუალებით. აღნიშნულის შემდეგ იწყებთ გულ-ფილტვის რეანიმაციას, სადაც ყოველი 30 ზეწოლის შემდეგ კვლავ ათვალეერებთ პირის ღრუს და მხოლოდ ამის შემდეგ ახდენთ პირით პირში ვენტილაციას.

გაითვალისწინეთ:

- ორსულებში ჰეილმიკის მანევრის დროს წებოლები ნაცვლად მუცლისა, კეთდება გულმკერდზე;



სურათი 7. ჰეიმლიკის მანევრი ორსულებში.

- წლამდე ასაკის ბავშვებში გამოიყენება ე.წ „სენდვიჩ მეთოდი“, რაც გულისხმობს ხუთ წარტყმით მოძრაობას ბეჭთაშუა მიდამოში და ხუთ ზეწოლას გულმკერდზე (ძუძუს დვრილების შემაერთებელი ხაზიდან ერთი თითით ქვემოთ, მაშველის ორი ცერის გამოყენებით).



სურათი 8. სენდვიჩის მეთოდი. © 2020 UpToDate, Inc. and/or its affiliates. All Rights Reserved.



სურათი 9. არაორგანული წარმოშობის ასპირირებული უცხო სხეულები, რომლებიც ამოღებულ იქნა ბავშვების და ზრდასრულების ორგანიზმიდან. Courtesy of Charles Marquette, MD.

6. ჰიპოთერმია და ჰიპერთერმია

ადამიანის ორგანიზმის უამრავ ფუნქციათაგან, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თერმორეგულაციაში მონაწილეობს. მუდმივად ხდება სითბოს წარმოქმნა, საიდანაც ნაწილი გარემოში გამოიყოფა, ნაწილი კი ორგანიზმში რჩება.

თერმორეგულაციის მაკონტროლებელ სტრუქტურას თავის ტვინში ჰიპოთალამუსი წარმოადგენს, რომელიც ვეგეტატიურ ნერვულ სისტემას მართავს. მისი საშუალებით ხდება:

- სითბოს გაცემა;
- სისხლძარღვთა შეკუმშვა-გაფართოება;
- საოფლე ჯირკვლების სტიმულაცია;
- ორგანიზმიდან წყლის აორთქლება.

6.1 ჰიპოთერმია

ნორმალური ტემპერატურა 36.5–37.5°C, ადამიანის ორგანიზმზე დაბალი ტემპერატურის ხანგრძლივი ზემოქმედებით შესაძლებელია განვითარდეს ჰიპოთერმია. ამ დროს ადამიანის სხეული სითბოს წარმოქმნასთან შედარებით უფრო სწრაფად იწყებს დაკარგვას. ხანგრძლივი ზემოქმედების შედეგად ხდება ორგანიზმში დაგროვილი ენერჯის გამოყენება, რაც იწვევს სხეულის ტემპერატურის დაქვეითებას.

ჰიპოთერმიის განვითარების რისკ-ჯგუფში არიან:

- არასათანადო საცხოვრებელი პირობების მქონე ხანდაზმულები (არასაკმარისი საკვები, ტანსაცმელი, გათბობა);
- ადამიანები, რომლებსაც დიდხანს უწევთ გარეთ, დაბალ ტემპერატურაზე ყოფნა (უსახლკაროები, მოლაშქრეები, მონადირეები და ა.შ.);
- ალკოჰოლის და ნარკოტიკის მომხმარებელი.

ჰიპოთერმიის ზოგად გამაფრთხილებელ ნიშნებს მიეკუთვნება:

- კანკალი;
- აპათია;
- მეტყველების გაძნელება;
- ძილიანობა;
- ბრადიკარდია;
- ბრადიპნოე – სუნთქვის სიხშირის შემცირება;
- სისხლძარღვების შევიწროვება;

- შესაძლოა განვითარდეს გულის გაჩერება.

განარჩევნ: მსუბუქ, საშუალო და მძიმე ფორმის ჰიპოთერმიას. სიმპტომები, როგორც წესი ვითარდება თანდათანობით, რის გამოც ადამიანს უჭირს მიხვდეს, რომ ჰიპოთერმიის რისკის ქვეშ იმყოფება.

პირველი დახმარება ჰიპოთერმიის დროს:

- დაზარალებული უზრუნველყავით თბილი ტანსაცმლით;
- უზრუნველყავით სითბოს შემდგომი დაკარგვის პრევენცია;
- დაზარალებულს მიეცით თბილი სასმელი;
- სიფრთხილე გამოიჩინეთ დაზარალებულის გადაადგილებისას;
- საჭიროების შემთხვევაში გამოიძახეთ სასწრაფო დახმარების სამსახური.

მოყინვა

ადამიანის ორგანიზმზე დაბალი ტემპერატურის ზემოქმედების შედეგად შეიძლება განვითარდეს მოყინვა, რომელიც დაზიანების სიღრმის მიხედვით იყოფა 4 ხარისხად:

- **I ხარისხი:** ახასიათებს ჰიპერემია და შეშუპება კანის ნეკროზის გარეშე;
- **II ხარისხი:** ჰიპერემიისა და შეშუპების ფონზე, დიდი ზომის, გამჭვირვალე სითხით სავსე ბუშტების ფორმირება, რასაც მოჰყვება კანის ნაწილობრივი ნეკროზი;
- **III ხარისხი:** კანის სრული და კანქვეშა ქსოვილების ნეკროზი, თან ახლავს ჰემორაგიული სითხით სავსე ვეზიკულების წარმოქმნა;
- **IV ხარისხი:** კანის სრული ნეკროზი, რომელიც ვრცელდება კუნთებზე, ძვლებზე, განგრენის ფორმირება.

მოყინვის ზოგად ნიშნებს მიეკუთვნება:

- მგრძნობელობის დაქვეითება;
- კანის ფერის ცვლილება ხარისხის შესაბამისად;

- უხეში მოძრაობები სახსრების ან კუნთების გაშეშების გამო;
- მძიმე შემთხვევებში, დაწყლულება გათბობის შემდეგ.

პირველი დახმარება მოყინვის დროს:

პირველი დახმარება დამოკიდებულია მოყინვის ხარისხზე. პრობლემის თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია თბილი ტანსაცმლის გამოყენება და სიფხიზლე.

- დაზარალებული გადაიყვანეთ თბილ ადგილას;
- დაიცავით კანი შემდგომი დაზიანებისგან;
- თუ არსებობს მოყინვის განმეორების რისკი, არ მოახდინოთ გაღობა; ხოლო თუ გაღობის პროცედურა უკვე ჩატარებულია, დაათბუნეთ პაციენტი, რომ ხელახლა არ გაიყინოს;
- პაციენტი მთავრად სიცივეს, მოაშორეთ სველი ტანსაცმელი და შემოახვიეთ პლედი;
- მოაშორეთ პაციენტს სამკაულები;
- დაზარალებულს მიეცით თბილი, უალკოჰოლო სასმელი და საჭიროების შემთხვევაში ტკივილგამაყუჩებელი საშუალება;
- ნაზად გაათბეთ მოყინული ადგილები; ხშირ შემთხვევაში დათბუნება ძლიერ მტკივნეულია, ამიტომ პროცედურა სასურველია ჩატარდეს კლინიკაში გაუტკივარების ქვეშ.

დაუშვებელია:

- ტანის თოვლით ან ცივი წყლით დაბეღვა;
- ნუ გაათბობთ მოყინულ კანს სითბოს უშუალო წყაროთი (მაგ: ღუმელი);
- დაზარალებულს ნუ მისცემთ ალკოჰოლს.

6.2 ჰიპოთერმია

ჰიპოთერმიის საპირისპირო მდგომარეობას წარმოადგენს ჰიპერთერმია, მდგომარეობა, რომლის დროსაც თერმორეგულაციის დარღვევის შედეგად ხდება ორგანიზმის ზედმეტი გადახურება. ჰიპოთერმიის უმეტესი ფორმის პრევენცია შესაძლებელია.

ნიშნები და სიმპტომები:

- სხეულის ტემპერატურის მომატება
- დაბინდული მხედველობა;
- თავბრუსხვევა;
- საერთო სისუსტე;
- გახშირებული სუნთქვა და გულისცემა;
- დაღლილობა, ძილიანობა;
- თავის ტკივილი;
- შეიძლება გამოიხატოს აგზნება, კრუნჩხვა;
- გულისრევა ან/და ღებინება.

ჰიპერთერმიის ერთ-ერთი სახეა სითბური დარტყმა, რომლის დროსაც ორგანიზმიდან გამოიყოფა ოფლი და შედეგად, ორგანიზმიდან იკარგება სითხე. ჰიპერთერმიის განვითარების ხელშემწყობ ფაქტორებს მიეკუთვნება:

- მაღალი ტემპერატურა;
- მომატებული ტენიანობა;
- მზეზე ხანგრძლივად ყოფნა;
- ფიზიკური დატვირთვა;
- ასაკი – მოხუცებში და ბავშვებში ჰიპერთერმია უფრო სწრაფად და ადვილად ვითარდება.

პირველი დახმარება:

- უზრუნველყავით სხეულის გაგრილება (მაგ: გამოიყენეთ გრილი შხაპის მეთოდი);
- დაზარალებული გადაიყვანეთ გრილ ადგილას;
- დაზარალებულს გახადეთ ზედმეტი ტანსაცმელი;
- მიეცით სითხე;
- მოახდინეთ სასიცოცხლო ნიშნების მონიტორინგი;
- გამოიძახეთ სამედიცინო დახმარება.

7. ტრიაჟი და მასობრივი კატასტროფების მართვა

მასობრივი კატასტროფები აღწერს შემთხვევებს, რომლის დროსაც გადაუდებელი სამედიცინო დახმარების რესურსები, გადატვირთულია მსხვერპლის რაოდენობის და სიმძიმის გამო.

საზოგადოება მასობრივ კატასტროფად უფრო ხშირად განიხილავს ისეთ სიტუაციებს, როგორიცაა:

- შენობების ნგრევა;
- მატარებლებისა და ავტობუსების შეჯახება;
- საავიაციო ავარიები;
- მიწისძვრები და სხვა მასშტაბური საგანგებო სიტუაციები.

მასობრივი კატასტროფის მაგალითებს მიეკუთვნება:

- ოკლაჰომა სიტის აფეთქება 1995 წელს;
- 11 სექტემბრის ტერაქტი 2001 წელს;
- ბოსტონის მარათონის აფეთქება 2013 წელს და ა.შ.



სურათი 10. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტი.

კატასტროფის დროს ბევრი დაზარალებულის არსებობის შემთხვევაში გამოიყენება დაზარალებულთა დახარისხება (**ტრიაჟი**). მაშველებისა და გადაუდებელი სამედიცინო სამსახურის თანამშრომლების მიერ კატასტროფის ადგილზე ხორციელდება დაზარალებულთა დახარისხება ფერების მიხედვით.

არსებობს ოთხი ფერის ბარათი:

- შავი (თეთრი);
- წითელი;
- ყვითელი;
- მწვანე.



სურათი 11. ოთხი ფერის ბარათი დაზარალებულთა დახარისხების მიზნით.

აღნიშნული ბარათების ფერის ცოდნა აუცილებელია, რათა მაშველებმა სწრაფად დასახონ პრიორიტეტები და გაარკვიონ რომელ დაზარალებულს ესაჭიროება პირველ რიგში დახმარების განევა;

- **შავი/თეთრი** – დაზარალებულს მძიმე, სიცოცხლისთვის შეუთავსებელი დაზიანება აქვს და დაზარალებული ითვლება გარდაცვლილად;
- **წითელი** – დაყოვნებლივ საჭიროებს პირველი დახმარების განევას, დაზარალებულს აღნიშნება სიცოცხლისთვის საშიში დაზიანებები;
- **ყვითელი** – მოცემული მომენტისთვის დაზარალებულის სიცო-

ცხლეს საფრთხე არ ემუქრება, თუმცა შესაძლებელია დაზარალებულის მდგომარეობა გაუარსდეს, მსგავსი ტიპის პაციენტს პირველი დახმარება ესაჭიროება;

- **მწვანე** – დაზარალებულის მდგომარეობა სტაბილურია, შეუძლია სიარული.

დაზარალებულთა დახარისხება სიმძიმის მიხედვით ხორციელდება **START** (Simple Triage and Rapid Treatment – მარტივი ტრიაჟი და სწრაფი დახმარება) ალგორითმის მიხედვით.



შემთხვევის ადგილზე მისვლისას პირველი მოქმედება ყველა „მწვანე“ ფერის დაზარალებულის გაყვანაა უსაფრთხო ადგილზე, რის შემდეგაც ხდება დახარისხება ალგორითმში გაწერილი კრიტერიუმების შესაბამისად.

მნიშვნელოვანია, რომ დაზარალებულთა დახარისხება ჩატარდეს რამდენჯერმე, რადგან ნებისმიერ დროს მდგომარეობა შეიძლება შეიცვალოს.

ლიტერატურა

1. Ary L. Goldberger, Zachary D. Goldberger, Alexei Shvilkin, Goldberger's Clinical Electrocardiography: A Simplified Approach 10th Edition, 2023.
2. Asciak R, Bedawi EO, Bhatnagar R, Clive AO, Hassan M, Lloyd H, Reddy R, Roberts H, Rahman NM. British Thoracic Society Clinical Statement on pleural procedures. *Thorax*. 2023 Jul;78(Suppl 3):s43-s68. doi: 10.1136/thorax-2022-219371. PMID: 37433579.
3. Asiedu MN, Agudogo J, Krieger MS, Miros R, Proeschold-Bell RJ, Schmitt JW, Ramanujam N. Design and preliminary analysis of a vaginal inserter for speculum-free cervical cancer screening. *PLoS One*. 2017 May 31;12(5):e0177782. doi: 10.1371/journal.pone.0177782. PMID: 28562669; PMCID: PMC5451045.
4. ATLS Subcommittee; American College of Surgeons' Committee on Trauma; International ATLS working group. Advanced trauma life support (ATLS®): the 9th edition. *J Trauma Acute Care Surg*. 2013 May;74(5):1363-6. doi: 10.1097/TA.0b013e31828b82f5. PMID: 23609291.
5. Berman Audrey T, Snyder Shirlee, Geryl Frandsen, Kozyer & Erb's Fundamentals of Nursing: Concepts, Process and Practice, 11th edition (2020)
6. Brigham PA, McLoughlin E. Burn incidence and medical care use in the United States: estimates, trends, and data sources. *J Burn Care Rehabil*. 1996 Mar-Apr;17(2):95-107. doi: 10.1097/00004630-199603000-00003. PMID: 8675512.
7. Brown, Calvin A. Walls Manual of Emergency Airway Management, 6th edition, 2022.
8. Carl Gwinnutt, Robin Davies, Jasmeet Soar, Resuscitation Council (UK). Resuscitation Guidelines 2020.
9. Christ A, Arranto CA, Schindler C, Klima T, Hunziker PR, Siegemund M, Marsch SC, Eriksson U, Mueller C. Incidence, risk factors, and outcome of aspiration pneumonitis in ICU overdose patients. *Intensive Care Med*. 2006 Sep;32(9):1423-7. doi: 10.1007/s00134-006-0277-4. Epub 2006 Jul 7. PMID: 16826384.
10. Coley BD, Shiels WE 2nd, Hogan MJ. Diagnostic and interventional ultrasonography in neonatal and infant lumbar puncture. *Pediatr Radiol*. 2001 Jun;31(6):399-402. doi: 10.1007/s002470100453. PMID: 11436885.
11. Crapo RO. Pulmonary-function testing. *N Engl J Med*. 1994 Jul 7;331(1):25-30. doi: 10.1056/NEJM199407073310107. PMID: 8202099.
12. Cunningham, F., Leveno, K., Bloom, S., Spong, C., Dashe, J., Hoffman, B., & Casey, B. William's obstetrics (25th ed.), New York: McGrawHill Education, (2018).
13. Davis K Jr, Campbell RS, Johannigman JA, Valente JF, Branson RD. Changes in respiratory mechanics after tracheostomy. *Arch Surg*. 1999 Jan;134(1):59-62. doi: 10.1001/archsurg.134.1.59. PMID: 9927132.
14. ECC Committee, Subcommittees and Task Forces of the American Heart Association. 2005 American Heart Association Guidelines for Cardiopulmonary Resuscitation and Emergency Cardiovascular Care. *Circulation*. 2005 Dec 13;112(24 Suppl):IV1-203. doi: 10.1161/CIRCULATION-

HA.105.166550. Epub 2005 Nov 28. PMID: 16314375.

15. Eisenberg, M.S. (2005). History of the Science of Cardiopulmonary Resuscitation. In: Orna-to, J.P., Peberdy, M.A. (eds) *Cardiopulmonary Resuscitation. Contemporary Cardiology*. Humana Press. <https://doi.org/10.1385/1-59259-814-5:001>
16. Emergency Nurses Association, *Sheehy's Emergency Nursing: Principles and Practice 7th Edition*, 2019.
17. Ernstmeyer K, Christman E, editors. *Open Resources for Nursing (Open RN); Nursing Skills [Internet]*. Eau Claire (WI): Chippewa Valley Technical College; 2021. Chapter 18 Administration of Parenteral Medications. Available from: <https://www.ncbi.nlm.nih.gov/books/NBK593214/>
18. Feather Adam, Randall David, Waterhouse Mona, Kumar and Clark's *Clinical Medicine*, 10th Edition, Elsevier. 2020 pp. 1033–1038. ISBN 978-0-7020-7870-5.
19. Feller-Kopman D, Berkowitz D, Boisselle P, Ernst A. Large-volume thoracentesis and the risk of reexpansion pulmonary edema. *Ann Thorac Surg*. 2007 Nov;84(5):1656–61. doi: 10.1016/j.athoracsur.2007.06.038. PMID: 17954079.
20. Feneley RC, Hopley IB, Wells PN. Urinary catheters: history, current status, adverse events and research agenda. *J Med Eng Technol*. 2015;39(8):459-70. doi: 10.3109/03091902.2015.1085600. Epub 2015 Sep 18. Erratum in: *J Med Eng Technol*. 2016;40(2):59. PMID: 26383168; PMCID: PMC4673556.
21. Fisher A, Lupu L, Gurevitz B, Brill S, Margolin E, Hertzanu Y. Hip flexion and lumbar puncture: a radiological study. *Anaesthesia*. 2001 Mar;56(3):262-6. doi: 10.1046/j.1365-2044.2001.01717-4.x. PMID: 11251435.
22. Gerard Marshall Raj, Ramasamy Raveendran, *Introduction to Basics of Pharmacology and Toxicology: Volume 1: General and Molecular Pharmacology: Principles of Drug Action 1st ed*. 2019.
23. Guidelines for the transfer of critically ill patients. Guidelines Committee of the American College of Critical Care Medicine; Society of Critical Care Medicine and American Association of Critical-Care Nurses Transfer Guidelines Task Force. *Crit Care Med*. 1993 Jun;21(6):931-7. PMID: 8080468.
24. Haider MZ, Annamaraju P. *Bladder Catheterization*. 2023 Aug 8. In: *StatPearls [Internet]*. Treasure Island (FL): StatPearls Publishing; 2024 Jan–. PMID: 32809583.
25. Hannaford P, Belfield T. The contraceptive revolution: some excellent progress but work still to be done. *Br J Gen Pract*. 2009 Jan;59(558):4-6.
26. Harriss DR, Graham TR. Management of intercostal drains. *Br J Hosp Med*. 1991 Jun;45(6):383-6. PMID: 2070171.
27. Havelock T, Teoh R, Laws D, Gleeson F; BTS Pleural Disease Guideline Group. Pleural procedures and thoracic ultrasound: British Thoracic Society Pleural Disease Guideline 2010. *Thorax*. 2010 Aug;65 Suppl 2:ii61-76. doi: 10.1136/thx.2010.137026. PMID: 20696688.
28. Helen King, *Speculum: the creepy history of this ancient gynaecological device and why it's still feared today*, 2023.

29. Holland AE, Spruit MA, Troosters T, Puhan MA, Pepin V, Saey D, McCormack MC, Carlin BW, Sciruba FC, Pitta F, Wanger J, MacIntyre N, Kaminsky DA, Culver BH, Reville SM, Hernandez NA, Andrianopoulos V, Camillo CA, Mitchell KE, Lee AL, Hill CJ, Singh SJ. An official European Respiratory Society/American Thoracic Society technical standard: field walking tests in chronic respiratory disease. *Eur Respir J*. 2014 Dec;44(6):1428-46. doi: 10.1183/09031936.00150314. Epub 2014 Oct 30. PMID: 25359355.
30. Jairath A, Ganpule A, Desai M, Percutaneous nephrostomy step by step, *Mini-invasive Surg* 1, 180-5, 2017.
31. Joyce M. Black, Jane Hokanson Hawks, *Medical Surgical Nursing Clinical Management for Positive Outcomes* 8th edition, 2008.
32. Kachlik D, Kästner I, Baca V. Christian Gerhard Leopold: fascinating history of a productive obstetrician gynecologist. *Obstet Gynecol Surv*. 2012 Jan;67(1):1-5.
33. Karl Disque, *BASIC LIFE SUPPORT (BLS) PROVIDER MANUAL, Guidelines and standards*, 2023.
34. Katharine Dexter McCormick Library and the Education Division of Planned Parenthood Federation of America, *"A History of Birth Control Methods"* (PDF). *Planned Parenthood Report*. 2012.
35. Kevin Norton, Roger Eston, *Kinanthropometry and exercise physiology*, 4th edition, 2018.
36. Kleinman ME, Chameides L, Schexnayder SM, Samson RA, Hazinski MF, Atkins DL, Berg MD, de Caen AR, Fink EL, Freid EB, Hickey RW, Marino BS, Nadkarni VM, Proctor LT, Qureshi FA, Sartorelli K, Topjian A, van der Jagt EW, Zaritsky AL. Part 14: pediatric advanced life support: 2010, American Heart Association Guidelines for Cardiopulmonary Resuscitation and Emergency Cardiovascular Care. *Circulation*. 2010 Nov 2;122(18 Suppl 3):S876-908. doi: 10.1161/CIRCULATIONAHA.110.971101. PMID: 20956230.
37. Kutluk H. Oktay, *Principles and Practice of Ovarian Tissue Cryopreservation and Transplantation*, 2022.
38. Lenzer J. Peter Josef Safar. *BMJ*. 2003 Sep 13;327(7415):624. PMID: PMC194106.
39. Lilly, Leonard S. (2016). *Pathophysiology of Heart Disease: A Collaborative Project of Medical Students and Faculty*, 6th Edition. Lippincott Williams & Wilkins. pp. 70–78. ISBN 978-1-4698-9758-5. OCLC 1229852550.
40. Lim CK, Ruan SY, Lin FC, Wu CL, Chang HT, Jerng JS, Wu HD, Yu CJ. Effect of Tracheostomy on Weaning Parameters in Difficult-to-Wean Mechanically Ventilated Patients: A Prospective Observational Study. *PLoS One*. 2015 Sep 17;10(9):e0138294. doi: 10.1371/journal.pone.0138294. PMID: 26379127; PMID: PMC4574918.
41. Lipsey, Richard G.; Carlaw, Kenneth; Bekar, Clifford. "Historical Record on the Control of Family Size". *Economic Transformations: General Purpose Technologies and Long-Term Economic Growth*. Oxford University Press. 2005.
42. Lynn S. Bickley, Peter G. Szilagy, Richard M. Hoffman, Rainier P. Soriano, *Bates guide Physical Examination and History taking* 13th edition, 2020.
43. Margulies L. History of intrauterine devices. *Bull N Y Acad Med*. 1975 May;51(5):662-7. PMID:

1093589; PMID: PMC1749527.

44. McFarlane MJ. The Rectal Examination. In: Walker HK, Hall WD, Hurst JW, editors. *Clinical Methods: The History, Physical, and Laboratory Examinations*. 3rd edition. Boston: Butterworths; 1990. Chapter 97. Available from: <https://www.ncbi.nlm.nih.gov/books/NBK424/>

45. Miller CD, Rebeck JA, Ahern JW, Rogers FB. Daily evaluation of macroaspiration in the critically ill post-trauma patient. *Curr Surg*. 2005 Sep-Oct;62(5):504-8. doi: 10.1016/j.cursur.2005.03.003. PMID: 16125607.

46. Nasogastric Tube Insertion, Care, and Removal, *Patient Care Procedures MMC*, 2016.

47. Özdamar E, Özkaya AK, Güler E, Cantay B, Karabel N, Göksügür Y, Çetinkaya A, Emre Ö. Ultrasound-Assisted Lumbar Puncture in Pediatric Emergency Department. *Pediatr Emerg Care*. 2017 Aug;33(8):e21-e23. doi: 10.1097/PEC.0000000000000593. PMID: 26425932.

48. Pamela Lynn, *Taylor's Clinical nursing skills: A Nursing Process Approach*, 3rd edition, 2010.

49. Paul H. Chung, „How To Do Urethral Catheterization in a Female”, *Merck Manual*, 2023.

50. Pellegrino R, Viegi G, Brusasco V, Crapo RO, Burgos F, Casaburi R, Coates A, van der Grinten CP, Gustafsson P, Hankinson J, Jensen R, Johnson DC, MacIntyre N, McKay R, Miller MR, Navajas D, Pedersen OF, Wanger J. Interpretative strategies for lung function tests. *Eur Respir J*. 2005 Nov;26(5):948-68. doi: 10.1183/09031936.05.00035205. PMID: 16264058.

51. Plumtre I, Mulki O, Granados A, Gayle C, Ahmed S, Low-Beer N, Higham J, Bello F. Standardizing bimanual vaginal examination using cognitive task analysis. *Int J Gynaecol Obstet*. 2017 Oct;139(1):114-119. doi: 10.1002/ijgo.12260. Epub 2017 Aug 14. PMID: 28700088.

52. Rahnemai-Azar AA, Rahnemai-azar AA, Naghshizadian R, Kurtz A, Farkas DT. Percutaneous endoscopic gastrostomy: indications, technique, complications and management. *World J Gastroenterol*. 2014 Jun 28;20(24):7739-51. doi: 10.3748/wjg.v20.i24.7739. PMID: 24976711; PMID: PMC4069302.

53. Ramamoorthy C, Geiduschek JM, Bratton SL, Miser AW, Miser JS. Postdural puncture headache in pediatric oncology patients. *Clin Pediatr (Phila)*. 1998 Apr;37(4):247-51. doi: 10.1177/000992289803700405. PMID: 9564574.

54. Roberts ME, Rahman NM, Maskell NA, Bibby AC, Blyth KG, Corcoran JP, Edey A, Evison M, de Fonseka D, Hallifax R, Harden S, Lawrie I, Lim E, McCracken DJ, Mercer R, Mishra EK, Nicholson AG, Noorzad F, Opstad K, Parsonage M, Stanton AE, Walker S; BTS Pleural Guideline Development Group. British Thoracic Society Guideline for pleural disease. *Thorax*. 2023 Jul;78(Suppl 3):s1-s42. doi: 10.1136/thorax-2022-219784. PMID: 37433578.

55. Sigmon DF, An J. Nasogastric Tube. [Updated 2022 Oct 31]. In: StatPearls [Internet]. Treasure Island (FL): StatPearls Publishing; 2024 Jan-. Available from: <https://www.ncbi.nlm.nih.gov/books/NBK556063/>

56. Šimunović V.J. (ed.): *Basic & General Clinical Skills*. Charlestone, SC, USA; CreateSpace Independent Publishing Platform: 2013

57. Singh RH, Erbeling EJ, Zenilman JM, Ghanem KG. The role of speculum and bimanual examinations when evaluating attendees at a sexually transmitted diseases clinic. *Sex Transm*

- Infect. 2007 Jun;83(3):206-10. doi: 10.1136/sti.2006.023309. Epub 2006 Nov 15. PMID: 17108005; PMCID: PMC2659094.
58. Slaymaker E, Scott RH, Palmer MJ, Palla L, Marston M, Gonsalves L, Say L, Wellings K. Trends in sexual activity and demand for and use of modern contraceptive methods in 74 countries: a retrospective analysis of nationally representative surveys. *Lancet Glob Health*. 2020 Apr;8(4):e567-e579.
59. Superville SS, Siccardi MA. *Leopold Maneuvers*. 2023.
60. Talan DA, Hoffman JR, Yoshikawa TT, Overturf GD. Role of empiric parenteral antibiotics prior to lumbar puncture in suspected bacterial meningitis: state of the art. *Rev Infect Dis*. 1988 Mar-Apr;10(2):365-76. doi: 10.1093/clinids/10.2.365. PMID: 3287565.
61. Talley & O'Connor, *Clinical Examination: A Systematic Guide to Physical Diagnosis*, 8th Edition, Elsevier, 2017.
62. United Nations, Department of Economic and Social Affairs, Population Division. *Contraceptive Use by Method 2019*. Data Booklet.
63. Walcott-Sapp S, Sukumar M. *A History of Thoracic Drainage: From Ancient Greeks to Wound Sucking Drummers to Digital Monitoring*. 2022. doi:10.25373/ctsnet.21291078.v1
64. Wanger J, Clausen JL, Coates A, Pedersen OF, Brusasco V, Burgos F, Casaburi R, Crapo R, Enright P, van der Grinten CP, Gustafsson P, Hankinson J, Jensen R, Johnson D, Macintyre N, McKay R, Miller MR, Navajas D, Pellegrino R, Viegi G. Standardisation of the measurement of lung volumes. *Eur Respir J*. 2005 Sep;26(3):511-22. doi: 10.1183/09031936.05.00035005. PMID: 16135736.
65. WHO guidelines on hand hygiene in health care: a summary, 2009.
66. Young M, Leslie SW. Percutaneous Nephrostomy. 2023 Jun 26. In: StatPearls [Internet]. Treasure Island (FL): StatPearls Publishing; 2024 PMID: 29630257.
67. Zubair Malik, „How to insert a nasogastric tube“, Merck Manual, 2023.
68. აბაშიძე სალომე, საექთნო საქმის საფუძვლები, ტომი II, 2020 წელი.
69. პაჭკორია ვ.; პაჭკორია ა.; „ქირურგიული კვანძები“, 2008.
70. საქართველოს მთავრობის დადგენილება №294 ტექნიკური რეგლამენტის – „სამედიცინო ნარჩენების მართვა“ დამტკიცების შესახებ.
71. ქიქოძე ნინო, პედიატრიული პაციენტის საექთნო მართვა, II ტომი. 2020.
72. „ქრონიკული ტკივილის მართვა“ კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი) და კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) პირველადი ჯანდაცვის ექიმებისთვის. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, 2012.
73. ღვამიჩავა რ., შავდია მ. *ონკოლოგია*. 2010.
74. წირქვაძე ირინა, ტრავმული პაციენტის საექთნო მართვის პრინციპები, 2020.